

# ჯონ ჰევილი

# სატიანის სატყუარა

უპატიებლობის სასიკვდილო

ხაფანგისაგან თავისუფალი

ცხოვრება

დახაზღილდა 1 000 000 მაჟი ასლი

# სატანის სატყუარა

ჯონ ბევირი



## ჩემი ღრმა მადლიერება:

ჩემს ცოლს ლიზას, რომელიც უფლის შემდეგ ჩემთვის მეორე ძეირფას მეგობარს წარმოადგენს.

შენ ჭეშმარიტად სათონ მეუღლე ხარ. საუკუნოდ მადლიერი ვიქნები უფლისა იმის გამო, რომ მან შეგვაერთა ჩვენ როგორც ქმარი და ცოლი. გმადლობ შენ ამ წიგნის რედაქტირებაში განეული თავდადებული დახმარებისათვის.

ჩემს სამ ვაჟს: ედისონს, ოსტონს და ალექსანდრეს, რომელნიც დროს არ იშურებდნენ მამასთან ურთიერთობისათვის, რათა ეს პროექტი განხორციელებულიყო. თქვენ, ბიჭებო, ჩემი გულის სიხარული ხართ!

ჩემს ვაჟს ან ქალიშვილს, რომელიც სულ მალე უნდა მოევლინოს ქვეყანას. შენ უკვე გახდი ჩვენი ოჯახის საყვარელი წევრი და მოუთმენლად ველით იმ დროს, როდესაც გიხილავთ.

განსაკუთრებული მადლიერება ჯონი მეისონს, რომელმაც ირწმუნა ეს უწყება და ამ ნაშრომის დაწერასა და გამოცემას შთამაგონებდა; დებორა პოულალიონს მისი ტალანტისა და რედაქტირებაში მხარდაჭერისათვის და გამომცემლობა ჩრეატიონ ცოტსე-ის მთელ პერსონალს, რომელნიც ჩვენთან ერთად შრომობდნენ ამ პროექტზე.

მაგრამ, ყველაზე მთავარი გახლავთ ის, რომ გულწრფელ მადლობას ვუცხადებ ჩვენს ზეციერ მამას მისი აურაცხელი ნიჭისათვის, ჩვენს უფალ იესო ქრისტეს მადლისათვის, ჭეშმარიტებისა და სიყვარულისათვის, და სულინმიდას – ამ პროექტის მსვლელობისას მისი სწორი ხელმძღვანელობისათვის.

*The Bait of Satan* by John Bevere Georgian  
© 1994 Messenger International  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
Originally published in English as *The Bait of Satan*  
Additional resources in Georgian by John Bevere  
Are available for free download at: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
To contact the author: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

სატანის სატყუარა, ჯონ ბევერი ქართულად  
© 1994 Messenger International  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე  
სახელწოდებით ‘*The Bait of Satan*’  
ჯონ ბევერისაგან, დამატებითი  
რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია  
შემდეგ მისამართზე: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
ავტორის ელფოსტის მისამართია: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

## შინაარსი

წინასიტყვაობა.....	7
შესავალი.....	9
1. მე ნაწყენი ვარ.....	13
2. მასიური წყენა.....	23
3. ეს როგორ უნდა მომსვლოდა?.....	35
4. მამაჩემო, მამაჩემო!.....	47
5. როგორ წარმოიშობიან სულიერი მოხეტიალეები.....	61
6. სინამდვილისაგან გაქცევით.....	77
7. საიმედო საფუძველი.....	91
8. ყველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება.....	107
9. საცდურის ქვა.....	125
10. რათა არ ვაცდუნოთ ისინი.....	143
11. მიტევება: არ გასცემთ – არ ღებულობთ!.....	155
12. შურისგება – მახეა.....	169
13. როგორ მოვერიდოთ მახეს.....	181
14. ჩვენი მიზანია შერიგება.....	191
ეპილოგი: პრაქტიკული ნაბიჯები.....	203



## წინასიტყვაობა

 მერთი წამოსწევს მის მიერ მოწოდებული ადამიანების თაობას, რომელიც მზად არიან მიუტანონ სამახარობლო უწყება დაკარგულ და მომაკვდავ ქვეყნიერებას. ჯონი ბევირი ამ თაობას მიეკუთვნება.

1983 წელს მე გავიცანი ჯონი როგორც ეკლესიის მსახური, სადაც მიმინვიეს საქადაგებლად. რამოდენიმე წლის შემდეგ უფალმა მოიყვანა იგი ჩემს ეკლესიაში, ორლანდოში, რათა ეკლესიის სამტატო თანამშრომელი გამხდარიყო. მე ვხედავდი, როგორ ვითარდებოდა იგი და როგორ აღნევდა მოწიფულობას უფალთან პირად ურთიერთობაში და აგრეთვე როგორც სახარების მსახური. იგი ანთებულია ჭეშმარიტებისადმი მოშურნეობით და ადამიანთა მიმართ სიყვარულით, რაც სახარების ქადაგების საქმეში მისთვის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მისი უკომპრომისო და ადამიანებისათვის ღმერთის სიტყვის გასაგებად ქადაგება, ცოდვილებს მონანიებისა და წმინდა ცხოვრებისაკენ მოუწოდებს.

წიგნში „სატანის სატყუარა“ ჯონი ეხება მნიშვნელოვან თემას და ყოველი მორწმუნის პოტენციურ საფრთხეს – საცდურს და წყენას. განსაცდელებსა და სიძნელეებს, რომლებსაც მორწმუნის ცხოვრებაში ადგილი აქვთ საცდურებისა და წყენის გამო, მისთვის ორი სრულიად სხვადასხვაგვარი შედეგის მოტანა შეუძლიათ. დასასარული მთლიანად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ როგორ რეაგირებას მოახდენს ადამიანი მათზე. თუკი გულდაჭრილი და ნაწყენი ხართ, თქვენი, როგორც ღმერთის შვილის, სულიერი ზრდა ჩერდება ამ გზაზე წარმოქმნილი დაბრკოლების გამო. იწყებთ საკუთარი თავის შებრალებას და „დღესასწაულის“ მოწყობას, სადაც საპატიო სტუმარი თავად ბრძანდებით! გამუდმებული ფიქრის გამო იმაზე, თუ რამდენად უსამართლოდ მოგექცნენ, თქვენი მზერა სცილდება უფალს და საკუთარ თავში იკეტებით. სინამდვილეში, რა ოსტატური მახეა!

## სატანის სატყუპარა

მაგრამ თუკი ხელს არ უწყობთ წყენას და ნებას არ აძლევთ, ფესვები გაიდგას თქვენს ცხოვრებაში, მაშინ შეგიძლიათ გამტკიცდეთ უფალთან ურთიერთობაში, მთელი სიტუაციის მისთვის გადაცემის გზით. იაკობი წერს: „ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც სხვადასხვა განსაცდელში ცვივდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის; მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ სრულქმნილი, წუნდაუდებელნი და ყოველგვარი ნაკლის გარეშე.“

საცდურებს და წყენას უსათუოდ ექნება ადგილი. იესო აფრთხილებდა მოწაფეებს, რომ შეუძლებელია ცხოვრობდე ქვეყნიერებაზე და საცდურს და წყენას არ გადაეყარო. საქმე იმაში არ არის, ჩავარდებით თუ არა მსგავს სიტუაციებში, არამედ, შემდეგში: როდესაც ადგილი აქვს საცდურსა და წყენას, როგორ ვრეაგირებ მე მასზე?

თუ არ იცით, რა გზას დაადგეთ, ეს წიგნი დაგეხმარებათ განსაზღვროთ და გამოიცნოთ თქვენს წინ არსებული ყველა მახე. ისნავლეთ ეშმაკის ამ მზაკვრულობების ამოცნობა და მათზე გამარჯვება. „სატანის სატყუარა“ წარმოადგენს ბიბლიურ მიდგომას საკითხთან, თუ როგორ მოვექცე საცდურს და წყენას? გახსოვდეთ, რომ თქვენ გაგანთავისუფლებთ სწორედ ის ჭეშმარიტება, რომელსაც პირადად შეიცნობთ! იყურეთ მატერიალური სამყაროს მიღმა და სცანით თქვენი ნამდვილ მტერი – სატანა.

ბენი ჰინი, პასტორი და მახარობელი.  
ქრისტიანული ცენტრი ორლანდოში, ფლო-  
რიდის შტატი  
1994 წლის აპრილი.

## შესავალი

**6** ეპისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ცხოველებისათვის ხა-ფანგი დაუგია, იცის, რომ ხაფანგის წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია ორი პირობა: ჯერ ერთი, ხაფანგი დამალული უნდა იყოს, იმ ვარაუდით, რომ ცხოველი მას ვერ შენიშნავს, და მეორე, მასში უნდა იყოს სატყუარა, რომელიც ცხოველს ხაფანგის მომაკვდინებელ ყბებში მიიზიდავს.

სატანა, ჩვენი სულების მტერი, თავისი ყველაზე მაცდუნებელი და მომაკვდინებელი ხაფანგების დადგმით, ორივე ხრისტიანული იყენებს. მისი ხაფანგები საგულდაგულოდაა გადამალული, მა-გრამ სატყუარა თვალსაჩინოა.

სატანა და ეშმაკთა ლეგიონი იმდენად უგუნურნი არ არი-ან, როგორც მრავალ ადამიანს ჰქონია. ისინი გაქნილი, მზაკ-ვარნი და განაფული არიან ცდუნებაში. სატანა დახვეწილია თავის ქმედებებში, იგი არის მარჯვე და გამჭრიახი. ნუ დაგა-ვიწყდებათ, რომ მას შეუძლია სინათლის ანგელოზიად შეინიღ-ბოს. თუკი ჩვენ არ ვართ განსწავლულნი ღმერთის სიტყვით კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისაგან გარჩევის საკითხში, ვერ შევძლებთ მისი მახების ამოცნობას.

ერთ-ერთი, მისი ყველაზე უფრო მაცდუნებელი სატყუ-არა, რომელსაც ყოველი ქრისტიანი აწყდება, გახლავთ წყენა. სინამდვილეში წყენა თავისთავად არ არის მომაკვდინებელი, თუ ხაფანგში რჩება. მაგრამ თუ მივიღებთ მას, ვშთანთქავთ და გულებს ვასაზრდოებთ მითი, განაწყენებულები ვხდებით. გულდანწყვეტილი ადამიანები წარმოშობენ ისეთ ნაყოფებს, როგორიცაა: ტკივილი, გულისწყრომა, მძვინვარება, ეჭვიანობა, ჭირვეულობა, უთანხმოება, სიმნარე, სიძულვილი და შური. ადამიანები, რომლებიც წყენას მოეჭიდნენ, შემდეგ შედეგებს იმკიან: შეურაცხყოფა, განკიცხვა, ჭრილობები, დაყოფები, ურთიერთობების რღვევა, დალატი და განდგომილება.

ხშირად, ისინი, ვინც ნაწყენდებიან, ვერ აცნობერებენ, რომ მახეში გაებნენ. ისინი ვერ ამჩნევენ თავიანთ საშინელ მდგო-მარეობას იმის გამო, რომ მათი ყურადღება მთლიანად არის

## სატანის სატყუარა

მიპყრობილი იმაზე, თუ რა ცუდად მოექცნენ. მათ არ სურთ სიმართლეს თვალებში შეხედონ. ყველაზე ეფექტური ხერხი, რომლის დახმარებითაც მტერს ჩვენი დაბრმავება შეუძლია, გახლავთ ძალდატანებით მთელი ყურადღების საკუთარ თავებზე გადატანა.

ეს წიგნი თვალსაჩინოს ხდის მომაკვდინებელ ხაფანგს და გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გადავურჩეთ მის დარტყმას და თავისუფალნი ვიყოთ. წყენისაგან განთავისუფლება უკიდურესად მნიშვნელოვანია ყველა ქრისტიანისათვის, ვინაიდან, იესომ თქვა, შეუძლებელია ქვეყნიერებაზე წყენისა და საცდურების ზემოქმედების განცდის გარეშე ცხოვრება. (იხ. ლუკა 17:1.)

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ეკლესიებში, სადაც ამ თემაზე ვქადაგებდი, მსმენელთა ნახევარზე მეტი ეხმაურებოდა ჩემს მოწოდებას მონანიებისაკენ. ეს საქმიანდ შალალი მაჩვენებელია, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. მრავალ ადამიანს სიამაყე აკავებს და ხელს უშლის სწორი რეაგირება მოახდინოს ამ მოწოდებაზე. მინახავს როგორ იკურნებოდნენ, თავისუფლდებოდნენ, სულიწმიდით ივსებოდნენ და ლოცვებზე პასუხებს დებულობდნენ ადამიანები, როდესაც თავს აღწევდნენ ამ ხაფანგს. ჩვეულებრივ, ისინი ყვებოდნენ, რომ წლობით ექცედნენ იმას, რაც სულ რაღაც წამებში მიიღეს, როდესაც განთავისუფლდნენ ამ საცდურისაგან.

მეოცე ათასწლეულის დასასრულს ეკლესიებში ძალიან მომრავლდა ცოდნა ლმერთის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამ ზრდის, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამჟამად განვიცდით უფრო მეტ განხეთქილებებს მორწმუნებებს, ლიდერებსა და ქრისტიანული თემობის წევრებს შორის.

გეტყვით მიზეზსაც: წყენამ დიდი და ღრმა ფესვები გაიდგა ჭეშმარიტი სიყვარულის უქონლობის გამო. „...ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“. (1 კორინთელთა 8:1). მრავალი მორწმუნე გაება ამ მაცდუნებელ მახეში და მიიჩნევენ, რომ ეს ცხოვრების ნორმალური წესია.

თუმცა ქრისტეს მოსვლის წინ ჭეშმარიტ მორწმუნებს ისეთი ერთობა ექნებათ, როგორც არასოდეს. მე მწამს, რომ ჩვენს დღეებში უამრავი ადამიანი განთავისუფლდება წყენის ხაფანგიდან. ეს იქცევა ერთ-ერთ უმთავრეს რგოლად გამოლ-

ვიძებაში, რომელიც მთელს მსოფლიოს მოედება. ურნწმუნონი შეიცნობენ იესო ქრისტეს ქრისტიანებს შორის არსებული სი-ყვარულით.

მე არ მგონია, რომ წიგნის შექმნა მხოლოდ იმისათვისაა საჭირო, რათა რამე დაწერო. ლმერთმა ჩამიღო გულში ეს უწყება, და მე ვხედავ მისგან მოწეულ ნაყოფს. ერთმა ხუცესმა ღვთისმსახურების შემდეგ, რომელზეც ვქადაგებდი, მითხრა: „არასოდეს მინახავს, რომ ერთ კრებაზე ამდენი ხალხი თავი-სულლებოდეს.“

ლმერთი შექო ჩემს გულს და მითხრა, რომ ეს მხოლოდ და-საწყისია. მრავალნი განთავისუფლდებიან, განიკურნებიან და აღდგებიან, როდესაც წაიკითხავენ ამ წიგნს და მოისმენენ, რა-საც სულინმიდა ეტყვით. მე მწამს, რომ წიგნის კითხვის დროს მასწავლებელი და ნუგეშისმცემელი პირადად თქვენ მოგმარ-თავთ. როდესაც იგი გააკეთებს ამას, სიტყვა, მოცემული წმინ-და სულის გამოცხადებით, მოგიტანთ უდიდეს თავისუფლებას ცხოვრებასა და მსახურებაში.

მოდით ერთად ვილოცოთ წიგნის კითხვის დაწყების წინ:

„მამაო, იესო ქრისტეს სახელით გთხოვ, სულინმიდით გამიცხადე შენი სიტყვა ამ წიგნის წაკითხვისას. დამა-ნახე გულის დაფარული მხარეები, რომლებიც ხელს მიშ-ლიან შენს შემეცნებასა და შენს წინაშე უფრო ნაყოფიერ მსახურებაში. მე ვლებულობ წმიდა სულის მხილებას და გთხოვ მადლს, რათა შევასრულო ის, რაც გსურს. დაე, ამ წიგნის კითხვისას, მესმოდეს შენი ხმა და შეგიცნობდე უფრო მეტად.“

ԾԿԵՆԱՑԵ ԲՅԵՆՈ ՍԱՀԱՏՄԵՐ ՌԵԱԲԴՈՒ,  
ՑԱԽՏԱՑՈՅՑՐԱՎՏ ԲՅԵՆԵ ԹՐԹԱՅԱԼՍ

## თავი 1

### მი ნაწყენი ვარ?

„შეუძლებელია არ მოვიდეს ცდუნებები“.

ლუკა 17:1

**ჟ**მერიკის შეერთებულ შტატებში მსახურების მიზნით მოგზაურობისას, დავინახე მტრის ერთი ყველაზე მომაკვდინებელი და მაცდუნებელი მახე, რომელიც თრგუნავს უამრავ ქრისტიანს, არღვევს მათ ურთიერთობებს და აფართოვებს არსებულ ბარიერებსა და უფსკრულებს. ამ მახეს ეწოდება წყენა.

მრავალ მორწმუნეს არ ძალუდს სათანადოდ მოქმედებდეს და ასრულებდეს თავის მოწოდებას წყენითა და შეურაცხყოფებით მიყენებულ ჭრილობათა გამო. ეს არ აძლევთ საშუალებას საკუთარი პოტენციალი სრულად გამოიყენონ. უმეტეს შემთხვევაში ტკივილს მორწმუნები აყენებენ. ასეთ დროს წყენა ღალატად აღიქმება. ერთ ფსალმუნში დავითი წუხს:

„რადგან მტერი არ მლანძლავს, თორემ ავიტანდი; ჩემი მოძულე კი არ განდიდებულა ჩემზე, მას დავემალებოდი; შენ კი კაცი ხარ ჩემებრ, მეგობარი და მახლობელი ჩემი. ერთად რომ ვსაუბრობდით ტკბილად, ღვთის სახლში დავდიოდით მღელვარებით“. (ფსალმუნი 54:13-15)

ეს ის ხალხია, ვისთან ერთადაც ვმღერთ საგალობლებს, ან, შესაძლოა, ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც ეკლესიაში ქადაგებს. მათთან ერთად ვატარებთ გამოსასვლელ დღეებს, ვესწრებით სხვადასხვა მსახურებებს და ერთად ვმუშაობთ. ან,

## სატანის სატყუპარა

შესაძლოა, ისინი უფრო ახლობელი ადამიანები არიან. ჩვენ ერთად ვიზრდებით, მათ ვანდობთ საიდუმლოებებს, გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ. რაც უფრო მჭიდროა ურთიერთობები, მით უფრო ძნელი ასატანია წყენა! ყველაზე ძლიერი სიძულვი-ლი შეიძლება აღმოაჩინოთ იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ძალიან ახლო ურთიერთობები აკავშირებდათ წარსულში.

ადვოკატები, რომლებიც განქორწინების პროცესებზე მუშაობენ, მრავალ საშინელ და სასტიკ ისტორიას გიამბობენ. ამერიკული მასობრივი ინფორმაციის წყაროები გამუდმებით გადმოსცემენ მკვლელობებზე, რომლებიც ოჯახის ერთერთი სასოწარკვეთილი წევრის მიერ არის ჩადენილი. სახლი, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ იძლეოდეს დაცვას, უზრუნველყოფას, მზრუნველობას და სადაც შეიძლება გაზრდა; სახლი, სადაც ვსწავლობთ სიყვარულის გაცემასა და მიღებას, ხშირად ჩვენი ტკივილის ფესვს წარმოადგენს. ისტორია გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო ომებია სწორედ ყველაზე სისხლისმღვრელი. ძმა – ძმის წინააღმდეგ, შვილი – მამის წინააღმდეგ, მამა – შვილის წინააღმდეგ.

განაწყენების ალბათობა ისევე დიდია, როგორც ურთიერთობების რაოდენობა. ეს ჭეშმარიტება უცვლელი რჩება: თქვენთვის ტკივილის მიყენება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელიც თქვენთვის სულერთი არ არიან. თქვენ მათგან მეტს მოელით, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, მათთვის ხომ ბევრს გასცემთ. რაც უფრო დიდია მოლოდინი, მით უფრო დიდია ჩავარდნა.

ჩვენს საზოგადოებაში ეგოიზმი ყვავის. დღეს ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, ამ დროს უგულებელ-ჰყოფენ გარშემო მყოფებს და ტკივილს აყენებენ მათ. ამან არ უნდა გაგაცვირვოთ. ბიბლია ძალიან ნათლად ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში „ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი“ (2 ტიმოთეს 3:2). ამას ჩვენ ურწმუნოთაგან მოველით, მაგრამ პავლე წერდა ეკლესიას და საერთოდ არ გულისხმობდა მათ, ვინც ეკლესის გარეთ იმყოფება. იგი ქრისტიანებზე ლაპარაკობდა. მრავალი ადამიანი გულდაჭრილია; მიყენებული აქვს ტკივილი, ბევრი დანაღვლიანებულია. ისინი განაწყენებულნი არიან! ისინი ცდუნდნენ! მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რომ სატანის მახეში გაებნენ.

ვინ არის ამაში დამნაშავე? ჩვენ? იქსომ ძალიან გასაგე-

## მი ნაცევი ვარ?

ბად თქვა, რომ შეუძლებელია ცხოვრობდე ქვეყნიერებაზე და საცდურებსა და წყენას არ შეხვდე. და მაინც, ქრისტიანების უმრავლესობა შეძრნუნებულნი, განცვიფრებულნი და სრულ დაბნეულობაში იმყოფებიან. ჩვენ გვგონია, რომ ერთადერთნი ვართ, ვისაც უმართლოდ მოექცნენ. ასეთი რეაქცია მოწყვლა-დად გვხდის მწარე ფესვის აღმოსაცენებლად. მაშასადამე, აღჭურვილნი მზადყოფნაში უნდა ვიყოთ საცდურებისა და წყენისადმი წინააღმდეგობის გასაწევად, ვინაიდან ჩვენი რეა-გირებით ვსაზღვრავთ საკუთარ მომავალს.

## მაცდუნეპელი მახვი

ბერძნული სიტყვა, რომელიც ქართულში „საცდურს“ შეე-საბამება ლუკას 17:1 მუხლში, წარმოიშვა სიტყვიდან „სკანდ-ალონი“.

(გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისურ ბიბლიაში ეს სიტყვა ასევე „წყენას“ ნიშ-ნავს, ჩვენ ხშირად ვთარგმნით არა „ცდუნებებს“, როგორც ეს ქართულ ბიბლიაშია, არამედ „წყენას“, რათა თარგმანი შეე-საბამებოდეს იმ აზრს, რომლის გადმოცემასაც ავტორი ეს-წრაფებოდა – მთარგ. შენიშვნა). თავდაპირველად ეს სიტყვა ხაფანგის იმ ნანილს ალნიშნავდა, რომელზედაც სატყუარას ამაგრებდნენ. მაშასადამე, ჩვენს მიერ განხილული სიტყვა ალ-ნიშნავს ხაფანგს, რომელიც გზაზეა დაგებული. ახალ ალთქმა-ში ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება იმის ალსაწერად, როგორ აბამს მტერი ადამიანს თავის მახში. წყენა (ან საცდური) გახ-ლავთ მტრის იარაღი, რომლის მეშვეობითაც იგი იმონებს ადა-მიანებს. პავლე, ტიმოთეს დამოძღვრისას, წერდა:

„მონას ღვთისას კი არ მართებს ჩხუბი, არამედ წყნარი უნდა იყოს ყველას მიმართ, განმსწავლელი, შემწყნარე. სიმშვიდით არწმუნებდეს მონინაალმდეგეთ, იქნებ მისცეს მათ უფალმა მონანიება ჭეშმარიტების შესაცნობად, რათა განთავისუფლდნენ ეშმაკის მახისაგან, რომელმაც მისი ნებისამებრ დაატყვევა ისინი.“ (2 ტიმოთეს 2:24-26)

ადამიანები, რომელნიც ქიშპობენ ან ერთმანეთს მტრო-ბენ, მახეში ებმებიან და ეშმაკის ტყვეები და მისი ნების შემს-

## სატანის სატყუპარა

რულებლები ხდებან,. საშინელება კი ის არის, რომ ისინი ვერც კი აცნობიერებენ, რომ ეშმაკის ტყვეები არიან! უძლები ძის მსგავსად, გონის უნდა მოეგონ, გამოფხიზლდნენ და შეიგნონ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებან სინამდვილეში. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ მათგან გამოედინება არა სუფთა, არამედ მწარე წყალი. როდესაც ადამიანი ცდუნებაში იმყოფება, თვლის, რომ იგი მართალია, იმ დროს, როცა ეს სრულიადაც არ არის ასე.

როგორიც არ უნდა იყოს სცენარი, ნაწყენი ადამიანების დაყოფა ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება.

1. ისინი, ვისაც უსამართლოდ მოექცნენ.
2. ისინი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ უსამართლოდ მოექცნენ.

ადამიანებს, რომლებიც მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან, მთელი გულით სჯერათ, რომ ცუდად მოექცნენ. ხშირად მათი დასკვნები არასწორ ინფორმაციას ეფუძნება. ან ინფორმაცია ზუსტია, ხოლო მათი დასკვნები – არასწორი. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ისინი განაწყენებულნი არიან და მათ მიერ მოვლენების აღქმა – დამახინჯებული. ისინი ვარაუდების, გარეშე ნიშნებისა და ხალხში გავრცელებული ხმების და ჭორების საფუძველზე მსჯელობენ.

## გულის ნამდვილი გდგომარეობა

ერთ-ერთი მეთოდი, რომლის მეშვეობით მტერს ძალუს ადამიანი განაწყენებულ მდგომარეობაში ჰყავდეს, გახლავთ ის, რომ წყენა სიამაყის უკან იმალება. სიამაყე ხელს შეგიშლით თქვენი ნამდვილი მდგომარეობის აღიარებაში.

ერთხელ რამოლენიმე მსახურმა ძლიერი ტკივილი მომაყენა. ზოგიერთები მეუბნებოდნენ: „ვერ დამიჯერებია, რომ ისინი ასე მოგექცნენ. მტკივნეულია ეს შენთვის?“ მე კი სწრაფად ვპასუხობდი: „არა, ყველაფერი რიგზეა. არავისზე არ ვარ ნაწყენი.“ მე ვიცოდი, რომ ჩემთვის არ შეიძლება განაწყენება, ამიტომ უარს ვამბობდი და საკუთარ თავში ყოველ წყენას ვთრგუნავდი. ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ არ მწყინს, თუმცა, სინამდვილეში, მწყინდა. სიამაყე მიშლიდა ხელს, რომ საკუთარი გულის ნამდვილი მდგომარეობა დამენახა.

სიამაყე გაკავებთ ჭეშმარიტებისაგან და უფლებას არ გა-

## მე ნაცხენი ვარ?

ძლევთ სიმართლეს თვალებში შეხედოთ. იგი ამახინჯებს თქვენს ხედვას, ვერასოდეს შეიცვლებით, თუკი იფიქრებთ, რომ ყველაფერი რიგზე გაქვთ. სიამაყე გიუხეშებთ გულს და გიბნელებთ გონებას! იგი ხელს უშლის შინაგანი მდგომარეობის შეცვლას, ანუ მონანიებას, რომელიც გაგანთავისუფლებთ ეშ-მაკის მახისაგან. (იხ. 2 ტიმოთეს 2:24-26). სიამაყე გიბიძგებთ, რომ საკუთარი თავი მსხვერპლად მიიჩნიოთ. თქვენი დამოკიდებულება ასეთი ხდება: „მე ცუდად მომექცნენ, სათანადოდ არ შემაფასეს, ამიტომ სრული უფლება მაქვს, ასე ვიქცეოდე.“ იმის გამო, რომ საკუთარი თავი მიგაჩნიათ უდანაშაულოდ და თვლით, რომ ცილი დაგწამეს, არ პატიობთ. ნამდვილი შინაგანი მდგომარეობა კი დაფარულია თქვენთვის, მაგრამ იგი არ არის უცნობი ღმერთისათვის. არავითარი უფლება არ გაქვთ გულში წყენას ატარებდეთ მხოლოდ იმის გამო, რომ უსამართლოდ მოგექცნენ. არასწორი, გამრავლებული არასწორზე, არ იძლევა სწორს!

## მუშაობები

გამოცხადების წიგნში იესო მიმართავს ლაოდიკის ეკლესიას და ეუბნება, რომ ისინი თვლიან, რომ არიან მდიდრები, გამდიდრებულები და არაფერში განიცდიან ნაკლოვანებებს. შემდეგ იგი ამხელს მათ ნამდვილ მდგომარეობას: „...უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრძა და შიშველი.“ (იხ. გამოცხადება 3:14-20). ცდომილებაში მყოფებმა ფინანსური სიმტკიცე სულიერ სიმტკიცედ მიიჩნიეს. სიამაყე გამო ვერ შეძლეს ნამდვილი მდგომარეობის განჭვრეტა.

დღეს მრავალი ადამიანი ზუსტად იგივე მდგომარეობაში იმყოფება. ისინი ვერ ხედავენ თავიანთი გულების ნამდვილ მდგომარეობას ზუსტად ისევე, როგორც მე ვერ შევძელი დამწეახა, როგორი განაწყენებული ვიყავი იმ მსახურებზე. მე შთავაგონებდი თავს, რომ არ ვიყავი მათგან დაჭრილი. იესომ უთხრა ლაოდიკიელებს, როგორ უნდა განთავისუფლებულიყვნენ ცდუნებისაგან: ეყიდათ ღვთიური ოქრო და დაენახათ თავიანთი ჭეშმარიტი მდგომარეობა.

## ლოგიკი რერწს ყიდვა

იესოს პირველი დარიგება იმაზე, თუ როგორ შეიძლება

## სატანის სატყუარა

ცდუნებისაგან განთავისუფლება, იყო: „მე გირჩევ იყიდო ჩე-მგან ცეცხლით განწმენდილი ოქრო...“ (გამოცხადება 3:18).

განწმენდილი ოქრო არის რბილი და ადვილად დასაყალიბებელი, მასში არ არის უანგი, კოროზია და სხვადასხვა მინარევი. სწორედ მაშინ, როდესაც ოქრო შერეულია სხვა მეტალებთან (სპილენძთან, რკინასთან, ნიკელთან), იგი მყარი, ხისტი, მოუქნელი ხდება, ადვილად ემართება კოროზია და იუანგება. მეტალების ამგვარ ნარევს შენადნობი ეწოდება. რაც უფრო მაღალია უცხო მეტალების პროცენტული შემადგენლობა, მით უფრო მყარია ოქრო და პირიქით, რაც უფრო დაბალია მინარევების პროცენტი, მით უფრო რბილი და ადვილად მოსაქნელია იგი.

ჩვენ ახლავე ვხედავთ პარალელს: სუფთა გული ცეცხლით განწმენდილ ოქროს ჰეგავს. იგი რბილი, ნაზი და ადვილად მოსაქნელია. ეპრალთა მიმართ ნერილში დამოწმებულია, რომ ადამიანთა გულები ცოდვის საცდურით სასტიკდებიან! თუ ჩვენ არ მივხედავთ წყენას, იგი უფრო მეტ ცოდვიან ნაყოფს გამოიღებს, ისეთს, როგორიცაა: სიმწარე, გულისწყრობა და წინააღმდეგობა. ეს უცხო დანამატები გულს გვიუხეშებს, ზუსტად ისე, როგორც მინარევები ამაგრებენ ოქროს. ისინი გვაკლებენ სინაზეს, სირბილეს და უგრძნობლებად გვაქცევენ. ჩლუნგდება ჩვენი უნარი ღმერთის ხმის მოსმენისა და ყველაფრის ნათლად ხედვისა. ეს მშვენიერი პირობებია ცდუნებისათვის.

პირველი ნაბიჯი ოქროს გასასუფთავებლად არის მისი ფხვნილად დასრესა და შერევა ნივთიერებასთან, რომელსაც ფლუსი ეწოდება. შემდეგ ამ ნარევს ათავსებენ ღუმელში და მაღალ ტემპერატურაზე ადნობენ. შენადნობები და მინარევები ფლუსისაკენ მიემართებიან და ზედაპირზე ამოდიან. ვინაიდან ოქრო უფრო მძიმეა, იგი ფსკერზე რჩება. მინარევები ან წიდა (როგორიცაა სპილენძი, რკინა და ცინკი, რომლებიც ფლუსს შეერთვიან) ოქროს სცილდება და გრჩებათ სუფთა მეტალი.

ახლა კი ვნახოთ, რას ამბობს ღმერთი:

„აჲა, გამოგადნე, მაგრამ ვერცხლი არ გამოვიდა; სიმწრის ქურაში გამოგცადე“. (ესაია 48:10)

კიდევ:

## მე ნაწყენი ვარ?

„ამაზე ილჩინეთ, ამჟამად სხვადასხვა განსაცდელში (ინგლ. ტექსტში, მკაცრ განსაცდელებში) მცირედ დამ-ნუხრებულნო, თუ საჭიროა. რათა აღმოჩნდეს თქვენი ნაცადი რწმენა, ცეცხლში გამოცდილ დაღუპვად ოქროზე ბევრად ძვირფასი, ქების, პატივისა და დიდებისათვის იქსო ქრისტეს გამოჩენისას...“. (1 პეტრეს 1:6-7)

ლმერთი წმენდს ადამიანს ტანჯულებით, განსაცდელებითა და მწერარებით, რომელთა სიმბურვალეც ჩვენს ლვთიურ ხასი-ათს აშორებს ისეთ მინარევებს, როგორებიცაა უპატიებლობა, ჩხუბი, სიმწარე, რისხვა, შური და სხვა.

ცოდვა ადვილად იმალება იქ, სადაც განსაცდელებისა და ტანჯულების არავითარი ცეცხლი არ მძვინვარებს. წარმატე-ბებისა და აყვავების დროს ბოროტი და უმართლო ადამიანი შეიძლება კეთილი და დიდსულოვანი გამოჩნდეს. მაგრამ მკაცრი განსაცდელების დროს უწმინდურობები და მინარევები ზედაპირზე ამოტივტივდებიან.

ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც ისეთ მკაცრ განსაცდელებს გავდიოდი, რომლებიც ადრე არ შემხვედრია. ახლობლების მიმართ უხეში და უკმეხი გავხდი. ოჯახი და მეგობრები თავს მარიდებდნენ.

მე შევლალადე უფალს: „საიდან არის ჩემში ამდენი რისხვა? ადრე ხომ არასოდეს არ მქონია!“

უფალმა მიპასუხა: „შვილო, სწორედ მაშინ, როდესაც ოქრო ცეცხლში დნება, უწმინდურობები და მინარევები ზედაპირზე ამოდიან.“

შემდეგ მან დამისვა შეკითხვა, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა: „შეგიძლია ხედავდე მინარევებს ოქროში მანამ, სანამ მას ცეცხლში მოათავსებენ?“

„არა“ – ვუპასუხე მე.

„მაგრამ, ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ იყო, – თქვა მან, – უბრალოდ, როდესაც განსაცდელების ცეცხლში მოხვდი, მინარევები ამოტივტივდნენ ზედაპირზე. ისინი და-ფარულნი იყვნენ შენთვის, მე კი ყოველთვის ვხედავდი მათ. ასე რომ, ახლა აღმოჩნდი არჩევნის წინაშე, რომელზეც დამოკიდებულია შენი მომავალი. შეგიძლია განაგრძო მრისხანება, ადანაშაულებდე ცოლს, მეგობრებს, ხუცესს და ადამიანებს, რომლებთანაც მუშაობ; ან შეგიძლია შეიგნო, სახელდობრ, რა არის ცოდვის წიდა, მოინანიო, მიიღო პატიება და მაშინ

## სატანის სატყუარა

ავილებ ჩემს ციცხვს და მოვაშორებ ამ მინარევებს შენი ცხოვრებიდან.“

შეხედე შენს ნამდვილ მდგრამარეობას

იესომ თქვა, რომ ჩვენი უნარი, ყველაფერს ჭეშმარიტ სინათლეში ვხედავდეთ, ცდომილებისაგან განთავისუფლების კიდევ ერთ გასაღებს წარმოადგენს. ხშირად, როცა ნაწყენები ვართ, ჩვენს თავებს მსხვერპლად მივიჩნევთ და ვადანაშაულებთ იმათ, ვინც გვაწყენინა. ვამართლებთ ჩვენს სიმწარეს, უპატიებლობას, მრისხანებას, შურს და ბრაზს, როცა ეს ყველაფერი ზედაპირზე ამოდის. ხანდახან იმათზე ვბრაზდებით, ვინც გვახსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც გული გვატკინეს. ამ მიზეზის გამო იესო გვირჩევს „იყიდო ჩემგან ... თვალის მალამო, რათა წაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე.“ (გამოცხადება 3:18). რას ვხედავდეთ? ჩვენს ნამდვილ მდგრამარეობას! ეს გახლავთ ერთადერთი გზა, მხოლოდ ასე შეგვწევს უნარი „ვეშუროთ და მოვინანიოთ“, როგორც იესომ გვიბრძანა. თქვენ მონანიებას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როდესაც სხვების დადანაშაულებას შეწყვეტო.

თუ სხვას ვადანაშაულებთ და საკუთარ პოზიციას ვამართლებთ, ბრმები ვართ. ვცდილობთ ძმას ბეწვი მოვაშოროთ თვალიდან, იმ დროს როცა ჩვენს თვალში დირეა. სწორედ ჭეშმარიტების გამოცხადებას მოაქვს განთავისუფლება. როდესაც ღმერთის სული გვიჩვენებს ცოდვას, ის ყოველთვის ისე აკეთებს, რომ ცოდვას და საკუთარ თავს ცალ-ცალკე ვხედავთ. ამას მოაქვს მხილება, და არა მსჯავრდადება.

მე ვლოცულობ, რომ ამ წიგნის კითხვისას ღმერთის სიტყვამ გაგინათოთ გონების თვალები, რათა დაინახოთ თქვენი ნამდვილი მდგრამარეობა და განთავისუფლდეთ ყოველგვარი წყენისაგან. ნუ დაუშვებთ, რომ სიამაყემ დააბრკოლოს თქვენი სწორი ხედვა და მონანიება.



განაცყონებული ქრისტიანი გახლავთ ის  
აღამიანი, რომელმაც მიიღო სიცოცხლე,  
მაგრამ შიშის გამო არ გააჩნია უნარი ის  
სიცოცხლე გაუზიაროს სხვებს

## თავი 2

### მასიური ცყენა

„მაშინ ცდუნდებიან ბევრნი; ერთმანეთს გასცემენ და შეიძლებენ ერთიმეორეს. მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს. და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. ბოლომდის დამთმენი გადარჩება“.

მათეს 24 : 10-13

**პ**ათეს სახარების ამ თავში იესოს მოჰყავს წუთისოფლის ალსასრულის ნიშნები. მონაფეები ეკითხებოდნენ: „რა იქნება შენი მოსვლის ნიშანი?“

უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ჩვენ იესოს მოვლინების წინა პერიოდში ვცხოვრობთ. უშედეგოა მისი დაბრუნების ზუსტი თარიღის განსაზღვრის მცდელობა. მხოლოდ მამამ იცის ეს. მაგრამ იესომ თქვა, რომ ამოცნობადია მისი დაბრუნების უამი და ეს პერიოდი უკვე დადგა! ადრე არასდროს გვინახავს ბიბლიურ წინასწარმეტყველებათა ასრულების ასეთი რაოდენობა ეკლესიაში, ისრაელსა და მსოფლიოში. ამიტომ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიმყოფებით დროის იმ მონაკვეთში, რომელიც იესოს მიერ არის აღწერილი მათეს სახარების 24-ე თავში.

მიაქციეთ ყურადღება იესოს გარდაუვალი მოსვლის ერთერთ ნიშანს: „ცდუნდებიან“ (ანუ განაწყენდებიან) ბევრნი...“

არა რამდენიმე ადამიანი, არა ზოგიერთი, არამედ ბევრნი. ჯერ ერთი, უნდა გავარკვიოთ: „ვინ არიან ეს ცდუნებულები და განაწყენებულები?“ ისინი ქრისტიანები არიან თუ მთლიანი საზოგადოება? და პასუხს ვპოულობთ შემდეგში: „...და რაკი

## სატანის სატყუარა

გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. „ამ მუხლში სიტყვა „სიყვარულის“ ნაცვლად, გახლავთ ბერძნული სიტყვა „აგაპე“. არსებობს რამდენიმე ბერძნული სიტყვა, რომლებიც ჩვენს ახალ აღთქმაში თარგმნილია როგორც „სიყვარული“. მაგრამ უფრო გავრცელებულია ორი მათგანი – აგაპე და ფილეო.

„ფილეო“ გახლავთ სიყვარული მეგობრებს შორის. ასეთი სიყვარული ნარმოადგენს მეგობრულ ერთგულებას, რომელიც განსაზღვრული პირობებით მოქმედებს. „ფილეო“ ამბობს: „მომფხანე ზურგი და მეც მოგფხან“, ან „მომექცევი თავაზიანად და მეც ზუსტად ასევე მოგექცევი“.

სხვა მხრივ, „აგაპე“ არის სიყვარული, რომელსაც ღმერთი ღვრის თავისი შვილების გულებში. ეს გახლავთ სიყვარული, რომელსაც იესო უსასყიდლოდ გვაძლევს. იგი უპირობოა. ის არ ეყრდნობა საქმეებს ან ურთიერთსიყვარულს. ეს ისეთი სიყვარულია, რომელიც „გასცემს“ მაშინაც კი, როდესაც მას უარყოფენ.

ღმერთის გარეშე შეგვიძლია გვიყვარდეს მხოლოდ ეგოისტური სიყვარულით, ისეთი სიყვარულით, რომელიც წყვეტს მოქმედებას, თუკი მას არ ღებულობენ ან თუ ვერ პოულობს საპასუხო გრძნობას. მაგრამ აგაპეს ყველაფრის მიუხედავად უყვარს. აგაპე სწორედ ის სიყვარულია, რომელიც იესომ გამოავლინა, როდესაც ჯვარზე მომაკვდავმა აპატია ყველას. ასე რომ, ეს „მრავალინი“, რომელთა შესახებ იესო ლაპარაკობდა, არიან ქრისტიანები, რომელთაც გაუნელდათ „აგაპე“.

ჩემს ცხოვრებაში იყო დრო, როდესაც ყველაფრ შესაძლებელს ვაკეთებდი, რომ ერთი ადამიანისათვის ჩემი სიყვარული მეჩვენებინა. მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ყოველთვის, როდესაც სიყვარულს ვაწვდიდი, ეს ადამიანი კრიტიკით და უხეში ქცევით მპასუხობდა. ეს თვეების მანძილზე გრძელდებოდა. ერთხელაც მოთმინების ფიალა ამევსო. ღმერთს შევჩივლე: „კმარა. ახლა მოგინევს ამის შესახებ ჩემთან დალაპარაკება. ყოველთვის, როცა კი ვამჟღავნებ შენს სიყვარულს ამ ადამიანის მიმართ, პასუხად მის უხეშობას ვღებულობ!“

უფალმა დაიწყო ჩემთან ლაპარაკი: „ჯონი, შენ უნდა განავითარო რწმენა ღმერთის სიყვარულისადმი!“

„რას გულისხმობ?“ – ვკითხე.

„ვინც თავის ხორცისათვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის

## მასიური ცყენა

ხრწნილებას, – მიხსნიდა იგი, – ხოლო ვინც სულისათვის თე-სავს, სულისაგან მოიმკის მარადიულ სიცოცხლეს. სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის დროზე მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით“ (გალატელთა 6:8,9).

უნდა შეიგნოთ, როდესაც ღვთიურ სიყვარულს თესავთ, ღვ-თიურ სიყვარულს მოიმკით. აუცილებელია, ამ სულიერი კანო-ნის მიმართ რწმენა განავითაროთ, თუმცა, შესაძლოა, ვერ მო-იმკათ იმ ყანიდან, რომელშიც დათესეთ ან არც ისე სწრაფად მოიმკათ, როგორც თქვენ გინდათ.

უფალი განაგრძობდა: „უდიდესი გაჭირვების ჟამს ყველაზე ახლობელმა მეგობრებმა მიმატოვეს. იუდამ მიღალატა, პე-ტრემ უარმყო, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ, რათა საკუ-თარი სიცოცხლე ეხსნათ. მხოლოდ იოანე მომყვებოდა შორი-დან. სამი წლის განმავლობაში ვზრუნავდი მათზე, ვაჭმევდი და ვასწავლიდი, მაგრამ, როდესაც ვკვდებოდი ქვეყნიერების ცოდვების გამო, ყველას ვაპატიე. ყველა გავანთავისუფლე, დაწყებული ჩემი მეგობრებით, რომლებმაც მიმატოვეს, რო-მაელი ჯარისკაცებით დამთავრებული, რომლებმაც ჯვარზე გამაკრეს. მათ არ უთხოვიათ პატიება, მაგრამ უსასყიდლოდ ვუბოძე იგი. მე გამაჩნდა მამის სიყვარულის რწმენა. მე ვიცო-დი, რომ სიყვარულის დათესვით, სასუფევლის მრავალი ძისა და ასულის სიყვარულს მოვიმკიდი. ჩემი მსხვერპლის გამო, რომელიც ჩემს სიყვარულზე მოწმობს, მე მათ ვეყვარები.

მე ვთქვი: „მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მო-ძულებს და ილოცეთ მათგვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით. რათა იყვეთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, ვისაც თა-ვისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვი-მას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს. ვინაიდან, თუ თქვენი მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაუ-რი? განა მებაჟებიც ასევე არ იქცევიან? თუ მხოლოდ თქვენს ძმებს მოკითხავთ, განსაკუთრებულს რას გააკეთებთ? განა წარმართებიც ასევე არ იქცევიან?“ (მათე 5:44-47).

## დიალი მოლოდინი

მე შევიგნე, რომ სიყვარული, რომელსაც ვამჟღავნებდი, ითესებოდა სულში და საბოლოოდ მოვიმკიდი ამ სიყვარუ-

## სატანის სატყუპარი

ლის თესლს. არ ვიცოდი საიდან, მაგრამ ვიცოდი, რომ მკა აუცილებლად იქნებოდა. წარუმატებლობად აღარ მივიჩნევდი იმას, რომ სანაცვლოს არ ვლებულობდი ადამიანისაგან, რომელიც მიყვარდა. ამან გამანთავისუფლა, მომცა უნარი, რომ უფრო მეტად მყვარებოდა.

ქრისტიანების უმრავლესობას რომ შეგნებული ჰქონდეს ეს, ისინი არ დანებდებოდნენ და არ ცდუნდებოდნენ. ჩვეულებრივ, ჩვენ არ ვავლენთ ასეთ სიყვარულს. ჩვენთვის ნიშანდობლივია ეგოისტური სიყვარული, რომელსაც ადგილად უცრუვდება იმედი, როცა მისი მოლოდინი არ მართლდება. თუკი პიროვნებებისაგან მოველი რამეს, მათ შეიძლება იმედი გამიცრუონ, თანაც იმდენად, რამდენადაც არ შეასრულეს ის, რასაც მოველოდი. მაგრამ თუკი არაფერს მოველი ადამიანებისაგან, ყველაფერს, რასაც მათგან ვლებულობ, აღვიქვამ როგორც კურთხევას, და არა როგორც კუთვნილს.

ჩვენ გახსნილი ვართ საცდურისა და წყენისათვის, როდესაც განსაზღვრულ ქმედებებს მოვითხოვთ მათგან, ვისთანაც გვაქვს შეხება. რაც უფრო მეტს მოველით სხვებისაგან, მით უფრო მეტი შანსები გვიჩნდება ცდუნებისა და წყენისათვის.

### დამცავი კედლები?

„განდგომილი ძმა ციხე-სიმაგრეზე უფრო მეტად მიუდგომელია და უთანხმოებანი კოშკის ურდულს ჰგავს“ (იგავნი 18:19).

განაწყენებული ძმის ან დის მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე გამაგრებული ქალაქისა. ძველად ქალაქები კედლებით იყო გარშემორტყმული. ეს ზღუდები უზრუნველყოფდნენ ქალაქის უსაფრთხოებასა და დაცვას. ისინი არ უშვებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებსა და დამპურობლებს, რომელთაც ქალაქში შეჭრა სურდათ. ქალაქის ყველა კარიბჭე საგულდა-გულოდ მონმდებოდა. მათ, ვინც არ იხდიდა გადასახადს, არ უშვებდნენ შიგნით, ვიდრე არ გაასწორებდა ანგარიშს. მას, ვინც საშიშად ითვლებოდა ქალაქის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის, ასევე არ უშვებდნენ ქალაქში.

როდესაც განაწყენებულები ვართ, ვაშენებთ კედლებს, რათა უსაფრთხოება შევუქმნათ ჩვენს გულებს და შემდგომი ჭრილობები ავიცდინოთ თავიდან. ჩვენ მომთხოვნები ვხდებით და არ ვუშვებთ შიგნით იმათ, ვისგანაც ახალი ჭრილობების

## მასიური ცენტ

მიღების გვეშინია. გულმოდგინედ ვფილტრავთ ყველას, რათა გამოვარჩიოთ ისინი, ვინც, ჩვენი აზრით, დამნაშავეა ჩვენს წინაშე. კარს ვუკეტავთ მათ, ვიდრე ვალს სრულად არ გადაგვიხდიან. ჩვენს ცხოვრებას მხოლოდ მათ ვუხსნით, ვინც, როგორც გვგონია, ჩვენს მხარეზე იმყოფება. მაგრამ ხშირად „ჩვენი“ ხალხი ასევე განაწყენებული და შეურაცხყოფილნი არიან. ასე რომ, იმის ნაცვლად, რომ დავეხმაროთ ადამიანებს, უბრალოდ დამატებით ქვებს ვადებთ ჩვენს კედლებს. ერთხელაც ეს დამცავი კედლები ციხედ გადაიქცევა, თუმცა ვერ გავაცნობიერებთ, სახელდობრ, როგორ მოხდა ეს. ამ ეტაპზე არა მხოლოდ ვავლენთ გადაჭარბებულ სიფხიზლეს იმათთან მიმართებით, ვინც შემოდის ჩვენს სიმაგრეში, არამედ, შიშის გამო, თვითონ ვერ ვძედავთ ჩვენი სიმაგრიდან ცხვირის გამყოფას.

შეურაცხყოფილ ქრისტიანებს მთელი ყურადღება მიპყრობილი აქვთ საკუთარ თავების თვითანალიზზე. ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ჩვენს უფლებებსა და პირად ურთიერთობებს. მთელ ენერგიას ვხარჯავთ იმაზე, რომ დავიზღვიოთ თავები ახალი ტრავმების მიღების ნებისმიერი შესაძლებლობისაგან. თუ ჩვენ არ ვრისკავთ და გვეშინია რომ ისევ დავიჭრებით, მაშინ არ შეგვიძლია გამოვავლინოთ უპირობო ლვთიური სიყვარული. ეს სიყვარული, რომელიც არ აყენებს პირობებს, სხვებს ჩვენი დაჭრის უფლებას აძლევს.

სიყვარული არ ეძებს თავისას, განაწყენებული ადამიანები კი უფრო და უფრო ანგარებიანი და ჩაკეტილები ხდებიან. ასეთ ატმოსფერომი ლვთიური სიყვარული ნელდება. ამის ბუნებრივი მაგალითი გახლავთ ორი ზღვა წმინდა მიწაზე.

გალილეის ზღვა თავისუფლად ლებულობს და გასცემს წყალს. მასში სიცოცხლის სიუხვეა. იგი კვებავს სხვადასხვა სახეობის თევზებსა და წყალმცენარეების დიდ რაოდენობას. გალილეის ზღვის წყლები მიედინებიან მდინარე იორდანეს გავლით და მკვდარ ზღვაში ჩაედინებიან. მაგრამ მკვდარი ზღვა მხოლოდ ლებულობს წყალს და არ გასცემს მას. მასში არ არიან ცოცხალი თევზები და მცენარეები. გალილეის ზღვის ცოცხალი წყლები კვდებიან, როდესაც მკვდარი ზღვის დამდგარ წყალს ერვიან. სიცოცხლე ვერ შენარჩუნდება, თუკი იგი სხვებს არ გაუნაწილდება.

## სატანის სატყუპარა

ასე რომ, განაწყენებული ქრისტიანი გახლავთ ადამიანი, რომელიც ღებულობს სიცოცხლეს, მაგრამ შიშის გამო არა აქვს უნარი, იგი სხვებს გაუნანილოს. ამის შედეგად, ის სიცოცხლეც კი, რომელიც მაინც აღწევს მასში, წყენის ციხის კედლების ფარგლებში უმოქმედო ხდება. ახალი აღთქმა ამ კედლებს სიმაგრეებს უწოდებს.

„ვინაიდან ჩვენი საომარი იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ძლიერი ღვთისაგან სიმაგრეთა დასანგრევად; ამით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ, ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესათვის დასამორჩილებლად“. (2 კორინთელთა 10:4,5)

ეს სიმაგრები აყალიბებენ აზროვნების განსაზღვრულ მოდელებს, რომელთა ჩარჩოებში თავსდება მთელი მიღებული ინფორმაცია. თუმცა თავდაპირველად ისინი დაცვის უზრუნველსაყოფად აღიმართნენ, ახლა კი ტანჯვისა და სიმახინჯის წყაროდ იქცნენ, ვინაიდან ეპრძვიან ცოდნას, ანუ ღმერთის შემეცნებას.

როდესაც ყველაფერს ვატარებთ ჩვენს წარსულ წყენაში, უგულებელყოფასა და განცდებში, აღმოვაჩენთ, რომ შეუძლებელია გწამდეს ღმერთი. ჩვენ არ გვჯერა, რომ უფალს მხედველობაში აქვს სწორედ ის, რასაც ამბობს. ეჭვქვეშ ვაყენებთ მის სიკეთესა და ერთგულებას. ვინაიდან მის შესახებ ვმსჯელობთ სტანდარტებით, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში სხვა ადამიანების მიერ არიან დადგენილი. მაგრამ ღმერთი ადამიანი არ არის, რომ იცრულს (იხ. რიცხვი 23:19). მისი გზები არ არის ჩვენი გზები, და მისი ზრახვები, არ არის ჩვენი ზრახვები (იხ. ესაია 55:8-9).

განაწყენებული ადამიანები პოულობენ წმინდა წერილის ადგილებს საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად, მაგრამ ეს ღმერთის სიტყვისადმი არასწორი დამოკიდებულებაა. წმიდა სიტყვის ცოდნა, სიყვარულის გარეშე, წარმოადგენს დამანგრეველ ძალას, ვინაიდან იგი აამპარტავნებს ადამიანს და რჯულისმიერად აქცევს (იხ. კორინთელთა 8:1-3). ეს გვიბიძებებს, რომ თავები ვიმართლოთ, იმის ნაცვლად, რომ უპატიებლობა მოვინანიოთ. ეს ისეთ ატმოსფეროს ქმნის, რომელმაც

## მასიური ცყენა

შეიძლება ცდუნებაში ჩაგვაგდოს, იმიტომ, რომ ცოდნას ღვთი-ური სიყვარულის გარეშე ცდომილებამდე მივყავართ.

სიტყვებით, „მრავალი განაწყენდება“, იესო დაუყოვნებლივ გვაფრთხილებს ცრუ წინასწარმეტყველთა შესახებ: „მრავა-ლი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდეს“... (მათე 24:11). ვინ არიან ბევრნი, რომლებსაც ისინი შეაცდენენ? პასუხი: ესენი არიან განაწყენებული და ცდუნებული ადამიანე-ბი, რომელთაც გაუნელდათ სიყვარული (იხ. მათე 24:12).

## ცრუ წინასწარმეტყველი

იესო ცრუ წინასწარმეტყველებს უწოდებს მგლებს ცხვრის სამოსში (იხ. მათე 7:15). ესენი არიან ანგარებიანი ადამიანები, რომელიც თავისას ექცევნ. გარეგნულად ქრისტიანებს ჰგვა-ნან (ცხვრის სამოსი), მაგრამ მგლის ბუნება გააჩნიათ.

მგლებს უყვართ ცხვრების სიახლოვეს ტრიალი. ისინი შეი-ძლება მოხვდნენ როგორც ქრისტიანული საკრებულოს წევ-რებს შორის, ასევე კათედრასთან. ასეთი ადამიანები მტრის მიერ არიან წარმოგზავნილი იმისათვის, რომ ქრისტიანთა რიგებში შეაღწიონ და აცდუნონ ისინი. მათი ამოცნობა შეი-ძლება ნაყოფებით, და არა სწავლებებითა და წინასწარმეტყვე-ლებებით. ძალიან ხშირად მათი სწავლება ჯანსაღი ჩანს, იმ დროს, როდესაც მათი ცხოვრებისა და მსახურების ნაყოფი არ გახლავთ ამგვარი. მსახური ან რიგითი ქრისტიანი განი-საზღვრება იმით, თუ როგორ ცხოვრობს, და არა იმით, რას ეადაგებს.

მგლები ყოველთვის ექცევნ დაჭრილ და ახალგაზრდა ცხ-ვრებს და არა ჯანმრთელებსა და ძლიერებს. ეს მგლები ეუბ-ნებიან ხალხს იმას, რისი მოსმენაც მათ სურთ და არა იმას, რისი მოსმენაც საჭიროა მათთვის. ასეთ ადამიანებს არ სურთ მოისმინონ ჯანსაღი სწავლება, არამედ უნდათ, რომ ვილაცამ მათ ყურს აამოს. ვნახოთ, რას ამბობს პავლე უკანასკნელი დღეების შესახებ:

„ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში დადგება საზ-არელი ჟამი. ვინაიდან ადამიანები იქნებიან ... შეურიგე-ბელნი ... რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ. ასეთებს ერიდე. ვინაიდან დადგება

## სატანის სატყუარა

დრო, როდესაც საღ მოძღვრებას არ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისტემებით ამოირჩევენ ყურის მაამებ-ელ მასწავლებლებს. ჭეშმარიტებას აარიდებენ ყურს და მიმართავენ ზღაპრებისაკენ“. (2 ტიმოთეს 3:1-5; 4:3-4)

დაუკვირდით, რომ მათ ღვთისმოსაობის სახე ექნებათ, იქნებიან როგორც ქრისტიანები, მაგრამ უარს იტყვიან ქრის-ტიანთა ძალის გამოყენებაზე. როგორ უარყოფებ ღვთისმო-საობის ძალას? ისინი უარყოფენ იმას, რომ ქრისტიანობას შეუძლია მათი გარდაქმნა გულლრძო ადამიანებიდან მიმტევე-ბელი ბუნების ადამიანებად. ისინი იტრაბახებენ იმით, რომ იე-სოს მიმდევრები არიან და ზეციდან შობის განცდაზე ილაპარ-აკებენ. მაგრამ იმას, რითიც იკვეხნიან, არ უშვებენ, რომ მათ გულებში შეაღწიოს და ქრისტეს ბუნება წარმოშვას.

## ინფორმაციული ოარბა

პავლე წინასწარმეტყველურად ხედავდა, რომ მოტყუებულ მამაკაცებსა და ქალებს ექნებათ სწავლისადმი გულმოდგინე-ბა, მაგრამ ისინი უცვლელნი დარჩებიან, ვინაიდან არასოდეს გამოიყენებენ ცოდნას საკუთარ თავებთან მიმართებით. აი, როგორ აღწერს იგი მათ:

„...რომლებიც მუდამ სწავლობენ და ვერასოდეს აღწევენ ჭეშმარიტების შეცნობას“. (იხ. 2 ტიმოთეს 3:7)

პავლეს რომ დღეს ეცხოვრა, ძალიან დამწუხრდებოდა, როდესაც სინამდვილეში დაინახავდა იმას, რასაც წინას-წარმეტყველებდა. იგი შეხვდებოდა მრავალრიცხოვან მამაკ-აცებსა და ქალებს, რომელიც ესწრებიან კონფერენციებს, სემინარებს, საეკლესიო მსახურებებს და წმინდა წერილის ცოდნას აგროვებენ. მოციქული დაინახავდა, როგორ ეძებენ „ახალ გამოცხადებებს“ იმისათვის, რომ უფრო ეგოისტური „წარმატებული“ ცხოვრებით იცხოვრონ. ის იხილავდა, როგორ უჩივიან ერთმანეთს სასამართლოში ქრისტიანი მსახურები და ამას „სამართლიანი მიზეზებით“ ხსნიან.

ის დაინახავდა, ქრისტიანულ პრესაში და რადიოში როგორ ხორციელდება თავდასხმები ღმერთის მამაკაცებსა და დედა-

## მასიური ცყენა

კაცებზე. ის შეამჩნევდა, როგორ დარბიან ქარიზმატები ერთი ეკლესიდან მეორეში, წყენისაგან თავის დაღწევის მიზნით. ისინი ლიად აღიარებენ იესოს უფლობას, და იმავდროულად არ შეუძლიათ პატიება. პავლე, ალბათ, ხმამაღლა შესძახებდა: „თქვენ, ფარისეველთა და ანგარების მოყვარულთა მოდგმა ხართ: მოინანიეთ და განთავისუფლდით ცდუნებისაგან, რომელშიც იმყოფებით!“

არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ხართ გათვითცნობიერებული ახალ გამოცხადებებში, რომლებიც მიღებული გაქვთ სემინარებზე და ბიბლიურ სკოლებში, სადაც სწავლობთ, ან რამდენი წიგნი წაგიკითხავთ, ან რამდენ საათს ატარებთ ლოცვასა და ბიბლიის შესწავლაში. თუ ნაწყენი ხართ და უპატიიერლობაში იმყოფებით, უარს ამბობთ ამ ცოდვის მონანიებაზე, ე.ი. არ შეგიცვნიათ ჭეშმარიტება. თქვენ ცდუნებაში იმყოფებით და ფარისევლური ცხოვრებით უხერხულობაში აგდებთ სხვებს. როგორი გამოცხადებაც არ უნდა გქონდეთ, თქვენი ნაყოფი სრულიად სხვაზე მეტყველებს. თქვენ გადაიქცევით წყაროდ, რომელიც მწარე წყლებს აფრქვევს, რომლებსაც მოაქვთ ცდუნება და სიცრუე, და არა ჭეშმარიტება.

## ლალატი

„მაშინ ცდუნდებიან ბევრნი; ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ ერთი-მეორეს“. (მათე 24:10)

მოდით ეს მტკიცებულება გამოვიკვლიოთ. თუ მას უფრო ყურადღებით შევხედავთ, დავინახავთ თანმიმდევრობას. წყენას მივყავართ ლალატამდე, ლალატს კი სიძულვილამდე.

როგორც ადრე იყო ნათქვამი, ნაწყენი ადამიანები გარშემო დამცავ კედლებს იშენებენ. ჩვენი მიზანი ხდება თავდაცვა. ყველა ლონეს ვხმარობთ დაცვისა და უსაფრთხოებისათვის. ეს ლალატის ჩადენის უნარს გვაძლევს. როდესაც ვღალატობთ ვინმეს, ვისწრაფვით დაცვიცვათ თავები ან სარგებლობა ვნახოთ სხვის ხარჯზე, და როგორც წესი, იმ ადამიანის ხარჯზე, ვისთანაც ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს.

ამგვარად, ლმერთის სამეფოში ლალატი ხდება მაშინ, როდესაც მორწმუნე ეძებს თავისთვის გამორჩენას ან დაცვას სხვა მორწმუნის ხარჯზე. რაც უფრო ახლოა ურთიერთობე-

## სატანის სატყუარბ

ბი, მით უფრო საშინელია ღალატი. ორპირობა წარმოადგენს აღთქმის სერიოზულ დარღვევას. როდესაც ხდება ღალატი, ურთიერთობები ვერ აღდგება, ვიდრე ჭეშმარიტი მონანიება არ მოხდება.

ღალატს მივყავართ სიძულვილამდე, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. ბიბლიია გასაგებად ამბობს, რომ „ყოველი, ვი-საც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია;“ და რომ „არცერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე, რომელიც მას-შია“ (1 ოთანე 3:15).

რა სამწუხაროა, რომ დღეს ისევ და ისევ ვხვდებით მორ-ნმუნებს შორის წყენის, ღალატის და სიძულვილის შემთხ-ვევებს. ეს იმდენად ფართოდ გავრცელდა ჩვენს სახლებსა და ეკლესიებში, რომ უკვე ნორმად ითვლება. ისეთი გულქვები გავხდით, რომ აღარ ვნალვლიანდებით, როდესაც ვხედავთ, რომ ერთი მსახური მეორეს სასამართლოში უჩივის. აღარ გვაკვირვებს ის, რომ მორწმუნე ცოლ-ქმარი მართავს განქორ-წინების სასამართლო პროცესს, სასამართლოში ერთმანეთის მიმართ სარჩელის წარდგენით.

განხეთქილებანი ეკლესიებში ფართოდ გავრცელებული და წინასწარ განვირეტილი გახდნენ. მთელი ძალით მოქმედებს მრავალი მსახურის მიერ შემუშავებული პოლიტიკა. მას ნიღ-ბავენ ცათა სასუფევლის ან ეკლესიის „უმაღლესი ინტერესე-ბით“.

„ქრისტიანები“ იცავენ საკუთარ უფლებებს, ვიდრე არ დარწმუნდებიან იმაში, რომ მათ ცუდად არ ექცევიან და მათი მდგომარეობიდან სხვები სარგებელს არ ნახულობენ. ნუთუ დაგვავიწყდა ახალი აღთქმის შეგონება?

„რატომ არ არჩევთ ნაწყენად დარჩენას? რატომ არ არჩევთ დაზარალებულად დარჩენას?“ (1 კორინთელთა 6:7)

ნუთუ დაგავიწყდათ იესოს სიტყვები?

„მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალო-ცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძუ-ლეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით ...“. (მათე 5:44)

ნუთუ დაგავიწყდათ ღმერთის მცნება?

## მასიური ცყენა

„არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი“. (ფილიპელთა 2:3)

რატომ არ ვცხოვრობთ სიყვარულის ამ კანონების შესაბამისად? რატომ ვართ ასე სწრაფები ღალატისათვის, იმის ნაცვლად, რომ საკუთარ სიცოცხლეს ვწირავდეთ ერთმანეთს, იმის რისკით, რომ მოტყუებულები აღმოვჩნდებით? მიზეზი შემდეგშია: ჩვენი სიყვარული განელდა, და ამის შედეგად ვაგრძელებთ სწრაფვას თავდაცვისა და უსაფრთხოებისაკენ. არ შეგვწევს უნარი რწმენით გადავცეთ ღმერთს ჩვენზე მზრუნველობა და ამიტომ ვცდილობთ თვითონ ვიზრუნოთ საკუთარ თავებზე.

როდესაც იესოს წინააღმდეგ უსამართლოდ იქცეოდნენ, იგი არ პასუხობდა ბოროტებით, არამედ თავის სულს გადასცემდა სიმართლით განმკითხველ ღმერთს. წმინდა წერილი შეგვაგონებს მისი გზით ვიაროთ.

„ამისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ; რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგეს; რომელსაც ლანძღვანენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს ...“. (1 პეტრე 2:21-23)

## შესაძლებლობის მომცემი

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იმედს ვამყარებდეთ ღმერთზე და არა ხორცზე. მრავალნი ადიდებენ ღმერთს და მას თავიანთი სიცოცხლის წყაროს უწოდებენ, მაგრამ ცხოვრობენ როგორც ობლები. სიცოცხლე საკუთარ ხელში აქვთ აყვანილი და ამ დროს ბაგებით აღიარებენ: „იესო – ჩემი უფალი და ღმერთია!“

თქვენ უკვე ხედავთ, რამდენად სერიოზული გახლავთ ისეთი ცოდვა, როგორიცაა წყენა. თუ მას ბოლო არ მოელო, იგი, საბოლოო ჯამში, სიკვდილამდე მიგიყვანთ. როდესაც წინ აღუდგებით წყენის ცდუნებას, ღმერთი მოგცემთ დიად გამარჯვებას.

ემაკს ჩვენი განადგურება ნეპისმიერ  
ცუთს რომ შეეძლოს, იგი დიდი ხნის  
წინ გააკეთებდა ამას

## თავი 3

### ეს როგორ უნდა მომსვლოდა?

„უთხრა მათ იოსებმა:  
„...თქვენ ბოროტი განიზრახეთ ჩემთვის,  
ხოლო ღმერთმა სიკეთედ ჩათვალა...“.

დაბადება 50 : 20

**3** ირველ თავში ნაწყენი ადამიანები ორ ძირითად კატეგო-  
რიად დავყავით: 1) ისინი, ვისაც მართლაც ცუდად მოექც-  
ნენ, და 2) ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ მათ ცუდად  
მოექცნენ, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ გახლავთ. ამ თავში  
მინდა მივმართო მათ, ვინც პირველ კატეგორიას მიეკუთვნება.

დავიწყოთ შეკითხვით: თუკი თქვენ მართლაც უსამართლოდ  
მოგექცნენ, გაქვთ წყენის უფლება? პასუხის მისაღებად მოდ-  
ით გადავხედოთ იაკობის საყვარელი ძის, იოსების (ცხოვრებას  
(დაბადება 37-48 თავები).

### სიზმარი საშინელებად იქცევა

იოსები იაკობის მეთერთმეტე ვაჟიშვილი გახლდათ. იგი  
სძულდათ უფროს ძმებს იმის გამო, რომ მამა მის მიმართ  
უფრო კეთილგანწყობილი იყო, ვიდრე დანარჩენების მიმართ  
და სხვებში გამოარჩია, როდესაც ჭრელი ტანსაცმელი აჩუქა.  
ღმერთმა იოსებს ორი სიზმარი უბოძა. პირველ სიზმარში მან  
ნახა ყანაში შეკრული ძნები. მისი ძნა ნამოდგა და აღიმართა,  
იმ დროს, როცა მისი ძმების ძნებმა თაყვანი სცეს მის ძნას.  
მეორედ მას ესიზმრა მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლა-

## სატანის სატყუარა

ვი (ისინი წარმოადგენდნენ მის მამას, დედას და ძმებს), რომლებიც თაყვანს სცემდნენ მას. როდესაც იოსებმა უამბო ძმებს სიზმრები, მათ, ბუნებრივია, არ გაიზიარეს მისი სიხარული. პირიქით, უფრო მეტად შეიძულეს იგი.

ამის შემდეგ, ათი უფროსი ძმა, მამის ფარასთან ერთად წავიდა საძოვრების საძებნელად. იაკობმა იოსები მათ სანახავად გაგზავნა. როდესაც უფროსმა ძმებმა დაინახეს იოსები, რომელიც მათ უახლოვდებოდათ, თქვეს: „შეხედეთ მოდის ეს მესიზმრე. მოდით მოვკლათ! მაშინ ვნახოთ, როგორ აუხდება სიზმრები! ის ამპობს, რომ იმეფებს ჩვენზე. აბა, სცადოს და როცა მოკვდება, მერე გაგვიხდეს მბრძანებელი!“ ასე რომ, ღრმა თხრილში ჩააგდეს იგი, რათა იქ მომკვდარიყო. ძმებმა გახადეს ტანსაცმელი, დაუხიეს და ცხოველის სისხლით მოსვარეს, რათა მამა დაერწმუნებინათ იმაში, რომ იოსები ნადირმა დაგლივა.

მაგრამ მას შემდეგ, როცა ძმებმა იოსები თხრილში ჩააგდეს, დაინახეს ეგვიპტეში მიმავალი ისრაელიანთა ქარავანი. მაშინ იუდამ თქვა: „მოიცათ, ბიჭებო. რას გვარგებს ჩვენი ძმის მოკვლა? მოდით მონად გავყიდოთ იგი და მასში ფულიც დაგვრჩება. იგი ჩვენთვის მკვდარი იქნება და აღარასდროს მოგვაპეზრებს თავს. ჩვენ კი ნადავლს გავინაწილებთ!“

ძმებმა ოც ვერცხლად გაყიდეს იოსები. ისინი განაწყენებულები იყვნენ და ამიტომ უღალატეს მას, ნაართვეს მემკვიდრეობა და ოჯახი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ყველაფერი მას გაუკეთეს ძმებმა, რომელთაც ჰყავდათ საერთო მამა, – ჰქონდათ ერთი სისხლი და ხორცი.

ჩვენ სრულიად სხვა კულტურაში ვართ აღზრდილები და ჩვენთვის ძნელი გასაგებია საშინელება იმისა, რაც ამ ადამიანებმა ჩაიდინეს. ამაზე უარესი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მკვლელობა. იმ დროში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ვაუიშვილების ყოლა. ვაუები ინარჩუნებდნენ მამის სახელს და იმკვიდრებდნენ ყველაფერს, რაც მას ჰქონდა. ძმებმა სამუდამოდ მოუსპეს იოსებს მამის სახელისა და მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობა. მათ გაუნადგურეს იოსებს სახელი და სრულიად მოუსპეს ოჯახთან გათანაბრების შესაძლებლობა. როდესაც ადამიანს მონად ჰყიდდნენ სხვა ქვეყანაში, ის სიკვდილამდე მონად რჩებოდა. ქალი, რომელსაც ცოლად მოიყ-

## ეს როგორ უნდა მომსვლოდა?

ვანდა, მონა ხდებოდა და მათი შვილებიც მონები იქნებოდნენ! ყველაფერი, რაც ძვირფასი იყო იოსებისათვის სახლში, გაქრა.

ძნელია, იყო მონა დაბადებიდან, მაგრამ აუნერელია ის ტანჯვა, როცა დაიბადე დიდი სიმძიდღრისა და დიადი მომავლის მემკვიდრედ და ეს ყველაფერი დაკარგე. ბევრად ადვილი იქნებოდა არასდროს გცოდნოდა ბედნიერი წარსულის შესახებ. იოსები ალბათ თავს ცოცხალ ლემად გრძნობდა. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ცდუნებას აჰყვა და ფიქრობდა, რომ უმჯობესი იქნებოდა მოექლათ ძმებს, ვიდრე მონობაში ყოფილიყო. ამ ყველაფერის არსი ასეთია: ის, რაც იოსების ძმებმა ჩაიდინეს – დანაშაულია.

### მზერა ცარსულში

თქვენ ახლა კითხულობთ იოსების ისტორიას ჩემი გადმოცემით, და, ალბათ, უკვე იცით მისი დასასრული. ეს გახლავთ ძალიან აღმაფრთოვანებული ისტორია, თუკი მისი დასასრული იცით. მაგრამ იოსებმა არ იცოდა ამის შესახებ. ყველაფერი ასე გამოიყურებოდა: ველარასოდეს ნახავს ვერც მამას და ვერც მისთვის ღმერთისაგან ბოძებული სიზმრების ახდენას მოესწრება. იგი იყო მონა უცხო ქვეყანაში. იოსებს არ შეეძლო ეგვიპტიდან წასვლა. იგი სიცოცხლის ბოლომდე სხვა ადამიანის საკუთრება გახლდათ.

იოსები მიჰყიდეს პიროვნებას სახელად ფოტიფარს, ფარაონის თანამდებობის პირს და დაცვის უფროსს, სადაც ის დაახლოებით ათ წელს მსახურობდა. იოსები არ ღებულობდა ოჯახიდან არავითარ უწყებას და მიხვდა, რომ მამას ის მკვდარი ეგონა. ოჯახი მის გარეშე განაგრძობდა ცხოვრებას. იოსებს არ ჰქონდა იმის იმედი, რომ იაკობი ოდესმე შეძლებდა მის გადარჩენას.

დროთა განმავლობაში იოსებმა თავისი მეპატრონის კეთილგანწყობა მოიპოვა, რომელიც მას კარგად ეპყრობოდა. ფოტიფარმა იოსები მთელი თავისი სახლისა და მამულის ზედამხედველად დააყენა. მაგრამ როდესაც იოსების ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, ფოტიფარის ცოლს გულში უმსგავსო განზრახვა დაებადა. იგი იოსებისადმი ვნებით აღიგზნოდა მასთან მრუშობის ჩადენა მოისურვა. ყოველდღე ცდილობ-

## სატანის სატყუპარე

და მის შეცდენას, მაგრამ იოსები უარს ეუბნებოდა. ერთხელაც, მასთან მარტო რომ დარჩა, ფოტიფარის ცოლმა კუთხეში მოიმწყვდია ის და აიძულებდა მასთან დაწოლას. იოსებმა იუარა და გაიქცა, სიჩქარეში კი ტანსაცმელი ქალს ხელებში შეატოვა. როდესაც მან ეს გააკეთა, ფოტიფარის ცოლმა თავი დამცირებულად იგრძნო და დაიყვირა, რათა „ურჩი“ მონა მისი გაუპატიურების მცდელობაში დაედანაშაულებინა. ფოტიფარმა იოსები ფარაონის საპყრობილები ჩააგდო.

უნდა აღინიშნოს, რომ ფარაონის ციხე სრულიად არ ჰგავდა ამერიკის ციხეებს. მე მსახურებებს ვატარებდი ზოგიერთ ციხეში და შემიძლია ვთქვა, რომ როგორი არასასიამოვნო პირობებიც არ უნდა იყოს იქ, მაშინდელი ეგვიპტის საპყრობილესთან შედარებით, ქალაქებარე აგარაკებს ჰგავს. ფარაონის ციხეში არ აღწევდა მზის სინათლე, არ იყო საკნის კედლები, მხოლოდ დამჯდარი ორმო, სინათლისა და სითბოს გარეშე. პირობები მეცრი და არაადამიანური გახლდათ. პატიმრებს იქ იმისათვის ათავსებდნენ, რომ ნელ-ნელა მომკვდარიყვნენ, მხოლოდ სიმწრის პურისა და წყლის მიღებით (3 მეტ. 22:27). პატიმრებს აძლევდნენ საკვებს, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეკოცხლათ და დატანჯულიყვნენ. ფსალმუნის 104:8 თანახმად, იოსებს ფეხები სტკიოდა ბორკილებისაგან და იგი ინვა რკინაზე, რომელიც ტანს უგლეჯდა. ის სასიკვდილოთ იყო განწირული.

იოსები ეგვიპტელი რომ ყოფილიყო, განთავისუფლების მცირედი შესაძლებლობა მაინც ექნებოდა, მაგრამ უცხოქვეყნელ მონას, რომელსაც გაუპატიურება ედებოდა ბრალად, პრაქტიკულად არ გააჩნდა განთავისუფლების არანაირი იმედი. მას დაემართა ყველაზე ცუდი რამ, რაც კი შეიძლებოდა მოსვლოდა. უარესი მხოლოდ სიკვდილი შეიძლებოდა ყოფილიყო.

შეგიძლიათ გაიგოთ, რას ფიქრობდა იოსები მიწისქვეშეთის უკუნეთ სიბნელეში? „ათი წელი ერთგულად და პატიოსნად ვემსახურებოდი ჩემს ბატონს. მე უფრო ერთგული ვარ მისი, ვიდრე მისი ცოლი. ერთგული დავრჩი ღმერთისა და ჩემი ბატონისა. და რა მივიღე ჯილდოდ ამისათვის? საპყრობილე!

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რაც უფრო მეტად ვცდილობ სწორად მოვიკცე, უარესი მემართება! როგორ შეეძლო ღმერთს ამის დაშვება? ნუთუ ჩემმა ძმებმა შეძლეს ჩემთვის ღმერთის

## ეს როგორ უნდა მომსვლოდა?

აღთქმაც მოეპარათ? აღთქმის ეს ყოვლისშემძლე ღმერთი რატომ არ ჩაერია ჩემს მდგომარეობაში, რათა გამოვეხსენი? ნუთუ ასე უნდა ზრუნავდეს თავის მსახურზე მოყვარული, ერთგული ღმერთი? რისთვის ვარ დასჯილი? რა ჩავიდინე? მხოლოდ მწამდა, რომ რაღაც მოვისმინე ღმერთისაგან.“

დარწმუნებული ვარ, რომ იგი ებრძოდა ამგვარ ან მსგავს აზრებს. მისი თავისუფლება ამ მომენტში ძალიან შეზღუდული იყო, მაგრამ მას გააჩნდა არჩევნის უფლება, როგორ რეაგირებას მოახდენდა მომხდარზე. განაწყენდებოდა და გაბრაზდებოდა თავის ძმებზე, და, საბოლოო ჯამში ღმერთზე, თუ არა? დაკარგავდა ყოველგვარ იმედს იმისა, რომ მისთვის მიცემული დაპირებები კიდევ შესრულდებოდა, ამასთანავე, საკუთარი თავისიათვის უკანასკნელი, მაცოცხლებელი იმედის წართმევით, რომელიც აიძულებდა რომ ეცოცხლა?

## ყველაფერი ღმერთის ხელშია?

მე შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ამ განსაცდელების დასრულებამდე, იოსებს აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი ტანჯვა ღმერთისაგან მომდინარეობდა და მისი მმართველობისათვის მზადება გახლდათ. როგორ გამოიყენებს იგი მომავალ ძალაუფლებას ძმებზე, რომლებმაც უღალატეს? იოსები ტანჯვებით სწავლობდა მორჩილებას. მისი ძმები ღმერთის ხელში იარაღს წარმოადგენდნენ. შეასრულებს იოსები დანაპირებს, მოძებნის ღმერთს, რათა აღთქმულს მიაღწიოს?

იოსები ნანახ სიზმრებს აღიქვამდა, შესაძლოა, როგორც დასაბუთებას იმ კეთილგანნებუბისა, რომელსაც ცხოვრებაში განიცდიდა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ძალაუფლება ადამიანს ენიჭება იმისათვის, რომ იმსახუროს, და არა იმისათვის, რომ სხვებს შორის წარმოაჩინოს. ხშირად, ასეთ მოსამზადებელ პერიოდებში გულისყური გადატანილი გვაქს ჩვენი გარემოებების აუტანლობაზე, იმის ნაცვლად, რომ მთელ ყურადღება ღმერთის სიდიადეს მივაპყროთ. ამის შედეგად ვიტანჯვებით და ვეძებთ ადამიანს, რომელიც ჩვენს ყველა უბედურებაში შეიძლება დავადანაშაულოთ. როდესაც პირისპირ ვეჯახებით იმ ფაქტს, რომ ღმერთს შეეძლო ეს ყველაფერი აეცილებინა ჩვენთვის, რათა მთელი ეს საშინელება არ გადაგვეტანა, მან კი ეს არ გააკეთა, ხშირად ბრალს ვდებთ მას.

## სატანის სატყუარა

იოსების გონიერაში კვლავ გაისმოდა: „მე ვცხოვრობდი იმის შესაბამისად, რაც ღმერთის შესახებ ცნობილი იყო ჩემთვის. არ ვარღვევდი მის დადგენილებებს, არ ვეწინააღმდეგებოდი მას. უბრალოდ მოვყევი სიზმარი, რომელიც თვითონ ღმერთმა მომცა. რა არის ამის შედეგი? ძმებმა მილალატეს და მონად ვარ გაყიდული! მამაჩემს მკვდარი ვგონივარ და არასოდეს ჩამოვა ეგვიპტემი, რათა მიპოვოს.“ მისთვის მთავარი დამნაშავეები მისი ძმები იყვნენ. ისინი წარმოადგენენ ძალას, რომელმაც საპყრობილები ჩააგდო. შესაძლოა, იგი ფიქრობდა, რამდენად სხვაგვარად იქნებოდა ყველაფერი, ღმერთს რომ მისთვის მიეცა ის მდგომარეობა და ძალაუფლება, რაც იოსებმა სიზმრებში ნახა. რამდენად სხვაგვარად იქნებოდა ყველაფერი, ძმებს რომ მისთვის მომავალი არ მოეპარათ.

ხშირად გვესმის, რომ ჩენი ძმები და დები იგივე მახეში ებმებიან სხვების დადანაშაულებით. მაგალითად:

„ცოლი რომ არა, დიდი ხანია მსახურებაში ვიქნებოდი. მან შემიშალა ხელი და ბევრი რამ დამიმსხვრია, რაზეც ვოცნებობდი.“

„ჩემი მშობლები რომ არა, ნორმალური ცხოვრება მექნებოდა. ისინი არიან დამნაშავე ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობაში. რატომ არის, რომ სხვებს ნორმალური მშობლები ჰყავთ, მე კი არა? მამაჩემი და დედაჩემი რომ არ გაყრილიყვნენ, ჩემი ქორწინება უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა.“

„რომ არა ჩემი ხუცესი, რომელიც ნიჭს ახშობს ჩემში, თავისუფალი ვიქნებოდი და ხელს არაფერი შემიშლიდა. მან არ მომცა შესაძლებლობა მსახურებაში საკუთარი დანიშნულება შემესრულებინა. მან ჩემს წინააღმდეგ განაწყო ხალხი ეკლესიაში.“

„ჩემი ყოფილი ქმარი რომ არა, მე და ჩემს შვილებს ასეთი ფინანსური პრობლემები არ გვექნებოდა.“

„ეკლესიაში ეს ქალი რომ არა, აქამდე კარგი ურთიერთობა მექნებოდა ლიდერებთან. ჭორაობით დამღუპა მეც და ჩემი ოცნებაც, პატივდებული ვყოფილიყავი.“

ეს სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ადვილია საკუთარ პრობლემებში სხვების დადანაშაულება და იმის წარმოდგენა, თუ რამდენად უკეთესად იქნებოდით, ეს ხალხი რომ არ ყოფილიყო. თვლით, რომ სწორედ ისინი არიან დამნაშავე თქვენს იმედგაცრუებასა და უბედურებებში.

## ეს როგორ უნდა მომსვლოდა?

მინდა ხაზგასმით ალვნიშნო შემდეგი მომენტი: არც კაცს, არც ქალს, ბავშვს ან ეშმაკს არ შეუძლია გამოგვიყვანოს ღმერთის ნებიდან! თქვენი ბედი მხოლოდ ღმერთის ხელშია. იოსების ძმები ძალიან ცდილობდნენ გაენადგურებინათ მისი ხილვა, რომელიც ღმერთმა მისცა. ისინი ფიქრობდნენ, რომ იოსების სიზმრებს ბოლო მოუღეს. მათმა ბაგეებმა წარმოთქვეს: „ახლა, მოდი, მოვკლათ და სადმე, ჭაში ჩავაგდოთ... მაშინ ვნახოთ, როგორ აუხდება სიზმრები.“ (დაბადება 37:20) ისინი მის დალუპვას ცდილობდნენ. ეს უბედური შემთხვევა არ გახლდათ. ეს შეგნებული მოქმედება იყო! ძმებს არ უნდოდათ იოსებისათვის წარმატების რაიმე შესაძლებლობა დაეტოვებინათ.

როგორ ფიქრობთ, ნუთუ, როცა იგი მონად გაყიდეს, ღმერთმა ზეცაში გადახედა თავის ძეს და სულიწმიდას და თქვა: „რა გავაკეთოთ ახლა? ერთი შეხედეთ რა გააკეთეს მისმა ძმებმა. მათ დაანგრიეს ჩვენი, იოსებისათვის განკუთვნილი, გეგმა. სასწრაფოდ უნდა მოვიფიქროთ რამე! გაქვთ სათადარიო ვარიანტი?“

მრავალი ქრისტიანი კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებს ისე, თითქოს ზუსტად ასე ხდებოდეს ზეცაში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მამა ღმერთი უუბნებოდეს იესოს: „იესო, გია სამსახურიდან გაანთავისუფლეს იმის გამო, რომ მორწმუნე კოლეგამ მასზე ტყუილი თქვა. რა გავაკეთოთ? გაქვს დედამიწაზე თავისუფლი სამუშაო ადგილები?“ ან „იესო, სალომე უკვე 34 წლისაა, მაგრამ ჯერაც არ გათხოვილა. გყავს დედამიწაზე უცოლო მამაკაცები მისთვის? ვინაიდან კაცმა, რომელიც მისთვის მოვამზადე, აქორნინა მის საუკეთესო მეგობარზე, რომელმაც ცილი დასწამა სალომეს და მამაკაცს უარი ათექმევინა მასზე.“ აბსურდულად ჟღერს, თუმცა ჩვენი რეაქცია მოწმობს იმას, რომ სწორედ ასე ალვიქვამთ ღმერთს.

მოდით, ვნახოთ, დღეს ჩვენს ეკლესიებში იოსები როგორ გაუსწორდებოდა მათ, ვინც ანექნინა. ის რომ ისეთი ყოფილიყო, როგორიც მრავალი ჩვენთაგანია, იცით, რას გააკეთებდა? შურისძიების გეგმას შეიმუშავებდა. იგი ასეთი აზრებით დაიმშვიდებდა თავს: „როცა მივაგნებ, დავხოცავ! გავანადგურებ მათ იმის გამო, რაც მე გამიკეთეს. ყველაფრისათვის სრულად ვაზღვევინებ.“

მაგრამ იოსების დამოკიდებულება ძმების მიმართ ასე-

## სატანის სატყუარა

თი რომ ყოფილიყო, ღმერთი მას საპყრობილები დატოვებდა დასალპობად! ვინაიდან, ის რომ ციხიდან ასეთი მიზნებითა და სურვილებით გამოსულიყო, მოკლავდა ისრაელის ათი ტომის თითოეულ უხუცესს. ერთი მათგანი იქნებოდა იუდა, რომლის ტომიდანაც უნდა დაბადებულიყო ქრისტე.

დიახ, ის ადამიანები, რომლებიც უკანონოდ მოექცნენ იოსებს, ისრაელის პატრიარქები იყვნენ! ღმერთმა კი ალუთქვა აპრაამს, რომ მისგან მთელ ერს წარმოშობდა. საბოლოოდ მათგან უნდა მოსულიყო თვით უფალი იესო! იოსები ნებას არ აძლევდა წყენას, რომ მის გულში დაედო ბინა და ღმერთის ჩანაფიქრი, მასთან და მის ძმებთან მიმართებით, განმტკიცდა მათ ცხოვრებაში.

### შეიძლება უფრო უარისი იყოს?

ციხე იოსებისათვის გახლდათ მოვლენების გაანალიზებისა და ახალი შესაძლებლობების პერიოდი. იოსებთან ერთად საპყრობილები იმყოფებოდა ორი ტუსალი: ორივემ შემაშფოთებელი სიზმრები ნახეს. იოსებმა განსაცვიფრებელი სიზუსტით ახსნა ორივე მათგანი. ერთი ტუსალი უნდა აღედგინათ თანამდებობაზე, ხოლო მეორე – სიკვდილით დაესაჯათ. იოსებმა სთხოვა მას, რომელიც ეს-ესაა უნდა გაეშვათ, რომ გაეხსენებინა იგი, როდესაც ისევ მოიპოვებდა ფარაონის კეთილგანწყობას. ის ადამიანი კვლავ შეუდგა ფარაონის მსახურებას, მაგრამ ორი წლის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დაცდენია იოსების შესახებ. ეს კიდევ ერთი მიზეზი გახლდათ იოსების იმედგაცრუებისათვის, კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ სწყენოდა.

### ღმერთის ნება სრულყოფილია

დადგა დრო, როდესაც ფარაონმა ძალიან შემაშფოთებელი სიზმარი ნახა. ვერავინ, მისი მისნებიდან და ბრძენებიდან, ვერ შეძლო აეხსნა ამ სიზმრის მნიშვნელობა. სწორედ იმ მომენტში, აღდგენილ მსახურს გაახსენდა იოსები. მან უამბო იმის შესახებ, თუ როგორ განუმარტა იოსებმა სიზმარი მას და მეორე ტუსალს. იოსები მიიყვანეს ფარაონთან და მან აუხსნა ეგვიპტის მეფეს, რომ სიზმარი შიმშილობის მოახლოებას ნიშნავდა,

## ეს როგორ უნდა მომსვლოდა?

და მას ბრძნული რჩევები მისცა, როგორ მომზადებულიყვნენ კრიზისისათვის. ფარაონმა დაუყოვნებლივ აამაღლა იოსები და დანიშნა იგი თავის შემდეგ მეორე მმართველად ეგვიპტეში. იოსებმა, ღმერთისაგან ბოძებული სიბრძნის წყალობით, ქვეყანა მოახლოებული მკაცრი დროისათვის მოამზადა. მოგვიანებით, როცა შიმშილმა მოიცა იმ დროისათვის ცნობილი ყველა ერი, იოსების ძმებს მოუწიათ დახმარებისათვის ეგვიპტეში ჩასულიყვნენ. იოსებს რომ გულში ჰქონოდა რაიმე ძმების წინააღმდეგ, ეს შესაფერისი მომენტი იქნებოდა შურისძიებისათვის. მას შეეძლო სამუდამო პატიმრობა მიესაჯა მათთვის, ენამებინა ან მოეკლა კიდეც და ვერავინ დაადანაშაულებდა, ვინაიდან იგი ფარაონის შემდეგ მეორე პიროვნება იყო ეგვიპტეში. ფარაონისათვის მისი ძმები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდნენ.

მაგრამ იოსებმა უსასყიდლოდ მისცა ძმებს პური. შემდეგ მათ ოჯახებს საუკეთესო მიწა გამოუყო ეგვიპტეში და ისინი ამ მიწის სიუხვით იკვებებოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ეგვიპტის ყველაზე ნაყოფიერი მიწები უბოძეს. იოსებმა დალოცა თავისი მანყევარნი და კეთილი უყო თავის მოძულებს. (იხ. მათე 5:44). ღმერთმა წინასწარ იცოდა ყველაფერი, რასაც იოსების ძმები გააკეთებდნენ. უფალმა მანამდე იცოდა, რომ ისინი ასე მოიქცეოდნენ, სანამ იოსებს იმ სიზმრებს მისცემდა, ან იქამდე, ვიდრე რომელიმე მათგანი დაიბადებოდა.

იმისათვის, რომ შემდეგი ნაბიჯი გადადგათ, დაუკვირდით, რა უთხრა იოსებმა ძმებს, როდესაც ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს: „ნუღარ ინუხებთ და ნურც თავს გაკიცხავთ, აე რომ გამყიდეთ. თქვენი სიცოცხლის სახსრად გამომგზავნა ღმერთმა. რადგან ეს ორი წელი შიმშილია ქვეყანაში და კიდევ სუთი წელი არ იქნება ხვნა და მეა. გამომგზავნა ღმერთმა თქვენს წინაშე, რათა დაგარჩინოთ ამქვეყნად, სიცოცხლე შეგინარჩუნოთ და მოგიტანოთ დიდი საშველი. თქვენ კი არ გამოგიგზავნივართ აქ, არამედ ღმერთმა...“ (დაბადება 45:5-8). შეხედეთ ფსალმუნს 104:16,17: „და მოუხმო შიმშილს დედამინაზე და ყოველი სახსარი პურისა შემუსრა. გაგზავნა მათ წინ ვაცი; მონად გაიყიდა იოსები.“

ვინ გაგზავნა იოსები? ძმებმა თუ ღმერთმა? ორი მოწმის ბაგიდან ვხედავთ, რომ იგი გაგზავნა ღმერთმა. იოსებმა გასაგებად უთხრა თავის ძმებს: „თქვენ კი არ გამოგიგზავნი-

## სატანის სატყუპარა

ვართ აქ.“ ისმინეთ, რას ამბობს სულინმიდა!

როგორც ვთქვი, არცერთ მოკვდავ ადამიანს ან ეშმაკს არ ძალუძს გამოდევნოს ღმერთის ჩანაფიქრი თქვენი ცხოვრებიდან. თუკი მიიღებთ ამ ჭეშმარიტებას, იგი გაგანთავისუფლებთ. თუმცა არის ერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ღმერთის ნებიდან თქვენი გამოყვანა – ეს თქვენ თვითონ ხართ!

იფიქრეთ ისრაელის ერზე. ღმერთმა გაუგზავნა მათ მხ-სნელი, მოსე, რათა გამოეყვანა ისინი ეგვიპტის მონობიდან და აღთქმულ მიწაში შეეყვანა. უდაბნოში გატარებული ერთი წლის შემდეგ, ისრაელის წინამდლოლებმა გაგზავნეს მზვერავები, რათა აღთქმული მიწა მიმოეხილათ. დაბრუნებულმა მსტოვრებმა დრტვინვა დაიწყეს. ისინი შეაშინეს იქ მაცხოვრებელმა ხალხმა, რომელიც ისრაელიანებზე უფრო ახოვანნი და სამხედრო საქმეში უფრო განაფულნი იყვნენ.

ისრაელის მთელი ერი, იესო ნავეს ძის და ქალების გარდა, დაეთანხმა ამ ბელადებს. ხალხს მოეჩვენა, რომ ღმერთმა იმისათვის მიიყვანა იქ, რომ დახოცილიყვნენ. ისინი განაწყენდნენ მოსეზე და ღმერთზე. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ მთელ ერთ წელზე მეტი. წყენამ იქამდე მიიყვანა, რომ ამ თაობამ ვეღარ იხილა აღთქმული მიწა.

მრავალი ადამიანი მხურვალედ ემსახურებოდა ღმერთს, მაგრამ ისინი როულ ცხოვრებისეულ გარემოებებში აღმოჩნდნენ იმიტომ, რომ მათ ცუდად მოექცნენ ან უმართლო ადამიანები, ან ხორციელი ქრისტიანები. ჭეშმარიტება გახლავთ ის, რომ მათ მართლაც უსამართლოდ მოექცნენ. მაგრამ წყენა ნიშნავს – მტრის ჩანაფიქრის შესრულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ღმერთის ნებიდან გამოიყვანოს.

წყენის მიღებაზე უარის თქმით ღმერთის ნებაში დარჩებით. თუ გენერინებათ, მტერი დაგთოვუნავთ, რათა მისი საკუთარი მიზნებისა და ნების შესრულება დაიწყოთ. გადაწყვიტეთ, რას აირჩევთ. ბევრად მომგებიანია – არ განაწყენდეთ.

უნდა გვახსოვდეთ, არაფერი არ შეიძლება მოეწყოს თქვენს წინააღმდეგ ისე, რომ უფალმა წინასწარ არ იცოდეს ეს. ეშმაკს რომ შეეძლოს თქვენი დაღუპვა, როცა მოესურვება, იგი დიდი ხანია გაგანადგურებდათ. ვინაიდან გააფირებით სძულს ადამიანები. ყოველთვის გახსოვდეთ ეს შეგონება:

## ეს როგორ უნდა მომსვლოდა?

„არ შეგმოხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; და ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელებისას გამოსავალსაც მოგცემთ (ინგლისურ ტექსტში: „თავის დაღწევის კონკრეტულ შესაძლებლობას“), რომ შეძლოთ გადატანა“. (1 კორინთელთა 10:13)

შენიშვნეთ, რომ აქ ნათქვამია „თავის დაღწევის კონკრეტული შესაძლებლობა“, და არა უბრალოდ „თავის დაღწევის შესაძლებლობა“. ღმერთი ჭვრეტს ყველა არახელსაყრელ ვითარებას, რომლებშიც მომავალში აღმოვჩნდებით, როგორი უზარმაზარიც არ უნდა იყოს ის და მან წინასწარ განსაზღვრა მათგან თავის დაღწევის კონკრეტული შესაძლებლობა. და კიდევ ერთი გასაოცარი რამ: ხშირად ის, რაც გამოიყურება, როგორც ღვთიური ჩანაფიქრის ჩაშლა, სინამდვილეში გახლავთ მისი ჩანაფიქრის შესრულების გზა, თუკი ღმერთის მორჩილნი დავვრჩებით და არ გავნაწყენდებით. ასე რომ, გახსოვდეთ: იყავით ღმერთის მორჩილები, წყენის მიღებაზე უარის თქმით: „...წინა აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან“ (იაკობი 4:7). ჩვენ ვენინაალმდეგებით ეშმაკს იმით, რომ არ ვუშვებთ წყენას ჩვენს გულებში. სიზმარი ან ხილვა, შესაძლოა, არ ასრულდეს ისე, როგორც თქვენ მოელით, მაგრამ ღმერთის სიტყვა და მისი აღთქმები საუკუნოდ გიერთგელებენ – ისინი არასოდეს გაგინძილებენ იმედს. იმის საშიშროება, რომ ისინი არ შესრულდებიან (საუბარია აღთქმებზე), მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ჩვენ ვეურჩებით ღმერთს.

## ღალატის სხვა სახე

ძალიან ცოტას თუ გადაუტანია ისეთი ტანჯვები და ისეთი საშინელი მოპყრობა ძმების მხრიდან, როგორც იოსებს. მისთვის ისეთი მტკიცნეული არ იქნებოდა, მტკრები რომ მოქცეოდნენ ასე. მაგრამ ისინი მისი ძმები იყვნენ, მისი სისხლი და ხორცი. მათ უნდა გაემხნევებინათ, მხარში ამოდგომოდნენ, დაეცვათ და ეზრუნათ მასზე. შეიძლება წარმოვიდგინოთ ულმობელი მოპყრობის უფრო საშინელი სცენარი, ვიდრე იოსებმა განიცადა?

ერთი საქმეა განიცადო  
უსიამოვნება და სიპოროტე ძალის  
ან დის მხრიდან, მაგრამ სულ  
სხვაა უარყოფილი იქნე  
გამის მხრიდან

## თავი 4

### მამაჩემო, მამაჩემო!

„მამაჩემო... ამაზე მიხვდი, რომ არ არის ჩემში  
ბიროტება და სიცერაგე, არ შემიცოდავს შენს წინაშე;  
შენ კი მოსაკლავად მდევნი“.

1 მეფეთა 24:12

**Б**ინა თავში განვიხილეთ, როგორ ცდილობდნენ იოსების ძმები მის დაღუპვას. დავინახეთ, როგორი ტკივილი გა-დაიტანა მან ლალატის გამო. შესაძლოა, მსგავს სიტუა-ციაში იმყოფებით. თქვენ ძალიან ახლობლებმა გილალატეს იმ ადამიანებმა, რომელთაგან სიყვარულს და გამხნევებას მოე-ლოდით.

ამ თავში მინდა განვიხილო სიტუაცია, უფრო მეტად გულ-სატკენი, ვიდრე ძმის დალატია. ერთი საქმეა განიცადო უარყ-ოფა და სიბოროტე ძმისაგან, მაგრამ სულ სხვა რამ გახლავთ, როდესაც ამას მამისაგან განიცდი. როდესაც მამებზე ვლაპა-რაკობ, მხედველობაში არ მყავს მხოლოდ ბიოლოგიური მამები, არამედ ნებისმიერი ლიდერი, რომელსაც ღმერთი წამოსწევს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც უნდა ვუყვარდეთ, უნდა გვაშენებდნენ, გვკვებავდნენ და ზრუნავდნენ ჩვენზე.

სიყვარულისა და სიძულვილის ურთიერთობა

იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ მაგალითი, რომელშიც მამა მოლალატე გახდა, განვიხილოთ მეფე საულისა და დავითის ურთიერთობები. (1 მეფეთა 16-31). ამ ორი პიროვნების გზები ჯერ კიდევ მათ შეხვედრამდე გადაიხლართა, როდესაც სამუ-

## სატანის სატყუარბ

ელმა, ღმერთის წინასწარმეტყველმა, დავითი ისრაელის მეფედ აკურთხა. დავითი განცვიფრებული იყო და აღფრთოვანებული ფიქრობდა: „ეს ის ადამიანია, რომელმაც საული აკურთხა. ესე იგი, მე ნამდვილად გავხდები მეფე!“ საულს ბოროტი სული სტანჯავდა იმის გამო, რომ ღმერთს არ დაემორჩილა. შვებას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როდესაც ვინზე ქნარზე უკრავდა. საულის მსახურებმა დაიწყეს ახალგაზრდა კაცის ძებნა, რომელიც მისთვის დაკვრას შეძლებდა და იპოვეს დავითი, იესეს ძე. მეფე საულმა გაგზავნა ხალხი დავითის მოსახმობად და სთხოვა, მისულიყო სასახლეში, რათა მის წინაშე ემსახურა. დავითმა ალბათ იფიქრა: „ღმერთი იწყებს დანაპირების შესრულებას, რომელიც სამუელ წინასწარმეტყველის ბაგეებით მაუწყა. ეჭვ-გარეშეა, შევძლებ მეფის კეთილგანწყობილების მოპოვებას. მეფობისაკენ ეს ჩემი პირველი საფეხური იქნება.“

ერთხელ მამამ სთხოვა დავითს სურსათი წაედო უფროსი ძმებისათვის, რომელნიც ფილისტიმელებთან ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ. ადგილზე რომ მივიდა, დავითმა დაინახა ფილისტიმელთა მორკინალი კაცი, სახელად გოლიათი, რომელიც ორმოცი დღის განმავლობაში ლანძღავდა ოვთიურ მხედრობას. დავითმა შეიტყო, რომ მეფე დაპირდა თავისი ქალიშვილის ხელს მას, ვინც ამ ბუმბერაზს დაამარცხებდა.

დავითი მივიდა მეფესთან და გოლიათთან შებრძოლების ნებართვა სთხოვა. მან მოკლა გოლიათი და საულის ქალიშვილი შეირთო ცოლად. იმ დროისათვის, მან უკვე მოიპოვა საულის კეთილგანწყობილება და მიწვეული გახლდათ სასახლეში, რათა მეფის გვერდით ეცხოვრა. საულის უფროსმა ვაჟმა, იონათანმა დავითთან სამუდამო მეგობრობის აღთქმა დადო. რასაც კი ავალებდა საული დავითს, ყველაფერი გამოსდიოდა, ვინაიდან ღმერთის ხელი იყო მასზე. მეფემ ბრძანა, რომ დავითს მის ვაჟებთან ერთ სუფრაზე ეჭამა.

დავითი აღფრთოვანებული გახლდათ. სასახლეში ცხოვრობდა, მეფის სუფრაზე ჭამდა, მეფის ასული მოიყვანა ცოლად, მეგობრობდა იონათანთან და ყველა სამხედრო კამპანიაში წარმატებული იყო. დავითმა კეთილგანწყობა და სიყვარული მოიპოვა. მას შეეძლო დაენახა, როგორ სრულდებოდა სამუელის წინასწარმეტყველება. საული დავითს ანიჭებდა უპირატესობას მსახურებს შორის. იგი თითქოს მამა გახდა დავითისა. მომავალი მეფე დარწმუნებული იყო, რომ საული მას

## მამაჩემო, მამაჩემო!

აღზრდიდა, ასწავლიდა და ერთხელაც დიდი პატივით დას-ვამდა ტახტზე. დავითს ახარებდა ღმერთის ერთგულება და სიკეთე. მაგრამ უეცრად ყველაფერი შეიცვალა.

როდესაც საული და დავითი ბრძოლიდან ერთად ბრუნ-დებოდნენ, ქალები, ისრაელის ყველა ქალაქიდან, მათ წინაშე ცეკვითა და სიმღერით გამოვიდნენ. „საულმა მოკლა ათასი, დავითმა ათობით ათასი.“ ამან გააშმაგა საული და იმ დღი-დან შეიძულა დავითი. როდესაც დავითი საულისათვის ქნარზე უკრავდა, საულმა ორჯერ სცადა მისი მოკვლა.

ბიბლია ამბობს, რომ საულს სძულდა დავითი იმის გამო, რომ იცოდა ღმერთი იყო დავითთან, და არა მასთან. დავითი იძულებული გახდა გაქცევით ეხსნა თავი და უდაბნოში გაიხი-ზნა. „რა ხდება? – ფიქრობდა დავითი, – ადამიანი, რომელიც ჩემი აღმზრდელი იყო, ჩემს მოკვლას ცდილობს. რა გავაკე-თო? საული ღმერთისაგან ცხებული მსახურია. თუკი ის ჩემი წინააღმდეგია, რა შანსი გამაჩინია წარმატებისათვის? იგი მე-ფეა, ღმერთის კაცი, ღმერთის ერის მმართველი. რატომ დაუშ-ვა ეს ღმერთმა?“

ისრაელის სამი ათასი საუკეთესო მეომართან ერთად საუ-ლი სდევნიდა დავითს ერთი უდაბნოდან მეორეში, აგდებდა ერთი გამოქვაბულიდან მეორეში. მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ: დაელუპათ დავითი.

იმ მომენტიდან დანაპირების მხოლოდ აჩრდილი თუ დარჩა. დავითი აღარ ცხოვრობდა სასახლეში და აღარ ჭამდა მეფის სუფრაზე. იგი ნესტიან გამოქვაბულებში ბინადრობდა და იკვე-ბებოდა უდაბნოში მობინადრე ნადირების ნადავლის ნარჩენ-ებით. ის აღარ იჯდა მეფის გვერდით, არამედ დევნილი გახ-ლდათ იმ ხალხის მიერ, რომელიც ოდესალაც მის მხარდამხარ იძრძოდნენ. მას არ გააჩნდა თბილი ლოგინი და არ ჰყავდა მსახურები, აღარ ესმოდა ქათინაურები კარისკაცებისაგან. მისი ცოლი სხვას მისცეს. და მან განიცადა, თუ რას ნიშნავს იყო განდეგილი მოხეტიალე, რომელსაც არა აქვს სამშობლო.

შენიშნეთ, რომ არა ეშმაქმა, არამედ ღმერთმა გადასცა და-ვითი საულს მზრუნველობისათვის. რატომ არის, რომ ღმერთმა უბრალოდ კი არ დაუშვა ყველაფერი, არამედ დაგეგმა? რატომ მოხიბლეს დავითი კეთილგანწყობილებით მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ უეცრად წაერთმიათ ეს? დავითისათვის ცდუნებების დრო დადგა. მას შეეძლო დაეწყო დრტვინვა და

## სატანის სატყუარა

განაწყენებულიყო არა მარტო საულიზე, არამედ ღმერთზეც. მტანჯველი კითხვები აძლიერებდნენ ცდუნებას, რომ ეჭვქვეშ დამდგარიყო ღვთიური სიბრძნე და ღმერთის ჩანაფიქრი. საული ყოველ ღონეს ხმარობდა ამ ჭაბუკის მოსაკლავად და მისი უგუნურება იზრდებოდა. დავითი სასონარკვეთილი გახლდათ.

მდვდლებს ქალაქ ნობიდან ეგონათ, რომ დავითი მეფის მსახურია, ამიტომ, საცხოვრებლითა და საკვებით უზრუნველყოვეს იგი და გოლიათის მახვილიც უბოძეს. მათ არ იცოდნენ, რომ დავითი საულის გაურბოდა. ხოლო როდესაც უფალს დაეკითხნენ მის შესახებ, გაგზავნეს იგი, რათა მეფის რისხვა არ დასტეხოდათ თავს. საულმა ეს რომ შეიტყო, განრისხდა. მან დახოცა უფლის ოთხმოცდახუთი უდანაშაულო მღვდელი და მთელი ქალაქი ნობი, კაცები, ქალები, ჭაბუკები, ჩვილები, ხარები, სახედრები და ცხვრები მახვილით მოსრა. მან უდანაშაულო ხალხისა და პირუტყვის მიმართ ჩაიდინა ის, რაც ყამალეკელების მიმართ უნდა მოემოქმედებინა. იგი მკელელი გახდა. როგორ შეეძლო ღმერთს, ოდესლაც თავისი სულით ეკურთხებინა ასეთი ადამიანი? ერთხელ საულმა შეიტყო, რომ დავითი უდაბნო ენგაზში იმყოფება და სამი ათას მეომართან ერთად მისკენ გაემართა. დევნის დროს იგი დასასვენებლად ერთი გამოქვაბულის შესასვლელთან გაჩერდა. საულმა არ იცოდა, რომ დავითი მის ზურგს უკან იმალებოდა. საულს გვერდით ედო სამეფო მოსასხამი. დავითი უჩუმრად გამოვიდა თავშესაფარიდან, მოაჭრა კიდე მოსასხამს და მიმალა. მას შემდეგ, როცა საული გამოქვაბულიდან გამოვიდა, დავითმა თავივანი სცა მას და უთხრა: „მამაჩემო, დააკვირდი შენი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავს ... ამაზე მიხვდი, რომ არ არის ჩემმი ბოროტება და სივერაგე, არ შემიცოდავს შენს წინაშე; შენ კი მოსაკლავად მდევნი“ (1 მეფეთა 24:12).

დავითმა შეჰვდლადა საულს: „მამაჩემო! მამაჩემო!“ თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს, იგი შესძახოდა: „ნახე, როგორი გული მაქვს! იყავი ჩემთვის მამა. მე მჭირდება ხელმძღვანელი!“ – დავითის გული იმედით ცოცხლობდა.

## სად არიან მამები?

მე მსმენია ასეთი შეძახილი ქრისტეს სხეულის მრავალრიცხოვანი მამაკაცებისა და ქალების გულებში. უმრავლეს

## մամահեթ, մամահեթ!

Շեմտեզեցածո օսնոն արուան աხալգաթրդա աճամիանեծո, րոմելլ-տապ լմերտուսացան մոնղոլեծո մուռլես. օսնոն դալալցեծո մամանց - աճամիաննց, րոմելլու ասնավլու, Շըօպարեծո, դայեթմարց-ծա դա ցամենցեծո մատ. առ, րագոմ տշա լմերտմա, րոմ օս „Շեարուցեծո մամեծու (լուցերեծու) ցուլս Շըօլլեծու (լմերտուս յրու) ցուլլուան դա Շըօլլեծու ցուլս մամեծու ցուլլուան, րոմ հիմո մուշալուսաս կըցպանա Շերցենցեծու առ Շըցմուսրո.“ (մալայիս 3:24).

1940-1950-օան Ելլեծո հիշենս կըցպանաս մուակլուա մամեծո (մմոնթլեծո, լուցերեծո առ մեսանուրեծո) դա դղես հիշենս մց-ցոմարցուա ցայսարցեսդա. Տայլու մեցազասագ, լուցերեծո հիշենս սախլեծո, կորպորացուցեծսա դա էպլեսուցեծո, პորագ մոնցեծից ցոյքրու սուբրո արուան դակացեծուլնո, զուգրյ ախալգաթրդա տառ-ծածյ ցոյքրու.

Օսնոն լմերտուս յրու ցուլլու Շըսամլեծուլուաս, րոմելլու Շըօլլեծո մմարտցելունուս ցանսաեորցուցուլեծուլագ ցամուցենո, օմուս նացուլագ, րոմ ցամցեծուլուա ցամուցենոն րոցորու ցուլուս եալուսագմո մոմսանուրեծուս սամշալլեծո. աճամիանտա դաշրուլու ցերուրեծուսա դա ցաթիենու ցուլլեծուս սա-ցասյուրս տացուանտո ելլոմծուլանցուլուս Եարմագեծու սմարտլե-ծեն. Եարմագեծուս մուսանուցեագ զո ասետո լուցերեծո սացուտար սինդուստան մուգուան կոմպրոմունչ, սենորացեն սամարտլուանո-ծաս, մոնցալլեծո, Պատուուսնեցծասա դա սուցարուլս. մատո ցագ-անցուցուլեծո ցուլս, ցուցրեծսա դա մուղնեցեծու ցուլնեցծա. յս յարս ցուլլեծո աճամիանտա մոմարտ օսետ մուցուրուաս, րոցորու դազուտմա ցանուցագ. ծուլուս դա ծուլուս, Տայլու եռմ մշցենուրո ցամարտլեծո Ֆյոնճա, մաս տացուսո սամեցու ցունդա դաւցուա. աճա-միանցետան մուցուրունուս ասետ երես մրացալու լուցերո մոմար-տացս դա ամաս սախարեծուս ցազրուցուլլեծուս մոնցեծու ամարտլեծո. Համարդեմա լուցերմա եալու դայշէցեծուս ցամու դայցարցա. Հա-գոմ արուան լուցերեծո ասետո էժուանեծո? օմուգոմ, րոմ առ յմսանուրեծուան լմերտու. օսնոն տացուանտ ցամցեծուլուաս յմսան-ուրեծուան. Տայլու մեցազասագ, առ արուան դարնմշնեծուլնո տացու-անտ մոնղուցեծո դա ամաս դայշէցեծո դա սումայց Շըմուայէս մատ ցուլլեծո. օսնոն ալուարեծո սեզա աճամիանցեծո լցուտուսմուսանուս ցունարուս արևեծուաս դա միջագ արուան ցամուցենոն մանամ, սանամ անցութ. Տայլու սումունցեծու դազուտուս Եարմագեծո, զուգրյ առ դանահա, րոմ դազուտու մուստուս սացրտես Եարմուացցենս. ամուս Շըմցեց ման օս տանամցեծուու համուայցուտա դա ցեցեծո

Համարդեմա լուցերմա եալու դայշէցեծուս ցամու դայցարցա. Հա-գոմ արուան լուցերեծո ասետո էժուանեծո? օմուգոմ, րոմ առ յմսանուրեծուան լմերտու. օսնոն տացուանտ ցամցեծուլուաս յմսան-ուրեծուան. Տայլու մեցազասագ, առ արուան դարնմշնեծուլնո տացու-անտ մոնղուցեծո դա ամաս դայշէցեծո դա սումայց Շըմուայէս մատ ցուլլեծո. օսնոն ալուարեծո սեզա աճամիանցեծո լցուտուսմուսանուս ցունարուս արևեծուաս դա միջագ արուան ցամուցենոն մանամ, սանամ անցութ. Տայլու սումունցեծու դազուտուս սացրտես Եարմուացցենս. ամուս Շըմցեց ման օս տանամցեծուու համուայցուտա դա ցեցեծո

## სატანის სატყუარა

მიზეზს, რომ მოეკლა.

მე მქონია საუბარი მრავალ ახალგაზრდა მამაკაცთან და ქალთან, რომელიც ეძებდნენ მას, ვისაც მიენდობოდნენ. მათ უნდოდათ ესწავლათ, დამორჩილებოდნენ ლიდერს, ეძებდნენ ვინმეს, ვინც მათი მამა გახდებოდა. მაგრამ ღმერთმა დაუშვა, რომ მათ გარიყულობა და ეულება ეგრძნოთ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ღმერთს სურდა წარმოეშვა მათში ის, რაც დავითში წარმოშვა. მოისმინეთ ყურადღებით, რას ამბობს სულინმიდა.

დავითი შეწუხებული იყო იმით, რომ საული მას ბოროტ და მეამბოხე ადამიანად თვლიდა. ის, ალბათ, იყვლევდა თავის გულს: „რაში ვტყუი? რატომ შეპრუნდა ასე სწრაფად საულის გული ჩემს წინააღმდეგ?“ დავითმა იფიქრა, რომ თუ იგი შეძლებდა საულისათვის სიყვარულის დამტკიცებას, მეფე დაიბრუნებდა კეთილგანწყობას და მაშინ სამუელის წინასწარმეტყველება ახდებოდა. აი, რატომ შესძახა: „მე მირჩევდნენ, მომეკალი; მაგრამ დაგინდე. მხოლოდ შენს მოსასხამს მოვაჭერი კიდე, რათა გცოდნოდა და დაგნახა, რომ არ არის ჩემში ბოროტება და ვერაგობა.“ (იხ. 1 მეფეთა 24:11).

ადამიანებმა, რომლებმაც განიცადეს მამის ან ლიდერის მხრიდან განირვა, მიღრეკილი არიან, ყველაფერში თავები დაიდანაშაულონ. ისინი მტანჯველად ფიქრობენ: „რა გავაკეთე? ნუთუ გული უნმინდური მქონდა? ვინ განაწყო ლიდერის გული ჩემს წინააღმდეგ?“ შემდეგ გამუდმებით ცდილობენ თავიანთი უდანაშაულობა დაამტკიცონ, რათა კვლავ მიღებულები გახდნენ. მაგრამ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, რაც უფრო გულმოდგინედ აკეთებენ ამას, მით უფრო გარიყულებად გრძნობენ თავს.

### 306 იძიებს შურს ჩემს გამო?

საულმა ალიარა დავითის კეთილშობილება, როცა დაინახა, რომ დავითს შეეძლო მისი მოკვლა, მაგრამ არ გააკეთა ეს. ამიტომ ის და მისი ხალხი წავიდნენ. დავითმა ალბათ იფიქრა: „ახლა მეფე ალმადგენს. წინასწარმეტყველება ახდება. ეჭვგარეშეა, იგი ხედავს ჩემს გულს და შეცვლის ჩემდამი დამოკიდებულებას.“

ასე სწრაფად არა, დავით! რამდენიმე დღის შემდეგ საულს აცნობეს, რომ დავითი კეყილში იმალება. საული ისევ დაედევ-

## მამაჩემო, მამაჩემო!

ნა მას. თან ისევ სამი ათასი მეომარი წაიყვანა. დარწმუნებული ვარ, რომ ამან იმედი გაუცრუა დავითს. იგი მიხვდა, რომ საულს შეგნებულად და დამაჯერებლად სურს მისი მოკვლა. როგორ სასონარკვეთას გრძნობდა! საული იცნობდა დავითის გულს და მაინც გამოვიდა მის წინააღმდეგ. დავითმა აბიშაისთან ერთად შეაღწია საულის პანაკში. მცველებიდან არავის არ უნახავს იგი, ვინაიდან ღმერთმა მათ ღრმა ძილი მოჰვარა. ამ ორმა ადამიანმა ჯარისკაცებს შორის გაიარეს და მივიდნენ იმ ადგილას, სადაც საულს ეძინა.

„უთხრა აბიშაიმ დავითს: ღმერთმა ჩაგაგდებინა დღეს შენი მტერი. ახლა ერთი დაკვრით დავაკლავ მიწას, მეორე აღარ დამჭირდება“ (1 მეფეთა 26:8). აბიშაი თვლიდა, რომ დავითი დართავდა მას საულის მოკვლის ნებას. ჯერ ერთი, საულმა უმოწყალოდ დახოცა ოთხმოცდა ხუთი უდანაშაულო მღვდელი და მათი ოჯახები! მეორე, საული გამოვიდა სამი ათასიანი ჯარით, რათა მოეკლა დავითი და მისი მიმდევრები. აბიშაი ასე მსჯელობდა: „თუ შენ პირველი არ მოკლავ მტერს, ის აუცილებლად მოგკლავს შენ. ეს თავდაცვაა. ნებისმიერი სასამართლო გაამართლებს ამას!“ მესამე, ღმერთმა სამუელის მეშვეობით აკურთხა დავითი ისრაელის მეფედ. დავითი უნდა იღწვოდეს თავისი მემკვიდრეობისათვის, თუკი უნდა სამუელის წინასწარმეტყველების ასრულება დაინახოს. მეოთხე, ღმერთმა ღრმა ძილი მოჰვარა მთელ ჯარს, რათა დავითი და აბიშაი პირდაპირ საულთან მისულიყვნენ. სხვა რისთვის გააკეთა ეს ღმერთმა? აბიშაის ეჩვენებოდა, რომ ეს ერთადერთი შანსია სამართლიანობის აღსადგენად. ყველა მიზეზი სარწმუნოდ გამოიყურებოდა. დავითი საულზე ოდნავ მაინც რომ ყოფილიყო განაწყენებული, იგი თავს მართლად იგრძნობდა და აბიშაის ნებას დართავდა, რომ საული შუბის ერთი დაკვრით დაეკლა მიწაზე.

მოისმინეთ დავითის პასუხი: „...ნუ დაღუპავ მას, რადგან უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელად არ გადარჩება ... უფალს ვფიცავ, თავად უფალი გაანადგურებს მას, ან მისი დღე მოაწევს და მოკვდება, ან საბრძოლველად წავა და დაიღუპება. უფალმა დამიფაროს, რომ უფლის ცხებულზე ხელი აღვმართო.“ (1 მეფეთა 26:9,10,11).

დავითმა არ მოკლა მეფე, თუმცა საულმა დახოცა უდანაშაულო ხალხი და დავითის სიკვდილიც უნდოდა. დავითი შურს

## სატანის სატყუარბ

არ იძიებდა თვითონ, არამედ ღმერთს გადასცა ეს.

იოლი იქნებოდა ყველაფერი იქვე დაესრულებინათ. იოლი იქნებოდა დავითისათვის და ისრაელი ერისათვის. დავითმა იცოდა, რომ ხალხი ცხვრის ფარას ჰგავდა, რომელსაც მწყემსი არ ჰყავდა. მან იცოდა, რომ მგელი მათ ძარცვავდა საკუთარი ეგოსტური მიზნების დასაკმაყოფილებლად. მისთვის ძნელი იყო, არ დაეცვა თავი, მაგრამ უფრო ძნელი იყო უგუნური მეფისაგან არ დაეცვა ხალხი, რომელიც უყვარდა. დავითმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, თუმცა იცოდა, რომ საული არ მოისვენებდა, ვიდრე მას არ მოკლავდა.

დავითმა მაშინ დაამტკიცა, რომ სუფთა გული ჰქონდა, როდესაც საული პირველად დაინდო. მაგრამ მაშინაც, როცა დავითს საულის მოკვლის მცირე შანსი მიეცა, მისთვის ხელი არ დაუკარებია. საული უფლის ცხებული გახლდათ და დავითმაც ღმერთის სასამართლოს გადასცა იგი.

ბევრს აქვს დღეს ისეთივე გული, როგორც დავითს? ჩვენ დღეს აღარ ვკლავთ ფიზიკური მახვილით, მაგრამ ერთმანეთზე შურს ვიძიებთ სხვა სახის მახვილით – ენით. „სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია...“ (იგავნი 18:21). ეკლესიები იყოფა, ოჯახები ინგრევა, ქორწინებები ირყევა და სიყვარული კვდება იმ სიტყვების ზენოლით, რომლებიც იმედების მსხვრევის შედეგად აღმოცენებული წყენით, გაღიზიანებითა და სიმწრით არის ნათევამი. მეგობრებისაგან, ოჯახებისა და ლიდერებისაგან განაწყენებულები, ვუმიზნებთ სიტყვებს, რომლებიც წამახვილებულნი არიან გულისწყრომით, სიმწრითა და რისხვით. იქნებ ის ინფორმაცია, რომელსაც ვუზიარებთ, უტყუარი და ზუსტია, მაგრამ მოტივები გახლავთ არაწმინდა.

იგავებში 6:16-19 ნათევამია, რომ უფლისათვის საძულველია ძმათა შორის შუღლის მთესველი. როდესაც ვამბობთ სიმართლეს იმ მიზნით, რომ გავაფუჭოთ ურთიერთობები ან ვინმეს რეპუტაცია, ამით მაინც შეურაცხყოფას ვაყენებთ ღმერთს.

მიყენებს ღმერთი ჩემი ლიდერის  
ცოდვების მამხილებლად?

შვიდი წლის განმავლობაში ვეწეოდი შემწეობის მსახურებას და ახალგაზრდების ხუცესი ვიყავი, ვიდრე ღმერთმა კარი გაგ-

## მამაჩემო, მამაჩემო!

ვიხსნა მე და ჩემს ცოლს ახლანდელი მსახურებისათვის. ახალ-გაზრდების ხუცესად ჩემი მსახურების დროს ჩვენს ეკლესიაში იყო ადამიანი, რომელსაც არ მოვწონდი არც მე და არც ჩემი ქადაგება. ჩვეულებრივ, ამის მსგავსი ფაქტები არ მანუხებდა, მაგრამ ეს ადამიანი გავლენას ახდენდა ეკლესიაში.

მე მნამდა, რომ ღმერთმა მომინოდა მექადაგა ახალგაზრდებისათვის ღმერთის სიტყვა სიწმინდესა და შემართებაზე. ამ ლიდერის ვაჟი ჩემს ჯგუფში იყო. ეს ახალგაზრდა ადამიანი სულ უფრო მეტ შევებას გრძნობდა გულში. ერთხელ იგი აცრემლებული მოვიდა ჩვენთან. იგი დანალვლიანებული გახლდათ, ვინაიდან მიხვდა, რომ ცხოვრების ის წესი, რომელსაც ის თავის სახლში ხედავდა, არ შეესაბამებოდა იმას, რასაც მოვუწოდებდი მას და სხვა ახალგაზრდებს.

ალმოჩნდა, რომ პირადმა კონფლიქტებმა შეაგულიანეს მამამისი მიეღო მტკიცე გადაწყვეტილება, რომ თავიდან მოვეშორებინე. იგი მივიდა უფროს ხუცესთან, რათა ჩემი სანინაალმდეგო ცრუ ბრალდებებით მისი რისხვა გამოიწვია. შემდეგ ის ჩემთან მოვიდა და მითხრა, თუ რამდენად სანინაალმდეგოდ არის, ვითომ, უფროსი ხუცესი განწყობილი ჩემს მიმართ და რომ თვითონ, პირადად, მხარს მიჭერს მე. დაიწყო კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა, რომლებიც გადაკვრით ჩემზე მიუთითებდნენ. ის ადამიანი მიღიმოდა, მაგრამ ჩემს განადგურებას ცდილობდა. ახალგაზრდული ჯგუფის რამოდენიმე წევრმა მითხრა, რომ თითქოს ჩემი დათხოვნა სურდათ. ამ ამბებს იმ ადამიანის ვაჟი ავრცელებდა, თანაც ამას აკეთებდა არა ბოროტი განზრახვით, არამედ იმეორებდა იმას, რაც შინ ესმოდა. ამან განმარისხა და დამაბნია. მივედი იმ ადამიანთან და მან აღიარა, რომ ავრცელებდა ამ ინფორმაციას, იმეორებდა რა უფროსი ხუცესის აზრს.

გადიოდა თვეები და მეჩვენებოდა, რომ სიტუაციის შეცვლა უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ. მან ყველა კავშირი განწყიტა ჩემსა და უფროს ხუცესს შორის, ვინაიდან მასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მეძლეოდა. ეს მექებოდა არა მარტო მე, არამედ ყველა ხუცესს, რომელნიც ამ ადამიანის უმოწყალობაში მოხვდნენ. ჩემი ოჯახი გამუდმებულ ზეწოლას განიცდიდა. არ ვიცოდით, დავრჩებოდით ამ ეკლესიაში თუ გაგვაგდებდნენ. ვიყიდეთ სახლი, ჩემი ცოლი ფეხმძიმედ იყო, და წასასვლელი არსად გვქონდა. მე მნამდა, რომ ღმერთმა

## სატანის სატყუარა

მომიყვანა ამ ეკლესიაში და არ მინდოდა იქედან წასვლა.

ჩემი ცოლი საშინლად ნერვიულობდა. „ძვირფასო, ვიცი, რომ ისინი შენს დათხოვნას აპირებენ. ყველა ამას მეუბნება.“

„მათ არ დავუქირავებივარ და ვერ დამითხოვენ ღმერთის თანხმობის გარეშე“, – ვეუბნებოდი მეუღლეს. მას ეგონა, რომ უარს ვამბობდი მდგომარეობის ფხიზლად შეფასებაზე და გონს მოსვლას მთხოვდა.

ბოლოს შევიტყვე, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ჩემს დათხოვნაზე. უფროსმა ხუცესმა გამოუცხადა ეკლესიას, რომ ახალგაზრდულ ჯგუფში ცვლილებები მოხდებოდა. აქამდე არც კი მისაუბრია მასთან იმ ლიდერთან კონფლიქტის შესახებ. მითხრეს, რომ მას და იმ ადამიანს მეორე დღეს შევხვდებოდი. ღმერთმა ძალიან კონკრეტულად შთამაგონა, რომ არ დამეცვა თავი.

როცა მეორე დღეს ჩემს ხუცესს შევხვდი, გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ იგი მარტო იჯდა თავის ოფისში. მან შემომხედა და მითხრა: „ჯონი, ღმერთმა გამოგვზავნა ამ ეკლესიაში. არ გაგიშვებ აქედან.“ შვება ვიგრძენი. ღმერთმა სულ ბოლო მომენტში დამიცვა.

„რატომ არის ეს ადამიანი შენს წინააღმდეგ განწყობილი? – მეკითხებოდა ხუცესი. – მიდი მასთან და მოაგვარეთ ურთიერთობები.“

ამ შეხვედრის შემდეგ მივიღე წერილობითი მტკიცება გადაწყვეტილებისა, რომელიც იმ ლიდერმა მიიღო ჩემს მსახურებასთან მიმართებით. ეს საბუთი მის ნამდვილ მოტივებს ამხელდა. მე მზად ვიყავი იგი უფროს ხუცესთან წამელო.

იმ დღეს მუხლი მოვიდრიკე და 45 წუთის განმავლობაში ვლოცულობდი. ვცდილობდი უხერხულობის გრძნობა გადამელახა. ვამბობდი: „ღმერთო, ეს ადამიანი უკანონ და უპატიოსნოა. საჭიროა მისი გამოაშკარავება. იგი დამანგრეველი ძალაა ამ მსახურებაში. უნდა ვუამბო ხუცესს, თუ ვინ არის იგი სინამდვილეში!“ მე განვაგრძობდი ჩემი თავის დარწმუნებას იმაში, რომ საჭიროა მისი მხილება: „ყველაფერი, რასაც მოვახსენებ, დოკუმენტები და ფაქტებია, და არა ემოციები. ეს რომ არ შეჩერდეს, უკანონობა გაუჯდება მთელს ეკლესიას.“

ბოლოს, შეწუხებულმა, ვთქვი: „ღმერთო, შენ არ გსურს, რომ იგი ვამხილო, სწორად გაგიგე?“ როდესაც ეს სიტყვები წარმოვთქვი, ღმერთის მშვიდობამ აავსო ჩემი გული. გამიკვირ-

## მამაჩემო, მამაჩემო!

და, უფალს არ სურდა რომ რაიმე მომემოქმედებინა, ამიტომ გადავაგდე ეს დამამტკიცებელი საბუთი. მოგვიანებით, როდე-საც უფრო ობიექტურად შევხედე სიტუაციას, მივხვდი, რომ საკუთარი თავის გამო შურისძიება უფრო მინდოდა, ვიდრე ვინმეს დაცვა ეკლესიაში. აი, სინამდვილეში რა მინდოდა მა-შინ. ჩემი თავი იმაში დავარწმუნე, რომ ეგოისტური მოტივები არ მქონდა. ინფორმაცია (რომელიც მინდოდა მეცნობებინა) ზუსტი იყო, მაგრამ მოტივები – უწმინდური.

გავიდა დრო და ერთხელაც, როდესაც სამსახურში წასვლამ-დე ვლოცულობდი ეკლესის გვერდით, მოვიდა ის ლიდერი, რომელსაც ჩემგან თავის დაღწევა სურდა. ღმერთმა მითხრა, რომ მივსულიყავი მასთან და შევრიგებოდი. მაშინვე თავის მართლება დავიწყე: „არა, უფალო, თვითონ უნდა მომიახ-ლოვდეს. ის არის ყველაფერში დამნაშავე.“ მე ვაგრძელებდი ლოცვას, მაგრამ უფალი დაუინებით მთხოვდა, რომ დაუყოვნე-ბლივ მივვსულიყავი მასთან და შევრიგებოდი. ვიცოდი, რომ ამას ღმერთი ამბობდა. ოფისიდან ტელეფონით დავურევე და მივედი მასთან. მაგრამ, ის, რაც ვთქვი და როგორც გავა-კეთე, სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, თუ როგორ ვიტყო-დი ამას, ღმერთი რომ არ დამლაპარაკებოდა.

სრულიად გულწრფელად ვთხოვე პატიება. „მე გაკრიტიკებ-დით და გასამართლებდით,“ – ვალიარე მე. ის მაშინვე მოლპა და შემდეგ ერთი საათი ვსაუბრობდით. იმ დღიდან ჩემს მიმართ მისი შეტევები შეწყდა, თუმცა პრობლემები, რომლებიც მას სხვა ხუცესებთან ჰქონდა, დარჩა.

ეევსი თვის შემდეგ, როდესაც ამერიკის საზღვრებს გარეთ ვმსახურობდი, ყველა ბოროტება, რომლებსაც ეს ადამიანი სჩადიოდა, გამოაშკარავდა და ცნობილი გახდა უფროსი ხუცე-სისათვის. ის, რასაც იგი აკეთებდა, ბევრად უარესი იყო იმაზე, რაც ჩემთვის მის შესახებ იყო ცნობილი. იგი დაუყოვნებლივ დაითხოვეს. სასამართლო შედგა, ოლონდ ჩემი ხელით არა. რაც ჩემთვის უნდოდა, თვითონ მას მოენია. ოლონდ, როცა მას ეს შეემთხვა, ბედნიერი არ ვყოფილვარ. გული შემტკიოდა მასზე და მის ოჯახზე. მესმოდა მისი ტკივილი, რადგან თვი-თონ განვიცადე იგი. მე მას ექვსი თვის წინ ვაპატიე, და ახლა მიყვარდა იგი და ცუდს არ ვუსურვებდი. ის რომ დაეთხოვათ ერთი წლის წინ, მაშინ, როდესაც განრისხებული ვიყავი მასზე, ვიზეომებდი. მაგრამ იმ მომენტში ვიცოდი, რომ სრულიად არ

## სატანის სატყუარა

ვიყავი მასზე ნაწყენი. მორჩილება და შურისძიებაზე უარის თქმა გახლდათ გასალები, რომელმაც გამანთავისუფლა ჩემი ციხიდან, რომლის სახელწოდებაა „წყენა“.

ერთი წლის შემდეგ აეროპორტში ვნახე. მე ღვთიური სიყვარულით ვიყავი სავსე. მივირბინე და მოვეხვიე. გულწრფელად გამიხარდა, როდესაც მან მითხრა, რომ უკვე რიგზე აქვს ყველაფერი. მე რომ არ მივსულიყავი მასთან და თავმდაბლობა არ გამომეჩინა მის ოფისში, თვალებში ვერ შევხედავდი იმ დღეს, აეროპორტში. იმ მომენტიდან რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ მე მიყვარს ის და გულწრფელად მსურს ღმერთის ნებაში ვიხილო.

დავითი ბრძენი იყო, როდესაც გადაწყვიტა ნება დაერთო ღმერთისათვის, მოსამართლე ყოფილიყო და დაეცვა იგი. თქვენ იკითხავთ: „ვინ გამოიყენა ღმერთმა იმისათვის, რომ გაესამართლებინა თავისი მსახური, საული?“ ფილისტიმელები. საული ვაჟიშვილებთან ერთად ბრძოლის ველზე დაიღუპა, როდესაც ფილისტიმელებს ებრძოდა. დავითმა რომ ეს შეიტყო, არ გახარებია. ის ატირდა.

ერთმა ადამიანმა დაიკვეხა დავითთან, რომ საული საბოლოოდ მოსპო. ის იმედოვნებდა, რომ ამით დავითის კეთილგანწყობილებას მოიპოვებდა, მაგრამ ამ ამბავმა საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. „როგორ გაძედე და აღმართე ხელი უფლის ცხებულის დასალუპად?“ – ჰკითხა დავითმა. მან ბრძანა, რომ მოეკლათ ეს კაცი (იხ. 2 მეფეთა 1:14-15).

„ამ გოდებით გოდებდა დავითი საულსა და მის ძეზე, იონათანზე“ (2 მეფეთა 1:17). და უბრძანა ხალხს არ მოეთხროთ და არ გაემხილათ ფილისტიმელთა ქალაქებში. „...როგორ დაეცნენ ვაჟკაცები“ ისრაელისა, რათა მტერს არ ეზეიმა. მან გამოაცხადა, რომ არ ყოფილიყო წვიმა და მოსავალი იმ ადგილას, სადაც მოკლეს საული და მოუხმო ისრაელს, ეგლოვა მასზე. ეს აშკარად არ გახლავთ ნაწყენი ადამიანის გული. ნაწყენი ადამიანი იტყოდა: „მან დაიმსახურა ეს!“ დავითმა არ ამოხოცა საულის სახლეულის დარჩენილი თესლი. ამის ნაცვლად მათ მიმართ წყალობა გამოიჩინა. უბოძა მიწები და საკვები, ხოლო ერთ-ერთ შთამომავალს მეფის სუფრასთან ჯდომის პატივი მიაგო. ჰგავს ეს ნაწყენი ადამიანის საქციელს?

დავითი განწირული გახლდათ იმ ადამიანის მიერ, ვინც მამობრივად უნდა მოქცეოდა, მაგრამ საულის სიკვდილის შემ-

## მამაჩემო, მამაჩემო!

დეგაც დავითი მისი ერთგული დარჩა. ადვილია იყო ერთგული ლიდერის ან მამისა, რომელსაც უყვარხარ, მაგრამ განა ადვილია იმის ერთგული დარჩე, ვინც შენს დაღუპვას ცდილობს? იქნებით თქვენ ღმერთისათვის სასურველი კაცი ან ქალი, თუ შურისგებას შეეცდებით?

სამართლიანია, როდესაც ღმერთი  
იქიებს შურს თავისი მონებისათვის,  
გაგრამ უსამართლოა, როდესაც  
ღმერთის მონები თვითონ  
იქიებენ შურს

## თავი 5

### როგორ იპადებიან სულიერი მოხეტიალეები

„....ღმერთმა დამიტაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბა-  
ტონს, უფლის ცხებულს! ხელს როგორ აღვმართავ მასზე,  
რადგან უფლის ცხებულია იგი! გაკიცხა თავისი კაცები და-  
ვითმა და ნება არ მისცა, თავს დასხმოდნენ საულს.“

1 მეცეთა 24:7-8

**ნ**ინა თავში განვიხილეთ, რა ცუდად ექცეოდა დავითს ადა-  
მიანი, რომლისგანაც იგი მამობრივ მოპყრობას მოელო-  
და. დავითი ცდილობდა გაეგო, სახელდობრ, რაში მოიქცა  
არასწორად. რას შეეძლო საულის გული მის წინააღმდეგ გან-  
ეწყო და როგორ შეიძლებოდა მისი კეთილი განწყობის კვლავ  
დაბრუნება? დავითმა დაუმტკიცა საულს ერთგულება იმით,  
რომ დაინდო მისი სიცოცხლე, თუმცა მეფე თვითონ არ სწყ-  
ალობდა დავითს.

დავითი მიწამდე თავდახრილი ევედრებოდა საულს: „გაიგე  
და მიხვდი, რომ არ არის ჩემში ბოროტება და სივერაგე, არ  
შემიცოდავს შენს წინაშე.“

დავითმა შევბა იგრძნო, როდესაც თავის ლიდერს ერთ-  
გულება დაუმტკიცა. მოგვიანებით მან უფრო მტანჯველი სი-  
ახლე შეიტყო: საულს უწინდებურად მისი დალუპვა სურდა.  
მაგრამ დავითმა უარი თქვა ხელი აღემართა იმაზე, ვინც მის  
სიკვდილს ეძებდა, თუმცა ღმერთმა მთელ ჯარს ღრმა ძილი  
მოჰვევარა და დავითს მისცა მეგზური, რომელიც მას საულის  
მოკვლის ნებართვას სთხოვდა. მაგრამ დავითი როგორლაც  
გრძნობდა, რომ ეს მძინარე ჯარი სხვა მიზანს ემსახურებოდა.  
ამით გამოიცადა დავითის გული.

## სატანის სატყუარბ

ღმერთს სურდა დაენახა, ჩაიდენდა დავითი მკვლელობას, საულის მსგავსად, რათა დაეფგინა და განემტკიცებინა თავ-ისი მეფობა. თუ საშუალებას მისცემდა ღმერთს სიმართლით განემტკიცებინა მისი ტახტი საუკუნოდ.

„შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარლებო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას, ვინაიდან წერია: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ, – ამბობს უფალი“. (რომაელთა 12:19)

სამართლიანია, როცა ღმერთი იძიებს შურს თავისი მონები-სათვის. მაგრამ, უსამართლოა, როცა ღვთის მონები თვითონ იძიებენ შურს. საული იყო ადამიანი, რომელიც თვითონ იძიებ-და შურს თავისთვის. იგი თოთხმეტი წლის განმავლობაში დევნიდა დავითს, პატიოსან ადამიანს. მან დახოცა მღვდლები და მათი ოჯახები.

იმ დროს, როცა დავითი მძინარე საულის წინ იდგა, იგი მნიშ-ვნელოვანი გამოცდის წინაშე იმყოფებოდა. ამით გამოჩნდებო-და დავითის ჭეშმარიტი გულის ზრახვანი. მწყემსის უწინდელი კეთილშობილება, თუ „მეორე“ საულის არაგულწრფელობა და უნამუსობა. დარჩება იგი ღმერთის სათნო მამაკაცად? ბევრად იოლია საკუთარ ხელში აიყვანო ყველაფერი, იმის ნაცვლად, რომ დაელოდო, როდის აღსრულდება ღვთიური სამართლია-ნობა.

ღმერთი ცდის თავის მსახურებს მორჩილებით. იგი სპეციალ-ურად გვაყენებს ისეთ სიტუაციებში, როცა გვგონია, რომ რე-ლიგიისა და საზოგადოების ნორმები ჩვენს ქცევებს ამართლე-ბენ. იგი შესაძლებლობას აძლევს სხვებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩვენი ახლობელია, რომ ნაგვაქეზონ და თავდაცვისაკენ მოგვიწოდონ. მაგრამ ეს ღვთიური გზა არ გახლავთ. ეს არის ამა ქვეყნიური სიბრძნის გზა, მიწიერი და ხორციელი გზა.

როდესაც ვფიქრობდი ჩემს ზევით მდგომი ლიდერის მხ-ილებაზე, მახსოვს, როგორ ვებრძოდი აზრს, რომ, თუ მას არ ამხელდნენ, იგი შეძლებდა ბოროტება მიეყენებინა სხვებისთ-ვის. მაშინ ასე ვფიქრობდი: „მე ხომ მხოლოდ სიმართლეს გა-ვახმაურებ. მე თუ არ გავაკეთებ ამას, მაშ როგორ შეწყდება ეს?“ სხვა ადამიანებიც მირჩევდნენ და მაქეზებდნენ, მემხილე-ბინა იგი.

## როგორ იპატეპიან სულიერი მოხეფიალეები

მაგრამ დღეს ვიცი, რომ ლმერთმა მაშინ ის წერილობითი სამხილი მხოლოდ ერთი მიზნით ჩამიგდო ხელში: რათა გამოვეცადე. გავეხდები ისეთივე ადამიანი, როგორც ის, ვინც ჩემს დაღუპვას ესწრაფვოდა? თუ ადგილს მივცემდი ღვთიურ სასამართლოს ან წყალობას, იმ შემთხვევაში, თუკი ის ადამიანი მოინანიებდა?

### როგორ ვეუძლია ღმერთს, ზეობრივად დაცემულ ლილერიგის გამოყენება?

მრავალი ადამიანი კითხულობს: „რატომ უმორჩილებს ლმერთი ადამიანებს იმ ლიდერების ხელმძღვანელობას, რომელიც სერიოზულ შეცდომებს უშვებენ, ხანდახან კი სრულიად უკანონოები არიან?“

შეხედეთ სამუელის ბავშვობას (1 მეფეთა 2-5), ლმერთმა (არა ეშმაკმა) ეს ახალგაზრდა დაუმორჩილა უზნეო მღვდლის, ელის და მისი ორი ურჯულო ვაჟის, ასევე მღვდლების, ხოთინისა და ფინხასის, ხელმძღვანელობას. მათ ეშმაკობითა და ძალით მიჰქონდათ შესანირავები და მრუშობდნენ იმ ქალებთან, რომელიც შესაკრებელი კარვის შესასვლელთან იკრიბებოდნენ.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ იმ მსახურს ექვემდებარებით, რომელიც ცხოვრების ასეთ წესს მისდევს? მსახურს, რომელიც იმდენად უგრძნობი იყო სულინმიდის მიმართ, რომ ვერ გაარჩია მლოცველი ქალი და სიმთვრალეში დაადანაშაულა! ადამიანს, იმდენად ხორციელს, რომ საშინლად მსუქანი იყო; იმდენად გულგრილს, რომ არ აჩერებდა თავის ვაჟებს, რომელიც პირდაპირ ეკლესიაში მრუშობდნენ.

ქრისტიანების უმრავლესობა დღეს შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ თავებს და სხვა ეკლესიას მოძებნიდნენ. ისინი უამბობდნენ ყველას ყოფილი ხუცესებისა და ლიდერების უკანონო ცხოვრების წესის შესახებ. მე მომწონს ის, რაც ნათქვამია ყმანვილ სამუელზე, რომელიც ასეთ გარყვნილებას შორის ცხოვრობდა: „ყრმა სამუელი უფალს ემსახურებოდა ელისთან ...“ (1 მეფეთა 3:1).

მაგრამ უზნეობამ პიყს მიაღწია: „... უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ ხანებში, ხილვები არ იყო ხშირი“ (1 მეფეთა 3:1). გეგონებოდა, რომ ლმერთი შორს იყო მთელი ებრაელი ხალხისაგან. ლმერთის ლამპარი ეს-ესაა უნდა ჩამქრალიყო უფლის

## სატანის სატყუარა

სახლში. მაგრამ ეძებდა სამუელი თაყვანისცემისათვის სხვა ადგილს? დადიოდა იგი უხუცესებთან, რათა მათ წინაშე ემხილებინა ელის და მისი ვაჟების უკანონო ქმედებები? შექმნა მან კომიტეტი, რათა ხუცესობიდან გადაეყენებინა ელი და მისი ვაჟები? არა, იგი უფალს ემსახურებოდა!

სამუელი იქ ღმერთმა დააყენა და ის არ იყო პასუხისმგებელი ელის და მისი ვაჟების საქციელზე. იგი მათი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა არა იმისათვის, რომ გაესამართლებინა, არამედ იმიტომ, რომ ემსახურა მათ წინაშე. მან იცოდა, რომ ელი ღვთის მონა იყო და უწყოდა, რომ ღმერთი მოაგვარებდა საქმეს თავის მსახურთან.

შვილებს არ ძალუდთ მამების გამოსწორება. მამებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ ასწავლონ შვილებს და გამოსწორონ ისინი. ჩვენ იმათთან უნდა გვქონდეს საქმე, ვინც ღმერთმა გამოგზავნა, რათა გვასწავლოს. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენი ვალი. ხოლო მათ, ვინც ჩვენი დონისაა, უნდა ვამხნევებდეთ და შევაგონებდეთ, როგორც ძმებს. მაგრამ ამ თავში, როგორც წინა თავში, განვიხილავ ჩვენს რეაქციას იმათ საქციელზე, ვინც ჩვენს ხელმძღვანელადაა დაყენებული.

სამუელი ემსახურებოდა ღმერთისაგან დაყენებულ მსახურს ისე კარგად, როგორც შეეძლო მისი გასამართლებისა და გამოსწორების მიზნების გარეშე. ერთად ერთხელ წარმოთქვა მან სიტყვა, როდესაც ელი მივიდა მასთან და სთხოვა, მოეთხო, თუ რა წინასწარმეტყველება მისცა ღმერთმა გასულ დამეს. მაგრამ იმ მოძრაობის კი, ეს იყო გამოსასწორებელი სიტყვა არა სამუელისაგან, არამედ ღმერთისაგან. ხალხის უმრავლესობამ, რომ მიიღოს ეს ჭეშმარიტება, ჩვენი ეკლესიები სრულიად შეიცვლებოდნენ.

## ეკლესიები კაცეტერიები არ გახლავთ

ხშირად ადამიანები მაშინვე ტოვებენ ეკლესიას, როგორც კი რაიმე ნაკლს შეამჩნევენ ხელმძღვანელობას. შეიძლება ისინი უკმაყოფილონი არიან იმით, თუ როგორ აგროვებს ხუცესი შესაწირავებს, ან იმით, როგორ იხარჯება ფული ან არ მოსწონთ ის, რასაც ხუცესი ქადაგებს, ისინი მიდიან ეკლესი-იდან. ხუცესი ან მიუკარებელი ან ზედმეტად მოურიდებელია. ამ სიას ბოლო არ უჩანს. იმის ნაცვლად, რომ სიძნელეებთან

## როგორ იპადეპიან სულიერი მოხეტიალეები

შეჯახებისას, იმედი შეინარჩუნონ, გარბიან იქ, სადაც მათი აზრით, კონფლიქტები არ არის.

მოდით დავეთანხმოთ იმას, რომ იესო გახლავთ ერთადერთი სრულყოფილი ხუცესი. რატომძა გავურბივართ მაშინვე სიძნელეებს, იმის ნაცვლად, რომ პირისპირ შევხვდეთ და გამოვარკვიოთ ისინი? როდესაც არ შეგვიძლია კონფლიქტებში გარკვევა, ჩვეულებრივ, გავნაწყენდებით ხოლმე. ხანდახან ვამბობთ, რომ ჩვენი წინასწარმეტყველური მსახურება არ მიიღეს. შემდეგ დავდივართ ერთი ეკლესიიდან მეორეში, ვეძებთ საკრებულოს, რომელსაც უნაკლო ხელმძღვანელობა ჰყავს.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, მე მხოლოდ ორი ეკლესიის წევრი ვიყავი სხვადასხვა შტატებში (თოთხმეტი წლის განმავლობაში). მქონდა ორზე მეტი (ფაქტიურად კი, ძალიან ბევრი) შესაძლებლობა გავნაწყენებულიყავი ჩემს ხელმძღვანელობაზე (ამასთან, უმეტესად ისინი ჩემი დანაშაულის ან უსუსურობის გამო იყვნენ წარმოშობილნი). მქონდა შანსები კრიტიკული და გამკიცხავი ვყვოფილიყავი ჩემი ხელმძღვანელობის მიმართ. მაგრამ პრობლემები არ მოგვარდებოდა ეკლესიიდან წასვლით. ერთხელაც, როდესაც მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, უფალი დამელაპარაკა ბიბლიის მუხლით:

თუკი ოდესმე მიატოვებ ეკლესიას, მინდა, რომ ეს მხოლოდ ასე გააკეთო:

„რადგან სიხარულით გახლავთ და მშვიდობით იქნებით წატარები“ ... (ესაია 55:12)

ქრისტიანების უმრავლესობა ასე არ მიდის ეკლესიიდან. ისინი ფიქრობენ, რომ ეკლესიები არაფრით განსხვავდებიან კაფეტერიებისაგან, ამიტომ, შეუძლიათ ამოირჩიონ წებისმიერი, რომელიც მოუნდებათ! ისინი თვლიან, რომ სრული წება გააჩნიათ იყვნენ ეკლესიაში იქამდე, ვიდრე იქ პრობლემები არ წარმოიშობა. მაგრამ ეს სრულიადაც არ გახლავთ ის, რასაც ბიბლია გვასწავლის. თქვენ არ წყვეტთ, რომელ ეკლესიაში წახვიდეთ. ღმერთი წყვეტს ამას! ბიბლიაში არ წერია: „ღმერთმა განალაგა ასოები სხეულში თითოეული მათგანი, როგორც მათ წებავდათ.“ არამედ მასში წათქვამია: „და აჲა, ღმერთმა განალაგა ასოები სხეულში თითოეული მათგანი, რო-

## სატანის სატყუარა გორც ნებავდა.“ (1 კორინთელთა 12:18).

გახსოვდეთ, რომ თუ იმყოფებით იმ ადგილას, სადაც ღმერთს უნდა რომ გხედავდეთ, ეშმაკი შეეცდება კონფლიქტების მეშვეობით გამოგაძვოთ იქიდან. თუკი მას გამოუვა ეს, იგი გამარჯვებას ზეიმობს. ხოლო თუ თქვენ ძლიერი წინააღმდეგობის დროსაც არ მიატოვებთ ღმერთის მიერ მიჩენილ ადგილს, ამით ჩამლით ეშმაკის გეგმებს.

### მსჯავრის დადეპის ცდუნება

უკვე რამდენიმე წელი ვმსახურობდი ერთ ეკლესიაში. ჩვენი ხუცესი ერთ-ერთი კარგი მოქადაგე გახლდათ ამერიკაში. როდესაც თავდაპირველად დავიწყე ამ ეკლესიაში სიარული, პირდაღებული ვიჯექი, ვტკბებოდი ბიბლიური სწავლების ძალით, რომელიც მისი ბაგებიდან გამოიდიდა. დროთა განმავლობაში შევუდექი ხუცესთან მსახურებას და იმდენად დავუახლოვდი, რომ შემეძლო მისი ყველა წუნი და ნაკლი დამენახა. ეჭვი შემეპარა მსახურებასთან მიმართებით მისი გადაწყვეტილებების სისწორეში. დავიწყე მისი გაკრიტიკება და გასამართლება. წყენა მტანჯავდა. ის ქადაგებდა, მე კი არავითარ აღმაფრენასა და ცხებულებას არ ვგრძნობდი. მისი ქადაგებები აღარ ეხებოდნენ ჩემს გულს და აღარ მეხმარებოდნენ.

სხვა ცოლ-ქმარი, ვისთანაც ვმეგობრობდით, ასევე ეკლესიის საშტატო თანამშრომლები იყვნენ და თითქოს, ისინიც იმას ამჩნევდნენ, რასაც მე. ღმერთმა გაიყვანა ისინი ეკლესიდან და მათ ცალკე მსახურება წამოიწყეს. ერთხელ მე და ჩემი მეუღლე სტუმრად მიგვიწვიეს. იცოდნენ რა ჩვენი ბრძოლებისა და განცდების შესახებ, გვამხნევებდნენ და გვირჩევდნენ ჩვენს ცხოვრებაში ღმერთის მოწოდების შესაბამისად მოვქცეულიყავით. ისინი გვიამბობდნენ ყველა მარცხისა და შეცდომის შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს ხუცესმა, მისმა ცოლმა და ეკლესიის ხელმძღვანელობამ. ჩვენ, ერთად შეკრებისას, თავებს უიმედოდ და მახეში გაბმულებად ვგრძნობდით.

გვეჩვენებოდა თითქოს ეს წყვილი გულწრფელად ზრუნავდა ჩვენს კეთილდღეობაზე. მაგრამ ეს მსჯელობანი მხოლოდ ამძაფრებდნენ ჩვენს უკმაყოფილებასა და წყენას, ცეცხლზე ნავ-

## როგორ იპატეპიან სულიერი მოხეფიალეები

თის დასხმით. როგორც ნათქვამია იგავში 26:20: „სადაც შემა არ არის, ცეცხლი ჩაქრება, სადაც ენატყანია არ არის, შუღლს ბოლო ელება.“ ის, რასაც ისინი გვეუბნებოდნენ, სიმართლე გახლდათ, მაგრამ ეს ყველაფერი ღმერთის თვალში არ იყო სწორი, ვინაიდან ფიჩებს უმატებდა წყენის ცეცხლს.

„ჩვენ ვიცით, რომ შენ ღმერთის კაცი ხარ, – მეუბნებოდნენ ისინი. – აი, რატომ გაქვს ეს პრობლემები ეკლესიაში.“ მათი სიტყვები ძალიან სასიამოვნოდ ჟღერდა.

მე და ჩემმა ცოლმა უთხარით ერთმანეთს: „კმარა. საშინელ სიტუაციაში აღმოვჩნდით. უნდა გავიდეთ ამ ეკლესიიდან. მეგობრებს უყვარვართ. ისინი კარგ სულიერ დამრიგებლობას გაგვიწევენ. ხალხი მათ ეკლესიაში მიგვიღებს ჩვენ და იმ მსახურებას, რომელიც ღმერთმა მოგვცა.“

ჩვენ წავედით ეკლესიიდან და დავიწყეთ სიარული იმ ეკლესიაში, რომელსაც ეს ცოლ-ქმარი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ეს რამოდენიმე თვე გრძელდებოდა. თუმცა გადავწყყვიტეთ, რომ შევძლით პრობლემებს გავქცეოდით, შევნიშნეთ, რომ ჩვენში შინაგანი დისკომფორტი გრძელდებოდა. არ განვიცდით სიხარულს სულში. ჩვენ გებოჭავდა შიში, რომ ისეთები გავხდებოდით, როგორც ისინი, ვინც ცოტა ხნის წინ მივატოვეთ. გვეჩვენებოდა, რომ რასაც ვაკეთებდით, ჩვენს მიერ იძულებით და არაბუნებრივად სრულდებოდა. არ შეგვეძლო სულის ნაკადში შესვლა. ახლა ახალ ხუცესთან და მის ცოლთან დაიძაბა ჩვენი ურთიერთობები.

ბოლოს და ბოლოს შევიგნე, რომ უნდა დავბრუნდეთ ჩვენს ეკლესიაში. გავაკეთეთ ეს და ვიგრძენით, რომ ახლა ისევ ვიმყოფებით ღმერთის ნებაში, თუმცა გარეგნულად ჩანდა, რომ სხვა ადგილას უფრო მეტად მიგვიღებდნენ და შეგვიყვარებდნენ.

შემდეგ ღმერთმა მითხრა: „ჯონი, მე არასოდეს მითქვამს, რომ ამ ეკლესიიდან გასულიყავი. ეკლესიიდან შენ წყენის გამო წახვედა!“

კონფლიქტში დამნაშავენი ვიყავით ჩვენ და არა სხვა ხუცესი და მისი ცოლი. მათ ესმოდათ ჩვენი და ცდილობდნენ იგივე საკითხები თავიანთ გულებში გადაეჭრათ. როცა თქვენ არ იმყოფებით ღმერთის ნებაში, არ იქნებით კურთხევა და დახმარება არც ერთი ეკლესიისათვის. როდესაც ღმერთის ნების გარეთ ხართ, ყველაზე კარგი ურთიერთობებიც კი დაძაბული

## სატანის სატყუპარა

და არაბუნებრივი იქნება. მე და ჩემი ცოლი მაშინ ღმერთის ნებიდან გამოვედით.

განაწყენებული ადამიანები არასწორად რეაგირებენ ვითარებებზე და აკეთებენ იმას, რაც მხოლოდ გარეგნულად ჩანს სწორი, მაგრამ არ არის შთაგონებული ღმერთისაგან. ჩვენ მონიდებულნი ვართ არა საიმისოდ, რომ ჩვენს ემოციებში ვიხარშებოდეთ, არამედ საიმისოდ, რომ ვმოქმედებდეთ.

თუკი ღმერთის მორჩილნი ვართ და ვეძებთ მას, ის კი არაფერს გვეუბნება, იცით, პასუხი როგორია? ის, ალბათ გეუბნებათ: „იყავი იქ, სადაც ხარ. ნურაფერს შეცვლი.“ ხშირად, განვიცდით რა ზენოლას, ვეძებთ სიტყვას ღმერთისაგან, რათა შვება ვიგრძნოთ. მაგრამ ღმერთი გვათავსებს ქურაში იმისათვის, რომ ვინმინდებოდეთ, ვმაგრდებოდეთ და მონიფულობას ვაღწევდეთ, და არა იმისათვის, რომ დავიღუპოთ!

ერთ თვეში მომეცა საშუალება ჩემი ეკლესიის ხუცესს შევხვედროდი. მე მოვინანიე კრიტიკა და ამბოხი. მან დიდსულოვნად მაპატია. ჩვენი ურთიერთობები განმტკიცდა და სიხარული დაუბრუნდა ჩემს გულს. ისევ ვღებულობდი დარიგებებს ხუცესის ქადაგებებიდან და კარგა ხანი დაგრჩი ამ ეკლესიაში.

## დარგულნი ყვავიან

ფსალმუნში 91:14 ბიბლია ამბობს: „უფლის სახლში დარგულნი, ჩვენი ღმერთის ეზოებში აყვავდებიან.“ შენიშნეთ, რომ სწორედ უფლის სახლში „დარგულნი“ ყვავიან. რა მოუვა მცენარეს, თუკი მას ყოველ სამ კვირაში ერთხელ სხვაგან გადარგავთ? მრავალმა თქვენთაგანმა იცის, რომ მისი ფესვთა სისტემა დაავადდება და შემცირდება, და იგი ვერ შეძლებს ნორმალურ განვითარებას. თუკი მის გადარგვას გააგრძელებთ, მცენარე შოკისაგან დაიღუპება!

მრავალნი გადადიან ეკლესიიდან ეკლესიაში, ერთი მსახურებიდან მეორეში, რათა სრულყონ საკუთარი მსახურება. თუ ღმერთი მათ აყენებს იქ, სადაც არ აღიარებენ და არ ამხნევებენ, მათ ეს სწყინთ. თუკი რამეს არ ეთანხმებიან, სტოვებენ ეკლესიას. წასვლისას კი ხელმძღვანელობას ადანაშაულებენ. ისინი ბრმები არიან და ვერ ხედავენ ნაკლოვანებებს საკუთარ ხასიათში, ვერ აცნობიერებენ, რომ ღმერთს სურს განწმინდოს და სრულყოს ისინი იმ ზენოლით, რომელსაც განიცდიან.

## როგორ იპადეპიან სულიერი მოხეტიალეები

მოდით, ვისწავლოთ იმ მაგალითებზე, რომლებსაც ლმერთი გვიჩვენებს მცენარეებისა და ხეების მეშვეობით. მიწაში ჩარგულ ხეხილს შეჯახება უწევს წვიმიან ქარიშხლებთან, მწველ მზესთან და ქართან.

ახალგაზრდა ხეს ლაპარაკი რომ შესძლებოდა, ალბათ იტყოდა: „გთხოვთ, მომაშორეთ აქედან! ჩამრგეთ იქ, სადაც არ არის საშინელი სიცხე, ქარები და ქარიშხლები!“

მებაღეს ხისათვის რომ დაეჯერებინა, იგი მართლაც დააზიანებდა მას. როდესაც ხეები განიცდიან მწველ მზეს ან ქარიშხლებს, ისინი უფრო ღრმად იდგამენ ფესვებს. ის სიძნელეები, რომლებსაც აწყდებიან, საბოლოოდ მათთვის მეტი ამტანობის წყარო ხდებიან. გარემომცველი პირობების სიმკაცრე აიძულებს მათ სიცოცხლის სხვა წყარო ექებონ. დადგება ის დღე, როცა ისინი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რომ ყველაზე დიდი ქარიშხლებიც კი ვერ იმოქმედებენ მათ უნარზე, გამოიღონ ნაყოფი.

მე ვცხოვრობ ფლორიდაში, ციტრუსების დედაქალაქში. ფლორიდის მოსახლეობის უმეტესობამ იცის, რომ რაც უფრო ცივია ზამთარი, მით უფრო ტკბილია ფორთოხალი. ჩვენ რომ ასე სწრაფად არ გავურბოდეთ სულიერ წინააღმდეგობას, ჩვენს ფესვთა სისტემას ექნებოდა შანსი გაძლიერებულიყო და უფრო ღრმად ჩასულიყო მინაში, ჩვენი ნაყოფი კი იქნებოდა უხვი და სასიამოვნო ღმერთის თვალში, და უფრო მადიანი და გემრიელი მისი ხალხისათვის! ჩვენ ვიქნებოდით ზრდას-რული ხეები, რომლებითაც უფალი აღფრთოვანდებოდა, იმის ნაცვლად, რომ ვიყოთ ხეები, რომლებიც უგულებელჲყვეს ნაყოფის უქონლობის გამო. (იხ. ლუკა 13:6-9). ჩვენ არ უნდა ვენინააღმდეგებოდეთ იმას, რასაც უფალი სპეციალურად გვიგზავნის სულიერი ზრდისათვის.

მეფსალმუნე დავითმა, სულინმიდით შთაგონებულმა, გვიჩვენა, რა ძლიერია კავშირი წყენას, ღმერთის კანონსა და ჩვენს სულიერ ზრდას შორის. პირველ ფსალმუნში იგი წერდა:

„ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმერთოთა რჩევას, და ცოდვილთა გზას არ ადგას, არ ზის ავყიათა საკრებულოში, არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ!“  
(ფსალმუნი 1:1-2)

## სატანის სატყუარა

შემდეგ ფსალმუნში 118:165 იგი გვაძლევს კიდევ ერთ გა-  
მოცხადებას ადამიანებზე, რომელთაც უყვართ ღმერთის  
კანონები:

დიდია მშვიდობა შენი რჯულის მოყვარულთა, და არ არსე-  
ბობს მათთვის დაბრკოლება. („არათერს შეუძლია მათი წყენა  
და ცდუნება“ – ინგლისურ ტექსტში).

პირველი ფსალმუნის მესამე მუხლში, ბოლოს და ბოლოს,  
აღნერილია ასეთი ადამიანის ბეჭი:

„და იქნება წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის  
დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ დაჭკნება  
და ყოველივეში რასაც იქმს, წარმატებულია.“ (ფსალმუნი 1:3).

სხვა სიტყვებით, მორწმუნე, რომელიც გასაჭირისას ღმერ-  
თის სიტყვაში პოულობს დაკმაყოფილებას, ყოველგვარ წყენას  
აირიდებს და აღარაფერი დააბრკოლებს. ეს ადამიანი იქნება  
ხესავით, რომლის ფესვებიც ღრმად ჩადის, იქ, სადაც სული-  
წმიდა აძლევს ძალასა და საკედას. იგი ხაპავს ღვთიური წყ-  
აროდან თავისი სულის სიღრმეში. ეს გაამაგრებს მას და იმ-  
დენად მოამწიფებს, რომ განსაცდელები ნაყოფს გამოილებენ.  
ალილუია!

ახლა კი ჩავუდრმავდეთ იესოს მიერ მთესველის შესახებ  
ნათქვამი იგავის განმარტების აზრს.

„ასევე კლდოვანზე დათესილნი: ისინი არიან, რომლებიც  
როგორც კი სიტყვას მოისმენენ, მაშინვე სიხარულით  
მიიღებენ მას. მაგრამ ფესვი არ გააჩნიათ თავის თავში  
და ხანმოკლენი არიან და, როგორც კი დგება გასაჭირი  
ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცდუნდებიან“. (მარ-  
კოზი 4:16-17)

როგორც კი მიატოვებთ იმ ადგილს, რომელიც ღმერთმა  
ამოვირჩიათ, თქვენი ფესვთა სისტემა წყვეტს განვითარებას.  
შემდეგში თქვენთვის უფრო ადვილი იქნება გაერიდოთ უსი-  
ამოვნებებს, ვინაიდან, ძალიან ცდილობდით ღრმად არ გაგ-  
ედგათ ფესვები მიწაში. საბოლოოდ, ისეთ მდგომარეობაში ალ-  
მოჩნდებით, რომ საერთოდ არ გექნებათ ძალა გადაიტანოთ  
მწუხარება და დევნა. შემდეგ სულიერ მოხეტიალედ იქცევით,  
გადადიხართ ერთი ადგილიდან მეორეზე და ეჭვის თვალით

## როგორ იპადეპიან სულიერი მოხეტიალეები

უყურებთ ყველას შიშის გამო, რომ ისინი ცუდად მოგექცევიან. ხართ ხეიბარი და უუნარო, რომ ჭეშმარიტი სულიერი ნაყოფი გამოილოთ. იკეტებით თქვენს ეგოცენტრულ ცხოვრებაში და იკვებებით ქრისტიანთა ნაყოფების ნარჩენებით.

შეხედეთ კაენს და აპელს, ადამის პირველ ვაჟიშვილებს. კაენმა ღმერთს შესწირა თავისი ხელების ნამოქმედარი, მინათ-მოქმედების ნაყოფი. ეს ნაყოფი ბევრი შრომით იყო მოყვანილი. მას უნდა გაესუფთავებინა მინა ქვებისაგან, ძირკვებისა და მონატანი ქანებისაგან. ნიადაგი უნდა მოეხნა და მისი კულტივაცია მოეხდინა. მას უნდა დაერგა, მოერწყა, გაენოყიერებინა და დაეცვა თავისი მოსავალი. მან ღმერთის მსახურებისათვის ყოველი ღონე იხმარა. ეს გახლავთ სიმბოლო ღმერთის თაყვანისცემისა საკუთარი ძალითა და უნარით, და არა ღვთის ნების მორჩილების.

ხოლო აპელმა, პირიქით, მოიტანა მორჩილების შესაწირავი: საუკეთესო პირმშო თავისი ფარიდან და ქონი. მას არ უშრომია ისე, როგორც კაენს, რათა ეს კრავი წარმოქმნა, მაგრამ ეს ცხოველი ძვირფასი იყო მისთვის. ორივე ძმას გაგონილი ჰქონდა მამისა და დედისაგან, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი ოდეს-ლაც საკუთარი სიშიშვლე ლელვის ფოთლებით დაეფარათ, რაც მათი საკუთარი საქმეების ანარეკლი გახლდათ, რომლებ-საც ისინი ცოდვის დასაფარად იყენებდნენ. მაგრამ ღმერთმა უჩინებ მისთვის მისალები მსხვერპლი, როდესაც ადამი და ევა უდანაშაულო ცხოველის ტყავით შემოსა. იქამდე ადამმა და ევამ არ იცოდნენ საკუთარი ცოდვის თვითნებური დაფარვის მიუღებლობის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ ღვთიური გზა ეჩვენათ, მიხვდნენ, თუ ვის გააჩნდა მათი ცოდვის დაფარვის უნარი. ზუსტად იგივე შეეხებოდათ მათ შვილებსაც.

კაენს უნდოდა ღმერთის მოწონება დაემსახურებინა ისე, რომ ღმერთის რჩევა არ გაეთვალისწინებინა. ღმერთმა აჩვენა, რომ ღებულობს მათ, ვინც მასთან მისი მადლის (აპელის მსხვერპლი) საფუძველზე მიდის, და უარყოფს იმას, რაც კეთდება „კეთილისა და ბოროტის შემეცნების“ საფუძველზე (კაენის რელიგიური საქმეები). შემდეგ ღმერთმა დამოძღვრა კაენი, აუხსნა, რომ თუ იგი კეთილს ჩაიდენს – მიღებული იქნება; მაგრამ თუ ბოროტს აირჩევს – მაშინ ბოროტი დასძლევს.

კაენი განაწყენდა უფალზე. იმის ნაცვლად, რომ მოენანიებინა და თავისი ცხოვრება შეეცვალა, თავის ძმაზე, აპელზე გადმოღვარა რისხვა და წყენა, რომლებიც ღმერთის წინააღმ-

## სატანის სატყუარა

დეგ იყვნენ მიმართულნი. მან მოკლა აპელი. ღმერთმა დაწყევ-  
ლა კაენი:

„ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახ-  
სნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელი-  
დან. დაამუშავებ მინას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის  
ძალას; დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე“.  
(დაბადება 4:11-12)

იყო ღმერთისაგან უარყოფილი ... ის, რისაც კაენს  
ყველაზე მეტად ეშინოდა, მისი დანამაულის გამო მოხდა. ის  
გარემო (მინა), რომლის მეშვეობითაც იგი ცდილობდა ღმერ-  
თის მოწონება დაემსახურებინა, ახლა მისი საკუთარი ხელით  
იყო დაწყევლილი. სისხლისღვრამ წყევლა მოიტანა. მინას  
აღარ უნდა მიეცა მისთვის თავისი ძალა. ახლა ნაყოფი უდიდე-  
სი ძალისხმევის გამოყენებით უნდა მიეღო.

ნაწყენი ქრისტიანები ნაყოფის გამოღების მათდამი ბო-  
ძებულ უნარს თვითონვე ისპობენ. მთესველის შესახებ იგავში,  
იესო გულს ნიადაგს ადარებს. როგორც კაენის ყანები გახდ-  
ნენ უნაყოფონი, ზუსტად ასეთივე უნაყოფოა განაწყენებული  
გულის ნიადაგი, რომელიც სიმწრით არის მოწამლული. ნაწყე-  
ნი ადამიანები, შესაძლოა, თავიანთ ცხოვრებაში უწინდებურად  
ხედავდნენ სასწაულებს, წინასწარმეტყველებებს, ძლიერ ქად-  
აგებებსა და განკურნებებს. მაგრამ ეს ყველაფერი გახდავთ  
სულიინდის ნიჭი, და არა ნაყოფები. ჩვენ კი გავსამართლდებ-  
ით ჩვენი ნაყოფების მიხედვით, და არა ნიჭის მიხედვით. ნიჭი  
ეძლევა, ხოლო ხაყოფი მუშავდება და იზრდება.

შენიშნეთ, ღმერთმა თქვა, რომ კაენი თავისი საქციე-  
ლის გამო განდევნილი და მოხეტიალე გახდებოდა. დღეს ჩვენს  
ეკლესიებში მრავალი სულიერი ლტოლვილი, განდევნილი და  
მოხეტიალეა. მათი ნიჭი სიმღერაში, ქადაგებაში, წინასწარმე-  
ტყველებასა და სხვაში, არ მიიღეს წინამორბედი ეკლესიების  
ლიდერებმა, ამიტომ ისინი წავიდნენ იქიდან. ეს ადამიანები  
უმიზნოდ დაეხეტებიან, თავისში წყენას ატარებენ და ეძებენ  
სრულყოფილ ეკლესიას, რომელიც მიიღებს მათ ნიჭს და მათ  
ქრილობებს განკურნავს.

ისინი საკუთარ თავებს დაჭრილებად და დევნილებად  
მიიჩნევენ. ფიქრობენ, რომ თანამედროვე იერემიებს წარმოად-  
გენენ. არიან მხოლოდ „ისინი და ღმერთი“, ხოლო ყველა დან-

## როგორ იპატეპიან სულიერი მოხეტიალეები

არჩენი მათ დაღუპვას ესწრაფვის. ისინი სწავლაში უუნარონი ხდებიან. მათ, ჩემი განსაზღვრებით, „დევნის კომპლექსი“ უჩნდებათ: ყველა მე მდევნის. თავს იმით იმშვიდებენ, რომ არიან ღმერთის წმინდანები ან წინასწარმეტყველები, რომელთაც ყველა დევნის. ისინი ყველას ეჭვის თვალით უყურებენ. ეს სწორედ ის გახლავთ, რაც კაენს დაემართა. ნახეთ რას ამბობს:

„დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა“. (დაბადება 4:14)

ნახეთ, კაენს გააჩნდა „დევნის კომპლექსი“: თითქოს ყველა ადამიანი მას დევნილა! დღესაც ზუსტად იგივე ხდება. ნაწყენი ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველა მათზე ნადირობს. ამ პოზიციის გამო, მათთვის ძალიან რთულია დაინახონ თავიანთ ცხოვრებაში ის მხარეები, რომლებიც შეცვლას საჭიროებენ. ისინი განცალკევდებიან და ისე მოქმედებენ, რომ თავად ახდენენ სხვათა პროვოკირებას, რათა ისინი ცუდად მოგვეპყრან მათ.

„ზოგიერთებს არ უნდათ სხვა ადამიანებთან ყოფნა, აკეთებენ მხოლოდ იმას, რაც სურთ და ჯანყდებიან, როცა მათ კეთილ რჩევას აძლევენ“ (იგავნი 18:1. – თანამედროვე თარგმანი).

ღმერთმა შეგვქმნა არა იმისათვის, რომ სხვებისაგან დამოუკიდებლად, სრულ იზოლაციაში გვეცხოვრა. მას მოსწონს, როცა მისი შვილები ზრუნავენ ერთმანეთზე. უფალი დანალვლიანებულია, როდესაც ვიბუტებით, ვბრაზდებით და გვებრალება საკუთარი თავები, სხვებს კი დამნაშავეებად მივიჩნევთ ჩვენს უბედურებაში. მას სურს, რომ ჩვენ მისი ოჯახის აქტიური წევრები ვიყოთ, მისგან ვიღებდეთ სიცოცხლეს. ადამიანი, რომელსაც არ უნდა სხვებთან ყოფნა, ეძებს მხოლოდ თავის ახირებას და არა იმას, რაც ღმერთს სურს. ის არავის რჩევას არ უსმენს და ღია ხდება ცდუნებისათვის.

მე არ ვლაპარაკობ ისეთ პერიოდებზე, როდესაც ღმერთი მოუწოდებს ადამიანს განცალკევდეს იმისათვის, რომ დაისვენოს და მომაგრდეს სიტყვაში. ვლაპარაკობ იმაზე, ვინც თვითონ მოიმწყვდია თავი ციხეში. ისინი დაეხეტებიან ერთი

## სატანის სატყუარბ

ეკლესიიდან მეორეში, ერთიმეორის მიყოლებით არღვევენ ურთიერთობებს და საკუთარ სამყაროში არიან იზოლირებულნი. თვლიან, რომ ყველა, ვინც მათ არ ეთანხმება, არ არის მართალი და მათ წინააღმდეგ არის განწყობილი. თავს იცავენ იზოლაციის მეშვეობით და უსაფრთხოებას გრძნობენ მხოლოდ მათ მიერ შექმნილ და კონტროლირებად გარემოცვაში. მათვის აღარა აქვს აზრი საკუთარი ხასიათის ნაკლოვანებებში გარკვევას. იმის ნაცვლად, რომ პირისპირ შეხვდნენ სიძნელებს, ცდილობენ გაექცნენ განსაცდელებს. ხასიათის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციებში, ხოლო წყდება განვითარება, როდესაც წყენის ახალი ციკლი იწყება.



Ըստ Եղիշ Ցոլովիս, Տայարու  
Ես սկսում եմ պահեք  
Հայոց երաժշտ, Յոնադան  
Ծրագր, Բայազետը,  
Սեբաս Եղիշի

## თავი 6

### სინამდვილისაჩან გაძცევით

„... რომლებიც მუდამ სწავლობენ და ვერასოდეს აღნევენ ჭეშმარიტების შეცნობას“.

2 ტიმოთეს 3:7

**ბ**შირად მეკითხებიან: „როდის უნდა მივატოვო ეკლესია ან მსახურება? რამდენად ცუდი სიტუაცია უნდა შეიქმნას იქ, რომ ამის გაკეთება შევძლო?“

მე ვპასუხობ: „ვინ გაგგზავნათ ეკლესიაში, რომელშიც ამ- ჟამად იმყოფებით?“

ძირითადად მპასუხობენ „ღმერთმა“. მაშინ ვეუბნები: „თუ ღმერთმა გაგგზავნათ, მაშინ ნუ წახვალთ, ვიდრე ღმერთი არ დაგროვთ ამის ნებას. თუკი უფალი არაფერს გეუბნებათ და დუმს მას ამის თქმა სურს: „ნურაფერს შეცვლი. ნუ წახვალ. დარჩი იქ, სადაც დაგაყენე!“

თუ ღმერთი გიბრძანებთ ეკლესიიდან წასვლას, წახვალთ მშვიდობით, როგორიც არ უნდა იყოს იქ შექმნილი მდგო- მარება.

„რადგან სიხარულით გახვალთ და მშვიდობით იქნებით ნატარები ...“. (ესაია 55:12)

ამგვარად, ეკლესიიდან თქვენი გამოსვლა დაფუძნებული იქნება არა სხვა ადამიანთა მოქმედებებსა და ქცევებზე, არ- ამედ სულინმიდის წინამძლოლობაზე. მსახურების მიტოვე- ბის გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს თქვენს შთაბე- ჭდილებებს.

## სატანის სატყუარა

ღმერთის ნება არ გახლავთ ის, რომ მორწმუნები ტოვებდნენ ეკლესიას წყენისა და გასამართლების სულით. ასეთი საქციელი ნიშნავს, რომ ადამიანი გარემოებებზე უფრო რეაგირებს, ვიდრე წმინდას სულის წინამძღოლობაზე. რომაელთა წერილის 8:14-ში ნათქვამია: „რადგან ისინი, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღვთის შვილები არიან.“ ნახეთ, აქ არის ნათქვამი: „რადგან ისინი, ვინც რეაგირებს მძიმე ვითარებებზე, ღვთის შვილები არიან.“

ახალ აღთქმაში ნახმარ სიტყვას „შვილი“, თითქმის ყველა შემთხვევაში ორი ბერძნული სიტყვა შეესაბამება: ტექნონი და ხიუოსი. სიტყვა ტექნონი ასე შეიძლება განვსაზღვროთ: ის, ვინც არის შვილი დაბადების ფაქტის მიხედვით.\*

როდესაც ჩემი პირველი ვაჟი, ედისონი, დაიბადა, იგი გახდა ჯონი ბევირის შვილი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემგან და ჩემი ცოლისაგან წარმოიშვა. როდესაც სამშობიარო სახლში იყო, სხვა ახალშობილებთან ერთად, თქვენ მას ვერ განასხვავებდით სხვა ჩვილებისაგან. ჩემი ახლობლები და მეგობრები, რომელნიც სამშობიაროში მოდიოდნენ, ვერ ცნობდნენ მას სხვა ახალშობილებს შორის. შეიძლება ეცნოთ მხოლოდ საჭდით, რომელიც მის საწოლს ეკეთა. მასში არ იყო არაფერი ისეთი, რაც მას დანარჩენებისაგან გამოარჩევდა. ედისონი, ამ შემთხვევაში, ჯონი და ლიზა ბევირების ტექნონად ჩაითვლებოდა.

---

\*სტატიაში „ძე“ ახალი აღთქმის სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში, რომელიც შედგენილია ვაინის მიერ, ავტორმა მოყვანა ეს სერიოზული მტკიცებულებები განსხვავების შესახებ, დაბადების ფაქტის გამო არსებულ შვილსა (ტექნონი) და იმას შორის, რომელიც შვილი გახლავთ მამამისის ხასიათთან მსგავსების საფუძველზე (ხიუოსი).

\*, „განსხვავება მორწმუნებს, ანუ როგორც ღმერთის შვილებსა (ტექნონი) და როგორც ღმერთის ძეებს შორის (ხიუოსი) ნაჩვენებია რომაელთა მიმართ წერილში 8:14-21. ეს სული უმოწმებს მათ სულს, რომ ისინი „ღვთის შვილები“ არიან, და ამიტომ არიან მისი მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი. აქ ხაზგასმულია მათი სულიერი დაბადების ფაქტი (16-17 მუხლებში). მაგრამ, მეორე მხრივ, „ისინი, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღვთის შვილები არიან“, ანუ „მხოლოდ ასეთი მორწმუნები და არა სხვები“. მათი საქციელი ღმერთ-

## სინამდვილისაგან გაძცდევით

თან ურთიერთობის ხარისხზე და მის ხასიათთან მსგავსებაზე მონმობს. უფალმა იქსომ განსაკუთრებულად გამოიყენა სიტყვა ხიუოსი მათეს 5:9-ში: „ნეტარ არიან მშვიდობის მოქმედნი, ვინაიდან ღვთის ძეებად იწოდებიან“ და 44, 45 მუხლებში: „.... გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულებს და ილოცეთ მათვის, ვინც თქვენ გავინროებთ და გდევნით ... რათა იყვეთ თქვენი ზეციერი მამის ძენი“. იქსომ მონაფები ამ მცნების მიხედვით უნდა იქცეოდნენ არა იმისათვის, რომ ღმერთის შვილები გახდნენ, არამედ იმისათვის, რომ შვილებად ყოფნისას (შენიშნეთ, რომ აქ ყველგან ნახმარია გამოთქმა „თქვენი მამა“), მათ შეძლონ იმის მიღწევა, რომ ეს გამოვლინდეს მათ ხასიათში, რათა ისინი „ძეები გახდნენ“ (იხილე ასევე 2 კორინთელთა 6:17, 18).

ჩვენ ვხედავთ, რომ სიტყვა ჭექნონ ნახმარია რომაელთა წერილის 8:15-16-ში. აქ ნათქვამია, რომ ვინაიდან მივიღეთ შვილობის სული, „სწირედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები (ტექნონი) ვართ“. როდესაც ადამიანი ღებულობს იქსო ქრისტეს, როგორც უფალს, იგი ხდება უფლის შვილი, ხელახლა შობის, ზეციდან შობის ფაქტის წყალობით. (იხ. ოთან 1:12).

მეორე ბერძნული სიტყვა, რომელიც ახალ აღთქმაშია მოყვანილი როგორც „ძეები“, გახლავთ სიტყვა ხიუოსი. ახალ აღთქმაში იგი მრავალჯერ გამოიყენება იმ ადამიანის აღსანერად, რომელიც შეიძლება ამოიცნოთ როგორც შვილი, ვინაიდან იგი მშობლების ნიშანთვისებებს გამოხატავს.

როცა ჩემი ედისონი წამოიზარდა, ისე გამოიყურებოდა და ისე იქცეოდა, როგორც მამამისი. ექვსი წლის რომ გახდა, მე და ჩემი მეუღლე საქმეებზე წავედით და იგი მშობლებთან დავტოვეთ. დედაჩემმა შემდეგ ჩემს ცოლს უთხრა, რომ ედისონი ზედგამოჭრილი მამაა. ხასიათით იგი ძალიან მგავდა მე, მის ასაკში რომ ვიყავი. როცა გაიზარდა, იგი უფრო მეტად დაემსგავსა მამამისს. ახლა მისი ცნობა შეიძლება, როგორც ჯონი ბევირის შვილისა, არა მხოლოდ მისი დაბადების ფაქტის მიხედვით, არამედ ხასიათის თვისებებითაც, რომლებიც მამის თვისებებს მოგვაგონებენ.

## სატანის სატყუარა

მარტივად რომ ვთქვათ, ბერძნული სიტყვა ტექნონი ნიშნავს ჩვილებს ან უმნიფარ შვილებს, ხოლო სიტყვა ხიუსი გამოიყენება მოწიფული შვილების მიმართ.

მოდით ისევ ვნახოთ, რა არის ნათქვამი რომაელთა წერილის 8:14-ში: „რადგან ისინი, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღვთის შვილები (ხიუსი) არიან.“ ჩვენ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რომ სწორედ მოწიფული შვილები არიან ღვთის სულით წარმართულნი. უმნიფარ ქრისტიანებს არ შეუძლიათ სრულიად მისდიონ ღმერთის სულის წინამძღოლობას. უმტეს შემთხვევებში ისინი რეაგირებენ გარემოებებზე, რომლებსაც ემოციურად ან ინტელექტუალურად აწყდებიან. მათ ჯერ ვერ ისწავლეს მოქმედება მხოლოდ ღმერთის სულის წინამძღოლობის საფუძველზე.

ედისონის ზრდასთან ერთად მისი ხასიათი განვითარდება. რაც უფრო მოწიფული გახდება, მით უფრო მეტ პასუხისმგებლობას დავაკისრებ მას. ძალიან ცუდი იქნება, თუკი იგი უმნიფარი დარჩება. ღმერთის ნება არ გახლავთ, რომ ჩვილებად ვრჩებოდეთ.

ერთ-ერთი გზა, რომლის მეშვეობითაც ვითარდებოდა ჩემი შვილის, ედისონის ხასიათი, იყო რთულ სიტუაციებთან შეჯახება. როცა მან სკოლაში სიარული დაიწყო, რამოდენიმე მოჩეუბარს დაუპირისპირდა. მე ზოგი რამ შევიტყვე, რას აკეთებდნენ ან ლაპარაკობდნენ ეს უხეში ბავშვები ჩემი შვილის წინააღმდეგ. მინდოდა მისვლა და საქმეში გარკვევა. მაგრამ მესმოდა, რომ ეს არასწორი იქნებოდა: ჩემი ჩარევა დააბრკოლებდა ედისონის ზრდას. ამიტომ, მე და ჩემი მეუღლე ვაგრძელებდით მისთვის რჩევების მიცემას შინ და ამით მას სკოლაში დევნისათვის ვამზადებდით. მისი ხასიათი ტანჯვებითა და ჩვენი რჩევებისადმი მორჩილებით მტკიცდებოდა.

ეს მსგავსია იმისა, თუ ღმერთი როგორ გვექცევა ჩვენ. ბიბლია ამბობს: „თუმცა ის (იესო) იყო ღმერთის ძე (ხიუსი), მაგრამ ისწავლა მორჩილებით ყველაფრით, რაც იგემა.“ (ეპრაელთა 5:8. – თანამედროვე თარგმანი).

ფიზიკური ზრდა – ეს დროის საკითხია. არც ერთი ბავშვი, ორი წლის ასაკში, არ არის სიმაღლით 180 სანტიმეტრი. ინტელექტუალური ზრდა სწავლების პროცესში მიმდინარეობს. მაგრამ სულიერ ზრდას არ სჭირდება დრო და სწავლება – ეს მორჩილების საკითხია. ახლა კი ვნახოთ, რას ამბობს პეტრე:

## სინამდვილისაგან გაძლიერით

„რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც  
აღიჭურვეთ იმავე აზრით. ვინაიდან, ვინც კი ხორციე-  
ლად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა ...“. (1 პეტრე  
4:1)

ადამიანი, რომელმაც შეწყვიტა ცოდვის ჩადენა, ღმერთის  
სრულიად მორჩილი შვილი გახლავთ. იგი მოწიფულია და  
ირჩევს ღმერთის გზებს, და არა თავის გზებს. როგორც იე-  
სომ ისნავლა მორჩილება ტანჯვების გადატანით, ჩვენც ასევე  
ვსწავლობთ მორჩილებას მძიმე გარემოებების მეშვეობით.  
როდესაც ვემორჩილებით ღმერთის სიტყვას, რომელიც სული-  
წმიდის მიერ არის ნათქვამი, მაშინ კონფლიქტებისა და ტან-  
ჯვების დროს ვიზრდებით და მოწიფულობას ვაღწევთ. წმინდა  
წერილის ცოდნა არ ნარმოადგენს სულიერი ზრდის გასაღებს.  
გასაღები გახლავთ მორჩილება.

ახლა გვესმის ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გვყავს  
ეკლესიებში ხალხი, რომელნიც ათეული წლებია ქრისტიანე-  
ბი არიან, შეუძლიათ ბიბლიის მუხლებისა და მთელი თავე-  
ბის ციტირება, მოუსმენიათ ათასობით ქადაგება და მრავალი  
წიგნი წაუკითხავთ, მაგრამ კვლავ სულიერი საფენებით და-  
იარებიან. ყოველთვის, როცა რთულ სიტუაციებს აწყდებიან,  
ამის ნაცვლად, რომ სულიწმიდის წინამძლოლობის შესაბამის-  
ად მოიქცნენ, ესწრაფიან თავისებურად დაიცვან თავი. ისინი  
მუდამ სწავლობენ, მაგრამ ვერ აღწევენ ჭეშმარიტების შემეც-  
ნებას. (იხ. 2 ტიმოთეს 3:7). ვერ მიდიან ჭეშმარიტების შეცნო-  
ბამდე, ვინაიდან არ იყენებენ მას თავიანთ ცხოვრებაში. თუ  
გადაწყვეტ გაიზარდოთ სულიერად და მოწიფულობას მიალ-  
წიოთ, მიეცით ჭეშმარიტებას სრული თავისუფლება თქვენს  
ცხოვრებაში. საკმარისი არ გახლავთ გონებით დაეთანხმოთ  
მას და არ დაემორჩილოთ. სწავლის გაგრძელებითაც კი, ვერა-  
სოდეს გავხდებით მოწიფულები, თუ მორჩილები არ ვიქნებით.

## თვითგადარჩენა

ჩვეულებრივ, თავდაცვის გამართლება, რომელიც დაუმორ-  
ჩილებლობის მეშვეობით ხორციელდება, გახლავთ წყენა. წყე-  
ნის დაფარვა – ნიშნავს გქონდეს თავდაცვის ცრუ გრძნობა.  
იგი გიშლით ხელს საკუთარ ხასიათში ნაკლის დანახვაში და

## სატანის სატყუარა

იძულებულს გხდით სხვა ადამიანი დაადანაშაულოთ. მაშინ თქვენ არ გჭირდებათ გაერკვეთ თქვენს საქციელში, უმწიფრობასა და ცოდვაში, იმიტომ, რომ მხოლოდ იმ ადამიანის ნაკლს ხედავთ, ვინც გაწყენინათ. მაშასადამე, ღმერთის მცდელობა, თქვენი ხასიათი კონფლიქტის გადალახვით განავითაროს, თქვენითვე ინგრევა. განაწყენებული ადამიანი გაურბის წყენის სათავეს და საბოლოოდ სულიერ მოხეტიალედ იქცევა ხოლმე.

ახლახან ერთმა ქალბატონმა მიამბო თავისი მეგობრის შესახებ, რომელიც წავიდა ერთი ეკლესიიდან და სხვა ეკლესიისს მსახურებებს ესწრებოდა. მან ახალი ხუცესი თავისთან სადილზე მიიწვია. საუბრის დროს ხუცესმა ჰკითხა ქალს, თუ რატომ მიატოვა მან თავისი შესაკრებელი. ქალმა უამბო წინამორბედი ეკლესის ყველა პრობლემის შესახებ.

ხუცესმა მოუსმინა და შეეცადა დაემშვიდებინა იგი. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ პასტორის მხრიდან უფრო ბრძნული იქნებოდა, მოწოდებინა ქალისათვის, ღმერთის სიტყვის გამოყენებით, გარკვეულიყო თავის წყენისა და გასამართლების მიზეზებში. შესაძლოა, მას უნდა ერჩია ქალბატონისათვის ეკლესიაში დაბრუნება, ვიდრე ღმერთი მშვიდობით არ გაუშვებდა მას იქიდან.

როდესაც ღმერთს ეკლესიიდან მშვიდობით გამოყევხართ, არ გიჩნდებათ სურვილი გაამართლოთ თქვენი წამოსვლის მიზეზი. თქვენ არ იქნებით ზეგავლენის ქვეშ, რომელიც გაიძულებთ ლიად აკრიტიკოთ ის პრობლემები, რომლებსაც თქვენს წინამორბედ ეკლესიაში ჰქონდათ ადგილი. მე ვიცოდი, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს ქალი დაიწყებდა ახალი ხუცესისა და მისი ხელმძღვანელობის ისევე აღქმას, როგორც წინანდელი ეკლესიის ხელმძღვანელობას აღიქვამდა. გულში წყენის დატოვებით, ჩვენ ყველაფერს წყენის წნეხში ვატარებთ.

არსებობს ერთი ძველი იგავი. ჯერ კიდევ იმ დღეებში, როდესაც ახალმოსახლეები წინ მიიწვდნენ ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთში, რომელიღაც ბრძენი კაცი დადგა გორაკზე ერთ-ერთი ახალ დაარსებული ქალაქის შესასვლელთან. როდესაც ახალმოსახლენი მოვიდნენ აღმოსავლეთიდან, ეს ბრძენი იყო პირველი, ვისაც შეხვდნენ ისინი, ვიდრე ამ ქალაქში შევიდოდნენ. მათ დაიწყეს გამოკითხვა, თუ როგორი ხალხი ცხოვრობდა იქ.

## სინამდვილისაგან გაძლიერით

მათ კითხვას ბრძენმა თავისი შეკითხვით უპასუხა: „როგორი ხალხი იყო იმ ქალაქში, საიდანაც წამოხვედით?“

ზოგიერთებმა უპასუხეს: „ქალაქი, საიდანაც წამოვედით, საზარელი იყო. ხალხი იქ საშინელი ჭორიკანები არიან. ისინი მზაკვრულად ეპყრობიან უდანაშაულო ხალხს. იგი უბრალოდ ქურდებითა და მატყუარებით არის სავსე.“

ბრძენმა უპასუხა: „ეს ქალაქი ზუსტად ისეთია, როგორიც ის, რომლიდანაც წამოხვედით.“

მათ მადლობა გადაუხადეს მამაკაცს იმისათვის, რომ გადაარჩინა უბედურებას, რომელსაც სულ ახლახან გამოექცენ და დასავლეთისაკენ გააგრძელეს გზა.

შემდეგ მოვიდა ახალმოსახლეთა სხვა ჯგუფი და იგივე ჰკითხეს გორაკზე მჯდომ კაცს: „როგორი ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში?“

ბრძენმა კვლავ იკითხა: „როგორი ხალხი იყო იმ ქალაქში, რომლიდანაც წამოხვედით?“

ხალხის ჯგუფმა უპასუხა: „ეს შესანიშნავი ქალაქი იყო! მასში შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს. იქ ახლობლები, მეგობრები დავტოვეთ. ყოველი მათგანი ცდილობდა სხვებს დახმარებოდა. არავის არაფერი არ უჭირდა, ვინაიდან ყველა ერთმანეთზე ზრუნვადა. თუ ვინმე გასაჭირში იყო, მთელი საზოგადოება იკრიბებოდა დახმარების გასაწევად. ჩვენთვის ძნელი იყო იქიდან წამოსვლა, მაგრამ ვგრძნობთ, რომ დასავლეთში პიონერებად ჩასვლით, მომავალი თაობებისათვის ადგილი უნდა მოვამზადოთ.“

მოხუცმა ბრძენმა მათ ზუსტად ის პასუხი გასცა, რაც წინამორბედ ჯგუფს უთხრა: „ეს ქალაქი ზუსტად ისეთია, როგორიც ის, რომლიდანაც წამოხვედით.“ ხალხს გაუხარდა: „მოდით მასში დავსახლდეთ!“

როგორც წინა ურთიერთობებს უყურებდნენ ისინი, ზუსტად ისე შეხედავდნენ მომავალ ურთიერთობებსაც.

ის, თუ როგორ წახვედით ეკლესიდან, განსაზღვრავს იმას, თუ როგორ მიხვალთ სხვა ეკლესიაში. როგორ ურთიერთობებსაც ჩამოშორდით, ისეთ ურთიერთობებში შეხვალთ. იესომ თქვა ოთანეს 20:23-ში: „ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევათ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ.“

ჩვენ ვაკავებთ სხვა ადამიანთა ცოდვებს, როდესაც გულში წყენას ვუშვებთ და ვინახავთ უპატიებლობას. თუ ვეთხოვებით

## სატანის სატყუარა

ეკლესიას ან ვინმესთან ვწყვეტთ ურთიერთობებს სიმწრითა და წყენით, სხვა ეკლესიაში ან სხვა ურთიერთობებში იგივე გრძნობებით შევალთ. შემდეგ, როცა თავს იჩენს პრობლემები, ჩვენთვის უფრო იოლი იქნება ახალი კავშირების გაწყვეტა. ჩვენ საქმე გვექნება არა მხოლოდ იმ ჭრილობებთან, რომლებიც ახალ ურთიერთობათა შედეგად წარმოიშვნენ, არამედ წარსულ ურთიერთობათა ჭრილობებთანაც.

სტატისტიკის თანახმად, ადამიანთა 60-65 პროცენტი მეორე ქორწინებასაც წყვეტს (როგორმდის ინსტიტუტის ინფორმაცია, ოჯახური საკითხების ცენტრი ამერიკაში, როკფორდი, ილინოისის შტატი). ადამიანი როგორც გამოდის პირველი ქორწინებიდან, ისევე შედის იგი მეორეში. უპატიებლობა, რომელსაც იგი პირველი მეუღლის მიმართ განიცდის, დაბრკოლება გახდება მის ცხოვრებაში მეორე მეუღლესთან. ადანაშაულებენ რა სხვას, ასეთი ადამიანები ბრძები არიან თავიანთი როლის მიმართ ამ კონფლიქტებში, ვერ ამჩნევს საკუთარ წაკლს. ყველაზე საშინელი კი ის გახლავთ, რომ მათ ორმაგი შიში გააჩნიათ იმისა, რომ კვლავ გადაიტანენ ტკივილს.

ეს პრინციპი არ შეეხება მხოლოდ ქორწინებასა და განქორწინებას. იგი ყველა ურთიერთობისათვის გამოიყენება. ჩვენს მსახურებაზე მოვიდა ერთი ადამიანი, რომელიც მანამდე სხვა მსახურთან მუშაობდა და ნაწყენი იყო მასზე. გადიოდა დრო და ვიგრძენი, რომ უფალს სურდა მისი მოწვევა ჩვენთან სამუშაოდ. მწამდა, რომ იგი საკუთარი წყენის გადალახვის გზაზე იმყოფებოდა.

მე დავურეკე მის ყოფილ დამსაქმებელს და გავუზიარე ჩემი გეგმები იმის შესახებ, რომ ეს ადამიანი ჩემს შტატში ამეყვანა. მან წამახალისა, ვინაიდან გადაწყვიტა, რომ ეს კარგი საქმეა. იგი თვლიდა, რომ ის ადამიანი სრულად განიკურნებოდა, როდესაც ჩვენთან დაიწყებდა მუშაობას. მე კი ორივეს ვუთხარი, რომ ვლოცულობდი მათი ურთიერთობების აღდგენასა და განკურნებაზე.

როდესაც ის ადამიანი ჩვენს გუნდს შეუერთდა, თითქმის მაშინვე წარმოიშვა პრობლემები. მე მის საკითხებს ვარკვევდი, მაგრამ თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ მას დროებით შვება ეგრძო. ჩანდა, რომ არ შეეძლო წინანდელი ურთიერთობების სტერეოტიპების საზღვრებს გასცლოდა. ისინი მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ. იგი ბრალსაც კი მდებდა იმაში, რომ მეც

## სინამდვილისაგან გაძლიერით

იგივეს ვაკეთებდი, რასაც წინამორბედი ლიდერი. შეწუხებული გახლდით, ვინაიდან ამ ადამიანის კეთილდღეობა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის, რისი გაკეთებაც მას, როგორც თანამშრომელს, შეეძლო ჩემთვის. მისთვის ვუშვებდი ისეთ გამონაკლისებს, რომლებსაც არც ერთი თანამშრომლისათვის არ დავუშვებდი, ისე ძლიერ მსურდა მისი განკურნება.

გავიდა ორი თვე და მან განცხადება დაწერა წასვლის შესახებ. იგი თავს უნინდელ სიტუაციაში აღმოჩენილად გრძნობდა. წასვლისას თქვა: „ჯონი, მე აღარასოდეს ვიმუშავებ რომელიმე ქრისტიანულ მსახურებაში.“

მე ვაკურთხე იგი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდა. ჩვენ გვიყვარს ის და მისი ცოლი. სამწუხაროა, რომ მას ძლიერი მოწოდება ჰქონდა სწორედ იმ მსახურებისა, რომელიც მიატოვა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ წარმატება არ ექნებოდა რომელიმე სხვა სფეროში.

მე ვდელავდი მასზე მისი წასვლის შემდეგ. ამიტომ უფლის ძებნას შევუდექი: „რატომ წავიდა იგი ასე მალე, იმ დროს, როცა ჩვენ ორივე ამ სამუშაოს მისთვის შესაფერის ადგილად მივიჩნევდით?“

რამოდენიმე კვირის შემდეგ უფალმა უპასუხა ჩემს კითხვას ჩემი მეგობრის ბრძენი ხუცესის მეშვეობით: „ღმერთი მრავალ-ჯერ დართავს ნებას ადამიანებს, რომ გაექცნენ კონფლიქტურ სიტუაციებს, რომლებშიც მათ, ღმერთის ნების თანახმად, უნდა გაევლოთ, თუკი საკუთარ გულში მათგან თავის არიდება გადაწყვიტეს.“

შემდეგ მან მაგალითად მოიყვანა ელიას ისტორია, რომელიც გაექცა დედოფალ იზებელს (3 მეფეთა 18-19). ელიამ ახლახანს სიკვდილით დასაჯა ბაალისა და აშერას უწმინდური წინასწარმეტყველები. ეს ადამიანები, რომლებმაც ქვეყანა კერპთაყვანისმცემლობამდე მიიყვანეს, იზებელის სუფრიდან იკვებებოდნენ. როდესაც დედოფალმა მოისმინა ამის შესახებ, იმუქრებოდა, რომ ერთ დღეში სიცოცხლეს გამოასალმებდა ელიას.

ღმერთს სურდა, რომ ელია წინ აღდგომოდა მას, მაგრამ ამის ნაცვლად ის გაიქცა. იგი ისეთი სასონარკვეთილი იყო, რომ სიკვდილს ითხოვდა. მას აღარ შეეძლო ღმერთის დავალების შესრულება, ვინაიდან შიშმა შეიპყრო. უფალმა წარმოგზავნა ანგელოზი, რათა იგი გამოეკვება ორი პურით და ნება დართო

## სატანის სატყუპარა

გაქცეულიყო ორმოცი დღისა და ღამის განმავლობაში ხორების მთაზე.

როდესაც იქამდე მიაღწია, ღმერთმა პირველ რიგში ჰკითხა: „აქ რას აკეთებ, ელია?“

უცნაური შეკითხვაა! ღმერთმა თვითონ უზრუნველყო საგზლით, მხოლოდ იმისათვის, რომ მთაზე ეკითხა: „აქ რას აკეთებ?“ ღმერთმა იცოდა, რომ ელიამ გადაწყვიტა მძიმე გარემოებებს გაქცეოდა. მან ნება დართო ელიას, ეს გაეკეთებინა, თუმცა თავდაპირველად მას ეს ჩანაფიქრი არ ჰქონია.

შემდეგ ღმერთმა უთხრა ელიას: „... წადი, გაბრუნდი უდაბნოს გზით და დამასკოში მიდი. როცა მიხვალ, მირონი სცხე ხაზაელს არამზე სამეფოდ. ხოლო იქვე მირონი სცხე ისრაელზე სამეფოდ. ელისე შაფატის ძეს კი, აბელ-მელქოლადან რომ არის, სცხე მირონი, რათა წინასწარმეტყველებდეს შენს ნაცვლად“ (3 მეფეთა 19:15,16).

ელისეს და იქვე მსახურების წყალობით ეს დედოფალი და მისი უკანონო სისტემა განადგურდა (4 მეფეთა 9:10). ეს დავალება შესრულდა არა ელიას მიერ, არამედ მისი მემკვიდრეების მიერ, რომლებზეც ღმერთმა უბრძანა მას, მირონი ეცხო თავის ნაცვლად.

ხუცესმა მითხრა: „თუ ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ჩვენს გულებში, არ გავიაროთ მძიმე სიტუაციებში, ღმერთი მართლაც გაგვანთავისუფლებს მათგან, თუმცა ეს არ წარმოადგენს მის სრულყოფილ ნებას.“

მოგვიანებით გამახსენდა შემთხვევა რიცხვთა წიგნის 22 თავიდან, სადაც იგივე აზრია ილუსტრირებული. ბალამს სურდა დაეწყევლა ისრაელი დიდი საჩუქრის გამო, რომელიც მას შესთავაზეს.

მან ჰკითხა ღმერთს პირველად, წასულიყო თუ არა, და ღმერთმა უჩვენა, რომ მისი ნება ბალამისათვის გახლდათ – არ წასულიყო ბალაკის თავკაცებთან ერთად. როდესაც მოაბელი თავკაცები დაბრუნდნენ მეტი რაოდენობის ფულითა და უფრო მეტი პატივით, ბალამმა კვლავ მიმართა ღმერთს. რა უგუნურება იყო იმის მიჩნევა, რომ ღმერთი შეიცვლიდა გადაწყვეტილებას იმის გამო, რომ ბალამს მეტი ფული და პატივი შესთავაზეს! მაგრამ ამჯერად ღმერთმა უთხრა მას, წაჟულოდა იმ ხალხს.

რატომ შეცვალა ღმერთმა თავისი გადაწყვეტილება?

## სინამდვილისაგან გაძცდევით

პასუხი ასეთია: ღმერთს სრულიადაც არ შეუცვლია გადაწყვეტილება. უბრალოდ ბალამი იმდენად იყო განწყობილი წასასვლელად, რომ ღმერთმა ამის ნება დართო. აი, რატომ აინთო მისი რისხვა ბალაამის წინააღმდეგ, როცა ის, ბოლოს და ბოლოს, წაყვა მოაბელ თავკაცებს.

ჩვენ შეიძლება თავი მოვაძეზროთ ღმერთს იმით, რაზეც მან უკვე ნათლად გვიჩვენა თავისი ნება. საბოლოოდ ღმერთი ნებას დაგვრთავს გავაკეთოთ ის, რაც გვინდა, თუნდაც ეს მის თავდაპირველ ჩანაფიქრს ეწინააღმდეგებოდეს და ჩვენს ინტერესებში არ შედიოდეს.

ხშირად, ღმერთის ჩანაფიქრი გვაიძულებს შევეჯახოთ შეურაცხყოფასა და ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც არ მოგვწონს. მაგრამ სინამდვილეში გავურბივართ იმას, რასაც ჩვენი განმტკიცება შეუძლია. შექმნილ სიტუაციაში გარკვევაზე უარის თქმა არ გვანთავისუფლებს თვით პრობლემისაგან. იგი მხოლოდ დროებით შეებას გვაძლევს. მაგრამ პრობლემის ფესვი ხელუხლებელი რჩება. პირადმა გამოცდილებამ იმ ახალგაზრდასთან მიმართებით, რომელიც სამუშაოზე მივიღე, რჩევა მომცა. შეუძლებელია ჯანსაღი ურთიერთობები დაამყარო ადამიანთან, რომელმაც წინანდელი კავშირები სიმწრითა და წყენით დაარღვია. უნდა მოხდეს განკურნება. ყმაწილი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ აპატია წინა ხელმძღვანელს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო.

სიყვარული ყველა წყენასა და შეურაცხყოფას ივინწყებს, რათა მომავლის იმედი შეინარჩუნოს. თუ ჩვენ ნამდვილად გავიმარჯვეთ წყენაზე, მაშინ გულწრფელად ვეძებთ შერიგებას. შესაძლოა, ჯერ არ დამდგარა სასურველი დრო, მაგრამ ჩვენს გულებში უნდა ვეძებდეთ შესაძლებლობას ურთიერთობათა აღსადგენად.

ერთმა ბრძენმა მეგობარმა მოგვიანებით მითხრა: „არ-სებობს ძველი ანდაზა; „რძით დამწვარი წყალს ყლურნავს.“ დღესდღეობით რამდენ ადამიანს ეშინია ცივი წყლის, რომელიც გამოაცოცხლებს მათ, იმის გამო, რომ ისინი ოდესლაც რძით დაიწვნენ და არ შეუძლიათ ამის პატიება?

იესოს სურს, განკურნოს ჩვენი ჭრილობები. მაგრამ ხშირად ჩვენ არ ვაძლევთ მას ამის უფლებას, ცხოვრებაში შექმნილ სიძნელეთა გამო. ეს გახლავთ მორჩილებისა და თვითუარყოფის ბილიკი, რომელსაც განკურნებამდე და სულიერ

## სატანის სატყუარბ

სიმწიფემდე მივყავართ. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ სხვა ადამიანის კეთილდღეობა, ვიდრე საკუთარი, მაშინაც კი, როცა ამ ადამიანმა მრავალი ტკივილი მოგვაყენა.

ამაყნი ვერ წავლენ ამ გზით. წავლენ მხოლოდ ისინი, ვისაც სურს მშვიდობა, რისკით, რომ უარყოფილები იქნებიან. ეს გახლავთ გამოცდა, რომელიც მორჩილებას გვასწავლის. ეს არის გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მივყავართ.



იმას, რასაც ღერობს  
თანდასწრებაში ვსწავლობთ,  
ვერ ვისწავლით ადამიანთა  
გარემოცვაში

თავი 7

## საიმედო საფუძველი

„ამიტომ ასე ამბობს შემოქმედი, ყოვლისშემძლე უფალი: „სიონის მიწაზე დავაფუძნებ ქვაკუთხედს, ძვირფას და საიმედოს, ყველაფერი მასზე იქნება დამყარებული, და ვინც მას მიენდობა, იმედი არ გაუწილდება“.

ესაია 28:16 (თანამედროვე თარგმანი)

**3** ინც მას მიენდობა, იმედი არ გაუწილდება. იმედგაცრუებული ადამიანი არამდგრადია, ვინაიდან მას არ გააჩნია ჯეროვანი საფუძველი. ასეთი ადამიანი ადვილად მერყეობს და შორს წარიტაცება დევნათა ქარიშხლებითა და მყაცრი გამოცდებით. მოდით, განვიხილოთ, რა დაემართა სიმონ პეტრეს.

იესო მივიდა ფილიპეს კესარიის მხარეში და შეეკითხა მოწაფეებს: „.... რას ამბობს ხალხი, ვინ არისო კაცის ძე?“. (მათე 16:13)

რამოდენიმე მოწაფემ ენთუზიაზმით გამოთქვა ხალხის აზრი ქრისტეს შესახებ. იესომ მოიცადა, ვიდრე მოწაფეები დაამთავრებდნენ აზრის გამოთქმას, შემდეგ შეხედა მათ და პირდაპირ ჰქითხა: „.... თქვენ კი რას იტყვით: ვინა ვარ მე?“ (მუხლი 15).

დარწმუნებული ვარ, რომ მოწაფეების უმრავლესობას შეშინებული, შეცდუნებული სახის გამომეტყველება ჰქონდათ, ვიდრე ფიქრობდნენ, თუ რა ეპასუხათ. მათ პირები დააღეს და დუმდნენ. ისინი, ვინც ასე ცოცხლად გამოთქვამდნენ სხვების

## სატანის სატყუპარა

აზრს, უეცრად მიჩუმდნენ. შესაძლოა, არასოდეს სერიოზულად არ დაფიქრებულან ამ საკითხზე. მოწაფეებმა ახლა გააცნობიერეს, რომ პასუხი არ გააჩნდათ.

ყველაფერს, რასაც იესო აკეთებს, აკეთებს კარგად! მისმა შეკითხვამ მოწაფეთა გულები ააღელვა. მან მოწაფეები მიიყვანა იმის ჭეშმარიტად გაცნობიერებამდე, თუ რა იცოდნენ მათ და რა არა. მოწაფეები ცხოვრობდნენ სხვა ადამიანების აზროვნებაზე დაყრდნობით, იმის ნაცვლად, რომ გარკვეულიყვნენ, რას ამბობენ მათი საკუთარი გულები იმის შესახებ, თუ ვინ არის სინამდვილეში იესო.

სიმონი, რომელსაც იესომ პეტრე დაარქვა, იყო ერთადერთი იმ მოწაფეთა შორის, ვინც შეძლო პასუხი გაეცა ამ კითხვაზე. მან თქვა: „.... შენა ხარ ქრისტე, ეს ცოცხალი ლვთისა“ (მათე 16:16). მაშინ იესომ უპასუხა: „.... ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია.“ (მუხლი 17)

იესომ განუმარტა სიმონ პეტრეს თუ ვინ იყო ამ გამოცხადების სათავე. პეტრემ ეს ცოდნა მიიღო არა სხვა ადამიანებისაგან, არა დამოუკიდებლად, არამედ თვით ღმერთმა განუცხადა ეს ჭეშმარიტება.

სიმონ პეტრეს ღმრთიულის მიმართ უდიდესი წყურვილი გააჩნდა. სწორედ ის უსვამდა იესოს უამრავ შეკითხვას. ის დადიოდა წყალზე, იმ დროს როცა დანარჩენი თერთმეტი მხოლოდ შორიდან უყურებდა მას. პეტრე გახლდათ ის ადამიანი, რომელსაც არ სურდა სხვისი აზრებით ეცხოვრა! მას უნდოდა ყველაფერი უშუალოდ ღმერთის ბაგებიდან მოესმინა.

იესოს შემეცნება, რომელიც სულინმიდამ გაუხსნა, სიმონ პეტრესთან მოვიდა არა გრძნობის ორგანოებით, არამედ როგორც ნიჭი, რომელმაც მისი გული სულიერი წყურვილის საპასუხოდ გაანათლა. მრავალი იყო იმის მოწმე, რისიც სიმონ პეტრე, მაგრამ მათ გულში ღმერთის ნების შემეცნების ასეთი წყურვილი არ ყოფილა.

1 იოანეს 2:27-ში ნათქვამია: „ხოლო ცხებულება, რომელიც თქვენ მიიღეთ მისგან თქვენშია და არავისგან სწავლა არ დაგჭირდებათ, არამედ მისი ცხებულება გასწავლით ყველაფერს, და ის არის ჭეშმარიტი და უტყუარი, რასაც იგი გასწავლით. მასში დარჩით.“

ეს ცხებულება ასწავლიდა სიმონ პეტრეს. მან მოისმინა ყვე-

## საიმედო საფუძველი

ლაფერი, რაც დანარჩენებმა თქვეს, ხოლო შემდეგ საკუთარ გულში ჩაიხედა, თუ რა გაუხსნა ღმერთმა. როგორ კი ლებულობთ იმის შემეცნებას, რაც თვით ღმერთმა გაგიხსნათ, ვერავინ შეძლებს თქვენს შერყევას. როდესაც ღმერთი გიხსნით რამეს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რას ამბობს მთელი ქვეყანა. არავის შეუძლია შეცვალოს თქვენი გული.

შემდეგ იქსომ უთხრა სიმონ პეტრეს და დანარჩენ მოწაფებს: „... ამ კლდეზედ (ანუ ამ გამოცხადებაზე, რომელიც პირადად ღმერთისაგან არის მოცემული) ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი“ (მათე 16:18). ჩვენთვის ნათელია, რომ სულინმიდის მიერ გახსნილ ღმერთის სიტყვაში არის საიმედო საფუძველი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იყო პეტრეს შემეცნება, რომ იქსო ღმერთის ძე).

## სიტყვა ანათლებს

როდესაც ვქადაგებ, ხშირად მოვუწოდებ ეკლესიებსა და ცალკეულ პიროვნებებს მოისმინონ ღმერთის ხმა, რომელიც ჩემი ბაგებიდან მომდინარეობს. ჩვეულებრივ, ქადაგების კონსპექტირებისას, ვინერთ მხოლოდ იმას, რაც მოქადაგის მიერ იყო ნათქვამი. ამის გამო ჩვენ ვგებულობთ წმინდა წერილსა და განმარტებას მხოლოდ გონებით, როგორც ინტელექტუალურ ცოდნას.

თუ ჩვენ მხოლოდ ინტელექტუალურ ცოდნას ვფლობთ, მაშინ შეიძლება მოხდეს ორი რამ:

1. ჩვენ ადვილად ვაზვიადებთ და ვეძლევით ემოციებს.
2. საკუთარ ინტელექტუალურ ცოდნას ვფლობთ თავს.

მაგრამ ეს ყველაფერი არ გახლავთ ის საიმედო საფუძველი, რომელზეც იქსო თავის ეკლესიას აშენებს. მან თქვა, რომ იგი დაფუძნებული იქნება სულინმიდის გამოცხადებაზე და არა ბიბლიის დაზეპირებულ მუხლებზე.

როდესაც ვუსმენთ ცხებული მსახურის ქადაგებას ან წიგნს ვკითხულობთ, ყოველთვის უნდა ვეძებდეთ სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებიც ჩვენს სულში ინთებიან. ეს ის სიტყვაა, რომელსაც ღმერთი გიცხადებთ. მას მოაქვს სინათლე და სულიერი შემეცნება. როგორც მეფსალმუნე წერს: „საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, შთააგონებს გულუბრყვილოებს.“ (ფსალმუნი 118:130). სწორედ მაშინ, როდესაც მისი სიტყვა გამოცხადების მეშვეობით შემოდის ჩვენს გულში, და არა გონებაში, იგი გვანათლებს და გვაძლევს სიცხადეს.

## სატანის სატყუპარა

ხშირად, მსახური ლაპარაკობს ერთ თემაზე, თუმცა ღმერთი გულში სრულიად სხვას მიხსნის. მეორე მხრივ, ღმერთს შეუძლია აანთოს სწორედ ის სიტყვები, რომლებსაც მსახური წარმოთქვას და ისინი გიზგიზებენ ჩემში. ღმერთს ნებისმიერი საშუალებით შეუძლია მომცეს სულინმიდის გამოცხადება. ღმერთი გარდაგვემნის „უპრალო“ ადამიანებიდან (რომელთაც არა აქვთ მიხვედრის უნარი) სულიერად მომნიფებულ ადამიანებად (რომელთაც მიხვედრის უნარი აქვთ). თქვენს გულში განათებული სიტყვა წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც, როგორც იქსომ თქვა, აშენდება მისი ეკლესია.

იქსომ ღმერთის გამოცხადება შეადარა ქვას. ქვა სიმტკიცესა და გამძლეობას აღნიშნავს. გაიხსენეთ იქსოს იგავი ორი სახლის შესახებ. ერთი მათგანი აშენებული იყო ქვაზე, ხოლო მეორე – ქვიშაზე. როდესაც ამ სახლებს დევნა, მწუხარება და ტანჯვა დაატყდა თავს, ის, რომელიც ქვიშაზე იყო აშენებული, დაინგრა, ხოლო ქვაზე აგებულმა სახლმა გაუძლო.

ზოგიერთ პასუხს, რომელიც გვინდა ღმერთისაგან მოვის-მინოთ, ვერ ვპოულობოთ ბიბლიაში. მაგალითად, არ შეგვიძლია ბიბლიაში მოვნახოთ პასუხები ასეთ კითხვებზე: ვისზე დავქორწინდეთ? სად ვიმუშაოთ? რომელ ეკლესიაში ვიყოთ? ასეთი კითხვები უამრავია. ჩვენ გვჭირდება სულინმიდის გამოცხადება, რათა გადაწყვეტილებები მივიღოთ ამ საკითხებში. ღმერთისაგან ასეთი სიტყვის გარეშე ჩვენი გადაწყვეტილებები დაფუძნებული იქნებიან ქვიშაზე, მერყევ ნიადაგზე.

ის, რასაც ღმერთი გვიხსნის თავისი სულით, არ შეიძლება წაგვერთვას. ეს უნდა გახდეს საფუძველი ყველაფრისათვის, რასაც ვაკეთებთ. ამის გარეშე ადვილად შევცდებით, როდესაც მკაცრი გამოცდები და მწუხარება მოვა ჩვენს ცხოვრებაში.

გაიხსენეთ, რა თქვა იქსომ სიტყვაზე, რომელიც სიხარულით იქნა მოსმენილი და მიღებული, მაგრამ არ გაუდგამს ფესვები გულში. იგი მიღებული გახლდათ აღფრთვანებით, მხოლოდ გონებითა და ემოციებით.

„ასევე კლდოვანზე დათესილნი: ისინი არიან, რომლებიც როგორც კი სიტყვას მოისმენენ, მაშინვე სიხარულით მიღებენ მას. მაგრამ ფესვი არ გააჩნიათ თავის თავში და ხანმოკლენი არიან და, როგორც კი დგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცლუნდებიან.“ (მარკოზი 4:16-17)

## საიმედო საფუძველი

ჩვენ ადვილად შეგვიძლია ურთიერთ შევანაცვლოთ სიტყვები „ფესვი“ და „საფუძველი“, ვინაიდან ორივე მიუთითებს მუდმივობასა და სიმტკიცის წყაროზე მცენარისათვის ან შენობისათვის. ადამიანი, რომელიც ცვალებადია და არ აშენებს ღმერთის გამოცხადების მტკიცე საფუძველზე, გახლავთ მერყევი და ცდუნებებისა და წყენის ქარიშხლით მიმოტაცებული. მრავალი ადამიანი დღეს იმყოფება იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იმ დროს იყვნენ იესოს შეკითხვით დაბნეული მოწაფები. ისინი ცხოვრობენ იმაზე დაყრდნობით, რაც სხვებისაგან მოისმინეს, როდესაც ეს უკანასკნელი ამონმებდნენ ან ქადაგებდნენ. სხვების აზრებსა და მტკიცებას ისინი ლებულობენ როგორც ჭეშმარიტებას და აღარ ეძებენ სულინ-მიდის რჩევასა და წინამძღოლობას. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და განვაცხადოთ ის, რაც ღმერთმა პირადად გაგვიხსნა. აი რაზე აშენებს იესო თავის ეკლესიას.

ერთ დროს ჩემთან გასათხოვარი მდივანი მუშაობდა. ის ხვდებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ასევე ჩვენს ეკლესიაში შრომობდა. დღითიდღე ისინი სულ უფრო მეტად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ყველა ხედავდა, რომ მათი ურთიერთობა ქორწინებით დაგვირგვინდებოდა. ისინი უკვე სერიოზულად მსჯელობდნენ ამ საკითხზე.

ერთხელ, კვირა საღამოს, უფროსმა ხუცესმა მოიხმო ისინი და უთხრა: „ასე ამბობს უფალი: თქვენ, ორნი, შეუღლდებით.“

მეორე დილას ჩემი მდივანი შემოვიდა ოფისში და სიხარულისა და აღფრთოვანებისაგან ბრნყინავდა. მან მკითხა, ხომ არ შევძლებდი მათ შეუღლებას, და მე ვუპასუხე, რომ ეს პატივი იქნებოდა ჩემთვის. მე მათ შეხვედრა დავუნიშნე, რათა წინასწარ გავსაუბრებოდი. მაგრამ გულში აფორიაქებული ვიყავი. როდესაც ისინი ოფისში შემოვიდნენ, სულში მღელვარებას ვგრძნობდი. შევხედე ჩემს მდივანს და ვკითხე, ზუსტად იცის, რომ ეს სწორედ ის ადამიანია, რომელიც ღმერთმა ამოურჩია. მან ენთუზიაზმითა და გარკვევით მიპასუხა „დაახ“. შემდეგ შევხედე ახალგაზრდა კაცს და ვკითხე: „დარწმუნებული ხარ, რომ ღმერთის ნებაა, რომ სწორედ ამ ქალიშვილზე დაქორწინდე?“ ის წამიერად გაოვნებული იდგა, შემდეგ დახარა თავი და გაიქნია. მისი გარეგნობა მეტყველებდა: „არა, არ ვარ დარწმუნებული.“

## სატანის სატყუარა

ორივეს შევხედე და შემდეგ ახალგაზრდა კაცს მივმართე: „მე არ შეგაუღლებთ. ჩემთვის სულერთია ვინ გინინასწარმეტყველათ და რა გითხრათ. ჩემთვის სულერთია, რამდენმა ადამიანმა მოგახსენათ: „ძალიან უზდებით ერთმანეთს“, ღმერთმა თუ გულში არ გაგიცხადათ თავისი ნება, შენ არ გაქვს დაქორწინების უფლება.“ შემდეგ გავაგრძელე: „თუ შენ იქორწინებ პირადი გამოცხადების გარეშე იმის შესახებ, რომ ეს ღმერთის სრულყოფილი ნებაა შენს მიმართ, მაშინ, როცა ქარიშხლები ამოვარდება, ეს კი აუცილებლად მოხდება, ეჭვები და კითხვები გაგიჩნდება: „რა იქნებოდა, სხვა ქალიშვილზე რომ მექორწინა? იქნებ არ მქონოდა ეს პრობლემები? უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს ქორწინება ღმერთის ნებით იყო. მახეში გაბმულად ვგრძნობ თავს.“

მაშინ აღარ იქნები დარწმუნებული და ვერ შეძლებ წინააღმდეგობა გაუწიო იმ პრობლემებს და სიძნელეებს, რომლებიც შენს ქორწინებას დაატყდება. შენ გახდები ადამიანი გაორებული აზრებით „რომელიც არამდგრადია მის ყველა გზაზე.“

მე გავუშვი ისინი და ვუთხარი, რომ არავითარი აზრი არა აქვს შეხვედრების გაგრძელებას. ყმაწვილმა შვება იგრძნო. ქალიშვილი კი ძალიან შეწუხდა. შემდეგი კვირის განმავლობაში ჩვენს ოფისში ძალიან დაძაბული ატმოსფერო იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ სიმართლე ვთქვი. ქალიშვილისთვის ეს გამოცდის დრო იყო. თუ ღმერთმა ნამდვილად უთხრა მას, რომ ეს ადამიანი მისი მეუღლე უნდა გახდეს, მას მართებს ღმრთისადმი მინდობა, რომ იგი ყმაწვილსაც იგივეს გაუცხადებს და არ უნდა განაწყენდეს ჩემზე და ღმერთზე. ქალიშვილს ვურჩიე, რომ ვაჟისაგან შორს დაეჭირა თავი და მიეცა მისთვის შესაძლებლობა პირადად მოეძებნა პასუხი ღმერთისაგან. ის ასეც მოიქცა.

სამი კვირის შემდეგ ისევ მთხოვეს, რომ შეხვედრა დამენიშნა. მაშინვე ვიგრძენი სიხარული. ამჯერად, როდესაც ისინი შემოვიდნენ ოფისში, ყმაწვილმა გაბრწყინებული სახით შემომხედა და მითხრა: „ზუსტად ვიცი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, რომ ეს ის ქალიშვილია, რომელიც ღმერთმა ცოლად განმისაზღვრა!“ მათ შვიდი თვის შემდეგ იქორწინეს.

როცა იცით, რომ ღმერთმა მოგცათ ესა თუ ის ურთიერთობები ან ეკლესია, მტრისათვის გაცილებით რთული იქნება

## საიმედო საფუძველი

გამოვიყვანოთ იქიდან. თქვენ ეყრდნობით ღმერთის გამოცხა-დებას და გადალახავთ ყველა კონფლიქტს, შეუძლებლის ალ-სრულებით.

### არავითარი სხვა ვარიანტი

ცოლ-ქმრული ცხოვრების პირველი ხუთი წელი ჩემთვის და ჩემი ცოლისათვის უბრალოდ საშინელი იყო, ერთმანეთს ისეთ ქრისტიანულობებსა და შეურაცხყოფებს ვაყენებდით, რომ გვეჩვენებოდა, თითქოს შეუძლებელი იყო გადაგვერჩინა ის ნაზი ურთიერთობები და სიყვარული, რომელიც ოდესლაც გვქონდა.

მხოლოდ ერთი რამ გვაკავებდა ერთად: ორივემ ვიცოდით, რომ ღმერთმა მოახდინა ჩვენი შეუძლება. ამიტომ, სრულებით არ ვიფიქრობდით განქორწინებაზე, როგორც ჩვენი პრობლემების გადაწყვეტილება მდგომარეობდა იმის რწმენაში, რომ ღმერთი განვითარებას და შეგვცვლის. ორივემ მივუძლვებით თავი ამას, როგორი მტკიცნეულიც არ უნდა ყოფილიყო ეს ჩვენთვის.

როდესაც აზრად მომივიდოდა, რომ ხელები ჩამომეშვა და დავნებებულიყავი, ვიხსენებდი აღთქმებს, რომლებიც ღმერთმა მომცა ჩემს ქორწინების შესახებ. არ ვაპირებდი გამენადგურებინა ის, რაც ღმერთმა მოაწყო და რაც განკუთვნილი იყო ჩვენი კავშირისათვის.

ღმერთის ერთ-ერთი აღთქმა, რომელიც მომეცა, გახლდათ ის, რომ მე და ჩემს ცოლს ერთად უნდა გვემსახურა. იმ მომენტში, როდესაც ღმერთმა მომცა ეს აღთქმა, ვიფიქრე: „რა იოლია ჩემთვის ამის ნარმოდგენა, იმიტომ, რომ მისი ხელი არის ჩვენზე მსახურების საქმეში.“

მაგრამ ჩვენი ცოლ-ქმრული ქარიშხლების დროს უკვე აღარ შემეძლო ისევე ნათლად დამენახა ეს აღთქმა. მაგრამ გადავწყვიტე უარი არ მეთქვა მასზე. ბუნებრივი იმედი გაქრა იმის გამო, რომ უთანხმოებამ და სიამაყემ შეაღწია ჩვენს ქორწინებაში.

თუმცა ჩემს გულში რჩებოდა სიცოცხლის ზებუნებრივი თესლი. ეს აღთქმა ჩემთვის იყო ღუზა ან ფუნდამენტი ძნელბედობის ჟამს.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ღმერთმა არა მარტო განკურნა ჩვენი ურთიერთობები, არამედ ისინი უფრო

## სატანის სატყუპარა

მჭიდრო გახადა, ვიდრე ადრე იყო. ჩვენ ვიზრდებოდით ამ კონფლიქტებში, ერთმანეთის პატივით და ყველაფრიდან გაკვეთილის მიღებით. ამჟამად ერთად ვემსახურებით უფალს. ჩემს ცოლს მივიჩნევ არა მხოლოდ საყვარელ ადამიანად და საუკეთესო მეგობრად, არამედ მსახურადაც, რომელსაც სხვებზე მეტად ვენდობი.

გავატარეთ რა ცოლ-ქმრული ცხოვრების პირველი ხუთი მძიმე წელიწადი, გავაცნობიერე, რომ ღმერთი ხედავდა ჩვენს ნაკლოვანებებს და ჩვენი ურთიერთობების ფონზე საშკარაოზე გამოჰქონდა.

მე მოწინებით ვეპყრობოდი ღმერთის სიბრძნეს, გამოვლენილს იმაში, რომ მან შეგვაერთა, როგორც ქმარი და ცოლი. სანამ ლიზას შევხვდებოდი, გულმოფგინედ ვლოცულობდი ქალიშვილზე, რომელზეც ვიქორწინებდი. ეს არჩევანი მნიშვნელობით მეორე გახლდათ ჩემს ცხოვრებაში სახარებისადმი მორჩილების შემდეგ. იმის გამო, რომ ვლოცულობდი და ველოდებოდი ღმერთის არჩევანს ჩემს მეუღლესთან მიმართებით, ვფიქრობდი, რომ არ მექნებოდა ის პრობლემები, რომლებიც სხვა წყვილებს ჰქონდათ. ო, როგორ ვცდებოდი!

ღმერთმა ჩემი გულის სასურველი მეუღლე ამირჩია. მაგრამ იგი ჩემში ააშკარავებდა ეგოიზმით გამოწვეულ უმწიფრობას, რომელიც საკმარისზე მეტი მქონდა! კონფლიქტებისაგან გაქცევას განჯორნინების გზით ან მეუღლის დადანაშაულებას იგივე მნიშვნელობა ექნებოდა, რაც ჩემი უმწიფრობის დამალვას ყალბი დამცავი საფარის ქვეშ, სახელწოდებით „წყენა“. ღმერთის გამოცხადებამ ჩვენს ქორწინებასთან დაკავშირებით დამიცვა ასეთი ქმედებისაგან.

ახლა მინდა ამ თავის ძირითად აზრს გადავუხვიო. ამ სტრიქონების წაკითხვისას ზოგიერთმა შესაძლოა იფიქროს: „მე არ ვიყავი დახსნილი, როდესაც დავქორწინდი.“

თქვენ ღმერთი გეუბნებათ:

„ხოლო დაქორწინებულებს ვამცნებ არა მე, არამედ უფალი: ცოლი არ გაეყაროს ქმარს. ხოლო თუ გაეყაროს, დაე, უქორწინოდ დარჩეს ანდა ქმარს შეურიგდეს, და ქმარი ნუ დატოვებს თავის ცოლს ... ძმანო, თითოეული იმ მოწოდებით დარჩეს ღვთის წინაშე, რომელშიც მოწოდებული იყო“. (1 კორინთელთა 7:10-11,24)

## საიმედო საფუძველი

დაე, ეს სიტყვა, რომელიც მოცემულია ქორნინების აღთქ-  
მასთან დაკავშირებით, განმტკიცდეს თქვენს გულებში, რათა  
არ მერყეობდეთ ისეთი ხაფანგის გამო, როგორიცაა წყენა, არ-  
ამედ უდრეკნი რჩებოდეთ. შემდეგ ეძებეთ უფალი, რათა მის-  
გან მიიღოთ გამოცხადება თქვენი ქორნინებისათვის.

ზოგიერთ თქვენგანს შეიძლება ექორნინა ღმერთის ნების  
გარეშე მაშინ, როცა უკვე მორწმუნე იყო. იმისათვის, რომ  
ღმერთისაგან მიიღოთ საკუთარი ქორნინებისათვის განსაზ-  
ლვოლი კურთხევა, უნდა მოინანიოთ ის, რომ ქორნინებამდე  
მის რჩევას არ ეძებდით და ის გაპატიებთ. მყარად განმტ-  
კიცდით თქვენს გულები, რომ თქვენს მიერ ჩადენილი მეორე  
შეცდომა, განქორნინება, სიმართლემდე არ მიგიყვანთ. ქორ-  
ნინების აღთქმის წყენის გამო დარღვევა, არ წარმოადგენს  
პრობლემიდან გამოსავალს. ამიტომ ეძებეთ ღმერთის მითითე-  
ბა თქვენი ქორნინებისათვის.

## კლდე

ღმერთის სიტყვა, რომელიც სულინმიდის გამოცხადებით  
მოგვეცა, წარმოადგენს კლდეს, რომელზეც უნდა ვაშენებდეთ  
ჩვენს ცხოვრებასა და მსახურებას. მრავალი ადამიანი მიამ-  
ბობდა ეკლესიისა და მსახურების შესახებ, სადაც ისინი მოკლე  
დროით იყვნენ წევრები. მე ვნაღვლიანდები როცა ვხედავ, რომ  
ღმერთის შვილი მართვადია სიძნელეებით, და არა ღმერთის  
ბრძანებებით. მათი ყურადღება მიმართულია იქითკენ, თუ რა  
უსამართლოდ მოექცენ და მიიჩნევენ, რომ თავად მართლები  
არიან. მაგრამ მათი მსჯელობა მხოლოდ თავის მოტყუებაა,  
რომელიც არ აძლევთ საშუალებას, საკუთარი ნაკლოვანებები  
ჯეროვნად შეაფასონ.

ისინი თავიანთ ამჟამინდელ მდგომარეობას მსახურებებში  
ან ეკლესიებში აღწერენ როგორც: „დროებითი“ ან „ის ადგილი,  
სადაც ღმერთმა მომათავსა მოცემულ მომენტში.“ ისიც კი მს-  
მენია, ერთმა ადამიანმა როგორ თქვა: „მე ამ ეკლესიისათვის  
დამიგირავეს.“ ისინი ასე იმიტომ ამბოქენ, რომ სათადარიგო  
გასასვლელი კარი დაიტოვონ, რომლის მეშვეობითაც გაქცევას  
შეძლებენ, როცა მათ ცხოვრებაში სიძნელეები იჩენენ თავს.  
მათ არ გააჩნიათ მყარი საფუძველი, ვერ გაჩერდებიან ერთ  
ადგილზე: შტორმი ადვილად წარიტაცებს მათ შემდეგი ნავ-  
საყუდელისაკენ.

## სატანის სატყუარა სად თავიდეთ?

თუ დავუბრუნდებით მაგალითს, რომელშიც იესო ეკითხება თავის მოწაფეებს, რას ფიქრობდნენ ისინი მისი პიროვნების შესახებ, დავინახავთ, როგორ მატულობს სიმონ-პეტრეში სიმტკიცე, როდესაც ღმერთის ნება ეხსნება.

მას შემდეგ, რაც მამამ ჭეშმარიტება გაუხსნა სიმონ-პეტრეს გულს, იესომ წარმოსთქვა: „.... მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი ...“ (მათე 16:18).

იესომ სიმონს ახალი სახელი მისცა – პეტრე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სახელი სიმონი ნიშნავს „მოსმენას“. სახელი პეტრე (ბერძნული სიტყვა პეტროსი) ნიშნავს „ქვას“. იგი ისმენდა ღმერთის სიტყვას და ამიტომ განმტკიცდა რწმენაში. სახლი, რომელიც ქვებისგან არის აშენებული კლდეზე, ნებისმიერ ქარიშხალს გაუძლებს.

სიტყვა „კლდე“ ამ მუხლში, წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან პეტრა, რომელიც ნიშნავს „უზარმაზარ ქვას“. იესო ეუბნებოდა სიმონ-პეტრეს, რომ ახლა სიმონი მტკიცეა, როგორც კლდე, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს სახლი.

მოგვიანებით პეტრე თავის ნერილში წერდა: „თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებივით სულიერ სახლად ...“ (1 პეტრეს 2:5). ქვა – არის უზარმაზარი კლდის პატარა ნაწილაკი. ღმერთის გამოცხადება შეიცავს სიმაგრეს, სიმტკიცეს და ძალას, და ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც მას ღებულობს, არის ნაყოფი. ეს ადამიანი გაძლიერდა ღმერთის ცოცხალი სიტყვის სიმტკიცის მეშვეობით, რომელიც გახლავთ იესო ქრისტე.

როგორც მოციქული პავლე წერს პირველ წერილში კორინთელთა მიმართ 3:11: „ვინაიდან არავის არ ძალუძს დაუდოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რაც დადებულია, რომელიც არის იესო ქრისტე.“ როდესაც ვეძებთ იესოს, ღმერთის ცოცხალ სიტყვას, იგი თვალსაჩონო ხდება და ჩვენ ვმტკიცდებით რწმენაში.

იესოს დედამიწაზე ყოფნის ბოლო დღეებში მოწაფეების მდგომარეობა გართულდა. რელიგიური ლიდერები და ოუდეველები დევნიდნენ იესოს, ცდილობდნენ მის მოკვლას. (იოანე 5:16). როდესაც ხალხს ვითარება შესაფერისად ეჩვენა და ძალით მოინდომეს იესოს გამეფება, მან უარი თქვა და მათ გაეცალა. (იხ. იოანე 6:15).

## საიმედო საფუძველი

„რატომ გააკეთა ეს? – მონაფეები გაოცდნენ. – ეს რე-ალური შესაძლებლობა იყო უფლისთვის და ჩვენთვის.“ ისინი მღელვარებამ შეიპყრო. მდგომარეობა სახითვათო ხდებოდა.

„ჩვენ მივატოვეთ სახლები და სამუშაო, ყველაფერი შევწირეთ, რათა ამ ადამიანს გავყოლოდით. გვნამს, რომ იგი მომავალი მესიაა. იოანე ნათლისმცემელმა გამოაცხადა ეს, ხოლო სიმონ პეტრემ დაამოწმა ფილიპეს კესარიაში. ორი მოწმე გვყავს. მაგრამ, რატომ აგრძელებს იგი ამჟამინდელი წინანდოლების გალიზიანებას? რატომ ითხრის ორმოს საკუთარი ხელით? რატომ გვეუბნება ჩვენ, მონაფეებს, ასეთ სიტყვებს: „ჰო, ურნმუნო და უკულმართო მოდგმავ! როდემდე ვიქნები თქვენთან?“

წყენა იძულებდა ადამიანთა გულებში, რომლებმაც მიატოვეს ყველაფერი, რათა ქრისტეს გაჰყოლოდნენ. შემდეგ მოხდა უარესი. იესო, თითქოს ერესს უქადაგებდა მათ: „... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ ჭამთ ხორცს და არ სვამთ კაცის ძის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში ...“ (იოანე 6:53).

„რას ქადაგებს? – ფიქრობდნენ ისინი. – ეს უკვე მეტისმეტია!“ მაგრამ ეს კიდევ არაფერი: მან ეს სიტყვა წარმოთქვა კაპერნაუმში, სინაგოგის ხელმძღვანელთა წინაშე! ეს მეტად ძნელი გასაგები იყო მათთვის:

ბევრი მის მონაფეთაგან ამის მოსმენისას ამბობდა:

„მძიმე სიტყვაა, ვის შეუძლია მისი მოსმენა?“ (იოანე 6:60)

შესანიშნავია იესოს პასუხი:

„იესომ იცოდა, რომ მისი მონაფეები ბუზღუნებდნენ თავისთვის ამის გამო, და უთხრა მათ: „ეს გაცდუნებთ თქვენ?“ (იოანე 6:61)

ესენი იესოს მონაფეები იყვნენ! უფალმა იცის, რომ ზოგი-ერთი აშენებდნენ თავიანთ ცხოვრებას არამყარ საფუძველზე და ამხელს ამ საფუძველს, აძლევს რა საშუალებას, დაინახონ ჭეშმარიტების სიღრმე თავიანთ გულებში. მაგრამ ყველა როდი იყო ისეთი, როგორიც სიმონ პეტრე ან სხვა მონაფეები, რომელთაც სიმართლე სწყუროდათ. დააკვირდით მათ რეაქციას:

## სატანის სატყუარა

„მას შემდეგ ბევრი მის მონაფეთაგანი გაპრუნდა უკან და აღარ მისდევდა მას“. (იოანე 6:66)

მიაქციეთ ყურადღება, ისინი იყვნენ „ბევრნი“ მონაფეთა-განი. მათ შორის, ეჭვგარეშეა, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სწრაფად უპასუხეს ფილიპეს კესარიაში, თუ რას ფიქრობდნენ იესოს ვინაობის შესახებ: „ზოგი ამბობს იოანე ნათლისმცემე-ლიაო, ზოგი ელიაო და ზოგი იერემია ან ერთი წინასწარმე-ტყველთაგანი“. (მათე 16:14). მათი საფუძველი ლმერთის გა-მოცხადება არ გახლდათ.

წყენამ იქამდე მიიყვანა, რომ მათ გააკეთეს ის, რასაც მრავალი ადამიანი აკეთებს დღეს – გაეცალნენ, იფიქრეს, რომ მოატყუეს. მათ არ შეეძლოთ დაენახათ ჭეშმარიტება, ვინაიდან მთელი ყურადღება საკუთარ ეგოისტურ სურვილებზე ჰქონ-დათ მიპყრობილი.

ახლა კი შეხედეთ სიმონ პეტრეს იმ მომენტში, როდესაც იესომ ამხილა თორმეტი მონაფე:

მაშინ იესომ უთხრა თორმეტს: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“ სიმონ-პეტრემ უპასუხა: „უფალო, ვიღასთან წავიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენა გაქვს. ჩვენ ვინამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ღვ-თის წმინდა“. (იოანე 6:67-69)

იესო არ ემუდარებოდა ამ ადამიანებს: „გთხოვთ, ნუ წახ-ვალთ ჩემგან. ცოტა ხნის წინ ბევრი თანამშრომელი დავკარგე. რა უნდა გავაკეთოთ თქვენს გარეშე?“ არა, მან ჰქითხა: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“

ნახეთ, როგორ უპასუხა სიმონ პეტრემ, თუმცა მას ისეთივე შესაძლებლობა ჰქონდა, სწყენოდა, როგორც დანარჩენებს: „უფალო, ვიღასთან წავიდეთ?“

იესოს სიტყვებმა, ალბათ ისიც გააოცა, მაგრამ მას ჰქონდა ცოდნა, რომელიც სხვებს არ ჰქონდათ. ფილიპეს კესარიაში პეტრემ მიიღო გამოცხადება იმის შესახებ, თუ ვინ არის სინამ-დვილეში იესო – „ძე ცოცხალი ღვთისა“ (მათე 16:16).

და ახლა, განსაცდელის ცეცხლში, მან გამოთქვა ის, რაც დამკვიდრებული იყო მის გულში: „ჩვენ ვირწმუნეთ და შე-ვიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა.“ ეს

## საიმედო საფუძველი

სწორედ ის სიტყვები იყო, რომლებიც მან ფილიპეს კესარიაში წარმოსთქვა. ის იყო ქვა, დადებული ღმერთის ცოცხალი სიტყვის ურყევ კლდეზე. პეტრე იესოსაგან არ წასულა ნაწყენი და ცდუნებული.

რჩაგირება ზემოქმედების ქვევ

მე ხშირად ვამბობ, რომ მკაცრი გამოცდები განსაზღვრავენ ადამიანის ჭეშმარიტ მდგომარეობას. სხვა სიტყვებით, ისინი განსაზღვრავენ, სულიერად რა მდგომარეობაში იმყოფებით. ისინი თქვენი გულის ნამდვილ მდგომარეობას ამხელენ. ის, თუ როგორ რეაგირებთ მათი ზემოქმედების ქვეშ, თქვენს ნამდვილ არსზე მეტყველებს.

თქვენ შეიძლება გქონდეთ მშვენიერი ხუთსართულიანი სახლი, გემოვნებით მორთული და მხატვრულად გაფორმებული, მაგრამ ქვიშაზე აშენებული. მანამ, სანამ ცა მოწმენდილია, იგი გამოიყურება როგორც ძალისა და სიდიადის ბასტიონი.

ამ სახლის გვერდით შეიძლება იდგეს უბრალო ერთსარულიანი სახლი. იგი თითქმის შეუმჩნეველია და შესაძლოა, მიმზიდველი არ არის მშვენიერ ნაგებობასთან შედარებით, მის გვერდით რომ დგას. მაგრამ იგი აშენებულია რაღაც ისეთზე, რის დანახვაც არ შეგიძლიათ – ქვიან საფუძველზე.

მანამ, სანამ ქარიშხლები არ არის, ხუთსართულიანი სახლი ბევრად უფრო მიმზიდველად გამოიყურება... მაგრამ როდესაც მას გრიგალი დაატყდება თავს, იგი დაეცემა და დაინგრევა. მან შეიძლება გაუძლოს რამდენიმე უმნიშვნელო ქარიშხლს, მაგრამ არა გრიგალს. უბრალო ერთსართულიანი სახლი კი დგას. რაც უფრო დიდია შენობა, მით უფრო საშინელი და შესამჩნევია მისი მსხვერევა.

ზოგიერთები, ეკლესიაში, ჰევანან მოწაფეებს, რომელნიც სწრაფად პასუხობდნენ ფილიპეს კესარიაში, ხოლო შემდეგ მხილებულები აღმოჩნდნენ. ისინი შეიძლება გამოიყურებოდნენ როგორც ხუთსართულიანი ქრისტიანები, რომელნიც ძალის, სიმაგრის, სტაბილურობისა და სილამაზის გამოხატულებას წარმოადგენენ. მათ შეიძლება გადაიტანონ რამოდენიმე მცირე და საშუალო ქარიშხალი. მაგრამ როდესაც ამოვარდება გრიგალი, მათი პოზიცია სიზუსტით განისაზღვრება.

დარწმუნდით იმაში, რომ თქვენს ცხოვრებას აფუძნებთ

## სატანის სატყუარა

ღმერთის სიტყვის გამოცხადებაზე, და არა იმაზე, თუ რას ამ-ბობენ სხვები. გააგრძელეთ უფლის ძიება და საკუთარი გულის მოსმენა. ნუ აკეთებთ და ნუ ლაპარაკობთ რამეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამას აკეთებენ და ლაპარაკობენ სხვები. ეძებეთ ღმერთი და იდექით იმაზე, რაც თქვენს საკუთარ გულში მყარად დამკვიდრდა!



მტერი შეარყევს, რათა დაღუპოს.  
ღერთის სხვა მიზანი აქვს

## თავი 8

### ყველაზერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება

„... რომელმაც ახლა მოგვცა ასეთი აღთქმა: „კიდევ ერთხელ შევძრავ არა მარტო დედამინას, არამედ ცასაც“. ეს „კიდევ ერთხელ“ ნიშნავს შეძრულთა შეცვლას, როგორც შექმნილისას, რათა დარჩეს, რაც შეუძრავია“.

ებრაელთა 12:26-27

**ნ**ინა თავში დავინახეთ, რომ ღმერთის სიტყვის გამოცხადება გახლავთ საფუძველი, რომელზეც იქსო თავის ეკლესიას აშენებს. ჩვენ დავინახეთ, რომ სიმონ პეტრე იქსოთან დარჩა მაშინაც კი, როცა სხვა მოწაფეები, ცდუნებულები და ნაწყენები გაშორდნენ. მაშინაც კი, როდესაც იქსომ სიმონ პეტრეს მისცა საშუალება წასულიყო, მან უპასუხა სიტყვებით, რომლებიც მის გულში იყო დამკვიდრებული.

მოდით, ახლა შევხედოთ სიმონ პეტრეს მეორე გამოცდას, იმ ღამეს, როცა იქსო გასცეს.

როცა იქსო თავის ოორმეტ მოციქულთან ერთად სერობაზე იჯდა, მან განსაცვიფრებელი რამ თქვა: „და აპა, ჩემი გამცემის ხელი ჩემთან ერთად არის ამ სუფრაზე. რადგან კაცის ძე მიდის განგებისამებრ, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა იგი.“ (ლუკა 22:21-22). აი, განცხადება! დღეს ვიტყოდით, რომ ამის თქმით, იქსომ „ბომბი ისროლა“.

იქსომ თავიდანვე იცოდა, რომ გასცემდნენ, მაგრამ მისმა მოწაფეებმა ეს პირველად გაიგეს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის საშინელება, რომელმაც მოწაფეები მოიცვა, როცა მან თქვა, რომ ერთი მათგანი, ვინც მასთან ერთად იყო, მისი ახლობელი, გასცემს?

## სატანის სატყუარა

დაბნეულებმა „... დაიწყეს ერთმანეთის გამოკითხვა: რომელი მათგანი ჩაიდენდა ამას.“ (ლუკა 22:23). ისინი შეძრნუნებულნი იყვნენ იმით, რომ მათ შორის ერთს ღალატი შეეძლო. მაგრამ ამის გარკვევის სურვილის მოტივები უწმინდური იყო. ეს ვიცით იქიდან, თუ რით დასრულდა მათი ღაპარაკი. ისინი სიამაყის და თავმოყვარეობის გამო ცდილობდნენ გაერკვიათ, ვინ იყო გამცემი. შეხედეთ წმინდა წერილის შემდეგ მუხლს:

„ასევე იყო დავა მათ შორის: რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო დიდად“. (ლუკა. 22:24)

წარმოიდგინეთ: იესომ უთხრა მათ, რომ მას ეს-ესაა მი-ჰგვრიან მღვდელმთავრებს სასიკვდილო მსჯავრისათვის და რომალებს გადასცემენ, რათა დასცინონ, გაამათრახონ და მოკლან. და ის, ვინც ამას გააკეთებს, მათთან ერთად ზის სუფრასთან.

მოწაფეებმა დაიწყეს გამოკითხვა, რომელი მათგანი იზამდა ამას და იმით დაასრულეს, რომ წამოიწყეს კამათი, ვინ უნდა ითვლებოდეს მათ შორის დიდად. ეს საზიზღრობა გახლდათ – იქცეოდნენ როგორც ბავშვები, რომელნიც შემცვიდრეობაზე დაობენ. მათ იესო ალარ ადარდებდათ, მხოლოდ გამალებით ისწრაფოდნენ ძალაუფლებისა და მდგომარეობისაკენ. წარმოუდგენელი ეგოიზმია!

მე რომ იესოს ადგილზე ვყოფილიყავი, შესაძლოა მეკითხა, გაიგონეს ის, რაც ვუთხარო, თუ არა. აქ ვხედავთ იმის მაგალითს, თუ როგორი სიყვარულითა და მოთმინებით ეპყრობოდა მოძღვარი თავის მოწაფეებს. მრავალი ჩვენთაგანი იესოს ადგილზე, იტყოდა: „თქვენ ყველანი, აპა მოშორდით აქედან! ეს ჩემი გამოცდის უმძიმესი უამია, თქვენ კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ!“ განაწყენებისათვის შშვენიერი ნიადაგია!

შეგვიძლია გამოვიცნოთ, ვინ წამოიწყო ეს კამათი მოწაფეებს შორის – სიმონ-პეტრემ, ვინაიდან ის დომინირებდა ჯგუფში და ჩვეულებრივ, პირველი იწყებდა ღაპარაკს. იგი, შესაძლოა, ხშირად ახსენებდა სხვებს, რომ ერთადერთი იყო, ვინც წყალზე გაიარა. ან იქნებ, ახსენებდა იმას, რომ პირველმა მიიღო გამოცხადება იესოს ღვთაებრიობის შესახებ. მას ასევე შეეძლო სხვებისათვის გაეზიარებინა თავისი განცდები ფერისცვალების მთაზე, მოეთხრო იესოს, მოსესა და ელიას შესახებ.

## პცელაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება

პეტრე უსაფუძვლოდ როდი იყო დარწმუნებული იმაში, რომ უდიდესი იყო თორმეტს შორის. მაგრამ ეს დარწმუნება სიყვარულზე არ იყო დაფუძნებული. მის საფუძველს წარმოადგენდა სიამაყე.

იესომ შეხედა მათ და უთხრა, რომ ისინი იქცეოდნენ როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, და არა როგორც სასუფევლის შვილები:

„... ხალხთა მეფეები ბატონობენ მათზე და მათი ხელმწიფენი მწყალობლებად იწოდებიან. თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის დიდი იყოს, როგორც უმცროსი, ხოლო ვინც უფროსობს – როგორც მოსამსახურე. ვინაიდან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მომსახურე? განა მეინახე არა? მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მომსახურე“. (ლუკა 22:25-27)

## გაცხრილვის მიზანი

თუმცა სიმონ პეტრემ მიიღო გამოცხადება იმის შესახებ, თუ ვინ არის იესო, მას მაინც არ ჰქონდა ქრისტესმიერი მორჩილება. იგი აშენებდა თავის ცხოვრებასა და მსახურებას და სამშენებლო მასალად ადრინდელ გამარჯვებებსა და სიამაყეს იყენებდა. პავლე მოგვიწოდებს თვალყური ვადევნოთ, როგორ ვაშენებთ დადებულ საფუძველზე – იესო ქრისტეზე (იხ. 1 კორინთელთა 3:10).

სიმონ პეტრე იყენებდა არა სპეციალურ მასალას, რომელიც აუცილებელია ღვთის სასუფევლისათვის, არამედ ისეთს, როგორიცაა ძლიერი ნებისყოფა და თავდაჯერებულობა. მისი ხასიათი უნდა გადასხვაფერებულიყო ღმერთის სასუფევლისათვის. ის ჯერჯერობით „ცხოვრების სიამაყეს“ ეყრდნობოდა (იხ. 1 ოანე 2:16).

სიამაყე ვერასდროს დართავდა ნებას, რომ მას ქრისტეში საკუთარი დანიშნულება შეესრულებინა. სიამაყე რომ არ დაეთრგუნა, იგი საბოლოოდ გაანადგურებდა მას. სიამაყე იგივე მანკია, რომელიც ჰქონდა ლუციფერს, ღმერთის ცხებულ ქერუბიმს და იგი სიამაყემ დაცემამდე მიიყვანა (იხ. ეზეკიელი 28:11-19).

## სატანის სატყუარა

ახლა ნახეთ, რას ეუბნება იქსო სიმონ პეტრეს:

„თქვა უფალმა: სიმონ, სიმონ! აჲა, სატანამ ითხოვა, რომ  
ხორბალივით გაგცხრილოს“. (ლუკა 22:31)

სიამაყემ გაულო კარი მტერს, რათა იგი მოსულიყო და „გაცხრილა“ სიმონ პეტრე. სიტყვა „გაცხრილვა“ თარგმნილია ბერძნული სიტყვიდან სინიაზო. იგი აღნიშნავს „გაცხრილვას, ცხავში ნჯლრევას“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით – შინაგანი ალტონოთების მეშვეობით, ვისიმე რწმენის გამოცდას ჩავარდნამდე.

იესოს რომ ისევე ეაზროვნა, როგორც მრავალ ადამიანს თანამედროვე ეკლესიებში, იტყოდა: „მოდით ვილოცოთ მეგობრებო და შევბოჭოთ ეშმაკის ეს შემოტევა. არ დავუშვებთ, რომ სატანამ ეს მოიმოქმედოს ჩვენი საყვარელი სიმონის წინააღმდეგ!“ მაგრამ, ნახეთ, რა თქვა მან სინამდვილეში:

„... მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა და როცა კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები“. (ლუკა 22:32)

იესო არ ლოცულობდა იმაზე, რომ სიმონ პეტრეს თავი დაელია რყევებისათვის, რომელთა გამოც დაეცემოდა. იგი ლოცულობდა იმაზე, რომ პეტრეს რწმენა არ დალეულიყო ამ განსაცდელის პროცესში. იესომ იცოდა, რომ ამის მეშვეობით იშვებოდა ახალი ბუნება, რომელიც სჭირდებოდა სიმონ პეტრეს, რათა შეესრულებინა თავისი მოწოდება და განემტკიცებინა ძმები.

სატანა ითხოვდა ნებართვას, შეენჯლრია სიმონ პეტრე ისე ძლიერად, რომ მას რწმენა დაეკარგა. მტრის მიზანი გახლდათ, გაენადგურებინა ადამიანი, რომელსაც უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნდა. მაგრამ ღმერთმა იცოდა ამ შენჯლრევის შესაძლო შედეგი და როგორც ყოველთვის, ემმაკს დაასწრო. მან ნება დართო მტერს ეცდუნებინა, რათა სიმონ პეტრეში შეეძრა ყველაფერი, რაც უნდა შეძრულიყო.

ღმერთმა აჩვენა ჩემს ცოლს, ლიზას, ხუთი მიზანი, რომელთა გამო ადამიანი გაცხრილვას ან რყევას განიცდის:

1. მყარად დააფუძნოს ფუნდამენტს.

2. მოაშოროს უსარგებლო.

## ჟველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება

3. აიღოს მთელი მოწეული მოსავალი.

4. გამოაფხიზლოს.

5. გაამთლიანოს და განამტკიცოს დანაწევრებული.

ნებისმიერი აზროვნება ან დამოკიდებულება, დაფუძნებული ეგოიზმსა და სიამაყეზე, განწმენდის გზას გაივლის. ამ ძლიერი რეევის შედეგად გაქრება სიმონ პეტრეს ყოველგვარი თავდაჯერებულობა და ყველაფერი, რაც დარჩება – საიმედო ლვთიური საფუძველია. იგი გააცნობიერებს თავის ნამდვილ მდგომარეობას, განადგურებული იქნება უსარგებლო, ხოლო მოწეული ნაყოფი დაიკრიფება, ჭეშმარიტი ფუნდამენტის გამყარებით. იგი აღარ იმოქმედებს თავის სასარგებლოდ, არამედ მთლიანად მიერდობა უფალს.

პეტრე გაძედულად ენინააღმდეგებოდა იესოს სიტყვებს: „უფალო, შენთან მე მზად ვარ საპყრობილეშიც წამოვიდე და სასიკვდილოდაც.“ ეს მტკიცება გამომდინარეობს არა სულისაგან, არამედ თავდაჯერებულობისაგან. იგი თავისში ვერ ხედავდა ნაკლს.

## იუდას შედარება სიმონთან

ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ პეტრე ყბედი და მშიშარა იყო. მაგრამ გეთსიმანის ბალში, როდესაც მოვიდა რაზმი იესოს შესაპყრობად, მან იშიშვლა თავისი მახვილი და მღვდელმთავრის მონას მარჯვენა ყური ჩაათალა (იხ. ოთანე 18:10). ბევრი მშიშარა როდი მოახდენს თავდასხმას, როდესაც მტრის ჯარისკაცები რიცხობრივად უპირატესობდნენ მათზე. ასე რომ, პეტრე ძლიერი ადამიანი იყო, მაგრამ მისი ძალა მდგომარეობდა მის პიროვნებაში, და არა ლვთიურ მორჩილებაში, ვინაიდან გაცხრილვა ჯერ არ იყო დაწყებული.

მოხდა ისე, როგორც იესო წინასწარმეტყველებდა. სწორედ ის მამაცი სიმონ პეტრე, იესოს გამო სიკვდილისათვის რომ იყო მზად, მახვილს რომ იქნევდა ჯარისკაცებით სავსე ბალში, პატარა მომსახურე გოგონას შეეჯახა. პეტრე შეშინდა და ისიც კი უარყო, რომ საერთოდ იცნობდა იესოს.

ზოგიერთები თვლიან, რომ ძირითადად დიდი სიძნელეები აიძულებენ ადამიანებს, რომ შებრკოლდნენ. მაგრამ ხშირად, სწორედ უმნიშვნელო წინააღმდეგობები არყევენ ყველაზე მეტად. ეს თავდაჯერებულობის სისუსტეზე მიანიშნებს.

შემდეგ პეტრემ კიდევ ორჯერ უარყო იესო. მამალმა იყ-

## სატანის სატყუპარა

ივლა და პეტრე ატირდა, იქსოს სიტყვების გახსენებაზე. მისი თავდაჯერებულობა შეიძრა და იგი აღარ იმედოვნებდა, რომ ოდესმე წამოდგომას შეძლებდა.

სიმონ პეტრეს და იუდა ისკარიოტელს ბევრი საერთო აქვთ, იმ ფაქტის ჩათვლით, რომ ორივემ შეაქცია ზურგი იქსოს, მისი სიცოცხლის უკანასკნელ ტრაგიკულ დღეებში. თუმცა ამ ორ ადამიანს შორის არსებითი განსხვავებაც არსებობდა.

იუდას არასოდეს სწყუროდა იქსოს შეცნობა ისე, როგორც სიმონ პეტრეს. იუდამ არ დაიდო საფუძვლად იქსო. თითქოს მას უყვარდა იქსო, ვინაიდან მის გამო მიატოვა ყველაფერი, რათა ქრისტეს გაჰყოლოდა. გამუდმებით მის საზოგადოებაში იმყოფებოდა და დევნის ძნელ დროსაც იქსოსთან რჩებოდა.

იუდა დევნიდა ეშმაკებს, კურნავდა ავადმყოფებს და ქადაგებდა სახარებას. (გაიხსენეთ, რომ იქსო აგზავნიდა თორმეტ მოციქულს, რათა ექადაგათ, განეკურნათ და ეშმაკები განედევნათ. აგზავნიდა თორმეტს, და არა თერთმეტს). მაგრამ იგი ამას არ აკეთებდა იქსოსადმი სიყვარულის გამო და არც იმ გამოცხადების გამო, რომ შეეცნო თუ ვინ იყო ქრისტე.

იუდას თავიდანვე საკუთარი მიზნები და გეგმები გააჩნდა. მას არასდროს მოუნანიებია თავისი ანგარებიანი მოტივები. მისი ხასიათი შემდეგ გამონათქვამებში ვლინდება: „რას მომცემთ, რომ ...“ (იხ. მათეს 26:15). იგი ცრუობდა და პირფერობდა საკუთარი გამორჩენისათვის (იხ. მათეს 26:25). იუდა საკუთარი საჭიროებებისათვის ხარჯავდა იმ ფულს, რომელიც იქსოს მსახურებისათვის იყო განკუთვნილი (იხ. იოანე 12:4-6). ეს სის შეიძლება გავაგრძელოთ. იუდა ჭეშმარიტად არასდროს იცნობდა იქსოს, თუმცა მის თანდასწრებაში სამწელინადნახევარი გაატარა.

პეტრე და იუდა, ორივე წანობდა იმას, რაც გააკეთეს. მაგრამ იუდას არ ჰქონდა ის საფუძველი, რომელიც პეტრეს გააჩნდა. იმის გამო, რომ მას არასდროს ჰქონია წყურვილი, შეეცნო იქსო, უფალი არ გაეხსნა იუდას. იუდას რომ მიეღო გამოცხადება იქსოს შესახებ, იგი ვერასოდეს შეძლებდა მის ღალატს. როდესაც მის ცხოვრებაში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, ყველაფერი შეიძრა და დაიმსხვრა! წახეთ, რა მოხდა:

„როცა იუდამ, რომელმაც იქსო გასცა, დაინახა, რომ მას მსჯავრი დასდეს, ინანა და უკან მიუბრუნა ოცდა-

ჟველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება  
თი ვერცხლი მღვდელმთავრებს და უხუცესებს. უთხრა:  
„შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი!“ მათ კი უთხ-  
რეს: „ჩვენ რა? შენ იცი.“ დაყარა ვერცხლი ტაძარში, გა-  
მოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო“. (მათე 27:3-5)

იუდამ იცოდა, რომ შესცოდა და ნანობდა ამას. მაგრამ იგი  
ჭეშმარიტად არ იცნობდა ქრისტეს. მას სრულიად არ ესმოდა,  
თუ ვინ გასცა. მხოლოდ თქვა: „მართალი სისხლი გავეცი.“ მას  
რომ შეეცნო ქრისტე ისე, როგორც სიმონ პეტრემ შეიცნო და  
სცოდნოდა უფლის სიკეთე, იგი დაბრუნედებოდა იესოსთან და  
მოინანიებდა. თვითმკვლელობა გახლდათ მისი კიდევ ერთი  
საქციელი, რომელიც ღმერთის მაღლს მოკლებულ სიცოცხ-  
ლეზე მეტყველებდა. მერყეობამ გამოავლინა, რომ იუდას არ  
გააჩნდა არავითარი საფუძველი.

უამრავი ადამიანი გამხდარა ქრისტიანი, ულოცია „ცოდვი-  
ლის ლოცვით“, დადიოდა ეკლესიაში, ეწეოდა მის აქტიურ წევ-  
რობას და სწავლობდა ბიბლიას. მაგრამ ეს ყველაფერი ხდებო-  
და გამოცხადების მიღების გარეშე იმის შესახებ, თუ ვინ არის  
სინამდვილეში იესო ქრისტე, თუმცა ისინი თავიანთი ბაგებით  
აღიარებდნენ მას. როდესაც მკაცრი გამოცდის ჟამი დგებოდა,  
ცდუნდებოდნენ, ნაწყენდებოდნენ ღმერთზე და აღარ სურდათ  
მასთან რაიმე საერთო ჰქონოდათ.

პირადად მსმენია, რას ამბობდნენ ასეთი ადამიანები:  
„ღმერთმა არაფერი გააკეთა ჩემთვის! ვცდილობდი ქრისტიანი  
ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემი ცხოვრება ამით უფრო საშინელი  
გახდა.“ ან: „მე ვლოცულობდი და ვთხოვდი ღმერთს გაეკეთე-  
ბინა ესა თუ ის, მაგრამ მან არ გააკეთა!“ მათ არასდროს  
მიუტანიათ საკუთარი სიცოცხლე იესოს ფეხებთან, არამედ  
ცდილობდნენ მისი მოკავშირები გამხდარიყვნენ საკუთარი  
გამორჩენის მიზნით. ისინი ემსახურებოდნენ ღმერთს იმის  
გამო, რის მიცემაც მას შეეძლო მათთვის და ადვილად ცდუნდ-  
ნენ, ადვილად განაწყენდნენ ღმერთზე. აი ასე აღწერს მათ  
იესო:

„ასევე კლდოვანზე დათესილნი: ისინი არიან, რომლებიც  
როგორც კი სიტყვას მოისმენენ, მაშინვე სიხარულით  
მიიღებენ მას. მაგრამ ფესვი არ გააჩნიათ თავის თავ-  
ში და ხანმოკლენი არიან და, როგორც კი დგება გასაჭ-

## სატანის სატყუპარა

ირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცდუნდებიან. (ბერძნულ ენაში ეს სიტყვა აღნიშნავს: „უკმაყოფილონი ხდებიან, ბრაზდებიან, სწყით, ბრკოლდებიან და შორ-დებიან,“ იხილეთ Amplified Bible7, ამერიკული ბიბლი-ური გამომცემლობის ზონდერვან Bible Publishers ჩრანდ ლაპიდს ბიბლიის გაფართოებული თარგმანი მარკოზის სახარება 4:17. – მთარგმნელის შენიშვნა). (მარკოზი 4:16-17)

ნახეთ, მან თქვა, რომ მაშინვე ცდუნდებიან იმის გამო, რომ არ გააჩნიათ არავითარი საფუძველი. რაში უნდა ვიყოთ ფესვგადგმულები? პასუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ ეფესელ-თა წერილში 3:16-18: ჩვენ უნდა ვიყოთ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში. ღმერთის მიმართ სიყვარული წარმოადგენს ჩვენთვის ფუნდამენტს.

იესომ თქვა: „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრებისათვის“ (იოანე 15:13). ჩვენ არ შეგვიძლია გავწიროთ ჩვენი სული იმისთვის, ვისაც არ ვენდობთ. არ შეგვიძლია გავწიროთ ჩვენი სული ღმერთისათვის, თუ მას არ ვიცნობთ საკმარისად კარგად, რომ ვენდობოდეთ. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ და გვესმოდეს ღმერთის ბუნება და ხასიათი. უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ იგი არასდროს გააკეთებს ისეთ რამეს, რაც გვავწებს.

უფალი ყოველთვის ეძებს იმას, რაც ჩვენთვის სასარგებლო იქნება. ის, რაც ჩვენ შეიძლება დამარცხებად მოგვეჩვენოს, ყოველთვის სასიკეთოდ გვეწევა, თუკი რწმენას არ დავკარგავთ. ღმერთი სიყვარულია; მასში არ არის არავითარი ეგოიზმი და ბოროტება. ეს ეშმაქას უნდა ჩვენი დალუპვა.

ძალიან ხშირად ჩვენს ცხოვრებისეულ სიტუაციებს აწმყოს თვალთახედვით ვუყურებთ და ეს რეალურ სურათს ამახინ-ჯებს. ღმერთი კი ჩვენს გამოცდას მარადისობის თვალსაზრის-ით უყურებს. თუ ჩვენი ხედვა მდგომარეობისა შეზღუდულია, მაშინ შეიძლება ორი რამ მოხდეს.

ჯერ ერთი, ღვთიური განწმენდის პროცესის დროს, შეი-ძლება ადვილად გავნაწყენდეთ ან ღმერთზე, ან მის ერთ-ერთ მსახურზე. მეორე, ჩვენ შეიძლება მტრისაგან ადვილად მოტყუებულნი აღმოვჩნდეთ, სატანა იმისკენ გვიპიძებს, რაც მოცემულ მომენტში გვეჩვენება სწორად, მაგრამ მისი საბ-

ჟველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება  
ოლოო მიზანი გახლავთ ის, რომ ყველაფერი ჩვენი ჩავარდნი-  
სა და სიკვდილისათვის გამოიყენოს. როდესაც მტკიცედ ვართ  
დაიმედებულები ღმერთზე, მისი მზრუნველობა არ მოგვაკლ-  
დება, არ ვცდუნდებით, და არ მოვინდომებთ ჩვენი ძალებით  
ვიზრუნოთ საკუთარ თავზე.

### ღმერთის ხასიათზე დაიმედება

მტერი ცდილობს დაამახინჯოს ჩვენს მიერ ღმერთის ხას-  
იათის აღქმა და გაგება. ეს გახლავთ ღმერთისადმი მინდო-  
ბის შერყევის ერთ-ერთი ხერხი. ეშმაკი ასე ევას წინააღმდეგ  
მოიქცა ედემის ბალში, როცა შეეკითხა: „...მართლა გითხ-  
რათ ღმერთმა, ბალის არცერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთ?“  
(დაბადება 3:1). მან გააუკულმართა ღმერთის მცნება იმისათ-  
ვის, რომ ღმერთის ხასიათი დაემახინჯებინა.

ღმერთმა თქვა: „ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა (ანუ შეგიძლია)  
ამ ბალში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის  
ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო“  
(დაბადება 2:16-17).

რსებითად, გველი ეუბნებოდა ევას: „ღმერთი რაღაც კარგს  
გიმალავთ.“

ღმერთი კი ნახეთ რაზე ამახვილებდა ყურადღებას: „შეგი-  
ძლია ჭამო ყველაფერი, გარდა ...“ ღმერთმა კაცობირიობას  
მისცა მთელი ბალი სიამოვნებისათვის და ნება დართო ეჭამათ  
ყველა ნაყოფი, გარდა ერთისა.

გველმა დაამახინჯა ევას მიერ ნათქვამი ღმერთის ალთქმა  
ასეთი სიტყვებით: „ღმერთი სინამდვილეში არ ზრუნავს თქვენ-  
ზე. ერთი შეხედეთ, როგორ სიკეთეს გიმალავთ! მას, როგორც  
ჩანს, არ უყვარსართ ისე, როგორც თქვენ წარმოგიდგენი-  
ათ. ის, ალბათ, კარგი ღმერთი არ არის!“ ევა მოტყუვდა და  
დაუჯერა სიცრუეს ღმერთის ხასიათის შესახებ. ამის შემდეგ  
გაჩნდა ცოდვის ჩადენის სურვილი, ვინაიდან ღმერთის სიტყ-  
ვა აღარ იყო სიცოცხლე, მისთვის იგი კანონად იქცა. „ხოლო  
ცოდვის ძალა რჯულია“ (1 კორინთელთა 15:56).

მტერი დღესაც ასე მოქმედებს. იგი ამახინჯებს მამა-ღმერ-  
თის ხასიათს მისი შვილების თვალში. ყოველ ჩვენგანზე იყო  
ძალაუფლება მამების, მასწავლებლების, უფროსების ან დი-  
რექტორების სახით. მათ შორის ზოგიერთნი იყვნენ ეგოის-

## სატანის სატყუპარა

ტურები, ბოროტები ან არ ვუყვარდით ჩვენ. ვინაიდან ამ ადა-  
მიანებს ჰქონდათ ძალაუფლება, ჩვენთვის ადვილია პარალელი  
გავავლოთ მათ ხასიათსა და ღმერთის, როგორც უმაღლესი  
ძალაუფლების, ხასიათს შორის. მტერმა ოსტატურად დაამახ-  
ინჯა მამის ხასიათი, ჩვენი მიწიერი მამების ხასიათების დამახ-  
ინჯებით. ღმერთი ამბობს, რომ იესოს დაბრუნების წინ მამე-  
ბის გულები შერიგდებიან შვილების გულებთან (იხ. მალაქია  
3:24). უფლის ხასიათი და ბუნება მის ლიდერებში გამოჩნდება,  
და ეს განკურნების დასაწყისის მაჩვენებელი იქნება.

როცა იცით, რომ ღმერთი არასდროს არაფერს არ გაა-  
კეთებს იმ მიზნით, რომ ზიანი მოგაყენოთ ან დაგლუპოთ, და  
რომ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს ან არ აკეთებს თქვენს ცხ-  
ოვრებაში, გამიზნულია თქვენი უდიდესი სიკეთისათვის, მაშინ  
თავისუფლად მიუძღვნით მას საკუთარ ცხოვრებას. სიხარუ-  
ლით გახდებით ის ადამიანი, რომელიც თავის სულს გასწირავს  
უფლისათვის.

თუკი მთლიანად მიუძღვენით თავი იესოს და მისი მეურვე-  
ობის ქვეშ იმყოფებით, ვერ ცდუნდებით და არ განაწყენდებით,  
იმიტომ, რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით. ნაწყენი და იმდეგა-  
ცრუებული ადამიანები ისინი არიან, რომელნიც იესოსთან მივ-  
იდნენ იმის გამო, რომ რაიმე სარგებელი ენახათ მისგან და არა  
იმისთვის, რომ გაეგოთ თუ ვინ არის იესო.

როცა ასეთი დამოკიდებულება გვაქვს, ადვილად გაგვიც-  
რუვდება იმედი. საკუთარ თავზე ყურადღების მიპყრობა ახ-  
ლომხედველებად გვაქცევს. ამის გამო უუნარონი ვხდებით,  
რომ ჩვენს მიმდინარე მდგომარეობას რწმენის თვალებით  
ვუყუროთ. როდესაც ჩვენი სიცოცხლე ჭეშმარიტად იესოშია  
დაფარული, ვიცით მისი ხასიათი და მის სიხარულს ვიზიარებთ,  
მაშინ ავცდებით მერყეობისა და მარცხის განცდას.

ძალიან ადვილია განაწყენება, თუკი გარემოებათა საფუ-  
ველზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ. ასეთი ხედვა, სულინმიდ-  
ის თვალებით ხედვა არ გახლავთ. ხშირად ღმერთი არ მპა-  
სუხობს ისე, როგორც მე ველოდი ან იმ დროს, როცა პასუხის  
მიღება აუცილებლად მიმაჩნია. მაგრამ, როცა წარსულს გა-  
დავხედავ და ჩემს მიერ განვლილ ყველა სიტუაციას ვუყურებ,  
ყველაფერს ვხვდები და ყველაფერში შემიძლია მისი სიბრძნე  
დავინახო.

ზოგჯერ შვილებს არ ესმით მშობლების მიერ მათი აღზრდის

## შველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება

მეთოდები და ლოგიკა. ჩვენ ვცდილობთ ყველაფერი ავუხსნათ უფროს შვილებს, რათა მათ შეძლონ სარგებელი მიიღონ ჩვენი სიბრძნიდან. მაგრამ, ხანდახან ვერ გვიგებენ ან არ გვეთანხმებიან თავიანთი უმნიფრობის გამო, თუმცა ყველაფერს მოგვიანებით მიხვდებიან. ან, შესაძლოა, მიზეზი, რომლის გამოც მათ ასე ვექცევით იმაში მდგომარეობს, რომ გვინდა შევამოწმოთ მათი მორჩილება, სიყვარული და მოწიფულობა. იგივე ეხება ჩვენს დამოკიდებულებას ზეციერ მამასთან. ასეთ სიტუაციებში რწმენა ამბობს: „მე გენდობი შენ, თუმცა არ მესმის.“

ებრაელთა მიმართ წერილში 11:35-39 ვხვდებით ადამიანების აღწერას, რომელნიც ვერ მოესწრნენ მათთვის მიცემული ლერთის ალთქმების შესრულებას, მაგრამ მაინც მტკიცედ იდგნენ რწმენაში: „.... სხვები კი ენამებოდნენ და გამოხსნაზე უარს ამბობდნენ, რათა უკეთესი აღდგომისათვისს მიეღწიათ. ზოგმა დაითმინა გინება და გვემა, ბორკილები და საპყრობილები. მათ ქოლავდნენ, ხერხავდნენ, აწამებდნენ; მახვილით იხოცებოდნენ, დაეხეტებოდნენ ცხვრისა და თხის ტყავებით, განიცდიდნენ ნაკლოვანებას, გაჭირვებას, ტანჯვას. ისინი, რომელთა ლირსიც არ იყო მთელი წუთისოფელი, დაეხეტებოდნენ უდაბნოებსა და მთებში, დედამიწის მღვიმეებსა და ხევხუვებში. ყველა ამათგანს რწმენით დამოწმება კი ჰქონდა, მაგრამ ვერ მიიღო ალთქმული ...“

მათ გადაწყვიტეს, რომ ლერთი არის ყველაფერი, რაც სჭირდებათ, რა საფასურის გადახდაც არ უნდა მოუხდეთ. მათ მაშინაც სწამდათ ლერთის, როცა კვდებოდნენ ისე, რომ ალთქმების შესრულება ვერ იხილეს. მათ არც სწყინდათ და არც ცდუნდებოდნენ!

ჩვენ ფესვგადგმული და განმტკიცებული ვართ, თუკი ასეთივე სიყვარული და მინდობა გვაქვს ლერთის მიმართ. მაშინ არანაირი ქარიშხალი, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს, ვერასდროს შეგვარყევს. ასეთი უნარი არ მომდინარეობს ძლიერი ნებისყოფილან ან პიროვნებიდან. ეს გახლავთ მადლის ნიჭი ყველასთვის, ვინც ლერთზეა დაიმედებული და არ ეყრდნობა საკუთარ თავს. მაგრამ იმისათვის, რომ სრულიად მიენდოთ ლერთს, უნდა იცნობდეთ იმას, ვის ხელშიც არის მოქცეული თქვენი სიცოცხლე.

## სატანის სატყუარა

### მადლი ეძლევათ თავდაბლებს

სიმონ პეტრეს აღარ შეეძლო საკუთარი სიდიადით თავის ქება. მას წაერთვა მისთვის დამახასიათებელი თავდაჯერებულობა. მან ძალიან ნათლად დაინახა თავისი ნებისყოფის ამაოქბა. ის მოთვინიერდა. ახლა იგი გახდა უმწიკვლო კანდიდატი ღვთიური მადლის მისაღებად. ღმერთი თავის მადლს თავმდაბლებს აძლევს. თავმდაბლობა ამ დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს გაკვეთილი ჩაბეჭდილი იყო პეტრეს ცნობიერებაში, როცა წერდა თავის წერილში: „... შეიმოსეთ თავმდაბლობა, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“ (1 პეტრეს 5:5).

პეტრე თითქმის სრულ სასონარკვეთილებამდე იყო მისული. ამის შესახებ ვგებულობთ იქიდან, რაც უფლის ანგელოზმა უთხრა მარიამ მაგდალინელს სამარხთან: „მაგრამ წადით, უთხარით მის მონაფებს და პეტრეს: ის თქვენ წინ მიგიძლვით გალილეისაკენ. იქ წახავთ მას, როგორც ნათქვამი აქვს თქვენთვის“ (მარკოზი 16:7). ანგელოზს უნდა გამოერჩია პეტრე. პეტრე მარცხის ზღვარზე გახლდათ, მაგრამ ღმერთის მიერ მასში საფუძველი იყო ჩადებული. იგი არ დანგრეულა ძვრებისაგან, არამედ უფრო გამყარდა.

იესომ არა მარტო აპატია პეტრეს, არამედ იგი აღადგინა კიდეც. ახლა, იყო რა „შეძრული“, პეტრე მზად გახლდათ მისათვის, რომ ეკლესიაში ერთ-ერთი ძლიერი ფიგურა გამხდარიყო. ის თამამად აცხადებდა ქრისტეს აღდგომას იმ ადამიანთა წინაშე, რომელიც დამნაშავენი იყვნენ მის ჯვარცმაში. ახლა იგი მზად იყო არა მარტო მოსამსახურე გოგონას, არამედ თვით სინედროონს შეჯახებოდა პირისპირ. ის იდგა მათ წინაშე ძალაუფლებით, სითამამითა და გამბედაობით აღჭურვილი. ისტორიიდან ვიცით, რომ პეტრე თავდაყირა აცვეს ჯვარს მრავალნლიანი ერთგული მსახურების შემდეგ. ის დაუინებით მოითხოვდა, რომ არ იყო ღირსი ისეთივე სიკვდილით მომკვდარიყო, როგორითაც მისი უფალი მოკვდა, ამიტომაც იგი თავდაყირა ჩამოკიდეს. მას აღარ ეშინოდა. ის გახდა ქვა, რომელიც კლდის მყარ საფუძველზე გახლდათ დაფუძნებული.

ცხოვრებისეული განსაცდელები გამოავლენენ და გაჩვენებენ ჭეშმარიტებას თქვენს გულში: არის კი მასში წყენა

## ცველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება

ღმერთთან ან სხვებთან მიმართებით, თუ არა. განსაცდელები ან გაგაბოროტებენ ღმერთზე და ახლობლებზე, ან უფრო ძლიერ ადამიანად გაქცევენ. თუ განსაცდელს გაივლით, მაშინ ფესვებს უფრო ღრმად გაიდგამ, და თქვენ და თქვენი მომავალი უფრო მყარი გახდება. განსაცდელის გაუვლელად, განაწყენებული ხდებით, რამაც შეიძლება რწმენის დაკარგვამდე მიგიყვანოთ.

უფალო, მე გემსახურებოდი შენ, მაშ რატომ ...?

როდესაც ხუცესი ვიყავი, ჩვენს ახალგაზრდულ ჯგუფში იყო ერთი ძალიან ნიჭიერი თოთხმეტი წლის ბიჭი, რომელსაც პატივს სკემდნენ მეგობრები და ეკლესიის ლიდერები. იგი მეტად წარმატებული მოწაფე გახლდათ. ყველაფრისადმი, რაც ღვთიურია, იგი მოშურნეობას იჩენდა და ნებაყოფლობით ჰკიდებდა ხელს ნებისმიერ ქრისტიანულ პროექტს. ხანდახან მოგვყვებოდა მისიონერულ მოგზაურობაში და უმოწმებდა თითქმის ყველას, ვისაც ხვდებოდა.

ერთ დროს იგი ყოველდღიურად ოთხ საათს ლოცვაში ატარებდა. უფლისაგან ბრავალ გამოცხადებას ღებულობდა და სხვებს უზიარებდა. ის, რასაც იგი უზიარებდა, ყოველთვის კურთხევა იყო. ის აცნობიერებდა მსახურებისადმი თავის მოწოდებას, უნდოდა გამხდარიყო ხუცესი მანამ, ვიდრე ოცი წელი შეუსრულდებოდა და შეურყეველი კლდე ჩანდა.

მე მიყვარდა ეს ახალგაზრდა, ვაღიარებდი მასზე ღმერთის ცხებულებას და მისთვის დრო არ მენანებოდა. მხოლოდ ერთი რამ მაღლელვებდა: მეჩვენებოდა, რომ იგი მეტისმეტად თავდაჯერებული იყო. მინდოდა ეს მისთვის მეთქვა, მაგრამ ჯერ შესაფერისი დრო არ იყო. მან რამდენიმე ძლიერი ქარიშხალი გადაიტანა, თუმცა მტკიცედ დგომას განაგრძობდა. იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ იტანდა მყაცრ განსაცდელებს, ხანდახან ვეჭვობდი, იქნებ უსამართლო ვარ მის მიმართ?

რამდენიმე წელმა განვლო. იგი სხვა ადგილზე გადავიდა, ხოლო მე ბევრს ვმოგზაურობდი. მაგრამ ერთმანეთთან კავშირი არ გაგვინცვეტია. ვგრძნობდი, რომ მას მსხვრევისა და განადგურების პროცესი უნდა გაევლო. ეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ და როდის. მე ვაცნობიერებდი, რომ მას აუცილებლად მართებდა გაევლო განსაცდელებში, რათა თავისი მოწოდება შეესრულებინა. ეს უნდა ყოფილიყო

## სატანის სატყუარა

პროცესი, რომელიც სიმონ პეტრეს გაცხრილვას ჰქონდა.

როდესაც ამ ახალგაზრდას თვრამეტი წელი შეუსრულდა, მამამისი კიბოს უკურნებელი ფორმით დაავადდა. ყმანვილი რწმენით ლოცულობდა და მარხულობდა დედასთან ერთად, რომ მამა განკურნებულიყო. მათ ლოცვას სხვა მორწმუნებიც შეუერთდნენ. რამდენიმე თვით ადრე მამამისმა იქსოს მიუძღვნა თავისი სიცოცხლე.

მამის მდგომარეობა უარესდებოდა. მე მსახურებაში გახლდით ალაპამის ერთ ქალაქში, როცა ჩემმა მეუღლემ დამირეკა და მთხოვა, რომ სასწრაფოდ დავკავშირებოდი ამ ახალგაზრდას. მე მას დავურეკე და მივხვდი, როგორ სჭირდებოდა, რომ ვინმეს გაემხევებინა და ენუგეშებინა.

მსახურების შემდეგ მთელი ღამე ვიმგზავრე მანქანით და მასთან დილის ოთხ საათზე მივედი. მამამისი ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ექიმებმა მხოლოდ რამოდენიმე დღის სიცოცხლე განუსაზღვრეს. მას ალარ შეეძლო ლაპარაკი. ახალგაზრდა დარწმუნებული იყო იმაში, რომ მამა გამოჯანმრთელდებოდა. მე გულმოდგინედ მოვემსახურე ამ ოჯახს და რამდენიმე საათის შემდეგ გავემგზავრე. მეორე დღისას დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ მამის მდგომარეობა უარესდება. მე და ლიზამ დაუყოვნებლივ დავიწყეთ ლოცვა. როცა ვლოცულობდით, ჩემმა ცოლმა ლმერთისაგან მიიღო ხილვა. მან დაინახა იქსო, რომელიც ამ ავადმყოფი ადამიანის საწოლთან იდგა, რათა თავისთან, ზეცაში წაეყვანა. ოცდაათი წუთის შემდეგ დაგვირეკა ამ ახალგაზრდამ და მამის გარდაცვალება გვაცნობა. ჩანდა, თითქოს იგი ისეთივე ურყევი იყო, როგორც ადრე, მაგრამ ეს მხოლოდ დასახუისი იყო. იმ საღამოს მან ერთ-ერთ მეგობარს დაურეკა, რათა ეცნობებინა, რომ მამა მოუკვდა. როდესაც ყურმილი აიღეს, იქიდან ტირილის ხმა გაისმა. მას გაუკვირდა: წუთუ მათ უკვე იციან მამამისის სიკვდილის შესახებ? მაგრამ ისინი სხვა მიზეზით ტიროდნენ: ახლახან ავტოკატასტროფაში დაიღუპა მისი ერთ-ერთი ახლო მეგობარი. ერთ დღეს დაკარგა მან მამა და ძალიან ძვირფასი მეგობარი.

გამოცდა დაიწყო. იგი გაოცებული, მოშლილი და გაშტერებული იყო. ეჩვენებოდა, რომ ღმერთის თანდასწრებამ დატოვა იგი.

ერთი თვის შემდეგ, როცა მანქანით სახლში მიემგზავრებოდა, ავტოკატასტროფის ადგილას აღმოჩნდა. მან იცოდა,

## შველაფერი, რაც შეიძლება შეიძრას, შეიძრება

როგორ უნდა აღმოჩინა პირველადი სამედიცინო დახმარება ავარიის დროს დაზარალებულებისათვის და ამიტომ გაჩერდა. შეჯახებული მანქანების ორივე მძღოლი მისი მეგობარი აღმოჩნდა. ორივე მათგანი მის ხელებში დაიღუპა, როცა ახალგაზრდა მათ დახმარებას ცდილობდა.

ჩემი ახალგაზრდა მეგობარი უკიდურესობამდე მივიდა. მან სამი საათი გაატარა ტყეში, ლოცვაში და ვედრებაში ღმერთის მიმართ: „სად ხარ? შენ თქვი, რომ ჩემი ნუგეშისმცემელი იქნები, თუმცა არავითარი ნუგეშისცემა არ გამაჩნია!“

მას ეჩვენებოდა, თითქოს ღმერთმა ზურგი შეაქცია. მაგრამ, ფაქტიურად, მისმა საკუთარამა ძალამ პირველად უდალატა.

იგი გაბრაზდა ღმერთზე. რატომ დაუშვა მან, რომ ეს ყველაფერი მომხდარიყო? იგი არ ბრაზდებოდა ხუცესზე, თავის ოჯახზე ან ჩემზე. ის განაწყნდა და გაბრაზდა ღმერთზე. ყმაწვილი იმედგაცრუებამ შთანთქა. ღმერთმა იგი ღრმა მწუხარებაში შეიყვანა.

„უფალო, მე გემსახურებოდი და ამისათვის ბევრ რამეზე ვთქვი უარი, – ლოცულობდა იგი. – ახლა კი შენ მიმატოვე!“ ის თვლიდა, რომ ღმერთი ვალში იყო მის წინაშე იმ ყველაფრის გამო, რაც მან მისი მსახურების გამო მიატოვა.

მრავალმა ადამიანმა გადაიტანა ჭრილობები და იმედგაცრუებები, ზოგიერთმა ნაკლები, ხოლო ზოგიერთმა აღწერილზე მეტი. ბევრნი განაწყნდნენ ღმერთზე. ისინი თვლიდნენ, რომ ღმერთი უნდა ითვალისწინებდეს ყველაფერს, რაც მათ მისთვის გააკეთეს.

მიზეზები, რომელთა გამოც ისინი ემსახურებოდნენ მას, არასწორი გახლდათ. ჩვენ უნდა ვემსახურებოდეთ ღმერთს არა იმის გამო, რის გაკეთებაც მას ჩვენთვის შეუძლია, არამედ იმის გამო, თუ ვინ არის იგი და რა გააკეთა ღმერთმა ჩვენთვის. ისინი, რომელთაც სწყინთ, ვერ აცნობიერებენ, რამდენად დიდი ფასი გადაიხადა უფალმა მათი განთავისუფლებისათვის. მათ დაავიწყდათ, როგორი სიკვდილიდან არიან დახსნილნი. ადამიანები ამქვეყნიური თვალებით იყურებიან, იმის ნაცვლად, რომ მარადისობის თვალებით შეხედონ მოვლენებს.

ამ ახალგაზრდამ შეწყვიტა ეკლესიაში სიარული და უმართლო ადამიანებს დაუმეგობრდა, მათთან ერთად იჯდა ბარებში და მათ უწმინდურ წვეულებებში მონაწილეობდა. იმედგაცრუებულს, არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა ღმერთთან და

## სატანის სატყუარა

მასთან კონტაქტს გაურბოდა.

მას ალარ შეეძლო ასეთი ცხოვრება ორ კვირაზე მეტ ხანს გაეგრძელებინა, ვინაიდან გული ამხელდა. მაგრამ უნინდებურად უარს ამბობდა უფალთან მიახლოებაზე. ასე გრძელდებოდა ექვსი თვე. მაშინ ზეცაც კი სპილენძად ეჩვენებოდა. ეჩვენებოდა თითქოს ღმერთის სუფევა ალარ არსებობდა.

თითქმის წელიწადი გავიდა და მან დაინახა, რომ ღმერთი უნინდებურად ზრუნავს მასზე. ახალგაზრდამ კვლავ დაინყო ღმერთან მიახლოება, მაგრამ ამჯერად სრულიად სხვაგვარად. იგი მასთან თავმდაბლობით მივიდა. მას შემდეგ, რაც გამოცდის დრო დასრულდა, უფალმა უჩვენა, რომ არასდროს არ მიუტოვებია იგი. როდესაც მისი სულიერი ცხოვრება ალდგა, მან ისწავლა დაიმედება უფლის მადლზე, და არა თავის საკუთარ სიმტკიცეზე.

მე მერეც მქონდა მასთან კავშირი. წელიწადნახევრის შემდეგ მითხრა, რომ საკუთარ თავში ისეთი რამ დაინახა, რაზეც ადრე არასდროს ჰქონია ეჭვი. „მე ვიყავი ადამიანი, ხასიათის გარეშე, ჩემი ყველა ურთიერთობა ზედაპირული იყო. მამაჩემი, აღზრდისას, მასწავლიდა, რომ გარეგნულად ძლიერი და თავდაჯერებული ვყოფილიყავი. მე ვერასდროს შევძლებდი გავზრდილიყავი იმგვარად, როგორც ღმერთს სურდა ეს იხილა. მადლობელი ვარ ღმერთისა იმის გამო, რომ მან არ დამტოვა ასეთ მდგომარეობაში. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად დამაღლონა, ის კი არ არის, რომ დავდიოდი ბარებში და ვსვამდი, არამედ ის, რომ ზურგი შევაქციე სულიწმიდას. მე ისე მიყვარს იგი. ჩემი ურთიერთობა მასთან ადრე არასდროს ყოფილა ისეთი აღმაფრთოვანებელი, როგორც ახლა.“

მის ცხოვრებაში მრავალი ძვრა მოხდა. თავდაჯერებულობა განადგურდა. მაგრამ ამ ყანვილს ისეთივე საფუძველი გააჩნდა, როგორც პეტრეს და ის ვერ განადგურდებოდა. იმის ნაცვლად, რომ თავის სიცოცხლეს და მსახურებას სიამაყეზე აშენებდეს, ახლა მათ ღვთიური მადლით აშენებს.

ცდუნება და წყენა სუსტ და ულონო ადგილებს გამოავლენენ თქვენს ცხოვრებაში. ხშირად ის ადგილი, რაშიც ჩვენს თავს ძლიერად მივიჩნევთ, ჩვენი დაფარული სისუსტის ადგილს წარმოადგენს. იგი დაფარული რჩება, ვიდრე ძლიერი ქარიშხალი არ ახდის საფარველს. პავლე მოციქული წერდა: „... ღვთის მსახურნი სულით, ვადიდებთ ქრისტე იესოს და არ ვენ-

დობით ხორცს ...“ (ფილიპელთა 3:3).

საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია გავაკეთოთ რამე, რასაც  
მარადიული ღირებულება ექნებოდა. ადვილია ამაზე ლაპარა-  
კი, მაგრამ სრულიად სხვა საქმეა, ნება დავრთოთ ჭეშმარიტე-  
ბას, ღრმად გაიდგას ფესვები ჩვენს არსებაში.

იესო ჟეზეარიტეპასთან კომპარომისზე არ  
მიღიოდა იმის გამო,რომ ადამიანები არ  
შეძლებულიყვნენ

თავი 9

## საცდურის კლდე

„აჰა, მე ვდებ სიონში ლოდს, ქვაკუთხედს, რჩეულს და ძვირფასს, და მისი მორწმუნე არ შერცხვება.“ ამიტომ თქვენთვის, მორწმუნეთათვის, ძვირფასია იგი, ურწმუნო-თათვის კი ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, იქმა ქვაკუთხედად, შებრკოლების ლოდად და საცდურის კლდ-ედ, რაზეც ბრკოლდებიან, რადგან ეურჩებიან სიტყვას და სწორედ ამისათვის არიან განწესებულნი“.

1 პეტრ 2: 6-8

**გ**ლეს სიტყვამ „გწამდეს“ დაკარგა თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ადამიანთა უმრავლესობისათვის ეს ნიშ-ნავს, აღიარებდე განსაზღვრულ ფაქტს. ბევრისთვის სიტყვას „გწამდეს“, არაფერი აქვს საერთო მორჩილებასთან. მაგრამ წმინდა წერილში სიტყვა „მორწმუნები“ გახლავთ ან-ტონიმი სიტყვისა „ურჩინი“. „ამიტომ თქვენთვის, მორწმუნე-თათვის, ძვირფასია იგი, ურწმუნოთათვის (ანუ ურჩითათვის)...“.

წმინდა წერილი გვასწავლის „... რათა ყოველი მისი (იესო ქრისტეს) მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუ-ნო სიცოცხლე.“ (იოანე 3:16). ჩვენი დამოკიდებულების გამო სიტყვასთან „გწამდეს“, ბევრი თვლის, რომ ყველაფერი, რაც მათ მოეთხოვებათ არის, სწამდეთ, რომ იესო არსებობდა და მოკვდა გოლგოთაზე, და მაშინ ისინი სწორ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ღმერთის წინაშე. მაგრამ ეს რომ ერთადერთი მოთხოვნილება იყოს, მაშინ ეშმაკებიც სწორ მდგომარეობა-ში იქნებოდნენ ღმერთის წინაშე. წმინდა წერილი ამბობს: „შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია, კარგს შვრები. ეშმაკებსაც სწამთ იგი და კანკალებენ“ (იაკობი 2:19). მაგრამ ეშმაკებისათვის არ არსებობს ხსნა.

## სატანის სატყუპარა

სიტყვას „გწამდეს“ (ანუ ორზმუნო) წმინდა წერილში უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რაღაცის არსებობის უბრალო აღიარებას ან რაიმე ფაქტთან თანხმობას. წინამორბედი მუხლის კონტექსტის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რწმენის ძირითადი ელემენტი გახლავთ მორჩილება. ჩვენ შეგვიძლია ეს მუხლი სხვანაირად წავიკითხოთ: „ამიტომ თქვენთვის, მორჩილთათვის, ძვირფასია იგი, ურჩითათვის (ქედმაღალთათვის) იქმნა ქვაკუთხედად, შებრკოლების ლოდად და საცდურის კლდედ.“

ძნელი არ არის მორჩილება, როცა იცით იმის ხასიათის და სიყვარულის შესახებ, ვისაც ემორჩილებით. სიყვარული ქრისტესთან ჩვენი დამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს. არა პრინციპებისა და სწავლებისადმი სიყვარული, არამედ სიყვარული თვით იესო ქრისტეს მიმართ. თუ ეს სიყვარული მტკიცედ არ ზის ჩვენში, მაშინ ადვილად ვცდუნდებით, გვეწყინება და დავპკოლდებით.

ისრაელიანები, რომელთაც ღმერთმა მოუწოდა, მშენებლები ყოფილიყვნენ, დაიწუნეს ღმერთის ქვაკუთხედი – იესო. მათ უყვარდათ ძველი აღთქმის სწავლება, კმაყოფილნი იყვნენ რჯულის განმარტებებით, ვინაიდან მათი მეშვეობით შეიძლებოდა სარგებელი ენახათ და გამოეყენებინათ სხვა ადამიანთა გაკონტროლებისათვის. იესო უუბნებოდა მათ: „იყვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ“ (იოანე 5:39).

ისინი ვერ იტევდნენ იდეას, რომ პირველ ყოვლისა ღმერთს სურდა ჰყოლიდა ძეები და ასულები, რომლებთანაც მას ახლო ურთიერთობები ექნებოდა. მათ კი მბრძანებლობა და მმართველობა სურდათ. მათ თვალში რჯული ღმერთთან ურთიერთობაზე მაღლა იდგა. უარყვეს ის, რაც ღმერთის მიერ იყო ნაჩუქარი. მათ უფრო ის სურდათ, რომ დაემსახურებინათ ეს. ამიტომ ღმერთის საჩუქარი, იესო ქრისტე, მათი სიცოცხლისა და ხსნის იმედი, მათთვის „შებრკოლების ლოდი და საცდურის კლდე“ გახდა.

სიმონი წინასწარმეტყველებდა, როცა ხელში აიყვანა ჩვილი იესო ტაძარში: „აჲა, დაყენებულია ეს მრავალთა დასამხობად და აღსადგენად ისრაელში და დავის ნიშნად“ (ლუკა 2:34). ნახეთ, „დასამხობად“ და „აღსადგენად“.

## საცდურის კლდე

მან, ვინც მოვიდა, რათა დაემყარებინა დედამიწაზე მშვიდობა, საბოლოოდ გამყოფი მახვილი მოუტანა მათ, ვისთვისაც იყო წარმოგზავნილი (იხ. მათე 10:34) და სიცოცხლე მათ, რომელიც მშენებელთა მსხვერპლი გახდა (იმ დროის მსახურებს).

### იესო და საცდურები

საკვირაო სკოლაში, იესოს ხშირად ხატავენ როგორც მწყემსს, რომელსაც დაკარგული ცხვარი თავისი მხრებით მიჰყავს ფარაში. ან, შესაძლოა, მას ასახავენ იმ მომენტში, პატარა ბავშვებს რომ ეფერება. ის ხელებს ადებსს მათ, რათა აკურთხოს და ამ დროს ლიმილით ამბობს: „მე მიყვარხარ შენ.“ ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ეს მისი სრული პორტრეტი არ გახლავთ. იგივე იესო ადანაშაულებდა ფარისევლებს მათ თვითნებურ, მიკერძოებულ სამართლიანობაში: „იქედნეთა ნაშობო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს?“ (მათე 23:33). იგი აყირავებდა ტაძარში ფულის გადამცვლელთა მაგიდებს და აგდებდა მათ. (იხ. ოთანე 2:13-22). იესომ იმ ადამიანს, რომელსაც სურდა, წასულიყო და ვიდრე იესოს გაჰყვებოდა, მამა და ემარხა, შემდეგი სიტყვებით მიმართა: „... მკვდრებს დაანებე თავიანთი მკვდრების დამარხვა. შენ კი წადი და იქადაგე ღვთის სასუფეველი.“ და ეს კიდევ არ არის ყველაფერი. იესოს მსახურების ყურადღებით შესწავლა წარმოაჩინს ადამიანს, რომელმაც ბევრი გაანაწყენა და აცდუნა თავისი მსახურების დროს. მოდით რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ.

### იესომ აცდუნა ფარისევლები

მრავალ სიტუაციაში იესო კონფრონტაციაზე მიდიოდა რელიგიურ ლიდერებთან და საცდური ხდებოდა მათთვის. იმის გამო, რომ ისინი ცდუნდნენ და განაწყენდნენ მასზე, სიძულვილით გაგზავნეს იესო ჯვარზე.

მაგრამ იესოს უყვარდა ისინი და სიმართლეს ეუბნებოდა:

„თვალთმაქცნო, კარგად წინასწარმეტყველებდა ესაია თქვენზე, როცა ამბობდა: ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან. ამაოდ მცემენ თაყვანს ...“. (მათე 15:7-9)

## სატანის სატყუარა

იესოს ამ მტკიცებამ გაანაწყენა ისინი. ხალხის დიდი ცნან-ილი ცდუნდა.

ნახეთ, რა თქვეს მისმა მოწაფეებმა მაშინვე:

„მაშინ მივიღნენ მოწაფეები და უთხრეს მას: „იცი, რომ ფარისევლები ამ სიტყვის მოსმენით ცდუნდნენ?“ (მათე 15:12)

გამოიკვლიეთ მისი პასუხი:

„... ყოველი ნერგი, რომელიც ჩემმა ზეციერმა მამამ არ დარგო, ძირფესვიანად აღმოიფხვრება. მოეშვით მათ: ბრძები არიან და ბრძათა წინამძლოლნი. ხოლო თუ ბრძას ბრძა მიჰყავს, ორივენი ორმოში ჩაცვივან“. (მათე 15:13-14)

იესომ აჩვენა, რომ საცდურები ასუფთავებენ ღმერთის სამეფოს იმათგან, ვინც მისი მამის მიერ წამდვილად არ არის დარღული. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება უერთდებოდეს ეკლესიას ან მსახურებას და ამ დროს არ იყოს ღმერთისაგან წარმოგზავნილი ან ღმერთისაგან არ იყოს. წყენა (საცდური), აღმოცენებული ჭეშმარიტების საპასუხოდ, ავლენს მათ წამდვილ მოტივებს და ისინი მიდიან.

ეკლესიებში სიარულისას ბევრჯერ მინახავს, როგორ ნაღვლიანდებოდნენ ხუცესები იმ ადამიანთა გამო, რომელიც ან ეკლესიის შტატიდან ან თვით საკრებულოდან წავიდნენ. უმრავლეს შემთხვევაში, წასული ადამიანები იმაზე განაწყენდნენ, რომ იქადაგებოდა ჭეშმარიტება, რომელიც მათი ცხოვრების წესს ამხელდა. ამის შემდეგ ისინი ეკლესიაში მსახურების ყველა სფეროს გაკრიტიკებას იწყებდნენ და სტოვებდნენ ეკლესიას.

თუკი ხუცესები შეცდებიან როგორმე დააკავონ ყველა, ვინც მათ კარს გაივლის, საპოლოოდ მათ მოუწევთ დათმონ ჭეშმარიტება. თუ თქვენ ქადაგებთ ჭეშმარიტებას, აუცილებლად აცდუნებთ და გაანაწყენებთ ზოგიერთ ადამიანს და ისინი წავლენ. ნუ დაღონდებით მათ გამო, უმჯობესია გააგრძელოთ იმ ადამიანების კვება და აღზრდა, რომელიც ღმერთმა გამოგიგზავნათ.

ზოგიერთი ლიდერი გაურბის კონფრონტაციებს შიშის გამო,

## სუცდლის კლდე

რომ ხალხს დაკარგავს. ხუცესები ამას განსაკუთრებით იმი-ტომ ერიდებიან, რომ ისინი, ვისი მხილებაც აუცილებელია, დიდ თანხებს სწირავენ ან გავლენიანი პირები არიან ეკლესი-აში და საზოგადოებაში. სხვები შიშობენ. რომ არ შეეხონ იმ ადამიანთა გრძნობებს, რომელნიც დიდი ხანია მათ გვერდით არიან. ამის შედეგად ხუცესები კარგავენ ღმერთისაგან მათ-თვის მინიჭებულ ძალაუფლებას – იცავდნენ და კვებავდნენ მათზე მინდობილ ცხვრებს.

როცა პირველად გავხდი ხუცესი, ერთმა ბრძენმა ადამიანმა გამაფრთხილა: „მტკიცედ იდექი შენს ძალაუფლებაში, თორემ სხვა ვინმე წაგართმევს მას და შენს წინააღმდეგ გამოიყენებს.“

სამუელი ღმერთის კაცი გახლდათ. იგი არავის წინაშე არ თმობდა ჭეშმარიტებას, მეფის ჩათვლით. როცა საული არ დაემორჩილა ღმერთს, უფალმა უთხრა სამუელს, ემხილებინა იგი. ის ასეც მოიქცა. სამწუხაროდ, საული არ გამოეხმაურა უფლის სიტყვას ჭეშმარიტი მონანიებით. მას უფრო მეტად ის აწუხებდა, თუ როგორი ჩანდა სხვა ადამიანთა თვალში. როცა სამუელი მიდიოდა მისგან, საული მოეჭიდა მის მოსასხამს და კიდე მოაგლიჯა. სამუელმა შემდეგი სიტყვებით „განგმირა“ იგი: „... გამოგგლიჯა დღეს უფალმა ისრაელის მეფობა ...“ (1 მეფეთა 15:28).

სამუელს ეს არ სურდა საულისათვის. იგი დანაღვლიანდა მის გამო. სამუელმა აკურთხა საული, გაამეფა იგი და მართვას ასწავლიდა. ის საულის მეგობარი გახლდათ. მაგრამ, ნახეთ, როგორ გამოეხმაურა ღმერთი საულის გამო სამუელის დაღონ-ებას:

„როდემდის უნდა სწუხდე საულის გამო? ხომ განვაყენე იგი ისრაელზე მეფობისაგან? აავსე შენი რქა ზეთით და წალი. გგზავნი ...“. (1 მეფეთა 16:1)

ღმერთმა უთხრა სამუელს გაეგრძელებინა მოძრაობა ცხ-ებულების სუფთა ზეთში. მისთვის აუცილებელი იყო შეეცნო, რომ ღვთიური სიყვარული და ღვთიური სამსჯავრო უმწიკვლო და სრულყოფილია. სამუელი რომ დაბრუნებულიყო საულთან მას შემდეგ, რაც ღმერთმა უკვე უარყო იგი, მას არ ექნებოდა სუფთა ზეთი. სამუელს რომ წუხილი და ტირილი გაეგრძელებინა, იგი ვეღარ შეძლებდა მოძრაობის გაგრძელებას.

ხუცესებს, რომელნიც ნაღვლიანდებიან და ტირიან ეკლესი-

## სატანის სატყუარა

იდან წასული ადამიანების გამო, უარს ამბობენ მათ მხილებაზე და შენინააღმდეგებაზე იმიტომ, რომ ისინი მათი მეგობრები არიან, ბოლოს და ბოლოს გაუშრებათ ცხებულების ზეთი. ზოგიერთი ქრისტიანული მსახურება კვდება, სხვები კი მხოლოდ თავს იკატუნებენ ცოცხლებად. მათ, შეუგნებლად, ლმერთთან ურთიერთობას ადამიანებთან ურთიერთობა ამჯობინეს.

ბიბლია არ მოწმობს, რომ იესო როგორლაც რეაგირებდა იმათზე, რომლებმაც მიატოვეს იგი. მისი გული ისწრაფვოდა, რომ მამის ნება შეესრულებინა. ამის გაკეთებით, მან ხალხის უდიდეს რაოდენობას მოუტანა სარგებელი.

არასდროს დამავიწყდება, როგორ ვქადაგებდი ერთხელ სულინმიდით ავსებულ ეკლესიაში. იგი დაახლოებით ერთი წლის გახლდათ. პირველ კვირა დღეს უბრალოდ ვქადაგებდი მონანიებასა და პირველ სიყვარულში დაბრუნების თემაზე. წინააღმდეგობას ვგრძნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ სწორედ ეს უნდა მექადაგა მაშინ.

მსახურების შემდეგ ხუცესმა თქვა: „დღეს დილით ღმერთმა მიჩვენა ის, რასაც თქვენ ქადაგებდით, მაგრამ არ მეგონა, რომ ჩემი ხალხი მზად იქნებოდა ამ სიტყვის მოსასმენად.“

ჩემმა ცოლმა იგრძნო, რომ სულინმიდა აღძრავდა მასში სულვილს, კითხვა დაესვა ხუცესისათვის: „ვინ არის ამ ეკლესის ხუცესი, თქვენ თუ იესო?“

ხუცესმა, ამის მოსმენისას, თავი ჩაღუნა. „სწორედ ეს მითხრა უფალმა დაახლოებით ერთი თვის უკან. მან მითხრა, რომ თვითონ იცის, რის მიღებას შეძლებს ხალხი.“ ხუცესმა გვიამბო, რომ მისი ეკლესის მესამედი შესდგება „კონსერვატორებისაგან“, რომელთაც არ სურთ არავითარი ცვლილების შეტანა მსახურებაში – მუსიკა იქნებოდა ეს თუ ქადაგება. ჩვენ ვამხნევებდით მას და მოვუნოდებდით ყოფილიყო მტკიცე და უფალს დამორჩილებოდა.

მის ეკლესიაში კიდევ ოთხი მსახურება ჩავატარეთ და ამის გაკეთება თანდათანობით რთულდებოდა. როდესაც გავემგზავრეთ ქალაქიდან, გულზე თითქოს ქვიშის ტომარა მაწვა. ვერ გამეგო, რაში იყო საქმე, და უფრო და უფრო უარესად ვგრძნობდი თავს. ჩვეულებრივ, როდესაც ეკლესიებს ვტოვებ, გული სიხარულით მევსება. არ ვიცოდი, რა არ იყო წესრიგში.

ბოლოს და ბოლოს, უფალთან რომ განვმარტოვდი, ვკითხე: „მამაო, რა გავაკეთე არასწორად, რაში შევცდი? რატომ მაქვს

## საცდურის კლდე

სულმი ეს მძიმე ტვირთი? იქნებ ხუცესის ძალაუფლება დავი-პყარი?“

მან უბრალოდ თქვა: „... ფერხთაგან მტვერი დაიბერტყეთ ...“ (ლუკა 9:5).

გაოცებული გახლდით, როდესაც ეს მოვისმინე. მე განვა-გრძობდი ლოცვასა და ვეკითხებოდი ღმერთს, მაგრამ პასუხად იგივე სიტყვები მესმოდა: „ფერხთაგან მტვერი დაიბერტყეთ“.

ბოლოს და ბოლოს დავუჯერე ღმერთს. როდესაც ჩემმა ხელმა ჩემი ფეხებიდან მტვერი დაბერტყა, სიმძმე მომეხსნა და სიხარულმა აავსო ჩემი გული. მიკვირდა: „მაგრამ, უფალო, რატომ უნდა გამეკეთებინა ეს, ისინი ხომ არ მესხმოდნენ თავს და არ მაგდებდნენ ქალაქიდან?“

მან დამანახა, რომ ხელმძღვანელობამ და მრავალმა ადამი-ანმა ეკლესიაში უკუაგდეს მათ მიმართ მიმართული სიტყვა.

„კიდევ მიეცი მათ დრო, უფალო“, – ვთხოვდი მე.

„ორმოცდაათი წელიც რომ მივცე, ისინი მაინც არ შეიცვ-ლებიან. მათ უკვე მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს გულებში.“

მივხვდი, რომ იმ ლიდერმა გადაწყვიტა კომპრომისის მეშვე-ობით შეენარჩუნებინა მშვიდობა იმის ნაცვლად, რომ ღმერთს დამორჩილებოდა. მისი რქა არ იყო სავსე სუფთა ზეთით. მას ღვთისმოსაობისს სახე ჰქონდა, მაგრამ არსი არა. სხვა სიტყვე-ბით, გარეგნულად იგი სულინმიდით ავსებული ჩანდა, თუმ-ცა არც ღმერთის ძალა გააჩნდა და არც მისი თანდასწრება. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მან მიატოვა ხუცესობა და იმ ეკლესიიდან მხოლოდ პატარა ჯგუფი დარჩა.

იესო ნებას არ აძლევდა სხვებს, რომ მათ მიერ მართვადი ყოფილიყო. ის ლაპარაკობდა ჭეშმარიტებას მაშინაც, როცა ეს კონფრონტაციას ან ძლიერ ცდუნებას იწვევდა. თუ გსურთ, რომ მხოლოდ ადამიანური მოწონება დაიმსახუროთ, ღმერთის ცხებულება ვერ მოვა თქვენზე. თქვენს მიზანს ქადაგებდეთ ღმერთის სიტყვის ქადაგება და მისი ნების შესრულება უნდა წარმოადგენდეს მაშინაც კი, თუ სხვების განაწყენებისა და ცდუნების რისკს წევთ.

იესო გახდა ცდუნება თავისი  
ძალაების მაცხოვრებელთათვის

იესო მივიდა ქალაქში, სადაც გაიზარდა, რათა ემსახურა

## სატანის სატყუპარებელი

იქ. მაგრამ ვერ შეძლო მათთვის მიეცა განთავისუფლება და განკურნება, რაც სხვებს მისცა. ნახეთ, რა თქვეს მათ:

„განა ეს ხუროს ძე არ არის? დედამისს განა მარიამი არა ჰქვია, მის ძმებს კი იაკობი და იოსე, სიმონი და იუდა? განა მისი დები, ყველანი ჩვენს შორის არ არიან? საიდან აქვს მას ყოველივე ეს? და შებრკოლდნენ მის გამო. იე-სომ კი უთხრა მათ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლოსი და საკუთარი სახლისა“. (მათე 13:55-57)

გესმით როგორ ლაპარაკობდნენ ნაზარეთში მცხოვრებნი: „ვინ ჰვინია თავი, რომ ძალაუფლებით გვასწავლის? ჩვენ ვიცით, ვინ არის. ის აქ გაიზარდა. ჩვენ მისი უხუცესები ვართ. ის მხოლოდ და მხოლოდ ხუროს ძეა. მას ოფიციალური განათლებაც კი არ მიუღია.“

იესომ არ დათმო ჭეშმარიტება იმის გამო, რომ ისინი არ ეცდუნებინა. ნაზარეთის მაცხოვრებლები იმდენად გაბრაზდნენ მასზე, რომ მის მოკვლას შეეცადნენ მთის სერიდან მისი გადმოგდებით (ლუკა 4:28-30). მაშინაც კი, როცა იესოს სიცოცხლე საფრთხეში იყო, იგი აგრძელებდა ჭეშმარიტების ლაპარაკს. როგორ გვჭირდება ასეთი ადამიანები!

## იესო საცდური გახდა საპუთარი იჯახის წევრებისათვის

იესოს ოჯახის წევრებიც კი ცდუნდნენ მის გამო. მათ არ მოეწონათ ის ზენოლა, რომელიც მისი საქმეების გამო განიცადეს. მათთვის ძნელი იყო ერწმუნათ მისი. მოდით, ვნახოთ ეს:

„მისიანებს (ან „ოჯახს“) მოესმათ და მის შესაბყრობად წავიდნენ, რადგან ამბობდნენ: შეშლილიაო. (ინგლისურ ბიბლიაში: „არასრულ ჭუაზეა“) .... მივიდნენ მისი ძმები და დედა, გარეთ დადგნენ და გაგზავნეს მის დასახებლად. მის გარშემო ხალხი ისხდა, როცა უთხრეს, გარეთ შენი დედა და შენი დანი და შენი ძმანი არიან და შენ გეძებენ. პასუხად უთხრა: „ვინ არიან ჩემი დედა და ჩემი ძმები?“ მის გარშემო მსხდომთ გადახედა და თქვა: „აპა,

## საცდურის კლდე

ჩემი დედა და ჩემი ძმები. რადგან ის, ვინც ლვთის ნებას შეასრულებს, ისაა ჩემი ძმაც, დაც და დედაც". (მარკოზი 3:21,31-35)

მისი ოჯახი თვლიდა, რომ იგი შეიშალა. შენიშნეთ, წმინდა წერილი ამბობს, რომ იესოს ოჯახი მივიდა „მის შესაპყრობად“. მარკოზი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ ვინ იყო იქ იესოს ახლობლებიდან – მისი დედა და ძმები, რომლებმაც მოგვიანებით ნახეს იესო, ერთ სახლში რომ ქადაგებდა. იოანეს სახარებაშიც კი ნათქვამია: „რადგან მის ძმებსაც კი არ სწამდათ მისი.“ (იო-ანე 7:5).

ბევრი არ დაფიქრებულა, რომ იესო უარყოფილი იყო თავისი ახლობლების მიერ. მაგრამ იგი არ ექცებდა იმას, რომ ნათესავებისათვის ესიამოვნებინა. მან არავის დართო ნება, რომ გაეკონტროლებინათ იგი. მისი სურვილი გახლდათ შეესრულებინა ღმერთის გეგმა მოსწონდათ ეს მის ახლობლებს, თუ არა

მრავალი ადამიანი მინახავს, განსაკუთრებით ცოლ-ემრული წყვილები, რომლებმაც შიშით უარი თქვეს იესოს გაჰყოლოდნენ იმის გამო, რომ მეუღლეს ან ოჯახის რომელიმე წევრს ეწყინებოდა. ამის შედეგად ისინი განდგომილები ხდებოდნენ ან არ შეეძლოთ სრულიად აღესრულებინათ თავიანთი მოწოდება.

როდესაც ზეციდან ვიშვი, ჩემი ოჯახის წევრები კათოლიკები გახლდნენ და ჩემს აღფრთოვანებას არ იზიარებდნენ. განსაკუთრებით ძალიან დედა გააღიზიანა ჩემმა გადაწყვეტილებამ, წავსულიყავი იმ ეკლესიდან, რომელშიც ის მზრდიდა. ეჭვგარეშეა, არიან კათოლიკები, რომელთაც უყვართ ღმერთი, მაგრამ ვიცოდი, რომ ღმერთი მომინოდებდა გამოვსულიყავი იქიდან.

მეორე დარტყმა ვიგემე, როცა ოჯახს გამოვუცხადე ჩემი გადაწყვეტილება, მსახური გავმხარიყავი. ეს-ეს არის უნივერსიტეტში მექანიკოს-ინჟინერის დიპლომი მივიღე და ჩემი მშობლები დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩემზე. მე ვიცოდი, რა უნდოდა ჩემგან უფალს და ისიც, რომ ეს გაანაწყენებდა ჩემს ახლობლებს. წლობით განვიცდიდი უხერხულობას, ძალიან ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ გადავწყვიტე: როგორც არ უნდა რისხდებოდნენ ჩემზე ახლობლები, მე მაინც გავყვები იესოს.

## სატანის სატყუარა

თავიდან ვცდილობდი სახარებით შემეტია მათვის. ვეუბნებოდი, რომ არ გადარჩებოდნენ იმით, რომ მესას ესწრებოდნენ. სიბრძნე არ მქონდა და უკიდურესობამდე მიმყავდა ისინი. შემდეგ ღმერთმა მასნავლა, რომ მათ წინაშე ქრისტიანული ცხოვრებით მეცხოვრა, რათა ჩემი კეთილი საქმეები დაენახათ. მე ისევ არ მივდიოდი კომპრომისზე ოჯახის საამებლად.

დღეს ჩემი მშობლები მხარს მიჭრენ. ბაბუაჩემმა, რომელიც ყველაზე მეტად მენინაალმდეგებოდა, ოთხმოცდახცრა წლის ასაკში, სიკვდილამდე ორი წლით ადრე, მიიღო დახსნა.

იესოს დედა და ძმები ფიქრობდნენ, რომ იგი შეიშალა. მაგრამ ზეციერი მამისადმი იესოს მორჩილების წყალობით, ყველანი საბოლოოდ გადარჩნენ და ორმოცდამეათე დღეს მოციქულებთან ერთად ოთახში იმყოფებოდნენ. იაკობი, რომელიც იესოს ძმა იყო დედით, იერუსალიმში ეკლესის წამყვანი მოციქული გახდა.

თუკი თქვენი ოჯახის საამებლად კომპრომისზე წახვალთ იმასთან, რასაც ღმერთი გვეუბნება, მაშინ ცხოვრებაში მოგაკლდებათ სუფთა ზეთი და ხელს შეუშლით თქვენს ახლობლებს განთავისუფლებასა და გადარჩენაში.

### იესომ აცდუნა თავისი მონაცევები

წინა თავში დაწვრილებით განვიხილეთ იესოს მიერ შეურაცხყოფილ მოწაფეთა აზრები. მოდით, ისევ გადავხედოთ ამ საკითხს, მაგრამ მათ იესოს თვალებით შევხედოთ.

ბევრი მისი მოწაფეთაგანი ამის მოსმენისას ამბობდა: „მძიმე სიტყვაა, ვის შეუძლია მისი მოსმენა?“ იესომ იცოდა, რომ მისი მოწაფები ბუზღუნებდნენ თავისითვის ამის გამო, და უთხრა მათ: „ეს გაცდუნებთ თქვენ?“ ... მას შემდეგ ბევრი მის მოწაფეთაგანი გაბრუნდა უკან და აღარ მისდევდა მას. (იოანე 6:60-61, 66).

მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო. რელიგიური ლიდერები იესოს მოკვლას განიზრახავდნენ. მისმა ქალაქმა უარყო იგი. იესოს საკუთარი ოჯახი შეშლილად თვლიდა. ამას ისიც დაემატა, რომ ბევრი მისი მოწაფე განაწყენებული წავიდა მისგან. მაგრამ იესო მაინც არ მიდიოდა კომპრომისზე. მან უთხრა იმათ, რომლებიც დარჩნენ, რომ მათაც შეეძლოთ წასვლა, თუკი სურდათ.

## საცდურის კლდე

ერთადერთი, რაც მნიშვნელოვანი იყო იესოსათვის, მამის განზრახვის შესრულება გახლდათ. იმ დღეს მარტოც რომ დარჩენილიყო, ესეც კი არ შეცვლიდა მის გულს. მან მყარად გადაწყვიტა მამის მორჩილი ყოფილიყო.

### იესომ თავის ზოგიერთ ახლოგელ მემობარს აწყენინა

იყო ავად ვინმე ბეთანიელი ლაზარე, მარიამისა და მისი დის მართას სოფლიდან. ეს სწორედ ის მარიამი იყო, უფალს რომ ნელსაცხებელი სცხო და ფეხები თავისავე თმებით შეუმშრალა. მისი ძმა ლაზარე ავად გახლდათ. მისმა დებმა კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: „უფალო, აპა, ვინც შენ გიყვარს, ავადაა“. (იოანე 11:1-3)

იესოს უყვარდა მართა, მარიამი და ლაზარე. ისინი მისი ახლობლები იყვნენ. იესოს არაერთხელ გაუტარებია დრო მათ-თან ერთად. მიაქციეთ ყურადღება, როგორი რეაგირება მოახ-დინა იესომ, როცა უთხრეს, რომ ლაზარე ავადაა:

„როდესაც გაიგო, რომ ავად იყო, ორი დღე დარჩა იმ ადგილზე, სადაც იმყოფებოდა“. (იოანე 11:6)

იესომ იცოდა, რომ ავადმყოფობა ლაზარეს სიკვდილამდე მიიყვანდა. მაგრამ იგი კიდევ ორი დღე დარჩა იქ, სადაც იყო. ბოლოს, როგორც იქნა, მივიდა ბეთანიაში. ლაზარე უკვე მკ-ვდარი იყო.

მართამ და მარიამმა უთხრეს მას: „უფალო, აქ რომ ყო-ფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა.“ (იოანე 11:21,32). სხვა სიტყვებით: „რატომ არ მოხვედი დაუყოვნებლივ, მაშინვე, როცა დაგიძახეთ? შენ შესძლებდი მის გადარჩენას!“

როგორც ჩანს, დები იდნავ ნაწყენები იყვნენ იესოზე. მათ უფალს ძმის ავადმყოფობა დესპანის მეშვეობით აცნობეს, მაგრამ იესო კიდევ ორი დღით შეყოვნდა. იესოს რეაგირება ისეთი არ გახლდათ, როგორც მოელოდნენ. იგი სხვაგვარად მოიქცა. მას არ მიუტოვებია ყველაფერი, რათა ნასულიყო იქ. ამის ნაცვლად სულინმიდის ნინამძღოლობას მიჰყვა. და ეს საუკეთესო აღმოჩნდა ყველასათვის. თუმცა იმ მომენტში ყვე-ლაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს იესოსთვის სულერთი

## სატანის სატყუარბ

იყო და მას საერთოდ არ აღელვებდა ლაზარეს სიკვდილი.

რა ხშირად იმყოფებიან მსახურები თავიანთი მრევლის კონტროლის ქვეშ. ისინი ფიქრობენ, რომ ხალხის სურვილისამებრ უნდა იმოქმედონ.

საეკლესიო საბჭოს ერთმა წევრმა, იმ ეკლესიისა, რომელიც თავისი ხუცესის გარეშე დარჩა, მითხრა: „ჩვენ გვინდა ისეთი პასტორი, რომელიც ჩვენს ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, რომელიც უბრალოდ შეძლებს დილის რვა საათზე ჩემთან ყავის დასალევად მოსვლას.“

მე ვიფიქრე: „ასე თქვენ შეძლებთ იპოვოთ გულლია ადამიანი, რომელსაც გააკონტროლებთ, და არა ის, რომელიც სულინმიდით არის წარმართული.“ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ ეკლესიამ უკანასკნელი წელინადნახევრის მანძილზე ოთხი ხუცესი გამოიცვალა.

მე გახლდით ახალგაზრდული მსახურების ხუცესი უკვე ექვსი თვის მანძილზე, როცა ერთმა ახალგაზრდამ მომზართა: „იქნები ჩემი მეგობარი? – მეითხა მან. – ჩვენი ბოლო ახალგაზრდული მსახურების ხუცესი ჩემი მეგობარი იყო.“

ჩემი წინამორბედი ახალგაზრდებთან ძალიან გულგახსნილი და მეგობრული იყო. ისინი გატაცებულნი იყვნენ მოძრავი თამაშებითა და საქმიანობით. მივხვდი, რასაც მთხოვდა. პრინციპში, იგივე უნდოდა ხუცესისაგან საეკლესიო საბჭოს წევრს.

მე ციტირება მოვახდინე სიტყვებისა მათეს 10:41-დან, სადაც იესო ამბობს: „ვინც წინასწარმეტყველს ლებულობს წინასწარმეტყველის სახელით, მიიღებს წინასწარმეტყველის საზღაურს, და ვინც მართალს ლებულობს მართლის სახელით, მართალის საზღაურს მიიღებს.“

- შენ ბევრი ამხანაგი გყავს, ხომ ასეა? – ვკითხე მე.
- დიახ, – მიასუსა მან.
- მაგრამ შენ მხოლოდ ერთი ახალგაზრდული ხუცესი გყავს, ხომ ასეა?
- დიახ.

- როგორი საზღაურის მიღება გსურს, ხუცესის თუ ამხანაგის? ვინაიდან იმაზე, როგორ მღებულობ, დამოკიდებული იქნება ის, თუ რას მიიღებ ღმერთისაგან.

ის მიხვდა, რა მქონდა მხედველობაში: „მე მინდა ახალგაზრდული მსახურის საზღაური.“

მრავალი ქრისტიანი მსახური შიშობს თავის მრევლს მოლო-

## საცდურის კლდე

დინი გაუცრუოს, დაჭრას მათი გულები და მათი მხარდაჭერა დაკარგოს. ისინი გამოჭერილნი არიან შიშის მახეში, რომ აწყენინებენ სხვებს. მათ მართავენ ადამიანები, და არა ღმერთი. ამის შედეგად მათ ეკლესიებსა და საკრებულოებში ძალიან ცოტა რამ ხდება ისეთი, რასაც რეალური მარადიული ღირებულება გააჩნია.

### იქსო საცდური გახლდათ იოანე ნათლისმცემლისათვის

იოანე ნათლისმცემელსაც კი მოუწია ბრძოლა განსაცდელთან, ცდუნებულიყო და განაწყენებულიყო იესოზე.

„აუწყეს იოანეს მოწაფეებმა ყოველივე ეს. იოანემ დაიბარა ორი თავისი მოწაფე და იესოსთან გაგზავნა შესაკითხავად: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ მივიდნენ ისინი იესოსთან და უთხრეს: „იოანე ნათლისმცემელმა გამოგვგზავნა შენთან საკითხავად: შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ (ლუკა. 7:18-20)

ერთი წუთით! რატომ ეკითხება იოანე იესოს, იგი არის თუ არა მესია, რომელიც უნდა მოვიდეს? იოანე თვითონ იყო მისი წინამორბედი, რომელიც გზას უმზადებდა და მის მოსვლას აცხადებდა: „.... აპა, ღვთის კრავი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას!“ (იოანე 1:29). სწორედ იოანე ნათლისმცემელმა თევა: „.... ის არის სულინებით ნათლისმცემელი“ (იოანე 1:33). ის ასევე ამბობდა: „.... ის უნდა გაიზარდოს, მე კი უნდა დავპატარავდე“ (იოანე 3:30). იმ დროს იოანე ნათლისმცემელი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ნამდვილად იცოდა, ვინ იყო იესო. (სიმონ პეტრეს ეს ჯერ არ ჰქონდა გაცხადებული).

მაშ რატომ კითხულობს ის: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“

ნარმოიდგინეთ თქვენი თავი იოანეს ადგილზე. თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც იმყოფებით იმის ავანგარდში, რასაც ღმერთი ახდენს. თქვენ მრავალ ადამიანს ემსახურებოდით და ეს მსახურება ყველაზე ცნობილი იყო ქვეყანაში. მასზე ყველაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. თქვენ ცხოვრობდით თავგანწირული ცხოვრებით, არ დაქორწინდით, რათა ყოველივე შესა-

## სატანის სატყუარა

ძლებელი გაგეკეთებინათ საკუთარი მოწოდების შესასრულებლად. თქვენ ცხოვრობდით უდაბნოში, ჭამდით კალიას, ველურ თაფლს და ხშირად მარზულობდით. გინევდათ ფარისევლებთან დავაში ჩაბმა და იტანდით ბრალდებებს იმაში, რომ ეშმაკეული ხართ. თქვენი ცხოვრება მთლიანად იყო მიმართული იმისკენ, რომ მომავალი მესისათვის მოგემზადებინათ გზა.

და ახლა საპყრობილეში ხართ. უკვე რაღაც დროის განმავლობაში იმყოფებით პატიმრობაში. ძალიან ცოტანი მოდიან თქვენთან, ვინაიდან იმ ადამიანების უურადლება, ვინც თქვენ მოამზადეთ, ამჟამად მიმართულია იქსოსკენ ნაზარეთიდან. თქვენი საკუთარი მოწაფეებიც კი ამ ადამიანს შეუერთდნენ. მხოლოდ რამოდენიმე ადამიანი დარჩა თქვენთან, რათა გემსახურონ. როცა თქვენთან მოდიან, გიამბობენ, თუ როგორ ცხოვრობს ეს ადამიანი და მისი მოწაფეები. მათი ყოფა ძალიან განსხვავდება თქვენი ცხოვრებისაგან. ისინი ჭამენ და სვამენ მებაჟებთან და ცოდვილებთან ერთად, არღვევენ შაბათს და არც კი მარხულობენ.

და თქვენ ეუბნებით საკუთარ თავს: „მე ვიხილე, როგორ ჩამოვიდა მასზე ღმერთის სული მტრედის სახით, მაგრამ ნუთუ ასე უნდა იქცეოდეს მესია?“

და რაც უფრო დიდი ხანი ხართ ციხეში, მით უფრო ძლიერია განსაცდელი, გენყინოთ და ცდუნდეთ. „ეს ადამიანი, რომლის გამოც მთელი სიცოცხლე დავხარჯე, რათა მისთვის მომემზადებინა გზა, არც კი მოსულა ჩემს სანახავად საპყრობილეში! როგორ შეიძლება ასე? თუ ის მესია, რატომ არ გამოვყარა ამ ციხიდან? მე არავითარი ბოროტება არ ჩამიდენია.“

ამიტომ გზავნით ორს თქვენი მოწაფეებიდან, რათა იქსოს შეეკითხოთ: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ მოდით, ვნახოთ, როგორ უპასუხა იქსომიონეს შეკითხვას:

„იმჟამად მან ბევრი განკურნა სნეულებათა და სატკივართაგან და ავი სულებისაგან, და მრავალ ბრმას უწყალობა მხედველობა. უთხრა მათ იქსომ პასუხად: „წადით, უთხარით იოანეს, რაც ნახეთ და მოისმინეთ: ბრმებს მხედველობა უბრუნდებათ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ. ნეტარია ვინც არ შეცდება ჩემში“.

## საცდურის კლდე

(ლუკა 7:21-23)

იესო ახდენს ესაია წინასწარმეტყველის ციტირებას, რო-  
მელიც ითანხმოვთ არის ცნობილი. ადგილები ესაიას 2:18;  
35:4-6 და 61:1 მუხლები იმას შეეხება, რაც ითანხმოვთ მონაფებმა  
იხილეს, ვიდრე ელოდებოდნენ რიგს, რათა იესოსთვის ითანხმოვთ  
შეკითხვა დაესვათ. ეს სასწაულები მოწმობდნენ მასზე, რო-  
გორც მესიაზე. მაგრამ იესო ამით როდი ამთავრებს. ის ამ-  
ატებს: „ნეტარია ვინც არ შეცდება ჩემში!“

იგი ამბობდა: „ითანხ, მე ვიცი, რომ შენ არ გესმის ის, რაც  
შენს თავს ხდება, და ბევრი რამ არ იცი ჩემი გზებიდან, მაგრამ  
ნუ შეცდები ჩემში, რადგან ისე არ ვმოქმედებ, შენ როგორც  
მოელოდი.“ იგი მოუწოდებს ითანხმოვთ შეხედულებების შესაბამისად.  
ითანხმოვთ მთლიანად არ ჰქონდა გაცხადებული ღვთის ჩანაფიქრი  
ისევე, როგორც დღეს ჩვენ. იესო ამხნევებდა მას სიტყვებით:  
„შენ გააკეთე ის, რაც გითხრეს. საზღაური დიდი გექნება.  
ოღონდ ნუ შეცდები ჩემში!“

ცყენა (საცდური), რომელსაც არ მოსდევს მოპოდიშება

მაშინაც კი, როცა იცით ლმერთის გზები ისევე, როგორც  
ეს იცოდა ითანხმოვთ შეიძლება მაინც იპოვოთ მიზეზი, რომ გა-  
ნაწყენდეთ იესოზე ან შეცდეთ მასში. თუ ნამდვილად გიყვართ  
იგი და ენდობით, მაშინ ყველანაირად ეცდებით არ გეწყინოთ  
და არ ცდუნდეთ იმის გააზრებით, რომ მისი გზები ყოველთვის  
აღმატებულია თქვენს გზებზე.

თუკი ყოველთვის დაემორჩილებით სულინმიდას, ადამიანე-  
ბი განაწყენდებიან თქვენზე და ცდუნდებიან. იესომ თქვა ით-  
ანხს 3:8-ში: „ქარი ქრის, სადაც მოისურვებს; მისი ხმა გესმის,  
მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა,  
ვინც სულისაგან არის შობილი.“

ზოგიერთნი ვერ გაგიგებენ, როცა სულინმიდის წინამდ-  
ლოლობით იმოქმედებთ. ნუ დართავთ ნებას მათ უკმაყო-  
ფილებასა და გულისწყრომას, რომ ჭეშმარიტებას ჩამოგაშო-  
როთ. ნუ უგულებელჲყოფთ სულს იმისათვის, რომ ადამიანებს  
აამოთ. პეტრე ხაზგასმით აღნიშნავს ამას:

## სატანის სატყუპარა

„რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც  
აღიჭურვეთ იმავე აზრით, ვინაიდან, ვინც კი ხორციე-  
ლად იტანჯა, შენყვიტა ცოდვის ჩადენა. რათა ხორცში  
დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმე-  
ბით, არამედ ლვთის ნებით“. (1 პეტრ 4:1-2)

როცა ღმერთის ნებით იცხოვრებთ, ადამიანთა სურვილებს  
არ შეასრულებთ. ამის შედეგად ხორციელად დაიტანჯებით.  
იესომ უდიდესი წინააღმდეგობა განიცადა რელიგიური ლიდ-  
ერებისაგან. რელიგიური ადამიანები თვლიან, რომ ღმერთი  
მხოლოდ მათ მიერ დაწესებულ ფარგლებში მოქმედებს. მათ  
სწამთ, რომ არიან ადამიანები, რომელთაც მისადგომელი აქვთ  
ღმერთთან. თუკი უფალმა აწყენინა და აცდუნა რელიგიური  
ადამიანები, როდესაც სულინებიდის წინამდლოლობით დადიოდა  
ორი ათასი წლის წინათ, მაშინ ისინი, რომლებიც მას მიჰყვები-  
ან, ეჭვგარეშეა, იგივეს გააკეთებენ.

პავლე მოციქულის დევნა ამის კარგ მაგალითს წარმოად-  
გენს. ზოგიერთმა ადამიანმა გალატეში დაუჯერა ხმებს, რომ  
პავლე თითქოს კომპრომისზე წავიდა, როცა ჯვრის შესახებ  
სახარება იმით შეცვალა, რომ დაეთანხმა რელიგიურ ლიდ-  
ერებს რომლებიც ამბობდნენ, რომ ხსნისათვის აუცილებელია  
წინადაცვეთა. მაგრამ პავლემ ნათლად გააგებინა საქმის ვი-  
თარება. „შემომხედეთ, – თქვა მან. – ყველგან მდევნიან რე-  
ლიგიური ლიდერები, განა ისინი ამას გააკეთებდნენ, მე რომ  
წინადაცვეთას ვქადაგებდე? ის ფაქტი, რომ ჯვარი ხსნის ერ-  
თადერთი გზაა, აცდუნებს (აწყენიებს) ადამიანებს, მაგრამ  
ეს ჭეშმარიტებაა და მე არ ვაპირებ სხვა რამ ვიქადაგო!“ (იხ.  
გალატელთა 5:11).

ჩვენ საკუთარ გულში უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება,  
რომ დავემორჩილოთ ღმერთის სულს, რის ფასადაც არ უნდა  
დაგვიჯდეს. მაშინ არ მოგვიწევს მერყეობა ადამიანებისა და  
გარემოებების ზეგავლენით, რადგან ეს გადაწყვეტილება უკვე  
მიღებული გვაქვს.



იესომ აწყენინა ზოგიერთ ადამიანს იმით,  
რომ მამის მორჩილი გახლდათ, მაგრამ ის  
პრასოდეს ხდებოდა საცდეარი იმის გამო,  
რომ თავისი უფლებები დაეცვა

## თავი 10

### რათა ისინი არ ვაცდუნოთ...

„ამიტომ ნულარ განვიკითხავთ ერთმანეთს,  
არამედ იმსჯელეთ იმაზე, რომ ძმამ ძმას შებრკოლება  
და ცდუნება არ დაუდგას“.

რომაულთა 14:13

**R**ვენ ეს-ესაა განვიხილეთ, რომ იქსოზე, როდესაც ის  
დედამიწაზე დადიოდა და მსახურობდა, ბევრი ადამიანი  
განაწყენდა. იქმნება წარმოდგენა, რომ ხალხი თითქოს  
ყველგან ცდუნდებოდა და ნაწყენდებოდა მასზე. ამ თავში  
მსურს მოცემული საკითხის სხვა მხარე განვიხილო.

იესო და მისი მოწაფეები ეს-ესაა დაბრუნდნენ კაპერ-  
ნაუმში. ისინი სხვა ქალაქებში მსახურობდნენ და დაბრუნდნენ  
ხანმოკლე, მაგრამ საჭირო დასვენებისათვის. თუკი რომელიმე  
ადგილი შეიძლება ჩაითვალოს მისი მსახურების ცენტრად, ეს  
კაპერნაუმი გახლლავთ. სიმონ-პეტრეს მიუახლოვდა იმ ქალაქ-  
ის ერთი ოფიციალური ჩინოვნიკი, პასუხისმგებელი ტაძრების  
ხარკის აკრეფაზე და უთხრა:

„... თქვენი მოძღვარი ხომ არ გადაიხდის დიდრაქმას?“  
(მათე 17:24)

პეტრემ უპასუხა: „დიახ“, – და ამ შეკითხვით იესოსთან წავ-  
იდა.

იესო ელოდა ხარკების ამკრეფის თხოვნას, უფალმა ჰეკითხა  
სიმონ პეტრეს: „... რას ფიქრობ, სიმონ, მიწიერი მეფეენი ვისგან  
იღებენ ხარჯს ან ბაჟს – თავიანთ ძეთაგან თუ უცხოთაგან?“

## სატანის სატყუპარა

როცა თქვა: „უცხოთაგანო, იესომ უთხრა მას: „მაშ, ძენი თავი-სუფლები ყოფილან.“ (მათე 17:25-26).

იესოს მიჰყავს პეტრე იმ აზრამდე, რომ ძეები თავისუფალნი არიან გადასახადებისაგან. მათგან ხარჯს არ იღებენ. პირიქით, ისინი სარგებლობენ ამ გადასახადებით. ისინი არიან იმ სასახლეში, რომელიც გადასახადებისა და ხარკების ხარჯზე ცხოვრობენ. ძეები იკვებებიან სამეფო მაგიდიდან და აცვიათ სამეფო სამოსი, და ეს ყველაფერი ხარკებისა და გადასახადების ხარჯზე ხდება. ისინი თავისუფალნი არიან და მათ უფასოდ უზრუნველყოფენ.

გადასახადების ამკრეფმა მიიღო ხარკი ტაძრისათვის. მაგრამ ვინ იყო ამ ტაძრის მეფე ან მფლობელი? ვისთვის იყო ის აშენებული? პასუხი: მამა-ღმერთისათვის. პეტრემ ეს-ესაა მიიღო გამოცხადება ლვთისაგან, რომ იესო არის „ქრისტე, ცოცხალი ღმერთის ძე.“

ამის საფუძველზე იესო ეკითხებოდა პეტრეს: „თუკი მე ვარ მისი ძე, ვისაც ეს ტაძარი ეკუთვნის, ნუთუ თავისუფალი არ ვარ ტაძრის გადასახადებისაგან?“ რა თქმა უნდა, ის თავისუფალი იყო და სრული უფლება ჰქონდა არ გადაეხადა ხარკი. თუმცა ნახეთ, რას ეუბნება პეტრეს:

„მაგრამ, ისინი რომ არ ვაცდუნოთ, წადი ზღვაზე, ის-როლე ანკესი და პირველი თევზი, რომელიც მოხვდეს, ამოიყვანე, გაუღე პირი და შიგ იპოვი სტატირს. წამოილე იგი მიეცი ჩემთვის და შენთვის“. (მათე 17:27)

მან ეს-ესაა დაამტკიცა, რომ თავისუფალია. მაგრამ იმისათვის, რომ არ ეცდუნებინა (გაენაწყენებინა) ის ხალხი, უთხრა პეტრეს: „მოდი, გადავისადოთ!“ ის, რაც მან პეტრეს უთხრა, რომ წასულიყო, ესროლა ანკესი და ეპოვა ფული პირველი თევზის პირში, რომელსაც ის დაიჭირდა, მისი თავისუფლების კიდევ ერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა. მამა-ღმერთი მათ გადასახადების დასაფარავადაც კი უზრუნველყოფდა ფულით.

იესო – მთელი დედამიწის უფალია. ის – ღმერთის ძეა. დედამიწა და ყველაფერი, რაც მასზეა, მის მიერ არის შექმნილი და მის ხელქვეით იმყოფება. მაშასადამე, მან იცოდა, რომ ფული იმ თევზის პირში იქნებოდა. მას არ სჭირდებოდა მუშაობა, რომ ფული მიეღო, ვინაიდან ის ღმერთის ძე იყო.

## რათა ისინი არ ვაცდუნოთ...

მაგრამ გადაწყვიტა მაინც გადაეხადა ხარკი და ხალხი არ გაენაწყენებინა.

ეს ის იქსოა, ვინც წინა თავში ვიხილეთ და რომელიც აც-ფუნებდა ხალხს, თანაც ბოდიშის მოხდის გარეშე? მან დაამტკიცა, რომ თავისუფალია გადასახადებისაგან, მაგრამ თქვა: „მაგრამ ისინი რომ არ ვაცდუნოთ, წადი და გადაიხადე!“ მგონი, აქ რაღაც არათანამიმდევრულობაა, ასე არ არის?

პასუხს შემდეგ მუხლში ვპოულობთ:

„იმ დროს მივიდნენ მონაფეები იქსოსთან და უთხრეს: „ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?“ იქსომ დაუძახა ბავშვს და ჩააყენა მათ შუა. უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში“. (მათე 18:1-4)

გამხსნელი ფრაზა აქ გახლავთ: „ვინც თავს დაიმდაბლებს.“ მოგვიანებით იქსო ამას უფრო სრულად ხსნის, როცა ამბობს:

„... ვისაც თქვენს შორის სურს დიდი იყოს, ის თქვენი მსახური იყოს. ისევე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რათა მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად“. (მათე 20:26-28)

აი, ეს მესმის! როგორი მტკიცებაა! ის მოვიდა არა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ რომ თვითონ მოემსახუროს. ის იყო ძე. იყო თავისუფალი. მას არავისი არაფერი ემართა. ის არც ერთი ადამიანის ხელქვეითი არ გახლდათ, თუმცა გადაწყვიტა გამოეყენებინა თავისი თავისუფლება, რათა ემსახურა.

## თავისუფალი მსახურებისათვის

ახალ ალთქმაში ჩვენ, ღვთის ძეებს, მოგვიწოდებენ მივბაძოთ იქსოს და ვიქონიოთ ისეთივე გული, როგორც მას აქვს:

## სატანის სატყუპარა

„ხოლო თქვენ, ძმებო, თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, ოლონდ ეს (თქვენი) თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს“. (გალატელთა 5:13)

თავისუფლების აღმნიშვნელი სხვა სიტყვაც არსებობს. ეს სიტყვა გახლავთ უპირატესობა. ჩვენ, ღმერთის შვილებმა, არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი თავისუფლება ან უპირატესობა საამისოდ, რომ საკუთარ თავებს ვემსახუროთ. თავისუფლება იმისათვის უნდა გამოიყენებოდეს, რომ სხვებს მოვემსახუროთ. მსახურება – ეს თავისუფალი შრომაა. შრომა შებოჭილობასა და არათავისუფლებაში, გახლავთ მონობა. მონა ის არის, ვინც იძულებულია რომ ემსახუროს, იმავდროულად, მსახური არის ის, ვისაც სურს რომ ემსახუროს. მოდით, ვნახოთ ზოგიერთი განსხვავება მონისა და მსახურის სამუშაოს მიმართ მიდგომა-ში:

- მონა იძულებულია ემსახუროს – მსახური თვითონ შეუდგება საქმეს.
- მონა აკეთებს იმის მინიმუმს, რაც მოეთხოვება – მსახუ-რი მაქსიმალურად იყენებს თავის შესაძლებლობებს.
- მონა გაივლის ერთ სარბილს (ან მილს) – მსახური ორს.
- მონა თავს გაძარცვულად გრძნობს – მსახური თვითონ გასცემს.
- მონა შებოჭილია – მსახური თავისუფალი.
- მონა იბრძვის თავისი უფლებებისათვის – მსახური უარს ამბობს თავის უფლებებზე.

მრავალი ქრისტიანი მინახავს, რომელიც მსახურობდნენ გულში არსებული წყენით. ისინი უკმაყოფილებით გასცემენ და წუნუნებენ, როდესაც გადასახადებს იხდიან. ისინი ძველე-ბურად ცხოვრობენ, როგორც რჯულის მონები, თუმცა მისგან განთავისუფლებულნი არიან. ისინი შინაგანში მონებად რჩებიან.

ყველაზე სამწუხარო გახლავთ ის, რომ ეს რჯული მათ მიერ იყო შექმნილი ახალი აღთქმის საფუძველზე. მათ არ გააჩნიათ ისეთი დამოკიდებულება, რომლითაც იესო მსახურობდა. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ მსახურებისათვის არიან განთავისუ-

## რაოდ ისინი არ ვაცლუნოთ...

ფლებულნი. ამიტომაც აგრძელებენ ბრძოლას საკუთარი და არა სხვისი ინტერესებისათვის.

პავლე ამხელს ამგვარ დამოკიდებულებას რომაელთა და კორინთელთა მიმართ წერილებში. ამ მორწმუნების თავისუფლებამ გამოწვევა მიიღო შეკითხვით საკვების შესახებ. პავლე იწყებს იმით, რომ მათ ამ სიტყვებით შეაგონებს: „რწმენაში უმტკიცები მიიღეთ, ოღონდ არა საკამათოდ აზრთა გამო. ზოგს სჯერა, რომ ყველაფრის ჭამა შეიძლება, უმტკიცები კი მხოლოდ მწვანილეულს ჭამს.“ (რომ. 14:1-2).

იესომ ცხადად თქვა, რომ ადამიანს ბილნავს არა ის, რაც მისი ბაგიდან შედის, არამედ, რაც ბაგიდან გამოდის. ამით მან განმარტა, რომ მორწმუნებისათვის ყოველგვარი საკვები წმინდაა. (იხ. მარკ. 7:18-19).

პავლემ თქვა, რომ არიან რწმენაში სუსტი მორწმუნები, რომელთაც უწინდებურად არ შეუძლიათ ხორცის ჭამა, კერპშესაწირავით წაბილწვის შიშის გამო. თუმცა იესომ მკაფიოდ აგვისნა, როგორ უნდა მოვიქცეთ, ასეთ ადამიანებს მაინც არ შეეძლოთ მშვიდად ეჭამათ ხორცი.

„ამგვარად, კერპთშესაწირავების საჭმელად გამოყენების შესახებ ვიცით, რომ კერპი არაფერია წუთისოფელში და არ არსებობს ღმერთი, გარდა ერთისა. მაგრამ ჩვენ გვყავს ერთი მამა ღმერთი, რომლისგანაც არის ყოველი, და ჩვენ მისთვის ვართ, და ერთი უფალი იესო ქრისტე, რომლის მიერ არის ყოველი და ჩვენც მის მიერ. თუმცა ყველას როდი აქვს ცოდნა, ზოგიერთები ჩვეულებით აქამდე ჭამენ კერპთაგან, როგორც კერპთშესაწირავს და, ამრიგად, მათი სინდისი, დაუძლურებული, იბილწება“. (1 კორინთელთა 8:4,6-7)

რომისა და კორინთოს ეკლესიებში რწმენაში ძლიერი ქრისტიანები მიირთმევდნენ საჭმელს უფრო სუსტების გვერდით, რომლებიც ცდუნდებოდნენ. სუსტი მორწმუნები ვერაფრით ვერ თავისუფლდებოდნენ ხორცის გამოსახულებისაგან კერპის სამსხვერპლოზე. გაცილებით ძლიერმა მორწმუნებმა იცოდნენ, რომ კერპი არარაობაა, და არ გრძნობდნენ სინდისის ქეჯნას, როდესაც ხორცს მიირთმევდნენ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი თავიანთ თავისუფლებაზე

## სატანის სატყუარა

უფრო ზრუნავდნენ, რომელიც მათ, როგორც ახალი აღთქმის მორწმუნების ჰქონდათ, ვიდრე იმაზე, რომ შეიძლება ძმები-სათვის ცდუნების საბაბი მიეცათ. ამის გაუაზრებლად, ისინი შედარებით სუსტ ძმებს შებრკოლების ლოდს უდებდნენ გზაზე. მსახურის გულში არ უნდა იყოს ასეთი დამოკიდებულება. ნახეთ, პავლე როგორ მიმართავს მათ:

„ამიტომ ნულარ განვიკითხავთ ერთმანეთს, არამედ იმს-ჯელეთ იმაზე, რომ ძმამ ძმას შებრკოლება ან ცდუნება არ დაუდგას ... ვინაიდან ლვთის სასუფეველი საჭ-მელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულინმიდაში“. (რომაელთა 14:13,17)

ის ამბობს: „გვახსოვდეს, სინამდვილეში რა არის ლვთის სასუფეველი – ეს სიმართლეა, მშვიდობა და სიხარული სულინმიდაში.“ ყველა ეს კურთხევა ახალ მორწმუნების არ გააჩნდათ. შედარებით ძლიერი ქრისტიანები იყენებდნენ თავის თავისუფლებას არა მსახურებისათვის, არამედ თავიანთი „უფლებების“ გასატანად. მათ იცოდნენ, რომ ახალი აღთქმის თანახმად, აქვთ თავისუფლება. მაგრამ სიყვარულის გარეშე ცოდნა ანგრევს.

ეს იესოს გული არ იყო! იესომ, აუხსნა რა პეტრეს და სხვა მოწაფეებს თავისი უფლებები ტაძრის ხარკის გადახდის შესახებ, საკუთარ მაგალითზე უჩვენა, თუ რა მნიშვნელოვანია დაუმორჩილო შენი ინტერესები სხვის სამსახურს. იესოს არ უნდოდა, რომ თავისუფლება საკუთარი უფლებების დაცვით სხვა ადამიანებისათვის ცდუნებისა და შებრკოლების მიზეზი გამხდარიყო.

პავლებ მისცა ასეთი გაფრთხილება მათ, ვინც იცოდა საკუთარი უფლებები ქრისტეში, მაგრამ მსახურის ლვთიური გული არ ჰქონდა:

„და შენი ცოდნის მეოხებით დაიღუპება შენი უძლური ძმა, რომლისთვისაც მოკვდა ქრისტე. და ამრიგად, შესცოდავთ რა ძმების მიმართ და დააჭრილობებთ მათ უძლურ სინდისს, თქვენ ქრისტეს მიმართ შესცოდავთ“. (1 კორინთელთა 8:11-12)

## რათა ისინი არ ვაცლუნოთ...

ჭრილობას მივაყენებთ რა შედარებით სუსტ მორწმუნებს, ამით ცდუნებისა და შებრკოლების საბაბს ვაძლევთ „ერთ იმ მცირეთაგან ღმერთის შვილს“. ამ დროს ვიყენებთ საკუთარ თავისუფლებას, რათა შევცოდოთ.

## საბუთარ უფლებითზე უარის ოქმა

იესომ დაამტკიცა, რომ აქვს თავისუფლება ტაძრის ხარებთან დამოკიდებულებაში და ამის შემდეგ თავის მოწაფეებს უჩვენა მორჩილების დიდი მნიშვნელობა.

„ხოლო ვინც ერთს ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ. ვაი, წუთისოფელს ცდუნებებისაგან, ვინაიდან ცდუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება. თუ გაცდუნებს შენი ხელი ან შენი ფეხი, მოიკვეთე და გადააგდე შენგან. უმჯობესია შენთვის დასახიჩრებული ან კოჭლი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი ხელით ან ორი ფეხით იქნე ჩაგდებული საუკუნო ცეცხლში. თუ გაცდუნებს შენი თვალი, ამოითხარე და გადააგდე შენგან. უმჯობესია შენთვის ცალი თვალით შეხვიდე ცხოვრებაში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჩაგდებულ იქნე ცეცხლოვან გეენაში. შეხედეთ, აბუჩად არ აიგდოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი. გეუბნებით მე თქვენ, რომ მათი ანგელოზები ზეცაში ყოველთვის ხედავენ ჩეციერი მამის სახეს“. (მათე 18:6-10)

მათეს სახარების მთელი ეს თავი საცდურის შესახებ საუბრობს. იესომ ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ ყველაფრისაგან, რაც შეიძლება ცოდვის მიზეზი გახდეს, მაშინაც კი, თუ იგი თქვენი, ახალი ალთემის ადამიანის, ერთ-ერთი უპირატესობაა. თუკი ეს თქვენს სუსტ ძმას ცოდვისაკენ უბიძგებს, ის მის წინაშე მოიკვეთეთ.

თქვენ, ალბათ, გაიფიქრეთ: მაში, რატომ აცდუნებდა იესო მრავალ ადამიანს? პასუხი უბრალია: იესო ზოგიერთებს აცდუნებდა, ვინაიდან სულინმიდას უსმენდა და სხვებს ემსახურებოდა. ის ამას საკუთარი უფლებების დასაცავად არ აკეთებდა.

## სატანის სატყუარა

ფარისევლები ცდუნდებოდნენ, როდესაც ის შაბათ დღეს კურნავდა. მისი მოწაფეები ცდუნდებოდნენ, როდესაც ესმოდათ ჭეშმარიტება, რომელიც მისმა მამამ უბრძანა, რომ იქსოს ექადაგა. მარიამი და მართა ცდუნდნენ (ეწყინათ), როდესაც იქსომ ორი დღით შეაყოვნა მათთან მისვლა, რათა განეკურნა ლაზარე. მაგრამ ვერსად ნახავთ იმას, რომ იქსოს ეცდუნებინა და გაენაწყენებინა სხვები იმის გამო, რომ საკუთარ თავს მომსახურებოდა.

კორინთელთა წერილში პავლე გვაფრთხილებს:

„მაგრამ გაფრთხილდით, რომ ეს თქვენი თავისუფლება დაბრკოლება რა გახდეს უძლურთათვის“. (1 კორინთელთა 8:9)

თავისუფლება მოცემული გვაქვს მსახურებისათვის და იმისათვის, რომ საკუთარი სიცოცხლე შევნიროთ სხვებს. ჩვენ უნდა ვაშენებდეთ და არა ვაზრევდეთ. ჩვენ თავისუფლება არც იმისათვის მივიღეთ, რომ ჩვენთვის ვცდილობდეთ. იმის გამო, რომ მას არასწორად ვიყენებდეთ, დღეს მრავალი ადამიანი ბრკოლდება თანამედროვე ქრისტიანების ცხოვრების წესის გამო.

კიდევ ერთხელ მოისმინეთ გაფრთხილება 1 კორინთელთა 8:9 მუხლიდან: „გაფრთხილდით, რომ ეს თქვენი თავისუფლება დაბრკოლება არ გახდეს უძლურთათვის.“

მე მოგიყვანთ ამ მცნების დარღვევის მაგალითს. ინდონეზიაში ჩემი მეორე მისიონერული გამგზავრების დროს თან წავიყვანე ლიზა, ჩემი შვილები და ძიძა, რომელიც ბავშვების მოვლაში გვეხმარებოდა. ჩვენ ჩავედით საკურორტო კუნძულ დენპასარზე, ვალიში.

იმ ეკლესიის უხუცესი, რომელშიც მივედით, გახლდათ უბრალო სასტუმროს მეპატრონე, რომელიც ქალაქის ძალიან ხმაურიან რაიონში მდებარეობდა. ჩვენ დიდი მანძილი გამოვიარეთ და არ დაგვიძინია. ცხადია, ძალიან დავიღალეთ. იმ დამეს რამდენჯერმე გაგვაღვიძია ძლიერმა ხმაურმა და ძალლის ყეფამ. ასე რომ, ისე ვერ დავისვენეთ როგორც საჭირო იყო.

მეორე დღეს გავემგზავრეთ იავაზე და მომდევნო ორი

## რაოდ ისინი არ ვაცლუნოთ...

კვირის განმავლობაში ძალიან დაძაბული გრაფიკით ვმსახურობდით. ჩვენ მხოლოდ ერთი დასვენების დღე გვქონდა, და ისიც გადაბარგებას მოვანდომეთ. 24 საათის განმავლობაში ხუთჯერ ვმსახურობდით ეკლესიაში, რომელშიც ოცდაათი ათასი ადამიანი იყო.

უკან ვალის გავლით უნდა დავპრუნებულიყავით. ხუცესმა შეგვატყობინა, რომ ჩვენ ისევ იმ სასტუმროში უნდა გაგვეთია ლამე, მის უხუცესს რომ ეკუთვნოდა. ამ სიახლით აღფრთოვანებულები არ გახლდით, ვინაიდან ალარ გვინდოდა, რომ ორკვირიანი ინტენსიური მსახურების შემდეგ ისევ დასვენების გარეშე დავრჩენილიყავით.

დილით, როდესაც იავადან ვალიში გასამგზავრებლად ვემზადებოდით, საუზმის დროს ერთმა ქალმა შემოგვთავაზა, რომ ჩვენი ლამისთევისათვის ვალის ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო სასტუმროში საფასურს გადაიხდიდა. ჩემთვის სასიხარულო იყო, რომ საშუალება მოგვეცა მშვენიერ ადგილას გავჩირებულიყავით და დაგვესვენა.

როდესაც რესტორნიდან ბარგის ჩასალაგებლად წავედით, ლიზამ მითხრა, რომ მას გაუგებარი გრძნობა აქვს იმ ქალის წინადადებასთან დაკავშირებით. ჩვენ თარჯიმნის საშუალებით დაველაპარაკეთ მას და ვუთხარით, რომ არ ლირს შეწუხება, ყველაფერი კარგად იქნება. როდესაც იავადან ვალიში მივფრინავდით, ლიზამ ისევ მითხრა, რომ ჩვენ არასაწორად ვიქცევით.

უგუნურად მოვიქეცი და მას არ დავუჯერე. ვუთხარი, რომ ეს კარგი ვარიანტი იყო, თანაც ეკლესიას არ დაამძიმებდა. როდესაც ვალიში ჩავედით, ბარგის მიღების ადგილას, ის კიდევ ერთხელ შეეცადა დავერწმუნებინე, მაგრამ მე ისევ არ დავუჯერე.

როდესაც ადგილობრივ ხუცესს შევხდით, ვაუნყე მას, რომ არ ვსაჭიროებთ უხუცესის სასტუმროს, ვინაიდან ერთმა ქალმა სხვა რამე შემოგვთავაზა. ხუცესი შეაშფოთა ჩემმა სიტყვებმა. მე ვკითხე, რაში იყო საქმე. საბედნიეროდ, ის ჩემს მიმართ გულგახსნილი აღმოჩნდა და მითხრა: „ჯონი, ეს გაანაწყენებს უხუცესს და მის ოჯახს. მათ უკვე წინასწარ შემოინახეს თქვენთვის ოთახი, თუმცა ამ ლამისათვის სასტუმროს ყველა ნომერი გაყიდული იყო.“

როგორც ჩანს, მე ხუცესიც გავანაწყენე იმით, რომ მადლიერებით არ მოვეპყარი მის მზრუნველობას. ბოლოს

## სატანის სატყუპარა

პირობა მივეცი, რომ უარს ვიტყოდით იმ ქალის შემოთავაზე-ბაზე და უხუცესის სასტუმროში გავათევდით ღამეს.

უფალმა ამიხსნა რაში შევცდი. მე ვხედავდი, ხუცესს ტკივი-ლი მივაყენე. გავიგე, რომ ჩემი უფლებების გატანით, გავანაწ-ყენე ეს ძმა, რაც ცოდვა იყო. ამიტომაც, მასთან დავბრუნ-დი და პატიება ვთხოვე. მან მაპატია. ვიმედოვნებ, რომ ასეთი შეცდომა აღარასოდეს მომივა.

## შესამონებელი გამოცდა

პავლე მოციქულმა რომაელთა წერილში შეაჯამა ის, თუ როგორია ღმერთის დამოკიდებულება საცდურების მიმართ.

„მაშ, ვესწრაფოთ იმას, რაც მშვიდობასა და ურთიერთ-შეგონებას ემსახურება“. (რომაელთა 14 : 19)

ჩვენ ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენი თავისუფლება არა-ვის შებრკოლების მიზეზს არ აძლევდეს. ის, რასაც ვაკეთებთ, შეიძლება კიდევაც შეესაბამებოდეს წმინდა წერილის ფორმას. მაგრამ დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: ემსახურება კი ეს სხვის შეგონებას თუ მხოლოდ თქვენს სასარგებლოდაა?

„ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია; ყოველივე ნებადართულია ჩემთ-ვის, მაგრამ ყველაფერი როდი აშენებს. არავინ ეძე-ბოს თავისი სარგებელი, არამედ სხვისი. ამიტომ ჭამთ, სვამთ, თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი აკეთეთ ღვ-თის სადიდებლად. და არ შეამთხვიოთ ცდუნება არც იუ-დეველებს, არც წარმართებს და არც ღვთის ეკლესიას. ისევე, როგორც მეც ვაამებ ყველას ყველაფერში და სარგებლობას ვეძებ არა ჩემთვის, არამედ მრავალთათ-ვის, რათა გადარჩენენ“. (1 კორინთელთა 10:23,24,31-33)

მე მოგიწოდებთ ნება დართოთ სულინმიდას გაცრას თქვენი ცხოვრების ყოველი სფერო წმინდა წერილის ამ ადგილების მეშვეობით. ნება მიეცით მას გამოამჟღავნოს თქვენი ყველა საიდუმლო ანგარებიანი მოტივი და ზრახვა. თქვენი ცხოვრე-ბის რომელ სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს, მიიღეთ სულინ-

## რათა ისინი არ ვაცლუნოთ...

მიდის მოწოდება ყველას მსახური იყოთ.

გამოიყენეთ თქვენი თავისუფლება ქრისტეში სხვების გასა-  
თავისუფლებლად, და არა საკუთარი უფლებების დასაცავად.  
ეს იყო პავლეს მსახურების ერთ-ერთი პირობა, რომელიც წერ-  
და: „ჩვენ არაფერში არ ვიძლევით დაბრკოლების საბაბს, რათა  
მსახურება არ შეიძლალოს.“ (2 კორინთელთა 6:3)

ადამიანი, რომელსაც არ სურს  
მიზივება, დაივიწყა, რა დიღი ვალი  
აპატია მას ღმერთია

## თავი 11

### მიტევება: არ გასცემთ – არ ლეგულობთ!

„ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გნამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ. როცა დგახართ და ლოცულობთ, მიუტევეთ, თუ რაიმე გაქვთ ვინმეს წინააღმდეგ, რათა თქვენმა მამამაც ზეცაში მოგიტევოთ თქვენი შეცოდებანი. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ, არც თქვენი მამა, რომელიც ზეცაშია, არ მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს“.

მარკოზი 11:24-26

**Б**იგნის ამ ნაწილში მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო უპატიებლობის შედეგებზე, ასევე მისგან განთავისუფლების გზებზე. იესოს ყოველთვის ის ჰქონდა მხედველობაში, რასაც ამბობდა: „ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ, არც თქვენი მამა, რომელიც ზეცაშია, არ მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს.“ ჩვენ ისეთ კულტურაში ვართ აღზრდილები, სადაც ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ. ამის შედეგად, ადამიანები სერიოზულად არ ეკიდებიან ერთმანეთის ნათქვამს.

ეს ბავშვობიდან იწყება. მშობლები შვილს ეუბნებიან: „თუ კიდევ გააკეთებ ამას, დაგსჯით.“ მაგრამ ბავშვი ერთხელ კი არა, რამდენჯერმე იმეორებს და ყოველთვის ერთი და იგივე გაფრთხილება ესმის მშობლებისაგან. ჩვეულებრივ ამას არავითარი გამოსასწორებელი სასჯელი არ მოსდევს. თუ მოსდევს კიდეც, ის ან შეპირებულზე მსუბუქია ან უფრო მკაცრია, ვინაიდან მშობლები გაღიზიანებულები არიან.

მშობელთა ორივე რეაქცია ბავშვს შემდეგს ეუბნება: ჩვენ არ გვაქვს მხედველობაში ის, რასაც გეუბნებით, ან ის, რასაც

## სატანის სატყუარა

ვამბობთ, მართალი არ არის. ბავშვი ფიქრობს, რომ რაც ძალაუფლების მქონე ხალხის მიერ არის ნათქვამი, ყველაფერი არ არის მართალი. ამიტომ ის იბნევა და ფიქრდება, ღირს კი საერთოდ სერიოზულად ეკიდებოდეს ხელისუფალთ. ასეთივე დამოკიდებულება ვრცელდება მისი ცხოვრების სხვა სფეროებზეც. იგი ზუსტად ასე უყურებს თავის მასწავლებლებს, მეგობრებს, ხელმძღვანელებს. როდესაც მოზრდილი ხდება, ასეთი დამოკიდებულება ნორმად იქცევა. ახლა მისი საუბრები იმ დაპირებებისა და მტკიცებულებებისაგან შედგებიან, რაც საერთოდ არ ჰქონია მხედველობაში.

ნება მიბოძეთ, ტიპიური საუბრის მაგალითი წარმოგიდგინოთ. ლაშა ხვდება თავის მეგობარ დათოს, რომელთანაც მას რალაც დროის მანძილზე ჰქონდა ურთიერთობა. ლაშას ეჩქარება და ამიტომ ფიქრობს: „ო, ეს მგონი დათოა. რა ვქნა? ახლა ხომ საერთოდ არ მაქვს სალაპარაკო დრო.“

ისინი ერთმანეთს უყურებენ. ლაშა იწყებს: „დიდება უფალს, ძმაო. მოხარული ვარ შენი ნახვით.“ ცოტა ხანს საუბრობენ. ლაშას ეჩქარება და ლაპარაკს ამთავრებს სიტყვებით: „როგორმე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს: დავსხდეთ ერთად, ვისადილოთ.“

ჯერ ერთი, ლაშას ეჩქარებოდა და არ გახარებია დათოსთან შეხვედრა. მეორეც, მაშინ ის არ ფიქრობდა უფალზე, თუმცა დათოს მიესადმია სიტყვებით „დიდება უფალს“. მესამეც, მას სრულიად არ ჰქონია გამიზნული დათოსთან შეხვედრა იმისათვის, რომ ერთად ესადილათ. ის საერთოდ არ აპირებდა თავისი შეთავაზების შესრულებას. მან ეს მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ მალე დამშვიდობებოდა დათოს, სინდისის სათანადოდ დამშვიდებით. ასე რომ, ლაშას საერთოდ არ ჰქონდა მხედველობაში ის, რაც თქვა.

მაგრამ ამის მსგავსი სიტუაციები ყოველდღე ხდება რეალურ ცხოვრებაში. დღეს ადამიანებს იმის მეოთხედიც კი არა აქვთ მხედველობაში, რასაც ამბობენ. ასეთ ვითარებაში გასაკვირია, რომ ძალიან გვიჭირს გარჩევა, თუ როდის შეიძლება მივენდოთ ვინმეს სიტყვას, როდის არა?

მაგრამ როცა იქსო ამბობს რამეს, მას სურს, რომ მის სიტყვებს მთელი სერიოზულობით ვეკიდებოდეთ. ჩვენ მის ნათქვამს ისე არ უნდა ვუყურებდეთ, როგორც ადამიანების ნაუბარს. როცა იქსოს ამბობს რამეს, ის პასუხს აგებს საკუთარ

## მიტევება: არ გასცემთ – არ დეპულობთ!

სიტყვებზე. ის ერთგულია მაშინაც, როცა ჩვენ არ ვართ ერთგულები. იგი ცხვრობს ჭეშმარიტების, სამართლიანობისა და პატიოსნების ისეთ დონეზე, რომელიც ჩვენი საზოგადოების კულტურას ბევრად აღემატება. როცა იესომ თქვა: „ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ არც თქვენი მამა, რომელიც ზეცაშია, არ მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს,“ – მას სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში.

კიდევ ერთ ნაბიჯს თუ გადავდგამთ, დავინახავთ, რომ იესო ამას სახარებაში არაერთხელ იმეორებს. ის ხაზგასმით აღნიშნავდა ამ გაფრთხილებების მნიშვნელობას. მოდით ვნახოთ ზოგიერთი მათგანი.

„ვინაიდან თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს.“ (მათე 6:14, 15)

„... მიუტევეთ და მოგეტევებათ ...“. (ლუკა 6:37)

ასევე ლოცვაში „მამაო ჩვენო“:

„... და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა ჩვენთა“. (მათე 6 : 12)

საინტერესოა, რამდენი ქრისტიანი მოისურვებდა, რომ ღმერთმა მიუტევოს მათ ზუსტად ისე, როგორც თვითონ აპატიეს იმათ, ვინც ისინი გაანაწყენა. მაგრამ მათ სწორედ ისე მიეტევებათ. იმის გამო, რომ უპატიებლობა ძალიან მძვინვარებს ჩვენს ეკლესიებში, არ გვინდა იესოს ამ სიტყვებს სერიოზულად ვეკიდებოდეთ. მაგრამ რაც არ უნდა ძლიერად იყოს უპატიებლობა გავრცელებული ჩვენს შორის, ჭეშმარიტება უცვლელია. ის, თუ როგორ ვპატიობთ, შევუშვებთ და აღვადგენთ ჩვენს გულებში სხვა ადამიანებს, აირეკლება იმაზე, თუ როგორ მოგვეტევება ჩვენ თვითონ.

მე მსმენია უჩვეულო მოწმობა ფილიპინელ მსახურზე. ჩემმა მეგობრებმა, რომელნიც მას ადრე იცნობდნენ, მიჩვენეს სტატია, რომელშიც მისი განცდები იყო აღწერილი.

## სატანის სატყუარა

ეს ადამიანი რამდენიმე წელი ეწინააღმდეგებოდა ღმერთის მოწოდებას იმის გამო, რომ მისი ბიზნესი ყვაოდა. მას ძალიან დიდი შემოსავალი ჰქონდა. მაგრამ, საბოლოოდ, დაუმორჩილებლობამ შედეგი გამოიღო და იგი გულის დაავადებით საავადმყოფოში მოხვდა.

იგი გარდაიცვალა საოპერაციო მაგიდაზე და უცბად აღმოაჩინა, რომ სამოთხის გარეთ იმყოფებოდა. მის გვერდით იდგა იესო და დაუმორჩილებლობაზე ელაპარაკებოდა. ის ადამიანი ევედრებოდა უფალს, ჰპირდებოდა რომ მოემსახურებოდა იესოს, თუ იგი სიცოცხლეს გაუგრძელებდა. უფალი დათანხმდა.

სანამ უკან, სხეულში დააბრუნებდა, უფალმა მას ჯოჯოხეთი უჩვენა. მან დაინახა, თუ როგორ იწვოდა ჯოჯოხეთურ ალში მისი მეუღლის დედა.

ის ძალიან განცვიფრდა. ქალი წარმოთქვამდა „ცოდვილის ლოცვას“, ალიარებდა, რომ ქრისტიანი იყო და ეკლესიაში დადიოდა. „რატომ არის ის ჯოჯოხეთში“ – ჰკითხა მან უფალს.

უფალმა უთხრა, რომ ქალმა უარი თქვა ეპატიებინა ერთი ნათესავისათვის, ამიტომ არც მას მიეტევა.

## მიტევება და სულიერი ზრდა

ჩვენს მსახურებებში უპატიებლობის მრავალი ხაფანგი გვინახავს. როდესაც ინდონეზიაში დაგინწყვე მსახურება, მდიდარი ბიზნესმენის სახლში ვცხოვრობდი. ის და მისი ოჯახი დადიოდნენ ეკლესიაში, სადაც მე ვმსახურობდი, მაგრამ ისინი დახსნილები არ გახლდნენ.

იმ კვირის განმავლობაში, როცა იქ ვიყავი, მისი ცოლი მოვიდა უფალთან, ხოლო შემდეგ თვითონ და მათი სამი შვილი. მათ ცხოვრებაში მოვიდა განთავისუფლება და ოჯახში ატმოსფერო მთლიანად შეიცვალა. უდიდესმა სიხარულმა აავსო მათი სახლი. როცა შეიტყვეს, რომ კიდევ ვაპირებდი ინდონეზიაში ჩამოსვლას მეუღლესთან ერთად, მათ მიგვიწვიეს თავიანთ სახლში საცხოვრებლად და შემოგვთავაზეს აენაზლაურებინათ თვითმფრინავის ბილეთების ფული ჩვენი ოჯახისათვის და ძიძისთვის, რომელიც ბავშვებს უვლიდა.

ჩამოვედით და ათი მსახურება ჩავატარეთ მათ ეკლესიაში. მე ვქადაგებდი მონანიებისა და ღმერთის თანდასწრების შესახებ. ჩვენ ვგრძნობდით ღმერთის სუფევას, რომელსაც თან ახლდა მონანიების ცრემლები დარბაზში მსახურების დროს.

## მიტევება: არ გასცემთ – არ დეპულობთ!

ეს ოჯახიც იქ იმყოფებოდა. ქმრის დედა, რომელიც იმავე ქალაქში ცხოვრობდა, ყოველ კრებას ესწრებოდა. მან, ასევე, დიდი თანხა შემოიტანა ჩვენი შვილებისათვის ავიაბილეთების შესაძენად.

კვირის ბოლოს ამ კაცის დედამ პირდაპირ თვალებში შემომსედა და მკითხა: „ჯონი, რატომ ვერ ვიგრძენი ვერც ერთხელ ღმერთის თანდასწრება?“ ჩვენ ეს-ესაა დავამთავრეთ საუზმე და დანარჩენები უკვე წასულიყვნენ.

„მე ყველა კრებას ვესწრებოდი, – განაგრძობდა იგი, – და ყურადღებით ვუსმენდი შენს ნათქვამს. მე გამოვედი წინ, მონანიებისათვის, ვინანიებდი, თუმცა ვერც ერთხელ ვერ ვიგრძენი ღმერთის თანდასწრება. მე არასდროს განმიცდია ღმერთის თანდასწრება.“

ცოტა ვესაუბრე და შემდეგ ვუთხარი: „მოდით ვილოცოთ თქვენთვის, რათა ღმერთის სულით აივსოთ.“ დავადე ხელები და დავიწყე ლოცვა იმისთვის, რომ მას სულიწმიდა მიეღო, მა-გრამ ღმერთის თანდასწრება საერთოდ არ იგრძნობოდა.

შემდეგ ღმერთი ჩემს სულს დაელაპარაკა: „მან არ აპატია თავის ქმარს. უთხარი, რომ აპატიოს.“

მე ხელები მოვაცილე. ვიცოდი, რომ მისი ქმარი უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ შევხედე მას და ვუთხარი: „უფალმა მაჩვენა, რომ თქვენ უპატიებლობა ჩაგრჩენიათ თქვენი მეულ-ლის მიმართ.“

„დიახ, – დამეთანხმა იგი. – მაგრამ რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, რათა მეპატიებინა მისთვის.“

შემდეგ მიამბო იმ საშინელებათა შესახებ, რასაც ქმარი მის მიმართ სჩადიოდა. მივხვდი, რატომ იყო მისთვის ძნელი მიტევება.

მაგრამ მე მას ვუთხარი: „იმისათვის, რომ შეძლოთ უფლის-აგან რამის მიღება, საჭიროა პატიება“, – და ავუხსენი, რომ იესოს აქვს სწავლება მიტევების შესახებ.

„თქვენ ვერ შეძლებთ მიტევებას საკუთარი ძალებით. ეს ღმერთის წინაშე უნდა მოიტანოთ და ჯერ უნდა სთხოვოთ, რომ ღმერთმა გაპატიოთ. ამის შემდეგ შეძლებთ აპატიოთ თქვენს ქმარს. გინდათ გაუშვათ თქვენი მეუღლე?“ – ვკითხე მას.

„დიახ“, – მიპასუხა.

უბრალო ლოცვა შევთავაზე: „მამაო ზეციერო, იესო

## სატანის სატყუარა

ქრისტეს სახელით გთხოვ პატიებას უპატიებლობის გამო, რომელიც ჩემი მეუღლის მიმართ მაქვს. უფალო, მე ვიცი, რომ არ შემიძლია მივუტევო მას ჩემი ძალებით. უკვე განვიცადე წარუმატებლობა. მაგრამ ახლა შენს წინაშე გულიდან ვათავი-სუფლებ ჩემს მეუღლეს. მე ვპატიობ მას.“

როგორც კი ეს სიტყვები დაასრულა, ცრემლი მოერია.

„ასწიეთ ხელები და ილოცეთ ენებზე“, – შევაგულიანე იგი.

ცხოვრებაში პირველად მან დაიწყო ლოცვა მშვენიერი ზეციური ენით. ისე ძლიერ ვგრძნობდით უფლის თანდასწრებას, რომ თრთოლვა და მონინება გაგვიჩნდა მის წინაშე. თითქმის ხუთი წუთი ტიროდა. ჩვენ ცოტა ვისაუბრეთ, შემდეგ კი უბრალოდ შევთავაზე უფლის თანდასწრებით დამტკბარიყო. იგი აგრძელებდა უფლის თაყვანისცემას, მე კი გავედი სასადილოდან და ის მარტო დავტოვე.

როდესაც ეს ამბები მისმა შვილმა და რძალმა შეიტყვეს, განცვიფრებულები იყვნენ. შვილმა სთქვა, რომ არასდროს უნახავს დედის ცრემლები. ქალს თვითონაც აღარ ახსოვდა, უკანასკნელად როდის იტირა: „მაშინაც კი, როცა ქმარი მომიკვდა, ერთი ცრემლიც კი არ გადმომვარდნია თვალიდან.“

იმ საღამოს მსახურებაზე მან წყლით ნათლობა მიიღო. შემდეგი სამი დღის განმავლობაში მშვენიერი, ნათელი ლიმილი არ სცილდებოდა მის სახეს. არ მახსოვს, რომ ადრე მომლიმარი მენახოს. მაგრამ, როგორც კი გაუშვა და მიუტევა ქმარს, უფლის ძალა მიიღო თავის ცხოვრებაში და ნამდვილად გრძნობდა მის თანდასწრებას.

## უმოწყალო მონა

მათეს სახარების მეთვრამეტე თავში იესო მეტ ნათელს ჰქონდა მონობას, რომელიც უპატიებლობისა და წყენის შედეგადაა აღმოცენებული. იგი ასწავლიდა მონაფეებს, როგორ უნდა შერიგებოდნენ ძმებს, რომლებმაც აწყენინეს მათ (ჩვენ განვიხილავთ შერიგების თემას ერთ-ერთ მომდევნო თავში).

პეტრემ იკითხა: „... უფალო! რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ რომ შესცოდოს? შვიდჯერ?“ (მათე 18:21). ის მიიჩნევდა, რომ დიდსულოვნად მოიქცეოდა.

პეტრეს უყვარდა ყველაფრის უკიდურესობამდე მიყვანა. ეს მან თქვა ფერისცვალების მთაზე: „... გავაკეთებ აქ სამ კარ-

## მისამართი: არ გასცემთ – არ დეპულობთ!

ავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას“ (მათე 17:4). ახლა კი ისეთ დიდსულოვნად მიაჩნდა თავი: „მე შთაბეჭდილებას მოვახდენ მასნავლებელზე ჩემი მზადყოფნით, შვიდჯერ მივუტევო.“

მაგრამ მან განსაცვიფრებელი პასუხი მიიღო. იქსომ გაფანტა ის, რასაც ჰეტრე დიდსულოვნებად თვლიდა: „... არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ.“ (მათე 18:22). სხვა სიტყვებით, მიუტევე ისე, როგორც ამას ღმერთი აკეთებს – ყოველთვის.

შემდეგ, იმისათვის რომ ხაზი გაესვა თავისი აზრისათვის, იქსომ გვიამბო იგავი:

„ამიტომ ჰეგავს ცათა სასუფეველი მეფეეკაცს, რომელმაც მოისურვა თავისი მონებისათვის ანგარიშის გასწორება. როცა დაიწყო ანგარიში, წარუდგინეს მას ერთი, რომელ-საც ათი ათასი ტალანტი ემართა მისი ...“. (მათე 18:23-24)

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდია თანხა, რომელზეც იქსო ლაპარაკობს, უნდა გავიგოთ, რა არის ტალანტი. იმ დროს ტალანტი საწყვისი ერთეული გახლდათ. იგი გამოიყენებოდა ოქროს (იხ. 2 მეფეთა 12:30), ვერცხლის (იხ. 3 მეფეთა 20:39) და სხვა ლითონებისა და საქონლის ასანონად. ამ იგავში იგი წარმოადგენს ვალს, ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქსოს მხედველობაში ჰქონდა ოქროს ან ვერცხლის წონის საზომი. დავუშვათ, რომ ეს იყო ოქრო.

ჩვეულებრივი ტალანტი დაახლოებით 34 კილოგრამს უდრიდა. ეს იყო წონა, რომელსაც ადვილად იტვირთავდა ადამიანი (იხ. 4 მეფეთა 5:23). ათი ათასი ტალანტი დაახლოებით 375 ტონას უდრის. ასე რომ, ამ მონას ემართა მეფის 375 ტონა ოქრო.

ამჟამად უნცია (28, 3 გრ) ოქროს ფასი დაახლოებით 375 ამერიკული დოლარის ტოლია. თანამედროვე ბაზარზე ოქროს ტალანტი ელირება 450 000 დოლარი. მაშასადამე, 10 000 ტალანტი ოქრო 4,5 მილიარდი დოლარი ღირს. ამ მონას თავისი მეფის ოთხნახევარი მილიარდი დოლარი ემართა!

იქსო აქ იმას მიანიშნებს, რომ მონას ისეთი ვალი ჰქონდა, რომელსაც იგი ვერასოდეს ვერ გადაიხდიდა. ჩვენ ვკითხულობთ:

## სატანის სატყუარა

„... და რაკი არაფერი გააჩნდა, რომ გადაეხადა, ბატონმა ბრძანა გაეყიდათ იგი, მისი ცოლი, შვილები და ყოველივე, რაც რამ ებადა, და გადაეხადა. მაშინ მონა დაემხო პირქვე, თაყვანი სცა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო“. (მათე 18:25-27)

ახლა მოდით ვნახოთ, რას გვეუბნება ეს იგავი წყენის შესახებ. როცა აღმოცენდება წყენა, ვიღაც მოვალე ხდება. თქვენ გსმენიათ გამონათქვამი: „ყველაფერს ვაზღვევინებ!“ ამიტომ მიტევება ვალის გაუქმებას ჰგავს. მეფე წარმოადგენს მამა-ღმერთს, რომელმაც ამ მონას ისეთი ვალი აპატია, რომელსაც ის ვერასოდეს ვერ გადაიხდიდა. კოლასელთა წერილში 2:13-14 მუხლებში ვკითხულობთ: „... თქვენც, იყავით რა შეცოდებებში და თქვენი ხორცის წინადაუცვეთელობით მკვდრები, გაგაცოცხლათ მასთან ერთად და მოგვიტევა ყველა შეცოდება. მოძღვრებებით წაშალა თანანადებთა ხელწერილი (თქვენი ვალების სია), რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყო, აიღო იგი შუაგულიდან და ჯვარს მიამსჭვალა.“

ვალი, რომელიც გვეპატია, შეუძლებელი იყო გადაგვეხადა. არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა, რომ დავუბრუნოთ ღმერთს ყველაფერი, რაც კი გვმართებს მისი. ამიტომ უფალმა მოიტანა სნა, როგორც უსასყიდლო საჩუქარი. იესომ გადაიხადა ჩვენი ვალების სიის მიხედვით. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ პარალელი მონისა და მეფის ურთიერთობასა და ჩვენსა და ღმერთის ურთიერთობას შორის.

ამ მონამ გამოსვლისთანავე იპოვა ერთი თავისი ამხანაგი მონა, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა, დაიჭირა, ყელში სწვდა და უთხრა: გადამიხადე, რაც გმართებსო. (მათე 18:28).

დინარი იყო დაახლოებით მუშის ერთი დღის სამუშაოს ანაზღაურების ტოლი. ასე რომ, აშშ-ს თანამედროვე რეიტინგით ასი დინარი დაახლოებით 4 000 დოლარის ტოლი იქნება. ახლა გააგრძელეთ კითხვა:

„პირქვე დაემხო ამხანაგი მონა, შეევედრა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო. მაგრამ მან არ ინდომა, არამედ წავიდა და ჩააგდო იგი საპყრობილები, ვიდრე ვალს გადაუხდიდა“. (მათე 18:29,30)

## მისამართი: არ გასცემთ – არ დეპულობთ!

ამხანაგს მისი განსაზღვრული თანხა ემართა – წლიური ხელფასის ერთი მესამედი. როგორ მოგეწონებოდათ, თქვენი წლიური შემოსავლის მესამედი რომ დაგეკარგათ? მაგრამ გახსოვდეთ, რომ ამ ადამიანს აპატიეს ვალი 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობით. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზეც კი ვერ გამოიმუშავებდა ამდენ ფულს!

წყენა, რომელიც ერთმანეთის მიმართ გვაქვს, იმასთან შედარებით, რამდენად დიდი შეურაცხყოფა მივაყენეთ ღმერთს, შეიძლება შევადაროთ პროპორციას 4 000 დოლარი 4,5 მილიარდთან. ჩვენ შეიძლება ვინმე ძალიან ცუდად მოგვექცა, მაგრამ ეს შეუძლებელია შევადაროთ საკუთარ დანაშაულებებს ღმერთის წინააღმდეგ.

შეიძლება გეჩვენებოდეთ, რომ არავინ ყოფილა ისე ცუდად, როგორც თქვენ. მაგრამ სულაც არ აცნობიერებთ, თუ რამდენად ცუდად მოექცნენ იესოს. ის, უდანაშაულო, მსხვერპლად შეწირული უმწიკვლო კრავი გახდა.

ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია მიტევება, დაავიწყდა, თუ რამდენად დიდი ვალი ეპატია თვითონ. როდესაც აცნობიერებთ, რომ იესომ სამუდამო სიკედილისა და ტანჯვისაგან გიხსნათ, თქვენ გაანთავისუფლებთ სხვებს ყოველგვარი პირობების გარეშე (იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს, იხილეთ მეცამეტე თავში). იმაზე უარესი არაფერია, ვიდრე მარადისობა ცეცხლოვან ტბაში გაატაროთ. იქ არანაირი შვება არ არსებობს, ჭია არ კვდება და ცეცხლი არ ქრება. ეს ადგილი ჩვენთვის იყო მომზადებული, სანამ ღმერთმა არ გვაპატია მისი ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით. ალილუა! თუ თქვენ გიჭირთ მიტევება, ითიქრეთ ჯოჯოხეთის რეალობაზე და ღმერთის სიყვარულზე, რომელმაც მისგან გიხსნათ.

## გაკეთილები მორწეულებისათვის

მოდით იგავის კითხვა გავაგრძელოთ:

„მისმა ამხანაგმა მონებმა რომ ნახეს რაც მოხდა, შენუხდნენ, მივიდნენ თავიანთ ბატონთან, და აუწყეს ყოველივე მომხდარი. მაშინ დაიბარა იგი მისმა ბატონმა და უთხრა: ბოროტო მონავ! რაკი მთხოვე, მე შენ მთელი ვალი გაპატიე. განა შენ არ გეკადრებოდა, შეგეწყვეტილე-

## სატანის სატყუარა

ბინა შენი ამხანაგი მონა, როგორც მე შენ შეგინყალე?“  
(მათე 18:31-33).

ამ იგავში იქსო მორწმუნებზე ლაპარაკობდა. იგი ლაპარა-კობდა მეფის მსახურებზე. ამ ადამიანს უკვე მიეტევა დიდა-ლი ვალი და მას ხელმწიფის „მონა“ ეწოდა. ის, ვისაც მან არ მიუტევა ვალი, გახლდათ მისი ამხანაგი სამსახურში. ასე რომ, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ასეთია იმ მორწმუნის ბედი, რომელსაც არ სურს აპატიოს:

„განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს გადაიხდიდა. ასევე მოგექცევათ თქვენ ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენგანი გულით არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცოდებებს.“ (მათე 18:34-35).

ამ მუხლებში სამი ძირითადი აზრია:

1. უმოწყალო მონა გადაეცა მტანჯველებს.
2. მან უნდა გადაიხადოს საწყისი ვალი 375 ტონა ოქრო.
3. მამა ღმერთი მოექცევა ასე ყველა მორწმუნეს, რომელ-იც არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცოდებებს.

### 1. უმოწყალო მონა გადაეცა მტანჯველებს

ვებსტერის ლექსიკონში მოცემულია სიტყვის „ტანჯვე-ბი“ (ანუ „წამებები“) შემდეგი განსაზღვრება: „სხეულის ან გონების“ აგონია ან „ინტენსიური ტკივილის მიყენება იმისათ-ვის, რომ დასაჯო, მიანიჭო ან მიიღო სადისტური სიამოვნება.“

მწვალებლები, რომლებიც ასეთ ტანჯვებს აყენებენ, არი-ან დემონური სულები. ღმერთი აძლევს „მწვალებლებს“ ნე-ბას ტკივილი მიაყენონ ჩვენს სხეულსა და მშვინვას, მიუხე-დავად იმისა, რომ მორწმუნები ვართ. მსახურებებზე ხშირად მილოცია ადამიანებისათვის, რომელიც ვერ ღებულობენ განკურნებას, ნუგეშისცემას ან განთავისუფლებას იმის გამო, რომ უარს ამბობდნენ სხვებისათვის მთელი გულით ეპატიე-ბინათ.

ექიმები და მეცნიერები უპატიებლობასა და სიმწარეს უკავ-შირებენ ისეთ დავადებებს, როგორებიცაა ართრიტი და კიბო.

## მისამართი: არ გასცემთ – არ დეპულობთ!

სულიერ დაავადებათა მრავალი შემთხვევაა დაკავშირებული სწორედ უპატიობლობასთან.

ჩვეულებრივ ადამიანები ვერ პატიობენ სხვა ადამიანებს, მაგრამ ხანდახან ისინი ვერ პატიობენ საკუთარ თავს. თუ ღმერთმა მოგიტევათ, მაშინ ვინ ხართ თქვენ რომ თქვენს თავს არ პატიობთ?

### 2. უმოწყალო მონას მოუწევს გადახდადოს საცყისი თანხა, რომლის გადახდაც შეუძლებელია

მისგან შეუძლებელი მოითხოვეს. ეს იგივეა, რომ ჩვენ მოგვთხოვონ გადავიხადოთ ვალი, რომელიც იესომ გოლგოთაზე გადაიხადა. ასეთ შემთხვევაში დავკარგავთ ჩვენს სსნას.

თქვენ იტყვით: „ერთი წუთით! მაგრამ მე ვფიქრობდი, რომ ადამიანმა როგორც კი ილოცა ცოდვილის ლოცვით და თავისი სიცოცხლე იესოს მიუძლვნა, იგი აღარ დაიღუპება.“

თუ თქვენ ასე ფიქრობთ, მაშინ ახსენით პეტრეს შემდეგი სიტყვები:

„ვინაიდან, თუ უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს შემეცნებით წუთისოფლის სიბილნებს ჩამოცილებულნი კვლავ გაეხვევიან მათში და დაიძლევიან, უანასახელი პირველზე უარესი იქნება. უმჯობესი იქნებოდა არ შეეცნოთ სიმართლის გზა, ვიდრე შეეცნოთ და უკუქ-ცეულიყვნენ მათვის გადაცემული წმიდა მცნებისაგან“.  
(2 პეტრ 2:20-21)

პეტრე ლაპარაკობდა ადამიანებზე, რომელნიც ჩამოსცილდნენ ცოდვას (წუთისოფლის სიბილნები) იესო ქრისტეში დახსნის მეშვეობით. თუმცა ისინი კვლავ გაიხლართნენ ცოდვაში (ერთ-ერთი ცოდვა შეიძლება იყოს უპატიობლობა) და მათგან დაძლეული აღმოჩნდნენ. დაჯაბნულ მდგომარეობაში ყოფნა ნიშნავს, არ დაუბრუნდე უფალს ცოდვის მონანებით.

პეტრე ამტკიცებს, რომ სიმართლისათვის ზურგის შექცევა უფრო უარესია, ვიდრე საერთოდ არ შეგვეცნო იგი. სხვა სიტყვებით, ღმერთი ამბობს, რომ უკეთესია არასოდეს მიიღო დახსნა, ვიდრე მიიღო საუკუნო სიცოცხლე და შემდეგ სამუდამოდ ზურგი აქციო.

## სატანის სატყუპარა

მოციქული იუდა ასევე აღწერს ადამიანებს ეკლესიაში, რომელიც „ორგზის მომკვდარნი“ გახლდნენ. (იუდა 12:13). იყოთ „ორგზის მომკვდარნი“ ნიშნავს, რომ თქვენ იდესლაც მკვდარი იყავით ქრისტეს გარეშე, მერე გაცოცხლდით ზეციდან შობით, ხოლო შემდეგ ისევ მოკვდით, ღვთიური გზიდან განდგომით.

ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალი მივლენ იესოსთან, და შემდეგი სიტყვებით გაიმართლებენ თავს: „ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდითო მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა.“ (მათე 7:22-23). ისინი იცნობდნენ მას. უფალს უწოდებდნენ და მისი სახელით სასწაულებს ახდენდნენ. მაგრამ იესო არ ცნობდა მათ. მაინც ვის იცნობს იესო?

მოციქული პავლე წერდა: „მაგრამ თუ ვინმეს უყვარს ღმერთი, ის ცნობილია მისთვის“ (1 კორინთელთა 8:3. თანამედროვე თარგმანი). ღმერთი იცნობს მათ, ვისაც უყვარს იგი.

შეიძლება თქვათ: „მე მიყვარს ღმერთი. უბრალოდ არ მიყვარს ის ძმა, რომელმაც დაძჭრა.“

ასეთ შემთხვევაში ცდებით, ვინაიდან დაწერილია: „თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორლა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს?“ (იოანე 4:20). ცდუნება საშინელი რამ არის, ვინაიდან ცდუნებაში მყოფს მთელი გულით სჯერა, რომ მართალია. ის ფიქრობს, რომ მართალია, მაშინ როცა სიმართლე არ არის იმ ადამიანის მხარეზე, რომელიც უარს ამბობს ღმერთის სიტყვისადმი მორჩილებაზე და საკუთარ გულს აცდუნებს.

განა საინტერესო არ არის ორი ბიბლიოტრი აზრის შედარება: პირველი – „ბევრს“ ექნება მოლოდინი, რომ ზეცაში მოხვდება, მაგრამ მათ უარს ეტყვიან, მეორე – ბევრნი ცდუნდებიან (განაწყენდებიან) უკანასკნელ დღეებში (იხ. მათე 24:10)? იქნებორივე ჯგუფს ერთი და იგივე ხალხი შეადგენს?

ზოგიერთი მორწმუნე ისე ძალიან იტანჯება მიუტევებლობის გამო, რომ სიკვდილს ელოდება იმ იმედით, რომ იგი შვებას მოჰგვრის. მაგრამ ეს სიმართლე არ გახლავთ! ჩვენ ახლავე გვმართებს უპატივებლობაში გარკვევა, თორემ შეუძლებლის გადახდას მოგვთხოვენ.

**მისამართი: არ გასცემთ – არ დეპულობთ!**

3. მაგრა დარღვეული ასე მომდევნება ყველა მორჩეულის, რომელიც უარს ამპობს მთელი გულით აკატიოს, რაც არ უნდა დიდი იყოს ცენა ან შეურაცხყოფა.

იესო ძალიან კონკრეტულად ლაპარაკობდა, რათა ყველა მოწაფეს გაეგო მისი იგავები. იესო თითქმის ყველა იგავს განმარტავდა, თუ ამას მოწაფეები სთხოვდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში მას სურდა, რომ ხალხს არ გასჩენოდა არავითარი ეჭვი და გაუგებრობა მკაცრ სამსჯავროსთან მიმართებით იმათვის, ვინც უარს ამბობდა მიტევებაზე.

ბევრ სხვა შემთხვევაში იესო ასევე ძალიან გასაგებად ამბობდა, რომ თუ ჩვენ არ მივუტევებთ, ჩვენც არ გვეპატიება. გახსოვდეთ, რომ ის ისეთი არ გახლავთ, როგორებიც ჩვენ ვართ: მას მხედველობაში აქვს ის, რასაც ამბობს.

ასეთ რამეს ხშირად ვერ შეხვდები ეკლესიაში. ამის ნაცვლად მორწმუნები ამართლებენ იმას, რომ უპატიებლობას დაატარებენ. უპატიებლობა ნაკლებ ცოდვად ითვლება ვიდრე ჰომოსუსუალიზმი, მრუშობა, ქურდობა, ლოთობა და ასე შემდეგ. მაგრამ ისინი, რომელნიც უარს ამბობენ მიტევებაზე, ისევე არ დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს, როგორც ისინი, ვინც დიდ ცოდვებში არიან ჩაფლულნი.

ზოგიერთებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ეს მკაცრი ქადაგებაა. მაგრამ მე მას ვუყურებ არა როგორც მკაცრ სასამართლოს, არამედ როგორც მოწყალებისა და გაფრთხილების უწყებას. რას მიანიჭებთ უპირატესობას. დღეს მიიღოთ მხილება და შეგონება სულიწმიდისაგან და განიცადოთ ჭეშმარიტი მონანიება და მიტევება, თუ უარი თქვათ პატიებაზე და მოისმინოთ, როგორ გეტყვით უფალი: „გამშორდი!“ – როცა მონანიება უკვე ძალიან დაგვიანებული იქნება?

საკუთარი თავისათვის შერჩებიების  
სურვილი იგდენად უჩვეულო უნდა იყოს  
ჩვენთვის, რომ ეს აზრადაც არ უნდა  
მოგვდომდეს

## თავი 12

### შურისძიება – ხაზანგია

„... ნურვის ნუ მიაგებთ ბოროტის წილ ბოროტს;  
ცდილობდეთ კეთილს ყველა ადამიანის წინაშე“.

რომაელთა 12:17

**Б**ინა თავში ნათლად დავინახეთ, რომ მიუტევებლობაში გაჯიუტება იგივეა, რომ ვინმეს შენს მოვალედ თვლიდე. როცა ადამიანს უსამართლოდ მოექცევიან, იგი ფიქრობს, რომ ის, ვინც აწყენინა, მისი მოვალე გახდა. ის მოელის ერთგვარ ანაზღაურებას, ფულადს ან მორალურს.

ჩვენი სასამართლო სისტემა იმისთვის არსებობს, რომ დაზარალებული მხარის უფლებები დაიცვას. სასამართლო სარჩელები იმის გამო წარმოიქმნებიან, რომ ხალხი ცდილობს მიაღწიოს თავისი ვალების განაღდებას. როცა ერთმა ადამიანმა მეორეს აწყენინა, ადამიანური სამართლიანობა ამბობს: „ისინი წარდგებიან სასამართლოს წინაშე ჩადენილის გამო დაზღავენ, თუკი დამნაშავენი აღმოჩნდებიან.“

უმოწყალო მონას უნდოდა, რომ მის ამხანაგს მისთვის ვალი გადაეხადა, ამიტომ უჩივლა სასამართლოში. ეს სამართლიანობის მიღწევის გზა არ გახლავთ.

„შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარლებო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას, ვინაიდან წერია: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ, – ამბობს უფალი“. (რომაელთა 12:19)

## სატანის სატყუარა

ღმერთის შვილები არ უნდა იძიებდნენ შურს. მაგრამ სწორედ ამისკენ ვისწრაფვით, როცა უარს ვამბობთ მიტევებაზე. ჩვენ გვწყურია, განვიზრახავთ და ვახორციელებთ შურისძიებას. არ ვპატიობთ, ვიდრე მთლიანად არ დაგვიბრუნებენ ვალს და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ მისაღები კომპენსაციის ოდენობა. როდესაც ვისწრაფვით თვითონ ავინაზღლაუროთ მოყენებული ზარალი, მაშინ ჩვენს თავებს მოსამართლეებად დავსახავთ. მაგრამ ვიცით შემდეგი:

„ერთია რჯულმდებელი და განმკითხველი, რომელსაც შეუძლია ხსნა და დაღუპვა. შენ ვინა ხარ, სხვას რომ განიკითხავ? ჩემი ძმებო, ნუ ჩივით ერთმანეთზე, რათა არ იყოთ მსჯავრდადებული. აპა, განმკითხავი კარზეა მომდგარი“. (იაკობი 4:12, 5:9)

ღმერთი სამართლიანი მსაჯულია. იგი აღასრულებს მიუკერძოებელ სამართალს. თუ ვინმემ შესცოდა და ნამდვილად მოინანია, მაშინ სისხლი, რომელიც იესომ დაღვარა გოლგოთაზე, წაშლის ამ ვალს.

თქვენ შეიძლება თქვათ: „მაგრამ მე მომექცნენ ცუდად და არა იესოს!“

დიახ, მაგრამ თქვენ ვერ აცნობიერებთ, თუ რა საშინელი ბოროტება ჩაიდინეთ იესოს მიმართ. ის იყო უდანაშაულო მსხვერპლი, რომელსაც ლაქა ან მანკი არ ჰქონდა, იმ დროს, როცა ყველამ შესცოდა და სიკვდილს იმსახურებდა. ყოველმა ჩვენგანმა დაარღვია ღმერთის რჯული, რომელიც ბევრად აღემატება სახელმწიფო კანონებს. და თუკი სამართლიანად მოვიკევით, თითოეულ ჩვენგანს სიკვდილი უნდა მიესაჯოს სამყაროს დიადი მართლმსაჯულების ხელით.

შესაძლოა, ისეთი არაფერი ჩაგიდენიათ, რაც სხვა ადამიანს პროვოკაციას გაუწევდა, რომ ბოროტება ჩაედინა თქვენს მიმართ. მაგრამ თუ შეადარებთ ერთმანეთს იმას, თქვენ როგორც მოგექცნენ და იმას, თუ რა მოგეტევათ, დაინახავთ, რომ არც კი შეიძლება მათი შედარება. ამით ღმერთისადმი თქვენი ვალი გრამითაც კი არ შემცირდებოდა! თუკი თავს მოტყუებულად გრძნობთ, დაგავიწყდათ, როგორი წყალობა გამოიჩინეს თქვენს მიმართ.

## შურისძიება – ხაზანგი

### უკაყოფილებისა და აღმფოთების შავბეჭი მხარეები

თქვენ რომ ჩემს წინააღმდეგ შეგეცოდათ ძველი აღთქმის დროში, კანონიერი უფლება მექნებოდა ზუსტად იგივე ოდენობის საზღაური მომეთხვევა. მაშინ ნებადართული გახლდათ ვალის გასტუმრების მოთხოვნა, ბოროტებისათვის ბოროტების გადახდით (იხ. ლევაინი 24:19; გამოსვლა 21:23-25). რჯული გახლდათ უზენაესი სასამართლო. იესო ჯერ არ მომკვდარა, რომ რჯულის ქვეშ მყოფნი გაენთავისუფლებინა.

„ნახეთ, როგორ მიმართავს ის ახალი აღთქმის მორწმუნებს:

„თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. მე კი გეუბნებით თქვენ: წინ ნუ აღუდგებით ბოროტს; არამედ, თუ ვინმერ მარჯვენა ლოყაში გაგანნას, მეორე ლოყაც მიუშვირე. ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და შენი მოსასხამის წალებას, სამოსელიც თან გაატანე მას. ვინც ერთ მილზე წაყოლა გაიძულოს, ორზე გაჰყევი, ვინც გთხოვოს, მიეცი, ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგან სესხება სურს“. (მათე 5:38-42)

იესო აუქმებს ყველა შავპნელ მხარეს, სადაც უკმაყოფილება იყო დაშებული. ფაქტიურად ის ამბობს, რომ ჩვენი დამოკიდებულება იმდენად შორს უნდა იყოს შურისძიებისაგან, რომ შევძლოთ სხვებს მოვემსახუროთ.

როცა ვისწრაფვით თვითხებურად გამოვასწოროთ ჩვენს მიმართ ჩადენილი ბოროტება, საკუთარ თავს მოსამართლის მდგომარეობაში ვაყენებთ. უმოწყალო მონამ, მათეს სახარების მე-18-ე თავში გააქეთა ეს, როდესაც თავისი ამხანაგი საპყრობილები ჩასვა. უმოწყალო მონა თვითონაც გადასცეს მტანჯველებს, ხოლო მისი ოჯახი გაყიდული იქნებოდა, ვიდრე მონა ვალს მთლიანად არ გადაიხდიდა.

ჩვენ უნდა დავუთმოთ ადგილი სამართლიან განმკითხველს. იგი სიმართლით მიაგებს. მხოლოდ ის განიკითხავს სამართლიანად.

ერთხელ წყენის შესახებ ვქადაგებდი ეკლესიაში, ქალაქ ტამპოში, ფლორიდის შტატში. ქადაგების შემდეგ ერთი ქალი მომიახლოვდა. მან თქვა, რომ მიუტევა ყოფილ მეუღლეს ყვე-

## სატანის სატყუარა

ლაფერი, რაც მას ჩაუდენია. მაგრამ, როდესაც ისმენდა ჩემს ქადაგებას იმის შესახებ, თუ როგორ ამოვიგდოთ გულიდან წყენა, თავი ძალიან უხერხულად იგრძნო და მიხვდა, რომ შინაგანი მშვიდობა კვლავაც არ ჰქონდა.

„ესე იგი, თქვენ არ მიუტევეთ მას“, – რბილად ვუთხარი.

„არა, მივუტევე, – თქვა მან. – მე პატიების ცრემლებს ვღვრიდი.“

„თქვენ შეიძლება იტირეთ, მაგრამ არ გაათავისუფლეთ იგი.“

ის მარწმუნებდა, რომ აპატია ქმარს: „მისი არაფერი მინდა. მე გავუშვი ის.“

„მითხარით, რა გაგიკეთათ“, – ვკითხე მე.

„ჩემი მეუღლე ეკლესის ხუცესი იყო. მან მიმატოვა ჩვენს სამ ვაჟიშვილთან ერთად და ერთ ქალთან წავიდა, რომელიც გახლდათ ერთ-ერთი წამყვანი ეკლესიაში, – მას თვალზე ცრემლი მოადგა, – მან მითხრა, რომ ჩემზე ღმერთის ნებით არ იქორწინა, ვინაიდან ღმერთის სრულყოფილი ნება მისთვის იყო დაქორწინება იმ ქალზე, რომელთანაც მერე გაიქცა. მეუღლემ კიდევ მითხრა, რომ ის მანდილოსანი ძვირფასი შენაძენი გახლდათ მისი მსახურებისათვის, იმიტომ, რომ ბევრად მეტ დახმარებას უწევდა, ვიდრე მე. მისი თქმით, მე მისთვის დაბრკოლება ვიყავი, ვაკრიტიკებდი მას. ჩვენი ოჯახის დანგრევა მთლიანად მე გადმომაბრალა და არ აღიარა, რომ ამაში თვითონაც იყო დამნაშავე.“

ეჭვგარეშეა, რომ ის ადამიანი ცდუნებაში იმყოფებოდა და საშინლად მოექცა ცოლს და შვილებს. მისი მეუღლე დაიტან-ჯა მის გამო და ელოდებოდა, როდის გაუსტუმრებდა ქმარი ვალს. ეს ვალი ალიმენტებითა და ბავშვების მატერიალური მსარდაჭერით არ გამოიხატებოდა, ვინაიდან მისი მეორე ქმარი უზრუნველყოფდა ოჯახს. აი, რაში გამოიხატებოდა ვალი: მას სურდა, რომ ქმარს ეღიარებინა, რომ თავად იყო დამნაშავე, ცოლი კი მართალი.

„თქვენ არ აპატიებთ მას, ვიდრე არ მოვა თქვენთან და არ გეტყვით, რომ თვითონ არის დამნაშავე ყველაფერში, და არა თქვენ, შემდეგ კი პატიებას გთხოვთ. თქვენ ამ აუნაზღაურებელი ვალის მონობაში იმყოფებით“, – ვუთხარი მას.

იესოს რომ ეცადა, როდის მივიდოდით მასთან ბოდიშებით და ვეტყოდით: „შენ მართალი ხარ, ჩვენ კი არა. გვაპატიე“, –

## შურისძიება – ხაზენგის

მაშინ იგი არ გვაპატიებდა ჯვარზე. ჯვარზე ტანჯვისას მან შესძახა: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ.“ (ლუკა 23:34). პავლე მოციქული გვაფრთხილებს: „.... შეიწყნარეთ ერთიმეორე და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმეს-თან რაიმე სადაცო აქვს ვინმეს: როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე თქვენც.“ (კოლასელთა 3:13). და „.... მაგრამ იყავით კეთილი ერთიმეორის მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა“ (ეფესელთა 4:32).

როდესაც იმ ქალს ვუთხარი: „თქვენ არ მიუტევებთ მას, ვიდრე ის არ გეტყვით: „მე დამნაშავე ვიყავი, შენ კი მართალი“, – ის ატირდა. ის, რაც ამ ქალბატონს სურდა, ერთი ციცქნა ჩანდა იმ ტკივილთან შედარებით, რომელიც ქმარმა მას და მათ შეილებს მიაყენა. მაგრამ ქალი ადამიანური მართლ-საჯულების მონობაში იმყოფებოდა. იგი მოსამართლე გახდა. უფლება განაცხადა ვალის გადახდაზე. ეს წყენა ხელს უმლიდა მეორე ქმართან ერთიერთობაში. ამან გავლენა იქონია ასევე მის ურთიერთობებზე სხვა მამაკაცებთან, რომლებსაც ძალაუფლება გააჩნდათ, იმიტომ, რომ მისი ყოფილი ქმარი ხუცესი იყო.

ხშირად იესო ჩვენი გულის მდგომარეობას ნიადაგის მდგო-მარეობას ადარებდა. ჩვენ მოგვეცა მცნება, განვმტკიცდეთ და გავძლიერდეთ ღმერთის სიყვარულში. მაშინ უფლის სიტყვის თესლი ფესვებს გაიდგამს ჩვენს გულში, გაიზრდება და საბოლოოდ სიმართლის ნაყოფს გამოილებს. ეს ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება (იხ. გალატელთა 5:22-23).

მაგრამ ნიადაგი მხოლოდ იმას აღმოაცენებს, რაც მასშია დათესილი, თუკი ვთესავთ ვალის, უპატიებლობისა და წყენის თესლს, მაშინ ღმერთის სიყვარულის ნაცვლად სარეველა აღმოცენდება. მას ენოდება მწარე ფესვი (ან სიმწრის ფესვი). ფრენისის ფრენული შესანიშნავად განსაზღვრა სიმწარე: „სიმწარე არის განუხორციელებელი შურისძიება.“ სიმწარე მაშინ იჩენს თავს, როდესაც შურისძიება ვერ აღწევს სასურველ ნიშნულს.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი პირდაპირ ლაპარაკობდა ამის შესახებ:

„ეცადეთ იქონიოთ ყველასთან მშვიდობა და სიწმიდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. გაფრთხ-

## სატანის სატყუპარა

იღდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის  
მაღლი, რათა რომელიმე მწარე ფესვმა აღმოცენებისას  
ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შეიძილნოს“.  
(ეპრაელთა 12:14-15)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „ამით ბევრი არ შეიძილ-  
ნოს“. შეიძლება ეს „ბევრნი“ იგივე ადამიანები იყვნენ, რომელ-  
თა შესახებ იესო ლაპარაკობდა მათეს 24:10-ში, რომ უკანასკ-  
ნელ დღეებში ცდუნდებიან (ან განანყენდებიან) „ბევრნი“?

სიმწარე გახლავთ ფესვი. თუკი ფესვს მოვუვლით – მოვრწყ-  
ავთ, გავუფრთხილდებით, გამოვკვებავთ, იგი მომაგრდება და  
ჩალრმავდება. თუ ფესვს მაშინვე არ მიხედავთ, მერე ძალიან  
ძნელი იქნება მისი ამოგლეჯა. წყენა დღითიდლე გაიზრდება.  
ამიტომ პავლე შეგვაგონებს ასეთი სიტყვებით: „... მზე ნუ ჩავა  
თქვენს რისხვაზე“ (ეფესელთა 4:26). სხვაგვარად სიმართლის  
ნაყოფის ნაცელად დავინახავთ რისხვის, წყენის, დრტვინვის,  
შურის, სიძულვილის, ჭირვეულობისა და უთანხმოების მო-  
სავალს. იესომ მათ ცუდი ნაყოფები უწოდა (იხ. მათე 7:19-20).

ბიძლია ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც არ მიიღოვის მშ-  
ვიდობისაკენ, გულში იტოვებს წყენას და საბოლოოდ წაბილ-  
წული ხდება. ამის შედეგად ის, რაც ძვირფასია, უპატიებლო-  
ბის მწარე ფესვით წახდება.

## პოტენციური მეცნის შეგძლალვა

ჩვენ უკვე განვიხილეთ ამ წიგნში, რომ დავითი მეფე საუ-  
ლის ერთგული რჩებოდა მაშინაც კი, როცა საული ვერაგუ-  
ლად ექცეოდა მას. დავითი არ ისწრაფვოდა შურისძიებისაკ-  
ენ, მაშინაც კი როცა მას ორჯერ მიეცა ასეთი საშუალება.  
ის ღმერთისათვის სათონ კაცი გახლდათ და უფალს მიახიჭა  
უპირატესობა მისი და საულის ურთიერთობა განესაჯა. რადე-  
საც საულს ღმერთის სამსჯავრო დაატყდა თავს, დავითი არ  
ხარობდა. იგი დანალვლიანდა საულის გამო, ვინაიდან გულში  
მის მიმართ არავითარი სიმწარე არ ჰქონია.

საულის სიკვდილის შემდეგ დავითი ტახტზე ავიდა. მან გაა-  
ძლიერა ქვეყანა, მიაღწია სამხედრო და ფინანსურ წარმატებას  
და მტკიცედ დაეუფლა სამეფო ტახტს. დავითმა რამდენიმე  
ცოლი მოიყვანა, რომლებმაც შეიღები გაუჩინეს, ამნონის, მისი  
პირმშოსა და აბესალომის, მესამე ვაჟიშვილის ჩათვლით.

## შურისძიება – ხაზენგის

ამნონმა, დავითის ძემ, უკანონოდ შეაცდინა თამარი, რომელიც მხოლოდ მამით იყო მისი და, ხოლო აბესალომისა ლვიძლი და გახლდათ. მან მოიავადმყოფა თავი და მამას სთხოვა, რომ თამარი გამოეგზავნა მასთან, რათა დას მისთვის საჭმელი მოემზადებინა. როდესაც თამარმა გააკეთა ეს, ამნონმა მსახურები გარეთ გაუშვა და გააუპატიურა იგი. ამის შემდეგ მან შეიძულა თამარი და ბრძანა გაეყვანათ ქალი იქიდან. მან გააუპატიურა უმანკო მეფის ასული და შეარცხვინა იგი. (იხ. 2 მეფეთა 13).

აბესალომს სიტყვა არ უთქვამს ძმისათვის, ისე წაიყვანა თავისი და სახლში. და შეიძულა ამნონი იმის გამო, რომ მან წაბილნა თამარი.

აბესალომი მოელოდა, რომ მამამისი როგორლაც დასჯიდა მის ძმას. მეფე დავითი განრისხდა, როდესაც შეიტყო ამნონის უკანონობის შესახებ, მაგრამ არაფერი იღონა. აბესალომი საშინლად გაანაწყენა იმან, რომ მამამ არ განახორციელა მართლმსაჯულება.

ოდესლაც თამარს მეფური ტანსაცმელი ეცვა, რომლითაც მეფის ქალწული ასულები იმოსებოდნენ. ახლა კი ის სიცხვილითა და აუგით შეიმოსა. ის ძალიან ლამაზი გახლდათ და, შესაძლოა, ხალხის დიდ ჰატივისცემას იმსახურებდა. ახლა კი განცალკევებულად ცხოვრობდა, არ ჰქონდა გათხოვების უფლება, ვინაიდან ქალწული აღარ იყო.

ეს უსამართლობა გახლდათ. ის ხომ მაშინ გააუპატიურეს, როცა მეფის ბრძანებით ამნონს უვლიდა. მის ბედნიერებას წერილი დაესვა. იმავე დროს კი უკანონობის ჩამდენი ცხოვრობდა ისე, თითქოს არაფერი მომხდარა. მან მარტომ იტვირთა ამ დანაშაულის მთელი სიმძიმე.

აბესალომი ყოველდღე შეჰყურებდა თავის დანალვლიანებულ დას. მეფის ასულის ბედნიერი ცხოვრება კოშმარად იქცა. მთელი წელი ელოდა აბესალომი, რომ მამამისი მართლმსაჯულებას აღასრულებდა, მაგრამ დავითმა არაფერი იღონა. აბესალომი გაანაწყენდა მამაზე და შეიძულა უნდინდური ამნონი.

ორი წლის შემდეგ ამნონის მიმართ სიძულვილმა აბესალომში მკვლელობის გეგმა ჩასახა. „მე შურს ვიძიებ ჩემი დის გამო, მამაჩემის ნაცვლად, რომელსაც უნდა გაეკეთებინა ეს.“ – აღბათ ასე ფიქრობდა აბესალომი.

მან მეფის ძეებისათვის წვეულება გამართა. მოვიდა ამნონი. მას ფიქრადაც არ მოსვლია რომ აბესალომი მოკლავდა.

## სატანის სატყუარა

შურისძიების ამგვარად აღსრულების შემდეგ აბესალომი გე-შურში გაიქცა. მაგრამ წყენა მამის მიმართ უფრო და უფრო დვივდებოდა მასში, განსაკუთრებით მაშინ, როცა სასახლიდან შორს იმყოფებოდა.

აბესალომის აზრები სიმწრით იყო წაბილწული. მან დაიწყო დავითის ნაკლოვანებების გაკრიტიკება. მას სურდა, რომ მამას მოეხმო ის. მაგრამ დავითმა ეს არ გააკეთა. ამან აბესალომის წყენის ცეცხლს ნავთი დაასხა.

შესაძლოა მას ასეთი აზრები ჰქონდა: „ხალხი აღფრთოვანებულია მამაჩემით, მაგრამ ისინი უბრალოდ ბრმები არიან და მის ნამდვილ სახეს ვერ ხედავენ. ის მხოლოდ და მხოლოდ ანგარებიანი ადამიანია, რომელიც თავისას ეძებს და ღმერთს არის ამოფარებული. ის მეფე საულზე უფრო უარესია! საულს წაერთვა ტახტი იმის გამო, რომ არ მოკლა ყამალეკელების მეფე და დაინდო რამდენიმე საუკეთესო ხარი და ცხვარი. მა-მაჩემმა კი მისი ერთგული კაცის ცოლთან იმრუშა. შემდეგ დამალა თავისი ცოდვა იმით, რომ ურია ხეთელი მოაკვლევინა. იგი თვითონ არის მკვლელი და მრუში და ამიტომაც არ დასა-ჯა ამნონი! და კიდევ, უფალი ღმერთის ყალბ თაყვანისცემას არის ამოფარებული.“

აბესალომმა სამი წელი დაჰყო გეშურში. დრო გავიდა, და-ვითი დამშვიდდა, ალარ დარდობდა თავისი ძის, ამნონის სიკვ-დილის გამო. ოპაბმა დაითანხმა დავითი, რომ მას აბესალომი სახლში დაეპრუნებინა. მაგრამ დავითი უწინდელივით უარს ამბობდა შვილთან შეხვედრაზე. გავიდა კიდევ ორი წელი და დავითმა, ბოლოს და ბოლოს ალადგინა თავისი კეთილგანწყო-ბა მის მიმართ, ყველა პრივილეგიის დაბრუნებით. მაგრამ აბე-სალომის გულში წყენა ისევ რჩებოდა.

აბესალომს ოსტატურად შეეძლო თავის მოქატუნება. „ხოლო აბესალომს არც ცუდი უთქვამს ამნონისათვის, არც კარგი, რადგან შეიძულა აბესალომმა ამნონი ...“ (2 მეფეთა 13:22). ბევრს შეუძლია წყენისა და სიძულვილის დაფარვა ისე, როგორც ამას აბესალომი აკეთებდა.

ნაწყენ მდგომარეობაში ყოფნისას, როდესაც ყველაფრის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი, აბესალომმა დაიწყო იმ ხალხის გადაბირება, რომელნიც მეფეს ემდუროდნენ. იგი თავისთან იზიდავდა ყველას, ვინც უკმაყოფილო იყო ისრაელ-ში და დროს არ იშურებდა, რომ თითოეულის საჩივარი მოე-

## შურისძიება – ხაზანგის

სმინა. ის ტიროდა და ამბობდა, რომ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, თვითონ რომ ყოფილიყო მეფე. იგი განიხილავდა და ასამართლებდა ისრაელიანთა სადაო საქმეებს, რადგან მეფეს, ვითომ, ამისათვის დრო არ ჰქონდა.

შესაძლოა, აბესალომი განიხილავდა მათ საქმეებს და განიკითხავდა მათ, ვინაიდან თვითონ გრძნობდა, რომ მისი საქმე არ განიკითხეს სამართლიანად. თითქოს ის ხალხზე ზრუნავდა. ბიბლია ამბობს, რომ აბესალომმა მამამისს, დავითს, ისრაელიანების გულები მოპარა. მაგრამ რა ხდებოდა სინამდვილეში? ის მართლაც ხალხზე ზრუნავდა თუ მხოლოდ საშუალებას ექცებდა, რომ მისი გამნაწყენებელი დავითი ტახტიდან ჩამოეგდო?

## სხვათა შეცდომების ექსპერტები

აბესალომმა ისრაელი თავის მხარეზე გადაიბირა და დავითის წინააღმდეგ ალდება. მეფე დავითს მოუწია გაქცეულიყო ისრაელიდან, რათა საკუთარი სიცოცხლე ეხსნა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს აბესალომი საკუთარ სამეფოს განამტკიცებდა. მაგრამ ამის ნაცვლად, დავითის დევნისას, იგი მოკლეს, მიუხედავად იმისა, რომ დავითმა მისი ცოცხლად დატოვება ბრძანა.

აბესალომი ფაქტიურად მისმა საკუთარმა სიმწარემ და წყენამ დაღუპა. ადამიანი, რომელსაც ასეთი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნდა, ტახტის მემკვიდრე იყო, ახალგაზრდა ასაკში მოკვდა იმის გამო, რომ არ მიუტევა მამას, რომელსაც თავის მოვალედ თვლიდა. ამის შედეგად იგი შეიბლალა.

ეკლესიის ხელმძღვანელთა დამხმარეებს ხშირად სწყინთ ლიდერების, რომლებსაც ემსახურებიან. ისინი გაკრიტიკებას იწყებენ თავიანთი წონამძღოლებისა და მათ მიერ დანიშნული ხალხის შეცდომების ექსპერტები ხდებიან. მათი ხედვა მანიჯდება. ისინი ახლა აღარ უყურებენ ყველაფერს ისე, როგორც ღმერთი უყურებს ამ საკითხებს.

ისინი მიიჩნევენ, რომ ცხოვრებაში აკისრიათ მისია, რომ გარშემომყოფნი უსამართლო ლიდერისაგან გაანთავისუფლონ და თავის მხარეზე გადაყავთ გაბრაზებული, უკმაყოფილო და უზეცარი ადამიანები. და ამ ქმედებით ეკლესიაში ან მსახურებაში განხეთქილება შეაქვთ. ზუსტად ისე, როგორც აბესალომის შემთხვევაში.

## სატანის სატყუარა

ხანდახან მათი დაკვირვებები სწორი და ზუსტი გახლავთ. შეიძლება დავითს რამე უნდა ელონა ამნონის წინააღმდეგ. შესაძლოა ლიდერს გააჩინია მხარეები, რაშიც იგი შეცდომებს უშვებს. მაგრამ ვინ არის მოსამართლე, – თქვენ თუ უფალი? გახსოვდეთ, თუ მტრობას თესავთ, მტრობას მოიმკით.

ის, რაც აბესალომს დაემართა და ის, რაც თანამედროვე მსახურებებში ხდება, გახლავთ პროცესი, რომელიც განსაზღვრულ დროს მოიცავს. ჩვენ ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ გულში წყენა შემოვუშვით. მწარე ფესვი განვითარების დასაწყისში ძნელი შესამჩნევია. მაგრამ როცა მას კვებავენ, იგი გაიზრდება და მომაგრდება. როგორც ებრაელთა წერილის ავტორი შეგვაგონებს, ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური, რომ „.... რომელიმე მწარე ფესვმა აღმოცენებისას ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შეიძილნოს“ (ებრაელთა 12:15).

ჩვენ უნდა ვიკვლევდეთ გულებს და გახსნილი ვიყოთ უფლისათვის, რათა მას შეეძლოს ჩვენი გამოსწორება, ვინაიდან მხოლოდ მისი სიტყვა სჯის გულის აზრებსა და ზრახვებს (იხ. ებრაელთა 4:12).

სულინმიდა ადამიანის სინდის ამხელს. ჩვენ არ უნდა უგულებელვყოფდეთ მის მხილებას და არ უნდა ვახშობდეთ მის ხმას. თუ მისი შეგონება უგულვებელყავით, მოინანიეთ ღმერთის წინაშე და გაუხსენით გული სულინმიდას.

ერთხელ რომელიდაც მსახური რჩევას მთხოვდა გარკვეულ საქმეზე. იგი ხუცესის დამხმარე გახლდათ ერთ ქალაქში და ხუცესმა გაანთავისუფლა ამ მოვალეობიდან. ჩანდა, რომ პასტორს შურდა მისი და ეშინოდა ამ ახალგაზრდა კაცისა იმის გამო, რომ ღმერთის ხელი იყო მასზე.

ერთი წლის შემდეგ დათხოვილმა მსახურმა უფლის ნების თანახმად ახალი ეკლესია წამოიწყო ქალაქის სხვა რაიონში. ზოგიერთი ადამიანი წინანდელი ეკლესიიდან მასთან გადავიდა. ის აღელდა ამის გამო, ვინაიდან არ სურდა ისე მოქცეულიყო, როგორც აბესალომი. მაგრამ ახალგაზრდა კაცი არავითარ წყენას არ გრძნობდა ყოფილი ხუცესის მიმართ. მან უფლის ბრძანებით წამოიწყო ახალი ეკლესია. ეს არ გახლდათ რეაქცია იმაზე, რომ მას ყოფილ ეკლესიაში ჯეროვნად არ აფასებდნენ.

მე მივანიშნე განსხვავებაზე აბესალომსა და დავითს შორის. აბესალომი ადამიანთა გულებს ჰპარავდა დავითს იმის გამო, რომ ნაწყენი იყო თავის ლიდერზე. დავითი კი მოუწოდებდა

## შურისძიება – ხაზანგის

საულის ერთგულნი ყოფილიყვნენ, თუმცა საული დევნიდა მას. აბესალომმა თავის მხარეზე გადაიბირა ხალხი, დავითი კი მარტო დარჩა.

„თქვენ თვითონ დატოვეთ ეკლესია? – ვკითხე მას. – მოუნოდებდით ან უბიძგებდით ხალხს, რომ მხარი დაეჭირათ თქვენთვის და ეკლესიდან წამოგყოლოდნენ?“

„მე მარტო წამოვედი და არაფერი გამიკეთებია საიმისოდ, რომ ხალხი თან წამეყვანა“, – მიპასუხა მან.

„ეს კარგია. თქვენ მოიქეცით, როგორც დავითი. დარწმუნდით იმაში, რომ ხალხი, რომელიც თქვენთან მოვიდა, წაწყენები არ არიან თქვენს ყოფილ ხუცესზე. მაგრამ თუკი ეს ასეა, მიიყვანეთ ისინი თავისუფლებასა და განკურნებაში.“

ამ ადამიანის ეკლესია ამჟამად ყვავის. მასში განსაკუთრებულად ის მომენტია, რომ მას არ ეშინოდა საკუთარი გული გამოეკვლია. მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ღმერთის გზებს დამორჩილებოდა, ვიდრე თავისი „სიმართლე“ დაემტკიცებინა.

ნუ შეგეშინდებათ სულინმიდას გაუმხილოთ თქვენი უპატივებლობა და სიმწარე. რაც უფრო დიდხანს მალავთ მათ, უფრო მეტად მოძლიერდებიან ისინი და უფრო გაგიუხეშდებათ გული. ნუ გაისასტიკებთ გულებს! როგორ გავაკეთოთ ეს?

„ყოველგვარი სიმწარე, მძვინვარება, რისხვა, ყვირილი და გმობა განგშორდეთ, ყველა ბოროტებასთან ერთად. მაგრამ იყავით კეთილნი ერთიმეორის მიმართ, თანაუგრძნება და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა“. (ეფესელთა 4:31-32)

ქლიერი წყენის გადალახვით,  
სულიერად იზრდებით

## თავი 13

### როგორ გადავურჩეთ ხაფანტს

„ამიტომ ვცდილობ (ანუ „ვვარჯიშობ“) ყოველთვის უმწიკულო სინდისით ვიყო ღვთისა და კაცთა წინაშე.“

საქმეები 24:16

**Ω**მისათვის, რომ თავისუფალნი ვიყოთ ნებისმიერი წყენი-საგან, ძალისხმევაა საჭირო. პავლე ამას ვარჯიშებს ადარებს. თუ ჩვენ სხეულს ვავარჯიშებთ, მაშინ ნაკლე-ბად ღია ვიქწებით ტრავმების მისაღებად. ჰავაის კუნძულებზე ყოფნისას ერთხელ შევეცადე ავმძრალიყავი კედელზე, რათა იქიდან სურათები გადამელო. ამის გაკეთებისას, ფეხის კუნთე-ბი დამეჭიმა და ოთხი დღე ვერ დავდიოდა.

„თქვენ რომ რეგულარულად გევარჯიშათ, – მითხრა ექიმმა თერაპევტმა, – ეს არ დაგემართებოდათ. ახლა დასუსტებული კუნთები გაქვთ და ადვილად იღებთ ტრავმებს.“

როდესაც სიარული შევძელი, სხვა სპეციალისტმა მირჩია: „თქვენ უნდა გააკეთოთ განსაზღვრული ვარჯიშები, რათა მუხლის კუნთები საჭირო მდგომარეობაში ჩააყენოთ“. რა-მოდენიმე თვე დამჭირდა, საიმისოდ, რომ ჩემი მუხლი ნორ-მალური გამხდარიყო.

საქმეებში 24:16 სიტყვას „ვცდილობ“ (ინგლისურ ტესტში „ვვარჯიშობ“) შეესაბამება ბერძნული სიტყვა „ასკეო“. ვაინის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „მცდელობა“ ასე განისაზ-ლვრება: „ტკივილის გადატანა, ძალისხმევის გამოყენება, მოთ-მენა, ვარჯიში წვრთნის ან დისციპლინის მეშვეობით.“

ზოგჯერ სულაც არ გვიჭირს მივუტევოთ მათ, ვინც გვაწ-ყენინა. ჩვენ ვავარჯიშებდით საკუთარ გულს, ამიტომ მას შეუ-ძლიათ გადაიტანონ წყენა, ტრავმებისა და დამანგრეველი შე-დეგების განცდის გარეშე.

## სატანის სატყუპარა

ბევრს შეუძლია ავიდეს კედელზე, ჰავაის კურძულებზე, და ამის შედეგად კუნთების არანაირი დაზიანება არ მიიღოს იმ-იტომ, რომ ისინი კარგ ფორმაში არიან. ზუსტად ასევე, ზოგიერთი მორნმუნე ღმერთმა სათანადო მდგომარეობაში ჩააყენა, თავიანთი გულების ვარჯიშის მეშვეობით. ჩვენი სულიერი სიმწიფის დონე განსაზღვრავს, რამდენად უმტკივნეულოდ გადაგვაქვს წყენა.

ზოგიერთი წყენა უფრო სერიოზული აღმოჩნდება, ვიდრე ისინი, რომლისთვისაც მომზადებული იყავით. ასეთმა დამატებითმა დაძაბულობამ შეიძლება ჭრილობა ან დაზიანება მოგაყენოთ, რომლის შემდეგაც მოგვიწევს სულიერად გავარჯიშება, ვიდრე სრულად არ განთავისუფლდებით და განიკურნებით. მაგრამ შედეგი დახარჯული ძალისხმევის ტოლფასი იქნება. ამ თავში განვიხილავ ისეთ განსაკუთრებულ წყენას, რომლის დასაძლევად დიდი ძალისხმევა მოითხოვება.

ერთმა მსახურმა მაწყენინა. მან შეურაცხყოფა მომაყენა და ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა წელიწადნახევრის განმავლობაში.

გარშემომყოფებმა იცოდნენ მომხდარის შესახებ. „ამან არ დაგჭრა? – მეკითხებოდნენ ისინი. – რის გაკეთებას აპირებ? ნუთუ გაჩუმდები და არაფერს მოიმოქმედებ?“

„ყველაფერი რიგზეა, – თავს ვიმხნევებდი მე. – ეს არ მოქმედებს ჩემზე. მე განვაგრძნობ ღმერთის მოწოდებით სიარულს.“

მაგრამ ჩემი პასუხი სიამაყიდან გამომდინარეობდა. მე გულ-ნატკენი გახლდით, მაგრამ ამის აღიარება ჩემი თავის წინაშეც კი არ მსურდა. იყო შემთხვევები, როცა საათობით ვფიქრობდი და ვცდილობდი გავრკვეულიყავი, ეს როგორ უნდა დამმართვოდა. თავზარდაცემული, გაოგნებული და განცვიფრებული ვიყავი. მაგრამ მე ვთოვუნავდი ამ აზრებს და თავი ძლიერ ადამიანად მოქმეონდა, იმ დროს, როცა სინამდილეში უძლური და შინაგანად მძიმედ დაჭრილი გახლდით.

გადიოდა თვეები. თითქოს ყველაფერი გაშრა: ჩემმა მსახურებამ დაკარგა სიცოცხლე, ლოცვის ოთახი დაცარიელდა, მე კი გამუდმებულ ტანჯვაში ვიმყოფებოდი. ყოველდღე ვებრძოდი ეშმაკებს. მეგონა, რომ ეს წინააღმდეგობა თავს დამატყდა ჩემი მოწოდების გამო, მაგრამ სინამდვილეში, ეს იყო ტანჯვა, რომელსაც გულში ჩარჩენილი მიუტევებლობის გამო განვიც-

## როგორ გადაურჩეთ ხავანბს

დიდი. იმ ადამიანის გვერდით ყოფნისას, რომელმაც მაწყენინა, თავს სულიერად გალაზულად ვგრძნობდი.

შემდეგ დადგა დილა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. სახლის გვერდით ბალში სკამზე ვიჯექი და ვლოცულობდი. „უფალო, ნუთუ ამის გამო ვარ გულდაჭრილი?“ – ვეკითხებოდი. როგორც კი ეს სიტყვები წარმოვთქვი, სულის სიღრმეში გავიგონე: „დიახ!“

ღმერთის სურვილი გახლდათ, მტკიცედ მცოდნოდა, თუ რამ დამჭრა.

„ღმერთო, გთხოვ, დამეხმარე ამ ჭრილობისა და წყენისა-გან გავთავისუფლდე, – ვემუდარებოდი მას. – ჩემი ძალით ეს შეუძლებელია.“

ეს ის მდგომარეობა იყო, რომელშიც უფალს სურდა, რომ აღმოვჩენილიყავი. ეს გახლდათ ჩემი საკუთარი შესაძლებლობების კრახი. ძალიან ხშირად ვცდილობდით ზოგიერთი რამის გაკეთებას ჩვენი მშვინვიერი ძალებით. მაგრამ ამით სულიერად ვერ ვიზრდებით. პირიქით, ჩავარდნისკენ მეტი მიღრეკილება გაგვაჩნია.

განკურნებისა და განთავისუფლების პირველი ნაბიჯი შემდეგში მდგომარეობს: აღიარეთ, რომ გული დაგიჭრეს. ხშირად სიამაყე გვიშლის ხელს იმის აღიარებაში, რომ გულდაჭრილები და ნაწყენები ვართ. როგორც კი ვაღიარე ჩემი ნამდვილი მდგომარეობა, დავიწყე უფლის ძებნა და მის მხილებებსა და გამოსწორებას გავუხსენი გული. ვგრძნობდი, რომ უფლის სურვილი იყო მემარხულა რამდენიმე დღე. მარხვა უფრო გაა-მახვილებს ჩემს ყურადღებას სულინმიდის ხმის მიმართ:

„განა ეს არ არის მარხვა, მე რომ ავირჩიე: რომ დახსნა პოროტების საკვრელნი, დაწყვიტო უღლის აპეურები, თავისუფლად გაუშვა დათრგუნვილნი და დალენო ყველა უღელი ...“. (ესაია 58:65)

მზად ვიყავი იმისათვის, რომ უკანონობის ის აპეურები დამწყდარიყვნენ, რათა მე გავნთავისუფლებულიყავი დათრგუნვისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ დაკრძალვაზე მივედი. ადამიანი, რომელმაც მაწყენინა, იქ იყო. შორიდან ვუთვალთვალებდი მას და ვტიროდი: „უფალო, მე ვპატიობ მას. ვანთავისუფლებ ყვე-

## სატანის სატყუარა

ლაფრისაგან, რაც გააკეთა.“ მომენტალურად ვიგრძენი, როგორ მომეხსნა გულიდან სიმძიმე და სიმსუბუქე დამეუფლა!

ეს გახლდათ მხოლოდ დასაწყისი ჩემი აღდგენის გზაზე. საკუთარ გულში ვაპატიე, მაგრამ ჭრილობის სრული ზომა არ ვიცოდი. მე ისევ სუსტი ვიყავი და შეიძლება კვლავაც მწყენოდა. ეს ცველაფერი წააგავდა გამოჯაზრთელებას ფიზიკური ტრავმის შემდეგ. მე მჭირდებოდა ვარჯიში, ასევე გულის, გონების, ემოციების განმტკიცება, რათა თავიდან ამეცილებინა შემდგომი ტრავმები.

### განვეორებებზე რას იტყვით?

რამდენიმე თვემ განვლო. ხანდახან იმ აზრების მოგერიება მიწევდა, რომლებიც მქონდა მანამ, სანამ მივუტევებდი. ეს მაშინ ხდებოდა, როცა შემომჩივლებდა ვინმე, ვინც იგივე მიზეზით გაანაწყენეს, ან როცა ვხედავდი იმას, ვინც მაწყენინა და მისი სახელი მესმოდა. მე ვენინაალმდეგებოდი ამ აზრებს, როგორც კი შევნიშნავდი უკუვაგდებდი ჩემგან (ტხ. 2 კორინთელთა 10:5). ეს იყო ბრძოლა ჩემი თავისუფლებისათვის.

ბოლოს შევეკითხე უფალს: „როგორ შევებრძოლო ამ აზრებს, რომ უპატიებლობაში არ დავბრუნდე?“ მე ვიცოდი, რომ უფალს სურდა, თავისუფლების უფრო მაღალ დონეზე ავეყვანე. თვითონაც არ მინდოდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე მებრძოლა წყენასთან, რომელიც თან მდევდა. უფალმა მირჩია მელოცა იმ ადამიანისათვის, რომელმაც მაწყენინა და თავისი სიტყვები გამახსენა:

„მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით ...“. (მათე 5:44).

დავიწყე ლოცვა. თავიდან ცივი, მონოტონური ხმით, ვლოცულობდი ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე. მოვალეობის გამო ვამბობდი: „უფალო, აკურთხე იგი. მიეცი მას წარმატებული დღე. დაეხმარე ყველა საქმეში. იესოს სახელით, ამინ.“

ეს რამოდენიმე კვირა გრძელდებოდა. მეჩვენებოდა, რომ ამით არაფერი გამომივიდოდა. ერთ დილას უფალმა 34-ე

## როგორ გადაურჩეთ ხავანბს

ფსალმუნზე მიმანიშნა. ის არ მახსოვდა, ამიტომ გადავშალე და კითხვა დავიწყე. შუა მუხლებამდე რომ მივედი, მასში ჩემი თავი და ჩემი სიტუაცია დავინახე:

აღსდგებიან ჩემს მიმართ ბოროტი ცრუმორნმუნენი;

„რაც არ ვიცი – იმას მკითხავენ, სიკეთის წილ ბოროტით მიხდიან, ჩემი სულის დაობლება სურთ“. (ფსალმუნი 34:11-12)

შემეძლო ჩემი თავი დავითან გამეიგივებინა. ჩემი აზრით, როგორც იმ ადამიანმა, ასევე მისმა დამხმარეებმაც, სიკეთე ბოროტებით გადამიხადეს. ჩემი მშვინვა დანალვლიანებული გახლდათ. ღმერთმა გამოიყენა ეს ფსალმუნი, რათა ეჩვენებინა ჩემთვის ის ბრძოლა, რომელიც ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ერთმა ადგილმა ისე შემახტუნა, რომ ლამის ჭერს მივარტყყო თავი!

„ხოლო მე მათი სნეულების უამს ძაძებს ვიცვამდი, ჩემს სულს მარხვით ვაძაბუნებდი და ჩემი ლოცვა ჩემთან ბრუნდებოდა. როგორც მეგობრის, როგორც ჩემი ძმის მიმართ, ისე ვიქცეოდი, მგლოვიარე დედასავით თავ-ჩაღუნული ვიარებოდი“. (ფსალმუნი 34:13-14)

დავითმა თქვა, რომ ეს ადამიანები მის დაღუპვას ცდილობდნენ. მათ ბოროტებით მიაგეს, თუმცა თავად არაფერი ცუდი არ ჩაიდინა მათ მიმართ.

34-ე ფსალმუნის ეს მუხლები ჩემს პრობლემას პასუხობდნენ.

დავითის რეაქცია არ ეფუძნებოდა იმას, თუ როგორ იქცეოდნენ სხვები. მან გადაწყვიტა სწორად მოქცეულიყო, იგი ლოცულობდა მათვის, თითქოს ისინი მისი ახლობელი ძმები იყვნენ, დამწუხრებული დადიოდა, თითქოს დედის სიკვდილს გლოვობდა. ღმერთმა დამანახა, როგორ უნდა მელოცა იმ ადამიანისათვის: „ილოცე და ითხოვე მისთვის სწორედ ის, რაც შენ თვითონ გინდა რომ მიიღო ჩემგან!“ ახლა ჩემი ლოცვა მთლიანად შეიცვალა. იგი აღარ გახლდათ ამგვარი: „ღმერთო აკურთხე იგი, მიეცა კარგი დღე.“

## სატანის სატყუარა

ლოცვა სიცოცხლით აივსო. მე ვლოცულობდი: „უფალო, უფრო მეტად გაეხსენი. აკურთხე ის შენი თანდასწრებით. დაე, მან უფრო ახლოს შეგიცნოს. იყოს იგი სათონ შენს წინაშე და განადიდოს შენი სახელი.“ მე მისთვის ვითხოვდი ზუსტად იმას, რისი მიღებაც თვითონ მსურდა ღმერთისგან.

ერთი თვის განმავლობაში გულმოდგინედ ვლოცულობდი მისთვის. მაღალი ხმით შევძახოდა: „მე გაკურთხებ შენ! მიყვარხარ იესო ქრისტეს სახელით!“ ეს გახლდათ შეძახილი ჩემი სულის სილომიდან. მწამდა, რომ ჩემი განკურნება სრულყოფილი იყო.

## განკურნება კონცრონტაციების მეშვეობით

კიდევ რამოდენიმე კვირა გავიდა და ისევ ვნახე ის პიროვნება. ჩემს გულში არასასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. მე ვებრძოდი სურვილს – კრიტიკული ვყოფილიყავი.

- შენ უნდა მიხვიდე მასთან, ჯონი, – მეუბნებოდა მეუღლე.
- არა, რა საჭიროა, – ვარწმუნებდი მას. – მე ისედაც განკურნებული ვარ.

მაგრამ ვგრძნობდი, რომ სულიწმიდამ არ დაადასტურა ჩემი სიტყვები. ამიტომ, შევეკითხე უფალს, საჭიროა რომ მივიდე მასთან. მან მიპასუხა: „დიახ.“

შეხვედრა დავუნიშნე იმ ადამიანს და საჩუქარი მივართვი. მე დავიმდაბლე თავი, ვალიარე მის მიმართ ჩემი არასწორი დამოკიდებულება და პატიება ვთხოვე. ჩვენ შევრიგდით, მიტევება და განკურნება შემოვიდა ჩემს გულში. მისი ოფისიდან განკურნებული და განმტკიცებული გამოვედი. მე აღარ მჭირდებოდა შებრძოლება ტკივილთან და აღარ მინდოდა მისი გაქრიტიკება. იმ დღის შემდეგ ჩვენი ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდა და აღარც პრობლემებს ჰქონია ადგილი. სხვათა შორის, ახლა ჩვენ ხშირად ვეხმარებით ერთმანეთს.

„პირველად რომ შევხვდი ამ ადამიანს, – ვუამბობდი ლიზას, – მასში ნაკლოვანებებს ვერ ვხედავდი. ის მიყვარდა, ვინაიდან სრულყოფილ ადამიანად ვთვლიდი. მაგრამ როდესაც გული დამიჭრა, გამიჭირდა მისი სიყვარული. ამისათვის დამჭირდა მთელი რწმენა, რომელიც გამარჩდა. ახლა, აღდგენისა და განკურნების პროცესის გავლის შემდეგ, მე ის ისევე მიყვარს, როგორც მაშინ, როცა პირველად შევხვდი. მისი ნაკლოვანე-

## როგორ გადაურჩეთ ხაზანგს ბების მიუხედავად. ეს მოწიფული სიყვარულია.“

„უპირველეს ყოვლისა კი, იქონიეთ გულითადი სივარული ერთმანეთისადმი, რადგან ცოდვათა სიმრავლეს სიყვარული ფარავს ...“. (1 პეტრ 4:8)

ადვილია გიყვარდეთ ის ადამიანები, რომელნიც არაფერს გიშავებენ. ეს თაფლობის თვის სიყვარულია. მაგრამ, სულ სხვა გიყვარდეს ადამიანი, როცა თვალსაჩინო ხდება მისი ყველა ნაკლოვანება და შეცდომა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ გავხდით ამ ნაკლოვანებათა მსხვერპლი. ღმერთის სიყვარული სრულყოფილს მხდიდა, გულს მიმაგრებდა.

იმ დროიდან არაერთხელ შემხვედრია მსგავსი შემთხვევები, მაგრამ ჩემთვის ადვილი იყო მეპატიებინა და გულში წყება არ ჩამედო. და აი, რატომ: ჩემი გული გავარჯიშებული გახლდათ იმაში, რომ არ მწყენოდა.

მე იმ ადამიანის ოფისიდან განკურნებული გამოვედი. ეს იყო საწვრთნელი, მოსამზადებელი პროცესი, რომლის დროსაც ჩემი გული ვარჯიშობდა და მტკიცდებოდა, თუმცა ხანდახან მეჩვენებოდა, რომ არაფერი გამომდის. გამოგიტყვდებით, იმასაც ვფიქრობდი, იმაზე უარესი ხომ არ გავხდი, ვიდრე ადრე ვიყავი. მაგრამ მე სწორ გზას ვადექი, რომელსაც აღდგენამდე მივყავდი. სულინმიდა ისეთი ნაბიჯებით მატარებდა, რომელებითაც სიარული შემეძლო. ეს იმ პროცესის ნაწილი გახლდათ, რომელსაც სრულყოფილებამდე მივყავდი. მე არაფერზე გავცვლიდი ამ განცდას და მადლობელი ვარ იმ ნაყოფის გამო, რომელიც მან გამოიღო ჩემს ცხოვრებაში.

## მოწიფულობის მიღწევა სიძნელეების მეშვეობით

ჩვენ სულიერად ვიზრდებით სწორედ რთულ და არა იოლ ვითარებაში. უფალთან ერთად მოგზაურობისას, ყოველთვის წავანყდებით სიძნელეებს. ჩვენ ვერ ავიცილებთ მათ, ვინაიდან ისინი ღმერთში ჩვენი სრულყოფილების პროცესის ნაწილს შეადგენენ. თუ მათგან თავის დაღწევას გადავწყვეტთ, ეს სერიოზულად შეეწინააღმდეგება თქვენს ზრდას.

სხვადასხვა წინააღმდეგობების დაძლევით, უფრო ძლიერი და მგრძნობიარე გახდებით. თქვენ უფრო მეტად შეგიყვარდე-

## სატანის სატყუარა

ბათ იესო. თუ გადალახეთ სიძნელეები, მაგრამ არ გრძნობთ იესოს მიმართ სიყვარულის გაძლიერებას, თქვენ, შესაძლოა, არ დაასრულეთ აღდგენისა და განკურნების პროცესი. განკურნება თქვენი არჩევანია. ზოგიერთი, ღებულობენ ჭრილობებს და ველარასოდეს ველარ იკურნებიან. როგორც არ უნდა სასტიკად უღერდეს, ეს მათი არჩევანია.

იესომ ტანჯვებით ისწავლა მორჩილება. პეტრემ ტანჯვებით ისწავლა მორჩილება. პავლემ ტანჯვებით ისწავლა მორჩილება. თქვენ? ისწავლეთ ეს? თუ უხეში, გულქვა, ულმოქელი, სიმწრით, წყენითა და უპატიებლობით სავსე ადამიანი ხართ? თუ ეს ასეა, მაშინ არ გისწავლიათ მორჩილება.

რა თქმა უნდა, არის ისეთი წყენა, რომელიც მალევე არ დაგტოვებთ. თქვენ მოგინევთ მასზე მუშაობა, ყურადღების დაძაბვა, რათა განთავისუფლდეთ მისგან. მაგრამ ამ პროცესში გაიზრდებით და სულიერ მოწიფულობას მიაღწიეთ.

სულიერი მოწიფულობა ადგილად არ მიიღწევა, თორემ ყველა ადამიანი შესძლებდა ამას. ძალიან ცოტანი აღწევენ ცხოვრების ასეთ დონეს წინააღმდეგობის გამო, რომელსაც აწყდებიან. წინააღმდა კი ნამდვილად არსებობს, ვინაიდან ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესი არა ღვთისმოსაური, არამედ ეგოისტურია. ქვეყნიერებას მართავს ბატონი, რომელიც სივრცეშია გაბატონებული (იხ. ეფესელთა 2:2). ამ მიზეზით, იმისათვის რომ ქრისტეს სრულყოფილებას მივაღწიოთ, მოგვიწევს სიძნელების გადატანა, რომლებიც ეგოიზმის ნაკადთან წინააღმდეგობის შედეგად იჩენენ თავს.

პავლემ ისევ მოინახულა ის სამი ქალაქი, სადაც ეკლესიები დაარსა. მისი მიზანი მოწაფეების სულების განმტკიცება გახლდათ. მაგრამ საინტერესოა, ვნახოთ, სახელდობრ, როგორ აკეთებდა იგი ამას. ის ამხნევებდა მათ:

„...ამხნევებდნენ მოწაფეთა სულებს და შეაგონებდნენ, მტკიცედ მდგარიყვნენ რწმენაში, ვინაიდან მრავალი ჭირით გვმართებსო ღვთის სასუფეველში შესვლა“.  
(საქმე 14:21-22)

იგი არ ჰპირდებოდა იოლ ცხოვრებას. არ ჰპირდებოდა, რომ წუთისოფლის საზომების შესაბამისად წარმატებულნი იქნებოდნენ. მან უჩვენა მათ, რომ თუკი აპირებენ, რომ სიხარუ-

## როგორ გადაურჩეთ ხაზანბს

ლით გაიარონ მათთვის განკუთვნილი გზა, მოუწევთ შეჯახება დიდ წინააღმდეგობასთან, რომელსაც პავლემ „მრავალი ჭირი“ უწოდა.

თუ ჩვეულებრივ ნავში დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ, მაშინ იმისათვის, რომ წინ მიიწევდეთ, გამუდმებით წიჩიბის მოსმაა საჭირო. თუ შეწყვეტით ნავის წაყვანას და მოეშვებით, საბოლოოდ დინების მიმართულებით იცურებთ. ასევე ჩვენც, მივიღეთ რა გადაწყვეტილება ღვთიური გზით ვიაროთ, მრავალ სიძნელეს შეეხვდებით. ეს განსაცდელები გამოავლენებ თქვენს პასუხს მთავარ კითხვაზე. საკუთარი სარგებელის ძიებას დაიწყებთ, როგორც მთელი ქვეყნიერება იქცევა, თუ თავგანწირულად იცხოვრებთ?

გახსოვდეთ, რომ თუ საკუთარ სიცოცხლეს ვკარგავთ იესოს გამო, მის სიცოცხლეს ვიპოვით. ისწავლეთ ყურადღების გამახვილება საბოლოო შედეგზე, და არა ბრძოლაზე.

პეტრემ კარგად გამოხატა ეს:

„საყვარელნო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ მოგსვლოდეთ. არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას“. (1 პეტრე 4:12-13)

შენიშნეთ, რომ იგი ერთმანეთს უპირისპირებს ტანჯვისა და სიხარულის ხარისხს. როგორ შეიძლება ამ სიხარულის მიღწევა? როდესაც ქრისტეს დიდება გამოჩინდება, თქვენ მასთან ერთად განდიდებით. ეს იმ ხარისხით მოხდება. რა ხარისხითაც იესოს ხასიათი აისახება თქვენში. ასე რომ, ნუ უყურებთ წყენას. უყურეთ მომავალ დიდებას. ალილუია!

პევრად მნიშვნელოვანია შეპრეზენტაცია  
ძალის დაცვარო, ვიზრე დაამტკიცო  
რომ გართაღი ხარ

## თავი 14

### ჩვენი მიზანისა – შერიგება

„თქვენ გსმენიათ, ეთქვათ ძველებს: არა კლა! ვინც მოკლავს სასჯელის თანამდები იქნება. მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება; ვინც თავის ძმას ეტყვის რაკა, სინედრიონის თანა-მდები იქნება. ხოლო რომელიც ეტყვის სულელო, ცეკვლის გეენის თანამდები იქნება. ამიტომ, თუ მიიტან შენს ძლვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს წინააღმდეგ, მიატოვე იქ შენი ძლვენი სამსხვერ-პლოსთან და წადი, შენს ძმას შეურიგდი, შემდეგ მოდი და შესწირე შენი ძლვენი“.

მათე 5:21-24

**ც**ს ციტატა მთაზე ქადაგებილან გახლავთ. იესო ასეთი სი-ტყვებით იწყებს: „თქვენ გსმენიათ, ეთქვათ ძველებს ...“ შემდეგ იგი ამბობს: „მე კი გეუბნებით თქვენ ...“ იესო ასეთ შედარებას ქადაგების ამ ნაწილის განმავლობაში აგრძელებს. თავიდან იგი რჯულის ციტირებას ახდენს, რომელიც ჩვენს მოქმედებებს არეგულირებს. შემდეგ გვიჩვენებს, თუ როგორ სრულდება კანონი, როცა იგი გულებშია ჩანერილი. ღმერთის თვალში მკვლელია არა მხოლოდ ის ადამიანი, რომელმაც ფიზიკურად ჩაიდინა მკვლელობა, არამედ ისიც, ვისაც თავისი ძმა სძულს. როგორიც თქვენს გულში ხართ, ასეთი ხართ სინამდვილეში!

ქადაგების ამ ნაწილში იესო ნათლად ლაპარაკობს წყენის შედეგებზე. იგი რისხვის ან მწარე წყენის გამო სასჯელის სიმკაცრის ილუსტრაციას ახდენს. ყოველი, ვინც უმიზეზოდ

## სატანის სატყუარა

განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება. იგი უმაღლესი სამსჯავროს (სინედროონის) თანამდები იქნება, თუკი ეს რისხვა ნაყოფს გამოიღებს და იგი თავის ძმას უწოდებს „რაკა“!

სიტყვა „რაკა“ ნიშნავს „უჭკუო ადამიანს“ ან „უგუნურს“. ეს გახლდათ სალანდლავი სიტყვა, რომელიც იუდეველებში იყო გავრცელებული ქრისტეს დროს. თუ რისხვა იქამდე მიდის, რომ ადამიანი თავის ძმას „უგუნურს“ უწოდებს, მას ჯოჯოხეთში მოხვედრის საფრთხე ემუქრება. სიტყვა „უგუნური“ „უღვთოს“ ნიშნავს. „თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი“ (ფსალმუნი 13:1). იმ დროში ძმის უგუნურად წოდება სერიოზულ ბრალდებად ითვლებოდა. არავინ იტყყოდა ასეთ რამეს, თუ რისხვა ამ ადამიანში სიძულვილად არ გადაიქცეოდა. დღეს ეს იგივე იქნებოდა, ძმას რომ ვუთხრათ: „მოხვდი ჯოჯოხეთში“, და სწორედ ეს გვქონდეს მხედველობაში.

იესომ გვიჩვენა, რომ რისხვაში თუ არ გავერკვიეთ, მას შეუძლია სიძულვილამდე მიგვიყვანოს. თუ სიძულვილს არ მოვიშორებთ, მას შეუძლია ადამიანი ჯოჯოხეთში მოხვედრის საფრთხემდე მიიყვანოს. შემდეგ უფალმა თქვა, რომ თუ ადამიანს გაახსენდება, რომ ძმას რაიმე აქვს მის წინააღმდეგ, მაშინ, პირველ რიგში უნდა წავიდეს და შეურიგდეს მას.

რატომ უნდა ვესწრაფებოდეთ მაშინვე შერიგებას – ჩვენს გამო თუ ჩვენი ძმის გამო? ჩვენ უნდა შევრიგდეთ ძმის გამო, რათა მას წყენისაგან თავის დაღწევაში დავეხმაროთ. თუ ჩვენ არ გვწყინს მისი, მაშინ ღმერთის სიყვარული არ დაუშვებს, რომ იგი გაბრაზებული დარჩეს, არამედ დახმარების ხელს გაუწვდის ალსადგენად. შესაძლოა, არაფერი ცუდი არ ჩაგვიდენია. კარგს და ცუდს არა აქვს მნიშვნელობა. ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია დავეხმაროთ შებრკოლებულ ძმას, ვიდრე ჩვენი სიმართლე დავამტკიცოთ. წყენის მიზეზების განუსაზღვრელი რაოდენობა არსებობს. ადამიანი, რომელსაც ვაწყენინეთ, შეიძლება ფიქრობს, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ, თუმცა სინამდვილეში არავითარი ზიანი არ მივაყენეთ. მას შესაძლოა არასწორი ინფორმაცია გააჩნდა, რის გამოც არასწორი დასკვნა გამოიტანა.

მეორე მხრივ, მან შეიძლება სწორი ინფორმაციაც მიიღო, რომლიდანაც არასწორი დასკვნა გამოიტანა. ჩვენს მიერ ნათქვამი შეიძლება ძალიან დამახინჯდა ინფორმაციის გადაცემის

## ჩვენი მიზანის – შერიგება

სხვადასხვა არხებში გავლისას. თუმცა ჩვენი მიზანი არ ყოფილა ადამიანის დაჭრა, სიტყვები და ქმედებები სხვაზე მეტყველებენ. ხშირად ჩვენს თავებს განვიკითხავთ საკუთარ განზრახვათა საფუძველზე, დანარჩენებს კი მათი ქმედებების საფუძველზე. ხდება ხოლმე, რომ შენი განზრახვა სრულიად არასწორად ესმით. ზოგჯერ ჩვენი ნამდვილი მოტივები ჩვენთვისაც კი ოსტატურად არის შენილბული. გვინდა გვჯეროდეს, რომ ისინი სუფთანი არიან. მაგრამ როდესაც მათ ღმერთის სიტყვაში ვფილტრავთ, სხვაგვარად ვხედავთ.

და ბოლოს, შეიძლება მართლაც შევცოდეთ ამ ადამიანის წინაშე. ჩვენ ვრისხდებოდით ან ზენოლას განვიცდიდით, და ამ ყველაფრის გამო მას ვაყენებთ დარტყმას. ან, შესაძლოა, ეს ადამიანი გამუდმებით და სპეციალურად ახორციელებდა თავდასხმებს ჩვენზე და ველარ მოვითმინეთ და ასევე ვუპასუხეთ.

რაც არ უნდა იყოს წყენის მიზეზი, ნაწყენი ადამიანის ცნობიერება დაბნელებულია. ის თავის მსჯელობას აგებს ვარაუდებზე, მოარულ ხმებზე, ხალხის ლაპარაკსა და გარეშე ნიშნებზე, და ფიქრობს, რომ შეძლო ჩვენი ნამდვილი მოტივების გარკვევა. მაგრამ როგორ შეიძლება სწორად იმსჯელო, თუკი სწორი ინფორმაცია არ გაგვაჩინა?

ჩვენ გაგებით უნდა მოვეკიდოთ იმ ფაქტს, რომ მას მთელი გულით სჯერა, რომ უსამართლოდ მოექცნენ. როგორიც არ უნდა იყოს მიზეზი, მზად უნდა ვიყოთ თავი დავიმდაბლოთ და ბოდიში მოვიხადოთ.

იესო შეგვაგონებს, შევრიგდეთ მაშინაც, თუ ადამიანი ჩვენი მიზეზით არ განაწყენდა. აუცილებელია მონიფულობა, რათა თავმდაბლობით დავდიოდეთ და შერიგებისაკენ ვისწრაფვოდეთ. მაგრამ ხშირად სწორედ ნაწყენ ადამიანს უფრო მეტად უჭირს პირველი ნაბიჯის გადადგმა. აი, რატომ უთხრა იესომ ადამიანს, რომელმაც გაანაწყენა, თვითონ მისულიყო განაწყენებულ პიროვნებასთან.

როგორ ვთხოვოთ აატივება ნაწყენ ადამიანს

პავლე მოციქულმა თქვა:

„მაშ ვესწრაფვოთ იმას, რაც მშვიდობასა და ურთიერთ შეგონებას ემსახურება“. (რომაელთა 14:19)

## სატანის სატყუარბ

ეს გვიჩვენებს, როგორ მივიდეთ ადამიანთან, რომელსაც ვაწყენინეთ. თუ მასთან გაღიზიანებულნი და გულგატებილნი მივალთ, შერიგებას ვერ მივალნევთ. ამით ნაწყენ ადამიანს უფრო რთულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ. ჩვენს გულებში თავმდაბლობით შევინარჩუნოთ სწრაფვა მშვიდობისაკენ და სიამაყე უარვყოთ. მხოლოდ ასე შეიძლება შერიგების მიღწევა.

ზოგჯერ იმ ადამიანებთან მიწევდა მისვლა, რომელნიც გავანაწყენე ან რომელნიც გაბრაზებულნი იყვნენ ჩემზე და უბრალოდ თავს მესამოდნენ. მეუბნებოდნენ რომ ვარ ეგოისტი, უყურადღებობას ვიჩინ სხვების მიმართ, რომ ვარ ამაყი, უხეში, ხისჭი და ა.შ. მე, ბუნებრივია, მსურდა მეპასუხა: „არა, ეს ასე არ არის. თქვენ უბრალოდ არ გესმით ჩემი!“ მაგრამ როცა თავს ვიცავდი, ეს ცეცხლზე ნავთს ასხამდა. და მათი წყენა უფრო ლვივდებოდა. ეს მშვიდობისაკენ სწრაფვა არ გახლდათ. „საკუთარი უფლებების“ დაცვას არასოდეს მოაქვს ჭეშმარიტი მშვიდობა.

ამის ნაცვლად ვისნავლე მოსმენა და ენის შეკავება, ვიდრე არ მეტყოდნენ ყველაფერს, რისი თქმაც უნდოდათ. თუ არ ვეთანხმები მათ, მაშინ ვეუბნები, რომ პატივს ვცემ იმას, რაც მითხრეს და შევამონმებ ჩემს დამოკიდებულებასა და ზრახვებს. შემდეგ ვეუბნები, რომ ვნანობ, თუკი გავანაწყენე ისინი.

ხანდახან სწორად მაფასებენ და სიმართლეს ამბობენ ჩემზე. ასეთ შემთხვევაში ვალიარებ: „თქვენ მართალი ხართ. გთხოვთ მაპატიოთ.“ და მაინც, შერიგებას რომ მივალნიოთ, საჭიროა უბრალო თავმდაბლობა. შესაძლოა, ამიტომ თქვა იესომ შემდეგი:

„შეურიგდი შენს მეტოქეს სასწრაფოდ, ვიდრე მასთან ერთად გზას ადგახარ, რომ მეტოქემ არ გადაგცეს მსაჯულს, ხოლო მსაჯულმა არ გადაგცეს მსახურს და არ ჩაგაგდონ საპყრობილები. ჭეშმარიტად გეუბნები შენ: იქიდან ვერ გამოხვალ, ვიდრე უკანასკნელ კოდრანტს არ გადაიხდი“. (მათე 5:25-26)

სიამაყე თავს იცავს. თავმდაბლობა კი ეთანხმება და ამბობს: „თქვენ მართალი ხართ. მე სწორედ ასე მოვიქეცი. გთხოვთ, მაპატიოთ.“

## ჩვენი მიზანის – შერიგება

„ხოლო მალლიდან გარდმომავალი სიბრძნე, პირველყოვლისა, წმიდაა, მერე მშვიდობიანი, ლმობიერი, ნებიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალობმაქცო“. (იაკობი 3:17)

ღვთიური სიბრძნე ნებიერია (ანუ მზად არის დაუთმოს). ის დათმობაზე მიდის და არ გახდავთ ჯიუტი, არ იწვევს კონფლიქტებს. ადამიანი, რომელიც ღვთიურ სიბრძნეს ემორჩილება, არ ეშინია დაუთმოს ან მიიღოს სხვა ადამიანის აზრი, თუ იგი ჭეშმარიტების ფარგლებს არ სცილდება.

როგორ უნდა მიხვიდეთ მასთან, ვინც გაწყენინათ

ჩვენ უკვე განვიხილეთ, რა უნდა გავაკეთოთ, თუ ძმა გავანაწყენეთ, მოდით ახლა განვიხილოთ, რა გავაკეთოთ, თუკი ძმამ გვაწყენინა:

„ხოლო თუ შენი ძმა შესცოდავს, მიდი და ამხილე იგი, როცა მარტონი იქნებით; თუ გაგიგონებს, შეგიძენია შენი ძმა ...“. (მათე 18:15)

მრავალი ადამიანი არ იყენებს ამ მუხლს იმ სულით, რომლითაც იესომ გადმოგვცა. თუ მათ აწყენინეს, ისინი მიდიან ადამიანთან, რომელმაც აწყენინა და რისხვით და შურისგებით ამხელენ. ისინი ამ მუხლს იყენებენ როგორც გამართლებას იმისათვის, რომ მსჯავრი დასდოონ მათ, ვინც აწყენინა.

მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ თვით არსი: როგორი მოტივებით მისვლას გვასწავლის იესო? ჩვენ ერთმანეთთან უნდა მივდიოდეთ არა მსჯავრდადებისათვის, არამედ შერიგებისათვის. მას არ უნდა, რომ ჩვენს ძმებს ვეუბნებოდეთ, თუ რამდენად უპატიოსნოდ მოგვექცნენ. უნდა მივდიოდეთ იმისათვის, რომ აღმოფხვრათ დაბრკოლება, რომელიც ჩვენი ურთიერთობების აღდგენას უშლის ხელს.

ეს ჰგავს იმას, თუ როგორ ახდენს ღმერთი ჩვენთან ურთიერთობების აღდგენას. ჩვენ შევცოდეთ ღმერთის წინაშე, „მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილი ვიყავით“ (რომ. 5:8). მზად ვართ უარვყოთ თავდაცვა და

## სატანის სატყუარა

მოვკვდეთ სიამაყისათვის, რათა შევურიგდეთ მას, ვინც გვაწყენინა? ღმერთმა მანამდე გვაპატია, ვიდრე ვთხოვდით პატიებას. იქსომ გადაწყვიტა მანამდე მიეტევებინა ჩვენთვის, ვიდრე ჩვენს უკანონობას შევიცნობდით. მან გამოგვიწოდა შერიგების ხელი, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო შერიგება მამასთან, ვიდრე მისი შერიგების სიტყვას არ მივიღებდით:

„ყოველივე ლვთისაგან არის, რომელმაც შეგვირიგა იქსო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შერიგების მსახურება. იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოდა შერიგების სიტყვა. ამგვარად, ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილნ, და ვითომც თავად ღმერთი შეგაგონებდეთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“. (2 კორინთელთა 5:18-20)

სიტყვა „შერიგება“ წარმოიშვა ყველასათვის საერთო საფუძვლიდან: ყველამ შევცოდეთ ღმერთის წინაშე. ჩვენ არ მოვისურვებთ შერიგებას ან ხსნას, სანამ ნათელი არ გახდება ჩვენთვის, რომ ჩამოშორებული ვართ ღმერთს.

ახალ აღთქმაში მოწაფეები ქადაგებდნენ, რომ ადამიანებმა შესცოდეს ღმერთის წინაშე. მაგრამ რისთვის უნდა ვეუბნებოდეთ ხალხს, რომ მათ შესცოდეს? იმისათვის, რომ განვიკითხოთ ისინი? ღმერთი არ განიკითხავს. „რადგან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი; არამედ გადარჩენილიყო მის მიერ“ (იოანე 3:17). შეიძლება ამის გაკეთება იმისათვის არის საჭირო, რომ ადამიანებმა შეიგნონ, რა მდგომარეობაში იმყოფებიან, მოინანიონ ცოდვები და პატიება ითხოვონ?

რას მიჰყავს ადამიანი მონანიებამდე?  
პასუხს ვნახულობთ რომაელთა 2:4-ში.

„თუ უგულებელჲყოფ მისი სახიერების, თავშეკავებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახიერებას მონანიებისაკენ მიჰყავხართ?“ (რომაელთა 2:4)

## ჩვენი მიზანისა – შერიგება

ღვთის სახიერებას მონანიებისაკენ მიჰყავხართ. მისმა სიყვარულმა დაგვიხსნა ჩვენ ჯოჯოხეთის ტანჯვისაგან. მან თავისი სიყვარული იმით დაგვიმტკიცა, რომ ჯვარზე გაზიავნა იქსო, თავისი მხოლოდმობილი ძე, რათა ის ჩვენთვის მომკვდარიყო. ღმერთმა თვითონ გადმოდგა ნაბიჯი ჩვენსკენ, თუმცა ჩვენ შევცოდეთ მის წინაშე. იგი ხელებს გვიწვდის არა იმისათვის, რომ მსჯავრი დაგვდოს, არამედ იმისათვის, რომ აღვადგინოს და გვიხსნას.

ღმერთის მიბაძვით (იხ. ეფესელთა 5:1), ჩვენ პირველებმა უნდა შევთავაზოთ შერიგება ძმას, რომელმაც შესცოდა ჩვენს წინაშე. იქსომ შემდეგი ნიმუში მოგვცა: მიდი ძმასთან და მიუთითე ცოდვაზე არა იმისათვის, რომ განიკითხო, არამედ იმისათვის, რომ აღმოფეხვრა ნებისმიერი დაბრკოლება, რომელიც გყოფთ და ამგვარად შერიგდეთ და აღადგინოთ ურთიერთობები. ღმერთის სახიერება ჩვენში ძმას მონანიებისაკენ მიიყვანს და ჩვენს ურთიერთობებს აღადგენს.

„ამიტომ შეგაგონებთ, მე, პატიმარი უფალში, მოიქცეთ იმ მოწოდების ლირსად, რომელშიც მოწოდებული ხართ, მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელობით შეიწყარეთ ერთმანეთი სიყვარულით, ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით“. (ეფესელთა 4:1-3)

ჩვენ ვიცავთ მშვიდობის საკვრელს იმით, რომ ვინარჩუნებთ ურთიერთობებს თავმდაბლობით, სახიერებით, სიმშვიდით და სულგრძელობით, ერთმანეთის სისუსტეების სიყვარულით დაფარვით. ამგვარად სიყვარულის კავშირები ძლიერდება.

ზოგიერთი, რომელიც გავანაწყენე, მოდიოდნენ ჩემთან და მკიცხავდნენ. ამის შედეგად შერიგების ყოველგვარი სურვილი მეკარგებოდა. სხვათა შორის ვფიქრობდი, რომ მათ საერთოდ არ ჰქონდათ შერიგების სურვილი. უბრალოდ სურდათ, რომ მცოდნოდა, რამდენად გაბრაზებულები იყვნენ ჩემზე.

სხვები, რომელთაც ვაწყენინე, ჩემთან თავმდაბლობით მოდიოდნენ. ამის შემდეგ სწრაფად ვიცვლიდი აზრს და პატიებას ვთხოვდი, ხანდახან მანამ, სანამ ისინი ლაპარაკს დაამთავრებდნენ.

## სატანის სატყუპარა

მოსულან თქვენთან ადამიანები, რომელნიც ამბობდნენ: „მინდა იცოდეთ, რომ გპატიობთ იმას, რომ საუკეთესო მეგობარი არ იყავით და ესა და ეს არ გააკეთეთ ჩემთვის“?

მას შემდეგ, როცა გითხრეს ეს, გესვრიან მზერას, რომელიც ამბობს: „შენ ბოდიში უნდა მომიხადო.“

თქვენ უხერხულობას გრძნობთ, იბნევით, ამან დაგჭრათ, ისინი არ მოვიდნენ შესარიგებლად, არამედ იმისათვის მოვიდნენ, რომ დაგაშინონ და გმართონ თავიანთი სურვილისამებრ.

ჩვენ არ უნდა მივიდეთ ძმასთან, რომელმაც გვაწყენინა, ვიდრე მთელი გულით არ გადავწყვეტთ მის პატიებას. მისულამდე მის მიმართ მტრული გრძნობებისაგან უნდა გავნთავისუფლდეთ სხვაგვარად, შესაძლოა, ამ ნეგატიური გრძნობებიდან გამომდინარე რეაგირება მოვახდინოთ და განკურნების ნაცვლად, დავჭრათ იგი.

რა მოვიმოქმედოთ, თუ ჩვენ სწორი დამოკიდებულება გვაქვს და ვცდილობთ შეეურიგდეთ ადამიანს, რომელმაც შესცოდა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ის არ გვისმენს?

„ხოლო თუ არ გაგიგონებს, წაიყოლე კიდევ ერთი ან ორი სხვა, რათა ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი სიტყვა. თუ არც მათ გაუგონებს, ეკლესიას უთხარი; ხოლო თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მებაჟე“. (მათე 18:16-17)

ყველა ამ საფეხურს ერთი საერთო მიზანი აქვს: შერიგება. არსებითად, იესო ამბობს: „გააგრძელე მცდელობა.“ შენიშნეთ, რომ ადამიანი, რომელმაც აწყენინა პროცესის ყველა სტადიაშია ჩაბმული. ძალიან ხშირად სხვა ადამიანებს ვუამბობთ წყენის შესახებ, იმის მაგივრად რომ მივიდეთ იმასთან, ვინც გვაწყენინა, როგორც იესომ გვიბრძანა ამის გაკეთება!

ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ საკუთარი გულის მდგომარეობაში არ გავრკვეულვართ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ გვაქვს უფლება მომხდარის საკუთარი ვერსია სხვებს ვუამბოთ. როდესაც გარეშენი გვეთანხმებიან იმაში, თუ რამდენად ცუდად მოგვექცნენ, ეს გვიმაგრებს პოზიციებს და გვამშვიდებს. მაგრამ ასეთ ქცევაში სხვა არაფერი არ არის, გარდა ეგოიზმისა.

## ჩვენი მიზანისა – შერიგება ყველაფრის საცუდველი

თუ ჩვენ გვინდა რომ ჩვენი მოტივი ღვთიური სიყვარული იყოს, მარცხს ალარ განვიცდით. სიყვარული არ გვლალატობს. თუკი სხვები გვეყვარება ისე, როგორც იესოს უყვარვართ, თავისუფალნი ვიქებით, მაშინაც, თუ სხვა ადამიანი გადაწყვეტს არ შეგვირიგდეს. ყურადღებით წაიკითხეთ წმინდა წერილის შემდეგი მუხლი. ნებისმიერ სიტუაციაში შეგვიძლია ღვთიურ სიბრძნეს მივმართოთ. იგი ყოველთვის ხელმისაწვდომია ჩვენთვის:

„თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით“. (რომაელთა 12:18)

იგი ამბობს: „თუ შესაძლებელია ...“ ვინაიდან, არის შემთხვევები, როცა სხვები უარს ამბობენ, რომ მშვიდობა იქონიონ თქვენთან ან შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომელნიც შერიგების ისეთ პირობებს ასახელებენ, რომლებიც გვაიძულებენ კომპრომისზე წახვიდეთ უფალთან ურთიერთობებში. ასეთ შემთხვევაში ადამიანთან შეუძლებელია ურთიერთობების აღდგენა.

ნახეთ, ღმერთი ამბობს: „თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია.“ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია, რათა შევურიგდეთ ადამიანს. ხმირად ძალიან სწრაფად ვამბობთ უარს ურთიერთობების აღდგენაზე.

არასდროს დამავიწყდება, როგორ მირჩევდა მეგობარი თავი არ ამერიდებინა ერთი უსიამოვნო სიტუაციისათვის: „ჯონი, მე ვიცი, რომ შეგიძლია შენი წასვლა ბიბლიის ადგილებით გაამართლო. მაგრამ ვიდრე ამას გააკეთებ, დარწმუნდი იმაში, რომ შენ შეენინააღმდეგ ამ პრობლემას ლოცვაში და გააკეთე ყველაფერი, რაც შეგეძლო, რათა ამ სიტუაციაში ღვთიური მშვიდობა შეგეტანა.“

შემდეგ მან დაამატა: „შენ ინანებ ამას, როცა ერთხელ წარსულს გადახედავ და მიხვდები, რომ არ გააკეთე ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგეძლო, რათა ეს ურთიერთობები შეგენარჩუნებინა. უმჯობესი იქნება, თუ დარწმუნდები, რომ არ გაქვს სხვა გამოსავალი და რომ ყველა შესაძლებლობა გამოიყენე ჭეშმარიტებასთან კომპრომისზე წაუსვლელად.“

მე ძალიან მადლიერი გახლდით ამ რჩევისათვის და მასში ღვთიური სიბრძნე დავინახე.

## სატანის სატყუარა

გახსოვდეთ იესოს სიტყვები: „ნეტარ არიან მშვიდობის მოქმედნი, ვინაიდან ლვთის ძეებად იწოდებიან.“ (მათე 5:9).

მან არ თქვა: „ნეტარ არიან მშვიდობის დამცველნი.“ მშვიდობის დამცველი ისწრაფვის ნებისმიერი საშუალებით აარიდოს თავი კონფრონტაციას, იგი მზად არის ჭეშმარიტებასთან კომპრომისზეც კი წავიდეს. მაგრამ მშვიდობა, რომელსაც ის იცავს, ჭეშმარიტი მშვიდობა არ გახლავთ. ეს ზედაპირული მშვიდობაა. იგი არ არის ნამდვილი და დიდხანს ვერ გაგრძელდება.

მშვიდობის მოქმედი კი სიყვარულით კონფრონტაციაზე წავა, ჭეშმარიტებას იღლაპარაკებს, რათა შერიგება, რომელიც ამის შედეგად მოხდება, საუკუნოდ დარჩეს. იგი არ შეინარჩუნებს ხელოვნურ, ზედაპირულ ურთიერთობებს. მას გულწრფელობა, ჭეშმარიტება და სიყვარული სურს, უარს ამბობს წყენა თავაზიანი ღიმილის უკან დამალოს და მშვიდობას ამყარებს შემართული სიყვარულით, რომელიც არასდროს გიღლალატებთ

ღმერთი სწორედ ასე ექცევა კაცობრიობას. მას არ სურს, რომ ვინმე დალუპოს. მაგრამ იგი არ წავა ჭეშმარიტებასთან კომპრომისზე ადამიანის გადასარჩენად. ის შერიგებას ეძებს ჭეშმარიტ საფუძველზე დაყრდნობით, და არა ზედაპირულ ადამიანურ პირობებზე დაყრდნობით. ეს სიყვარულის ისეთ კავშირებს ავითარებს, რომლებსაც ვერ გაარღვევს ვერავითარი ბოროტება. უფალმა საკუთარი სიცოცხლე განირა ჩვენთვის. ჩვენც მის მსგავსად უნდა ვმოქმედებდეთ.

გახსოვდეთ, რომ ყველაფრის საფუძველი გახლავთ ლვთიური სიყვარული. იგი არასოდეს არ მთავრდება, არ ფერმკრთალდება და არ მთავრდება. იგი არ ეძებს თავისას. არ ღიზიანდება და არ სწყინს (იხ. კორინთელთა 13:5).

პავლე მოციქული წერდა, რომ სიყვარული ყველა ცოდვაზე იმარჯვებს:

„ამაზე ვლოცულობ, რომ უფრო და უფრო გაიზარდოს თქვენი სიყვარული შემეცნებასა და შეგრძნებამი, რათა გამოსცადოთ უმჯობესი და იყოთ წრფელნი და დაულაქავებელნი ქრისტეს დღეს. სიმართლის ნაყოფით ალვსილნი იესო ქრისტეს მიერ, ლვთის სადიდებლად და საქებრად“. (ფილიპელთა 1:9-11)

## ჩვენი მიზანის – შერიგება

ღმერთის სიყვარული გახლავთ გასაღები მახიდან თავის დასალწევად, სადაც სატყუარას წყენა წარმოადგენს. მაგრამ ეს უნდა იყოს უხვი სიყვარული – სიყვარული, რომელიც გამუდმებით იზრდება და მტკიცდება ჩვენს გულებში.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი ადამიანია მოტყუებული ზედაპირული სიყვარულით, რომელიც ამბობს, მაგრამ არ მოქმედებს. სიყვარული, რომელიც გვიცავს შებრკოლებისაგან, თავგანწირულად გასცემს თავის სიცოცხლეს მტრის სასიკეთოდ. თუ სწორედ ამ სიყვარულში დავდივართ, მაშინ არ აღმოვჩნდებით ცდუნებაში და აღარ წამოვეეგებით სატანის სატყუარას.



## ეპილოგი

### პრაქტიკული ნაბიჯები

მ წიგნის კითხვისას ღმერთის სულმა შეიძლება გაგახსენათ ზოგიერთი ურთიერთობა წარსულში ან აწყობში, სადაც თქვეს რაღაცას მაღავთ სხვის წინააღმდეგ. მე ვგრძნობდი, ღმერთი მიმიდღოდა იქითვენ, რომ მეთხოვა თქვენთვის, ჩემთან ერთად უბრალო გამათავისუფლებელი ლოცვით გველოცა.

მაგრამ, სანამ ვილოცებთ, სთხოვეთ უფალს, რომ იგი თავისი სულით შეგიძლვეთ წარსულში, რათა დაგეხმაროთ გაიხსენოთ ადამიანები, რომლებზეც განაწყენდით. უფლის წინაშე მდუმარებაში წარსდექით, როცა იგი გაგახსენებთ მათ. ნუ გამოედევნებით იმას, რაც არ არის. იგი ნათლად და გამოკვეთილად გაგახსენებთ იმ ადამიანებს, და არ შეგაღონებთ ეჭვები. იმ დროს, როცა უფალი ამას გააკეთებს, შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორი ტკივილი განიცადეთ მაშინ. ნუ გეშინიათ. უფალი თქვენს გვერდით იქნება და დაგამშვიდებთ.

მაშინ, როცა პატიობთ ამ ადამიანებს, ათავისუფლებთ ბრალდებისაგან, თითოეული მათგანი რიგ-რიგობით წარმოიდგინეთ. თითოეულს პირადად მიუტევეთ. გააუქმეთ ვალი, რომელიც მათ მართებთ, შემდეგ წარმოთქვით ეს ლოცვა, მაგრამ მხოლოდ ამ სიტყვებით ნუ შემოიფარგლებით. გამოიყენეთ იგი ხელმძღვანელობისათვის და მიეცით ნება სულიწმიდას, რომ წარგიძლვეთ ლოცვაში.

„მამაო ზეციერო, იესოს სახელით ვაღიარებ, რომ შევცოდე შენს წინაშე იმით, რომ არ მივუტევე ადამიანებს, რომლებმაც მაწყენინეს. მე ვინაინიებ ამას და გთხოვ პატიობას. ასევე ვაღიარებ, რომ არ გამაჩნია უბარი ვაპატიო მათ შენს გარეშე. ამიტომ მთელი გულით ვიღებ გადაწყვეტილებას, მივუტევო მათ. (გაიხსენეთ

## სატანის სატყუარბ

მათი სახელები, გაანთავისუფლეთ და მიუტევეთ თო-  
თოეულს ინდივიდუალურად). იქსოს სისხლით ვაუქმებ  
ყოველივე ცუდს, რაც მათ გამიკეთეს. ისინი აღარ არი-  
ან ვალში ჩემს წინაშე. ვპატიებ მათ ცოდვებს, ჩემს წი-  
ნააღმდეგ რომ ჩაიდინეს.

მამაო ზეციერო, როგორც ჩემი უფალი იქსო გთხოვ-  
და მიგეტევებინა მათვის, ვინც მის წინააღმდეგ შესცო-  
და, მეც გთხოვ, რომ შენი პატიება მოვიდეს მათზე, ვინც  
ჩემს წინააღმდეგ შესცოდა.

გთხოვ აკურთხო ისინი და შენთან უფრო ახლო ურთ-  
იერთობები უბოძო.ამინ.“

ახლა უბის წიგნაკში ჩანერეთ იმ ადამიანთა სახელები, რო-  
მელნიც გაანთავისუფლეთ, და აღნიშნეთ, რომ ამ დღეს მიიღეთ  
გადაწყვეტილება სრულად მიგეტევებინათ მათვის.

თქვენ, შესაძლოა, მოგიხდეთ გავარჯიშება იმაში, რომ  
წყენისათვის ხელმისაწვდომი არ იყოთ. (გადაიკითხეთ მე-13  
თავი, თუ არ გესმით ეს მტკიცება). აიღეთ ვალდებულება,  
ილოცოთ მათვის ისე, როგორც საკუთარი თავისათვის ლოც-  
ულობთ. თქვენი ჩანანერები დაგეხმარებიან, რომ გახსოვდეთ  
ეს. თუკი აზრები კვლავ გიტევენ გონებაში, მოიშორეთ ისინი  
ღმერთის სიტყვით და მიტევების გადაწყვეტილება ხმამაღლა  
გამოაცხადეთ. ითხოვეთ ღმერთისაგან მადლი იმისათვის, რომ  
პატიება შეძლოთ. იყავით გაბედულნი და იღვანეთ რწმენის  
კეთილი ღვაწლით.

როცა იცით, რომ თქვენი გული ძლიერი და განმტკიცე-  
ბულია, მიდით მათთან. გახსოვდეთ, თქვენ აკეთებთ ამას იმ  
მიზნით, რომ შეურიგდეთ მათ არა საკუთარი გამორჩენის გამო,  
არამედ მათსავე საკეთილდღეოდ. ასეთი ქმედებით გამარჯვე-  
ბის გარანტია მოიპოვებთ. თქვენ იძენთ ძმას (იხ. მათე 18:15).  
ეს სათხოა ღმერთის წინაშე.

„ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისაგან და უბი-  
ნონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე.  
ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის  
იქსო ქრისტეს მიერ, დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმ-  
წიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, და ან და უკუნი-  
სამდე. ამინ“. (იუდ. 24-25)

# გაეძვი მტრის სასიკვდილო ხაფუნგის!

წიგნი **სატანის სატყუარა** ერთ-ერთ ყველაზე მაცდურ ხაფუნგს ააშკარავებს, რომელსაც სატანა მორწმუნეთა ღვთის წებიდან გამოსაყვანად იყენებს. ეს გახლავთ წყენა. მრავალი ადამიანი ვერც კი აცნობიერებს, რომ უკვე გაბმულია ამ მახეში.

ნუ მოტყუვდებთ! წყენა შეგხვდებთ, მაგრამ თქვენზეა დამოკიდებული, რა გავლენას მოახდენს თქვენსა და ღმერთს მორის ურთიერთობაზე. თქვენი რეაქცია თქვენივე მომავალს განსაზღვრავს. თუ ამ საცდურს სწორად შეხვდებით, გამწარების ნაცვლად გაძლიერდებით.

ჯონ ბევირი, ამ ბესტსელერის მეათე საიუბილეო გამოცემაში, გაჩვენებთ, როგორ უნდა დაიცვათ თავი წყენის ხაფუნგისგან და მსხვერპლისათვის დამახასიათებელ აზროვნებას გაეჭცეთ. 400 000-იანი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნი შეიცავს იმ ადამიანების დამოწმებებს, რომელთა ცხოვრებაც პირველი გამოცემით წაკითხვის შემდეგ შეიცვალა. მასში ასევე მოცემულია ღვთისმოსაბისთვის გამოსადეგი დანართები, სადისკუსიო კითხვები, ამონარიდები წმიდა წერილიდან დალოცვები.

## თქვენ იარვით პასუხას ისხათ რთულ კითხვებზე, როგორებიცაა:

- რატომ ვარ იძულებული, რომ „ჩემს მხარეზე“ ვილაპარაკო?
- როგორ შევებრძოლო ეჭვსა და უნდობლობას?
- რა გავაკეთო, რომ წარსულის ტკივილებმა თავი აღარ შემახსენოს?
- როგორ აღვიდგინო იმ ადამიანის მიმართ ნდობა, რომელმაც მაწყენინა?

ეს წიგნი დაგეხმარებათ მტრის „წყენის ხაფუნგის“ არიდებაში და წყენისგან განთავისუფლების ძალას მოგცემთ, რითაც ღმერთთან დაუბრკოლებელ ურთიერთობას შეინარჩუნებთ.



**ჯონ ბევირი** სიხარულით აკვირდება, როგორ უახლოვდებიან ადამიანები ღმერთს და მარადიულობისთვის გამოსადეგ აზროვნებას იძენენ. საერთაშორისო ბესტსელერებისა და აღიარებული სასწავლო მასალების ავტორი, კონფერენციებისა და ეკლესიების სპიკერი ჯონი The Messenger television program-საც სტუმრობს, რომელიც 216 ქვეყანაში გადაიცემა. მან და მისმა მეუღლე ლიზამ, ასევე ბესტსელერების ავტორმა, 1990 წელს დააფუძნეს Messenger International, რომელსაც ამჟამად ფილიალები აქვთ კოლონიადოში, ავსტრალიასა და გაერთიანებულ სამეფოში. ისინი კოლონიადოში ცხოვრობენ თავიანთ ოთხ ვაჟთან ერთად.